კვირის პალიტ
მზე
N22 (312) 1/VI-7/VI.2006. ფასი 60

რომა რცხილაძე საკუთარ ავტომობილში შხაპს ილებს და ყავას სვამს

1168
2006

მონათესავე სულები – როგორ მოხიბლა მარიკა ვერულაშვილმა ანრი ჯოხაძე

„ძლიერი ქალები მიყვარს...“

დაბოლმილები

ვინ დაიწუნა „ჯეობარი-2“ და მისი ურეიტინგო მოთამაშეები

„ბავა დრო და მოვუყვები შვილებს...“ გოგი დოლიძის სიცოცხლის ბოლო დღე

ბავშვები, რომლებიც სასაფლაოზე იპოვეს

1 ივნისი

ახალი თაობის კავშირი

1 ივნისი
ბავშვთა დაცვის დღეა

მაგთიკომი სარგებლობს შემთხვევით და მიესალმება საქართველოს ბავშვებისა და მათი მშობლების მისწრაფებებს, წარმატებებს, ოცნებებსა და იმედებს. მომავალი იწყება დღეს.

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge

მაგთი MAGTI GSM

არ გამოტოვოთ

მაგთის საზეიმო სალამო

იმედის არხზე,
22 საათზე, პარასკევს,
2 ივნისს

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge

მაგთიკომი MAGTICOM

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲘ
№22 (312)
1 — 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲓᲐᲣᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ“, ᲝᲡᲣᲠᲘ „ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ“ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ 6
ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ
„ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚᲘ“ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ, ᲣᲛᲘᲛᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ 8
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
„ᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲕᲭᲚᲘᲢᲝᲗ, ᲛᲝᲠᲬᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲛᲔᲜ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲡ“ 9
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔ ᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲠᲘ ᲧᲝᲩᲐᲫᲔ 10
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- ᲡᲐᲦᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ — ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲪᲝᲚᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲐᲭᲠᲐ 14
- ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲛᲐ ᲝᲠᲘ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲦᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲙᲚᲐ 16

ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲢᲧᲣᲘᲚᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ... ...ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲐᲥᲕᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲔᲡ 17
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ
- ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲭᲐᲝᲑᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲬᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲒᲕᲘᲡ ᲨᲠᲜᲐᲨᲘ ᲠᲝᲣᲚᲝᲑᲔᲜ 21
- ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ 22
- ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ, ᲣᲮᲔᲛᲘ ᲓᲐᲡᲮᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲢᲠᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ 24
- ᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲔᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲝᲛᲑᲣᲦᲡᲛᲔᲜᲡ 26

ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ, ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ „ᲓᲔᲓᲘᲙᲝᲡ“ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲘᲢᲜᲘ ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲘᲟᲘ ᲨᲐᲜᲘ 27
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 30
ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ
ᲔᲥᲘᲛᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲚᲘᲔᲠᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ 30
ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲨᲐᲝᲚᲘᲜᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ 33
ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ
„ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲡᲘ“ 34
ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢᲘ 36

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲭᲐᲝᲑᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲬᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲒᲕᲘᲡ ᲨᲠᲜᲐᲨᲘ ᲠᲝᲣᲚᲝᲑᲔᲜ



„ᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲓ ᲘᲡᲔᲗ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲔᲑᲐᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ — ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲔᲓᲐᲡ თუ ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ...“

21

... ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲠᲘ ᲧᲝᲩᲐᲫᲔ

„ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲝᲠᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ქვეშ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ 8-9 ᲬᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲘ. ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲠᲒᲝᲜᲘ ᲓᲐᲕᲠᲩᲘᲗ“.

10

ᲔᲥᲘᲛᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲚᲘᲔᲠᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲘᲩᲮᲣᲑᲝᲑᲓᲘᲗ. ᲛᲐᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲛᲢᲔᲕᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲔ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐᲪ ᲐᲡᲔᲐ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲘᲙᲝᲡ ᲕᲐᲢᲧᲣᲔᲑᲓᲘ — ᲕᲘᲗᲝᲛ ᲦᲐᲛᲦᲐᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲜᲖᲔ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲔᲑᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲓᲘ“.

30

ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ, ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ „ᲓᲔᲓᲘᲙᲝᲡ“ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ...

„ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲒᲘᲟᲔᲑᲘ ᲣᲘᲢᲜᲘ ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲨᲘ, ᲡᲢᲘᲕ ᲣᲐᲜᲓᲔᲠᲖᲔ ᲓᲐ Ა.Შ. 24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ „ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ“ ᲕᲛᲦᲔᲠᲝᲓᲘ. ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ (ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲐᲠ ᲛᲧᲝᲚᲘᲐ)“.

27

ᲙᲕᲐᲚᲘ

ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲜᲢᲚᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲘᲡ ᲮᲛᲘᲗ ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲑᲘᲯᲣᲜᲐ 38

ᲢᲐᲥᲐᲠᲘ

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲐᲡᲣᲠᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ 40

ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ

ᲨᲘᲝ ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ. ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 42

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ

ᲡᲚᲐᲕᲐ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ – ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲐᲚ“ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲜᲔᲜ 47

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

- ᲗᲣ ᲒᲐᲖᲐᲨᲣᲚᲖᲔ ᲬᲧᲚᲣᲚᲘ ᲒᲐᲒᲘᲛᲬᲕᲐᲕᲓᲐᲗ 50
- ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ 51

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ 52

ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲜᲔᲑᲘ

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲮᲐᲠᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲓᲔᲑ, ᲪᲘᲕ ᲚᲣᲓᲡᲐᲪ ᲓᲐᲚᲔᲕ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲚ ᲧᲐᲕᲐᲡᲐᲪ „ᲩᲐᲣᲠᲗᲧᲐᲛ“ 55

ᲐᲕᲢᲝ 57

ᲛᲣᲜᲓᲘᲐᲚᲘ 58

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ. ᲗᲥᲔᲨᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 60

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲡ 64

ᲨᲝᲣ

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲣᲜᲐ „ᲯᲔᲝᲑᲐᲠᲘ 2“ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲝ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ 65

ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ 67

ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘ 69

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (1-7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ 70

ᲢᲔᲡᲢᲘ

ᲮᲐᲠᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ? 71

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: ᲘᲠᲛᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲗ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲯᲔᲚ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ.
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲒᲝᲩᲐ ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: ᲛᲐᲗᲔ ᲙᲑᲘᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. №49
ᲢᲔᲚ: 38-50-03 email: gza@kvirispalitra.com

ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲜᲢᲚᲛᲔᲜᲘ

„ᲒᲝᲒᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲪ ᲘᲛᲐᲕᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲓᲠᲝ ᲕᲔᲠ ᲨᲚᲘᲡ, ᲕᲔᲠ ᲐᲮᲣᲜᲔᲑᲡ ᲤᲔᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲩᲐᲑᲔᲭᲓᲐ“.

38

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲡ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 2000 ᲬᲔᲚᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ. ᲚᲘᲐᲜᲐ ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔᲛ ᲛᲝᲛᲘᲬᲕᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲡ ᲕᲣᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲔ. ᲘᲛ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲘᲗ“.

64

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

ᲒᲠᲘᲤᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲓᲔᲠᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲪᲝᲚᲥᲛᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲡᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲰᲧᲘᲠᲭᲔᲑᲘᲐᲗ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲮᲘᲑᲚᲐᲕᲡ.

52

ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ

ᲩᲐᲠᲒᲘᲔᲕᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲥᲣᲠᲓᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲪᲐᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲒᲘᲛᲐᲠᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ, ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲤᲘᲜᲝᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲗᲕᲘᲗ ᲩᲐᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ.

42

დაუჭყლეტელი სტუმარი

და გასართობი ცენტრი „საქართველო"

ქართველები ოდითგანვე გამოვირჩეოდით სტუმართმოყვარეობით და ეს ყველამ კარგად იცოდა. ამიტომ დაპატიჟებაც არ სჭირდებოდათ, ისე მოდიოდნენ სპარსეთიდან, ოსმალეთიდან თუ მონღოლეთიდან. თანაც, ცოტა რაოდენობით კი არა, ერთ მასპინძელზე ათი და ასი „სტუმარი" მოდიოდა. ზოგიერთი სტუმარი ისეთია, რომ მიხვედრილობა აკლია და თუ მოეწონა შენთან, წასვლას კი ვეღარ მოიფიქრებს. ჰოდა, ის ზემოთ ხსენებული სტუმრებიც სწორედ ისეთები იყვნენ, მოდიოდნენ და წლობით, საუკუნეობით რჩებოდნენ.

ასე და ამგვარად, არც სტუმრის გვეშინია და არც მასპინძლობაში ჩავჭრილვართ ვინმესთან, მაგრამ ახლა

რა დაგვემართა, არ ვიცი. ერთი წამოსცდა იმ კაცს, მოვალო და ისეთი პანიკა ატყდა, ღამის მთებში გავიხიზნეთ. ჯერ რა სტუმარი ისა მყავს, ჩვენებურია, ქართველი. უბრალოდ, რამდენიმე წლის წინ გაიქცა და სათოფეზე არ გვეკარებოდა.

ისე, ჩვენც დიდი უცნაური მთავრობა გვყავს: სანამ იმალებოდა ის კაცი, ჭირი მოვჭამეთ, ჩამოდი და ჩვენზე იყოს შენი პატივისცემა-თქო. ახლა მოინდომა და, მუქარას ვუთვლით. არადა, ხომ გაგვაფრთხილა, არ ვარ მე ის კაცი და ნუ ქმნით ჩემგან მტრის ხატსო. ეს ერთი ნაკლი მართლაც რომ ისტორიულად გვახასიათებს: ვინმე თუ ამოვიჩემეთ, მტრისას! ასე შევქმენით მტრის ხატი შაჰ-აბასისგან, ჯალალედინისა და ვინ მოთვლის კიდევ, ვისგან — არა...

ზოგმა მისი ჩამოსვლის სურვილი სულ სხვა მიზეზებით ახსნა: ბოლო წლებში ამდენი რამ გაკეთდა საქართველოში, გალამაზდა ქვეყანა. მარტო თბილისი როგორ დამშვენდა: აგერ აკვაპარკს ვიკეთებთ, იქ 60 მეტრის სიმაღლის ატრაქციონი წამოვჭიმეთ, დენისა და გაზის ტარიფი გავზარდეთ. სხვათა შორის, ეს ტარიფი იმ 60-მეტრიანი „ტაუერივითაა", მაღლა ადის, მერე იჭედება და აღარ ეშვება. ჰოდა, იქნება ამიტომ უნდა იმ კაცს ჩამოსვლა და გართობა.

და რაც ყველაზე მთავარია, ქართული ღვინო მოენატრა. აკი, თქვა კიდეც, ყველაზე მეტად ქართული სუფრა და ქეიფი მენატრებაო... ჩვენს ღვინოს ვეღარ სვამს მოსკოვში და ხომ გაგიგონიათ, „თუ ღვინო არ მიდის იგორთან, იგორი მიდის ღვინოსთან"...

პირადად მე, ისე გამიხარდა, ტელევიზორში რომ გამოჩნდა და ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა, დილითვე გავიქეცი მისი პარტიის ოფისში. უკვე შეკრებილიყვნენ და თავმჯდომარე დანარჩენებს ეუბნებოდა, იგორი მოდის, იგორი მოდისო. ამ დროს დააცემინა და მოადგილემ ზურგზე ხელი დაჰკრა — არაფერი გეტკინა მის მოსვლამდეო...

ჩვენს ხელისუფლებასაც მეტი რა უნდა? ოღონდ, ვინმემ ჩამოსვლის სურვილი გამოთქვას და პომპეზური დახვედრა გარანტირებული აქვს. უცებ შეიკრიბა მთავრობის სხდომა, იმსჯელეს, იკამათეს და გადაწყვიტეს: ვიღაც გადამთიელ ჯორჯ ბუშს გადავყევით და ჩვენებური კაცი სულ უნდა გავაოგნოთ პატივისცემითო... ყველაფერი განსხვავებული რომ იყოს, პრეზიდენტის მანქანის ნაცვლად, აეროპორტში პატრულის მანქანით დახვდებიან. სტუმარს იქიდან პირდაპირ კონცერტზე წამოიყვანენ, რომელიც არა თავისუფლების მოედანზე, არამედ მზემ რომ არ შეაწუხოს, შენობაში გაიმართება, მაგალითად, საოლქო სასამართლოს შენობაში. პროგრამაში უკვე შეტანილია ორიგინალური ნომრები: პროკურორის ლექსი, ბადრაგის ცეკვა და მოსამართლის სიმღერა, რის შემდეგაც სტუმარს ღამის (ღამეების) გასათევად ორთაჭალის „ბევრვარსკვლავიან სასტუმროში" დააბინავებენ. ოღონდ, ღონისძიებათა ეს ნუსხა ჯერ გასაიდუმლოებულია, სტუმრისთვის ყველაფერი სიურპრიზი უნდა იყოს...

P.S. პრემიერი პრეზიდენტს:

— ვიღუპებით, ბატონო, გიორგაძე ჩამოდის!..

— რა უნდა?

— არ ვიცი, მინდა ცხოვრება ხელახლა დავიწყოო...

— კი, ბატონო, ჩამოვიდეს. თუ ხელახლა უნდა ცხოვრების დაწყება, ჯერ ბაგა-ბაღში შევიყვანთ, მერე — სკოლაში, მერე პატრიოტთა ბანაკში გავუშვებთ, მერე — ჯარში და კაცს გამოვიყვანთ ქვეყანაზე...

ПРОВОКАТОРИ

„ეს იყო სამშვიდობო პროცესისთვის მიყენებული სერიოზული დარტყმა“

— ცხინვალის რეგიონში მომხდარ ინციდენტს მიეცემა თუ არა სამართლებრივი შეფასება და აპირებთ თუ არა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებთან შეხვედრას?

გოგა ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— პირადად მე, ყველა დონეზე დავაყენებ ამ ინციდენტის გამოძიების საკითხს. არც ერთ ფორმიან ან უფორმო ადამიანს არა აქვს უფლება, სრულიად გაუაზრებელი ქმედებებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მთელი ქვეყნის მომავალი. მსგავსი ქმედებები ხელს უწყობს დესტაბილიზაციას და ნებისმიერი სახის დესტაბილიზაცია ჩვენთვის წამგებიანია. რეგიონში ასეთი დაძაბულობის გამოწვევის უფლება არა გვაქვს. ოსებიც და აფხაზებიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან, ქართული პოლიცია მათ უფლებებს უნდა იცავდეს. აქ კი რა მოხდა?! უდანაშაულო ადამიანები დაიჭირეს და აწამეს. ეუთოს წარმომადგენლები და სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები გვეკითხებოდნენ — რა ახსნა აქვს იმას, რაც ცხინვალის რეგიონში მოხდაო? ეს იყო სამშვიდობო პროცესისთვის მიყენებული სერიოზული დარტყმა. ჩვენ მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ და ვცდილობთ, პროგრესს მივაღწიოთ, კონკრეტული ადამიანები კი, ასეთი აღვირახსნილი საქციელით ყველაფერს აფუჭებენ. დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ სახალხო დიპლომატია, ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებთან კონტაქტის დამყარება და ნდობის აღდგენა, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურ მოლაპარაკებებსა და მიღებულ დოკუმენტებზე უფრო ეფექტურია. აგრესიას კი, აგრესია მოსდევს: მომხდარის საპასუხოდ, საშინლად აწამეს ოთხი ქართველიც... ჩვენ ამ საქმეში მონაწილე კრიმინალების დასჯასაც მოვითხოვთ. იმედი მაქვს, კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა ნელ-ნელა განიმუხტება.

■

„დაცემული რეიტინგის ამოსაქაჩავად, ბიუჯეტს გაფლანგავენ...“

— ვარაუდობენ, რომ თვითმმართველობის არჩევნებამდე, სააკაშვილი რამდენიმე მაღალჩინოსანს შეელევა, რათა საზოგადოების გული მოიგოს. ვინ შეიძლება, დაითხოვოს პრეზიდენტმა?

კახა კუკავა, *კონსერვატიული პარტიის წევრი:*

— ლაპარაკია ბაჩო ახალაიაზე, კოტე კემულარიასა და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილზე. კემულარია, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი, არაფერს წარმოადგენს, საზოგადოებას მის მიმართ არც აგრესია აქვს დაგროვილი, ამიტომ მისი გათავისუფლება — უაზრობაა. სულ სხვაა ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის საკითხი. შესაძლებელია, ისინი, განსაკუთრებით კი, შინაგან საქმეთა მინისტრი განრისხებულ თბილისელებს „შესწიროს“. თუმცა, ეს იმაზეა დამოკიდებული, გაუჭირდება თუ არა სახელისუფლებო ძალას არჩევნების მოგება. სააკაშვილი არ არის უნიჭო ადამიანი, მას პირარი არ შეეშლება, დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი არჩევნებისთვის მაქსიმუმს გააკეთებს, ბევრ ფულსაც დახარჯავს, რომ „ნაცმოძრაობის“ კანდიდატებმა გაიმარჯვონ. გაიხსნება სკვერები, ბაღები, შადრევნები, შელამაზდება ფასადები, ამომრჩეველზე ზემოქმედების მოსახდენად და დაცემული რეიტინგის სულ მცირედით ამოსაქაჩავად ქვეყნის ბიუჯეტს გაფლანგავენ. გარდა ამისა, ისეთი საარჩევნო კანონი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ოპოზიციას გამარჯვების მინიმალური შანსი აქვს. საარჩევნო კომისიები ერთპარტიული წესით არის დაკომპლექტებული და მათ, „ნაცმოძრაობის“ წევრთა მეგობრები უდგანან სათავეში. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არჩევნები არ არის, ხელისუფლებასთან ურთიერთობის გარკვევის ერთადერთი გზა. საზოგადოების ზეწოლითაც შეიძლება შედეგის მიღწევა. შესაძლებელია, არჩევნებამდე, საზოგადოება რომელიმე პარტიის ან თუნდაც ერთი ავტორიტეტული პიროვნების გარშემო შეიკრიბოს და ეს ერთიანობა, უკვე სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს ხელისუფლების რეპრესიულ პოლიტიკას. ამ საქმეში ოპოზიციაზე ბევრია დამოკიდებული. მისი ყველა ქმედება სიტუაციის ადეკვატური უნდა იყოს.

■

„მშენებელი იძულებულია, ჩინოვნიკს ახალ ბინას დაჰპირდეს“

— საკრებულოს ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება სამშენებლო კომპანიებს წილში ჩაუჯდა. რას ითხოვენ მაღალჩინოსნები კომპანიების მფლობელებისგან?

სოსო შატბერაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის წევრი:*

— თბილისში 22 ათასი საცხოვრებელი სახლი უმძიმეს ავარიულ მდგომარეობაშია, ამიტომ ახალი კორპუსების აშენება აუცილებელია. მაგრამ ხელისუფლება ყველანაირად ზღუდავს მშენებლებს, თუ მას წილში არ ჩაუჯდა, რომელიმე თანამდებობის პირი. იქმნება მთელი რიგი ბიუროკრატიული ბარიერებისა, ამიტომ მშენებელი იძულებულია, ამა თუ იმ ჩინოვნიკს ახალ კორპუსში საცხოვრებელ ბინას ან საოფისე ფართს დაჰპირდეს. თავის დროზე, კობა ბექაურის საქმე გახმაურდა, როცა ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას გასაქანი მანამდე არ მისცეს, ვიდრე მან პარლამენტარსა და „ნაცმოძრაობის“ გამორჩეულ სახეს მშენებარე კორპუსში ბინა არ მისცა. გარდა ამისა, სპეციალისტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მშენებლობის ხარისხის შემოწმება თითქმის არ ხდება. გაუქმებულია მშენებლობის ლიცენზიაც, რაც კონტროლის საშუალებას კიდევ უფრო ამცირებს. საქართველოში არ არსებობს სამშენებლო კომპანია, რომელსაც რაიმე ლაფსუსი არ მოსდის, ამიტომ ლაბორატორიული შემოწმების შედეგად, უნდა დადგინდეს, რამდენად ხარისხიანადაა აშენებული შენობა. მაგრამ ვის აინტერესებს?! ეს ყველაფერი უდიდეს რისკთან არის დაკავშირებული, კონკრეტული ადამიანების სიცოცხლეს ექმნება საფრთხე. ხელისუფლებას არც ქალაქის ურბანული განვითარების გეგმა აღელვებს და არც ის — რომელ უბანში რა მოცულობისა და რამდენსართულიანი შენობა უნდა იდგეს. ისინი ყველაფრისგან პირად გამორჩენას ელიან და იღებენ კიდეც.

■

„რას ნიშნავს „სექსუალური თავისუფლება ოჯახში“?..“

— „ოჯახური ძალადობის შესახებ“ კანონი პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. დეპუტატთა ნაწილისთვის ეს საკითხი ქილიკის მიზეზიც კი გახდა. თქვენ რა პუნქტებს არ ეთანხმებოდით?

ბესო ჯულელი, *პარლამენტის წევრი:*

— ჩვენ ვამბობთ, რომ ოჯახური ძალადობა არსებობს და მისგან დაცვას სჭირდება საკანონმდებლო მექანიზმი. ეს ჩემთვის სრულიად გასაგებია. მაგრამ არ მესმის, რას ნიშნავს „სექსუალური თავისუფლება ოჯახში“, რომელიც კანონშია ჩაწერილი. ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, ოჯახის წევრებს აქვთ უფლება, აირჩიონ პარტნიორი. ე.ი. მაშინ, როდესაც მყავს მეუღლე და ოჯახი, მე მაქვს უფლება, სექსისთვის ავირჩიო სხვა პარტნიორი; ეს პარტნიორი, ცოლი იქნება თუ შემთხვევით გაცნობილი მანდილოსანი — მნიშვნელობა არა აქვს... ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მეუღლესაც შეუძლია, იგივე გააკეთოს და ეს სრულიად კანონიერი ქმედება იქნება. გესმით, ეს რას ნიშნავს?! გარყვნილებას, ამორალობას და უზნეობას?! შესაძლებელია, ასეთი კანონი რომელიმე ქვეყანაში მართლაც, მუშაობს და „კანონმორჩილი ქმარი“ ცოლის თავისუფალ არჩევანს მშვიდად უცქერის, მაგრამ ქართულ მენტალიტეტში ეს არასოდეს ჩაჯდება. ეს პუნქტი რელიგიური თვალსაზრისითაც გაუმართლებელია: როცა გვირგვინს იდგამ, ტაძარში ჯვარს იწერ და პირობას დებ, რომ მეუღლეს უერთგულებ, ამის შემდეგ მოძღვარი გეტყვის, უფლება გაქვს, პარტნიორად ვინც მოგესურვება, ის აირჩიოო? ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, ოღონდ — საკუთარი ტრადიციებისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით. ■

ბიზნესმენთა გუნდი – ხელისუფლების სათავეში?..

— რუსეთი აცხადებს, რომ გიორგაძეს საქართველოს პრეზიდენტად ამზადებს, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ საბოლოოდ, კრემლი რუსეთში მოღვაწე რომელიმე ბიზნესმენზე შეაჩერებს არჩევანს. ვისზე შეიძლება, იყოს ლაპარაკი?

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— დიდი ხანია, არსებობს მოსაზრება, რომ მოსკოვში მცხოვრები ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფი, საქართველოს მომავალ მთავრობად მოიაზრება. ლაპარაკია არა მხოლოდ პრეზიდენტის კანდიდატურაზე, არამედ ხელისუფლების სრულ შეცვლაზე. სააკაშვილის გუნდისთვის უფრო საშიშია იგორ გიორგაძე, რადგან ის ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, შესაძლებელია, რევანშისტულად განეწყოს. მაგრამ თუ მოვა ბიზნესმენებით დაკომპლექტებული მთავრობა, პროცესები უფრო მშვიდობიანად განვითარდება. რევოლუციურმა ხელისუფლებამ, თავის წინამორბედებს, რეკეტით წაართვა ფული და ქონება. „ნაციონალებს“ სწორედ იმ სიმდიდრის დაკარგვის გამო აქვთ ის პანიკური შიში, რომელიც ამ ორი წლის განმავლობაში დააგროვეს. ბიზნესმენებით დაკომპლექტებული მთავრობა ასეთ რევანშზე არ წავა... მე კონკრეტული გვარების დასახელება გამიჭირდება. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა იგორ გიორგაძესაც დაუჭიროს მხარი. ჩვენმა ხელისუფლებამ ის უკვე მტრის ხატად აქცია, რაც მის რეიტინგზე დადებითად აისახება. სააკაშვილის გუნდი ასეთ შეცდომებს შიშის გამო უშვებს. ბუნებრივია, გიორგაძის მხარდამჭერი აქციები დაფინანსებულია, მაგრამ მისი ბევრ მშიერ ადამიანსაც რომ სჯერა, ესეც ცხადია. ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიაა ასეთი — ის ყოველთვის ეძებს ერთ კაცს, რომელსაც გააფეტიშებს და მხსნელად მიიჩნევს. რას ვიზამთ, საქართველოში პოლიტიკური კულტურა ჯერ ვერ ჩამოყალიბდა. თუ ხელისუფლება ასეთი ტემპებით გააგრძელებს შეცდომების დაშვებას, როგორც გიორგაძის, ისე სხვა პოლიტიკურ ძალთა რეიტინგი გაორმაგდება. მე კი არ მსურს, სააკაშვილსაც ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება. განა იმიტომ, რომ მომწონს, არამედ იმიტომ, რომ არ მინდა, მსოფლიოს თვალში ბანანის რესპუბლიკად ვიქცეთ. ■

„4 თეთრი ამ ხნის განმავლობაში ტყუილად მიჰქონდათ მოსახლეობის ჯიბიდან“...

— პირველი ივნისიდან გაზრდილი ტარიფი ძალაში შევა. თქვენ ამ საკითხის გასაჩივრებას ევროსასამართლოში აპირებთ. მოგების რა შანსი გაქვთ?

ზვიად ძიძიგური, *პარლამენტის წევრი:*

— ხელისუფლების ერთადერთი არგუმენტი, დენის ტარიფის მატების გასამართლებლად, გაზის საფასურის გაზრდაა. საქართველოში გაზით გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვედრითი წილი 11%-ს არ აღემატება. ასე რომ, გაზის გაძვირებით დენის ფასი მაქსიმუმ, 0,4 თეთრით უნდა გაზრდილიყო და არა ასე მკეთრად. როდესაც თბილისში შემოვიდა კომპანია ეი-ი-ესი და ინვესტიცია ჩადო, მაშინ ტარიფი გაზარდა. ეი-ი-ესის წასვლის შემდეგ, რუსული კომპანია შემოვიდა, რომელმაც 23 მილიონ დოლარად შეიძინა ეს ენერგოსისტემა. ვინაიდან ამერიკელებს, წასვლისას ჩვენგან არაფერი მოუთხოვიათ, შესაძლებლობა გაჩნდა ფასის 4 თეთრით შემცირებისა, მაგრამ ბენდუქიძე აქტიურად ჩაერია ამ საკითხში და განაცხადა — ახლა არ გავიაფოთ და როცა მომავალში ელექტროენერგიის გაძვირების საკითხი დადგება, ეს — 4-თეთრიანი სხვაობა შესაძლებლობას მოგვცემს, ტარიფი შევინარჩუნოთო. ე.ი. ეს 4 თეთრი ამ ხნის განმავლობაში, რაო-ე-ესს ტყუილად მიჰქონდა ქართული მოსახლეობის ჯიბიდან. თბილისი წელიწადში 2 მილიარდ კოლოვატს მოიხმარს. ეს იმას ნიშნავს, რომ 12 თვის განმავლობაში 50 მილიონს უკანონოდ იღებდნენ მოსახლეობის ჯიბიდან. გარდა ამისა, 2006 წლის ბიუჯეტში 10 მილიონი დოლარი იყო ჩადებული ტარიფის შესანარჩუნებლად. 2006 წლიდან, მხოლოდ 5 თვე გავიდა და ფასები უკვე გაიზარდა. სად წავიდა ეს 150 მილიონი; ამ კითხვაზე ვიღაც-ვიღაცებს ძალიან მწარედ მოეკითხებათ პასუხი. ტარიფის შეცვლის კიდევ ერთ მიზეზად, სარეაბილიტაციო სამუშაოები დასახელდა. ესეც ტყუილია, რადგან ამ სამუშაოების დაფინანსებაც საქართველოს ბიუჯეტიდან ხდება. ფაქტია: ისევე, როგორც დღეს, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების საქმეს იძიებენ, მოქმედ თანამდებობის პირებსაც მოუწევთ კანონის წინაშე პასუხისგება. ■

ქართული „პროვოკაციები“, ოსური „ფანტაზიები“ და რუსული „მართალი“ სიტყვა

რუსუდან ლებანიძე

27 მაისს, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი სკანდალი მოხდა. სკანდალიო, სიტყვის მასალად უფრო ვამბობ, თორემ რა იყო ეს, ან ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც (ან რომელთა კონფლიქტის ზონაში გამოჩენის შემდეგაც) აქეთ და იქით ადამიანები მძევლებად აიყვანეს და მათ დიდ ნაწილს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ, დღემდე დაბეჯითებით ვერავინ ამბობს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, ჩვენს ქვეყანაში მითური (ოღონდ, ამ სიტყვის მხოლოდ უარყოფითი გაგებით) ადამიანების

ჯგუფი თავის ნებაზე დათარეშობს და უმსგავსობას უმსგავსობაზე სჩადის, მათი მომხელთებელი და, მით უმეტეს, გამსამართლებელ-დამსჯელი კი, ჯერაც არავინ ჩანს. ცხადია, როცა ქვეყანაში ვინმეს გასამართლება-დასჯაზეა ლაპარაკი, გამსამართლებელ-დამსჯელში, პირველ რიგში, ამ ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლება და მისი ის სტრუქტურები იგულისხმება, რომლებსაც ამის განხორციელება ასევე ოფიციალურად ევალებათ და ხელეწიფებათ კიდეც! მაგრამ სამწუხაროდ, ამ საკითხში ჯერაც სრული ქაოსი და გაურკვევლობაა.

და რადგანაც ასეთი მდგომარეობა ყოველთვის მოწინააღმდეგეს აძლევს ხელს, რაღა გასაკვირია, თუ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნენი სასწრაფოდ წამოიშალნენ და მომხდარის ირგვლივ ვერსია ვერსიაზე გამოაცხვეს...

საქართველო მასშტაბური პროვოკაციების ტაქტიკას დაუბრუნდა

როგორც ჩანს, მთლად სწორი როდი იყო პროგნოზი, თითქოს, ვაშინგტონიდან თბილისში აშკარა თუ ფარული ბრძანება მოვიდა — დიდი რვიანის სამიტამდე თავი დაეუნებებინათ რეგიონში „დემოკრატიისთვის ბრძოლისთვის“, რომელიც უთავბოლო პროვოკაციებს უფრო წააგავს. ბრძანება — ბრძანებად, მაგრამ საქართველოს რეალური, სოლიდური და იმავდროულად, კავკასიაში შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებელი მტრის გაჩენაც ძალიან სჭირდება. ამისთვის კი ყველაზე მეტად, რუსეთი გამოდგება.

თუ რუსეთს მტრად ვერ გაიხდი, ეგებ, სამიტამდე „მაღალი“ სავარძელი ველარც კი შეინარჩუნო: ქართველმა ხალხმა ხომ „რევოლუციებს“ კარგა ხნის წინ გაუგო გემო და ამიტომაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს არც ერთ ხელმძღვანელს თავისი პოსტი კონსტიტუციური წესით არ დაუტოვებია. ეკონომიკის რღვევა, მიზერული ხელფასები და პენსიები, სამშობლოდან გადახვწილთა და იქ დარჩენილთა სრული უპერსპექტივობა, მილიონამდე ქართველი, აღარც სააკაშვილის გუნდს უტოვებს არჩევანს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების მიერ სამხრეთ ოსეთში ორგანიზებული მასშტაბური პროვოკაცია.

აუღიარებელი რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მონაცემებით, დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე 60-კაციანმა ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებამ შეძლო სამმხრივი სამშვიდობო პოსტის — „ობობას“ ბლოკირება. ამ დროისთვის ქართული სპეცდანიშნულების რაზმმა ცალკეულ ოსურ სოფლებთან მისასვლელ გზებზე — ტრანსკავკასიური მაგისტრალის თამარაშენი-კეხვის მონაკვეთზე და სოფელ ერედვთან — ჩაატარა ოპერაციები.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოხვდა ოსური სოფელი ხელჩუა. იქ, ქართული სპეცდანიშნულების რაზმი, მამრობითი სქესის მოსახლეთა შეპყრობას, ზონდერბრიგადისთვის საუკეთესო ტრადიციების დაცვით შეუდგა. 16 საათისთვის, 50 კაცი (მათგან ზოგი, რუსეთის მოქალაქე იყო) უკვე მძევლად იყო აყვანილი. დაკავებულთა უმეტესობა ქართული ტერიტორიისკენ, გორის მიმართულებით წაიყვანეს.

შერეული სამშვიდობო ძალების სამხრეთ ოსეთის ნაწილის წარმომადგენელმა, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურების ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვატყობინა, რომ მძევლების აყვანასა და შემდგომ მათ დაკითხვას საქართველოს უშიშროების სამინისტრო, საქართველოს ხელმღვანელობის უშუალო მითითებით ახორციელებდა.

მოვლენების შემდგომი განვითარების სცენარი ანუ „ყველაფრის უარყოფა“ წინასწარვე იყო ცნობილი. სწორედ ასე მოიქცა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი დევი ჭელიძე, რომელმაც მართლაც კატეგორიულად უარყო ყველაფერი. „ოსი კოლეგები, როგორც ყოველთვის, ახლაც ცრუობენ, — განუცხადა მან UA Regnum-ს, — ჩვენ არანაირი დაკავებულები არ გვყავს. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ არ შეუძლია „ოსური ფანტაზიების“ კომენტირება. და ეს მაშინ, როცა ქართულმა ტელეარხმა ოსების ჯგუფის დაკავების შესახებ ინფორმაცია უკვე გადასცა.

ამის შემდეგ, სიტუაციაში გარკვევასა და მოლაპარაკებებში კიდევ რამდენიმე საათმა განვლო. ზუსტად არ არის ცნობილი, თუ კონფლიქტის მხარეები რაზე შეთანხმდნენ, მაგრამ იმას, რომ მოლაპარაკებები რთულად მიმდინარეობდა, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, მიხაილ ნინძაევის ის განცხადებაც მოწმობს, რომელიც მან შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. — „ჩვენ გვითხრეს, რომ ეს მათ არ ჩაუდენიათ და რომ ბევრი რამ მათთვისაც გაურკვეველია“, — აღნიშნა მინისტრმა. შეიძლება, ადგილობრივი პოლიციის საქმის კურსში ჩაყენება იმ უბრალო მიზეზის გამო არ მიიჩნიეს საჭიროდ, რომ უკვე

სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურების ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვატყობინა, რომ მძევლების აყვანასა და შემდგომ მათ დაკითხვას საქართველოს უშიშროების სამინისტრო, საქართველოს ხელმღვანელობის უშუალო მითითებით ახორციელებდა

ღამისთვის, ოსურმა მხარემ ყველა იმ ადამიანის გათავისუფლებას მიაღწია, ვინც გორში ძალით წაიყვანეს.

ბოლო დროს, კონფლიქტის ზონაში შექმნილ სიტუაციას კომენტარი გაუკეთა სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა. მისი თქმით, „ყველაფერი, რაც დღეს ხდება, ძალის დემონსტრირებას, საქართველოში ჩატარებული აღლუმის გაგრძელებას და მშვიდობისმყოფელთა გაყვანის თაობაზე საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების რეალიზაციის ცდას წარმოადგენს.

...ვფიქრობ, პროვოკაციები კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მორიგ ავანტიურაში ჩვენი ჩათრევის საშუალებას არ მისცემს“.

ახლახან, სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭო გამოვიდა განცხადებით, რომელშიც ნათქვამია, რომ შესაძლოა, ამჯერად მოვლენები არა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედების განახლების, არამედ სუვერენული და დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის საშინაო საქმეებში საქართველოს მხრიდან აქტიურად ჩარევის სცენარით განვითარდეს. ერთ-ერთ მეთოდად შესაძლოა, იქცეს დივერსიულ-ტერორისტული აქტები, რომლებშიც პანკისის ხეობაში გამაგრებული ჩეჩენი ბოევიკები, რეზერვისტების ბანაკებში მომზადებაგავლილი ქართული ანკლავების ადგილობრივი მცხოვრებლები და აგრეთვე, რუს მშვიდობისმყოფელთა ფორმაში გადაცმული, საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმები იქნებიან ჩართულნი...

რუსი მშვიდობისმყოფელები ქართული პროვოკაციებისთვის ემზადებიან

რუსი სამხედროები ფლობენ ინფორმაციას, რომ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო კონტინგენტის როტაციის ჩაშლას შეეცდება. როგორც „ინტერფაქსი“ იუწყება, ამის შესახებ სამშაბათს, რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწემ, პოლკოვნიკმა იგორ კონაშენკოვმა განაცხადა.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ ქართული მხარე მშვიდობისმყოფელთა გეგმური როტაციისთვის ხელის შეშლას შეეცდება, ჩვენ არც პროვოკაციებს გამოვრიცხავთ“, — აღნიშნა კონაშენკოვმა.

მშვიდობისმყოფელთა როტაცია გასულ ორშაბათს დაიწყო და შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის, მარატ კულახმეტოვის თქმით, სამ-ოთხ დღეში დასრულდება.

„500 სამხედრო მოსამსახურისგან შემდგარი რუსი მშვიდობისმყოფლების ბატალიონის როტაცია, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. იმ სამხედრო მოსამსახურეთა როტაცია, რომლებსაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მივლინების ვადა ამოეწურათ, როკის გვირაბის გასასვლელთან მდებარე გამშვები პუნქტის გავლით მოხდება და დაახლოებით სამ-ოთხ დღეს გასტანს“, — განაცხადა კულახმეტოვმა „რია ნოვოსტის“-თან საუბრისას.

იმავდროულად, ქართულმა მხარემ არ-ერთხელ მიანიშნა რუსეთის იმაზე, რომ სამშვიდობო კონტინგენტის როტაცია მხოლოდ რუსულ-ქართული საზღვრის ოფიციალური გადაკვეთის წერტილებში. (მათ შორისაა თბილისისა და ბათუმის აეროპორტებისა და ბათუმისა და ფოთის გამშვები პუნქტები, აგრეთვე, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტი) უნდა მოხდეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, „გამშვები პუნქტი — ზარამაგი ოფიციალური არ არის“...

როგორც ვხედავთ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარი ინციდენტის სახით, რუსულ პრესას ძალზე „გემრიელი ლუკმა“ ჩაუვარდა ხელში და ის იყო, ვიფიქრე, რომ ის ამ „ლუკმას“ (ანუ საქართველოს უამისოდაც უკვე გვარიანად ნაჯიჯგნ ავტორიტეტს) ბოლომდე სათავისოდ „გადაღეჭავდა“, რომ „გვირაბის ბოლოს“ ოდნავ მბჟუტავი „შუქი“ გამოჩნდა და კიდევ ერთხელ — ოღონდ, ამჯერად, რუსულ პრესაში და რუსი პუბლიცისტის მიერ (რაც ძალზე არსებითია!) მოეფინა ნათელი ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ჭეშმარიტ არსსა და მათი გაღვივებით დაინტერესებული მთავარი მხარის შეუნიღბავ ინტერესებს...

„რიგში აუღიარებელნი დგებიან...“

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ იუწყება, რუსმა პუბლიცისტმა ალექსანდრ ხრამჩიხინმა Prognosis.Ru-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში — „რიგში აუღიარებელნი დგებიან...“ — განაცხადა: „ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე აუღიარებელი სახელმწიფოების დსთ-სთან და რუსეთთან მიერთების საფუძვლად, მხოლოდ კოსოვოს (როგორც საერთაშორისო სამართლის პრეცედენტის) დამოუკიდებლობის აღიარება შეიძლება გახდეს... თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ ბელგრადი კოსოვოს ნებაყოფლობით დათმობს და ამის შემდეგ, სათქმელ-მოსაშველიებელიც აღარაფერი იქნება, რადგან პრეცედენტი არ შეიქმნება... ასეთ შემთხვევაში, რუსეთს პრაქტიკულად, ერთადერთი ვარიანტიღა დარჩება, აღიაროს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი და ყარაბაღი და ამით დასავლეთთან უმძიმეს კონფრონტაციაზე წავიდეს. ამასთან, ობიექტურად, მოსკოვი დამატებით ეკონომიკურ და სამხედრო ვალდებულებებს საკუთარ თავზე ისე აიღებს, რომ სამაგიეროს ვერაფერს მიიღებს. მეტიც, დნესტრისპირეთში მან შეიძლება, კოლოსალური დამცირებაც კი იწვნიოს: ამ რესპუბლიკასთან ხომ მას საერთო საზღვარი არა აქვს, ძალისმიერი ლიკვიდაციის შემთხვევაში, მის რეალურ მხარდაჭერას ვერაფრით შეძლებს, რადგან ამას უკრაინა არ დაუშვებს.

ყარაბაღის შემთხვევა კიდევ უფრო განსაკუთრებულია. რუსეთთან საერთო საზღვარი მასაც არ გააჩნია, მაგრამ ამ აუღიარებელი რესპუბლიკის მთავარი საყრდენი, რუსეთი კი არა — სომხეთია. ერევანს კოსოვოს პრეცედენტით სარგებლობის დიდი ცდუნება ექნება, მაგრამ ფაქტია, რომ ის დასავლეთთან კონფრონტაციაზე წასვლას ვერ გაბედავს. ამას ემატება თურქეთთან ომის პირდაპირი საფრთხეც...“

ექსპერტი მიიჩნევს, რომ უპრობლემოდ, რუსეთი მხოლოდ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შენარჩუნებას მოახერხებს... ოღონდ, ასეთი შენარჩუნების არანაირი პოლიტიკური საფუძველი არ არსებობს: „განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთი ვალდებულია, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები (როგორადაც ორივე ქართული ავტონომიის თითქმის ყველა მცხოვრები იქცა) ვერავის დაარწმუნებს. ჯერ ერთი, ყველასთვის ცნობილია, თუ ამ ადამიანებს მოქალაქეობა როგორ (რუსული პასპორტების პირდაპირი დარიგების გზით) ენიჭებოდა და მეორეც: მოქალაქეების დაცვა სულაც არ ნიშნავს იმ ტერიტორიის შენარჩუნებას, რომელიც რუსეთს არ ეკუთვნის. ისე, რაც მართალია — მართალია, იმის შეგნება, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომის განახლება ჩრდილოეთ კავკასიაშიც სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ნამდვილად არსებობს. მაგრამ მერე რა? ამას ის არ სჯობს, თავიდანვე არ დაიწყო სხვათა სეპარატისტების მხარდაჭერა და მით უმეტეს, მაშინ, როცა შენიც (ჩეჩნეთის სახით) გყავს?.. შედეგად კი, ყველაზე ცუდი ვარიანტის გამორიცხვაც არ შეიძლება — რუსეთი თავიდან, დასავლეთს წაეჩხუბება, შემდეგ, მისი ზეწოლით, საერთოდ, ყველას „ჩააბარებს“ და ასევე საერთო ზიზღსაც სამართლიანად დაიმსახურებს...“ — *ასკვნის ბოლოს ხრამჩიხინი.*

■

იმის შეგნება, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომის განახლება ჩრდილოეთ კავკასიაშიც სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ნამდვილად არსებობს

„1921-41 წლებში, საქართველოში დაიხვრიტა 72000 და დეპორტირებულ იქნა 200000 ადამიანი. ამ დროისთვის, მოსახლეობა შეადგენდა 4000000-ს.

1942-1952 წლებში, საქართველოში დაიხვრიტა 500-ზე მეტი და დაპორტირებულ იქნა 190000-მდე ადამიანი“.

ამ ციფრებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ „მშრალს“ — როგორც ეს, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებისას ხდება ხოლმე. მათ მიღმა, ათასობით ადამიანის, ოჯახის, სანათესაოს ტრაგედია იმალება, რომელიც თბილისში ახალგახსნილ, საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში ნაწილობრივ მაინცაა ასახული...

„დახვრეტილი“ ვაგონი, უშიშროების შეფის დაშნა

და უცნობი პოლიტპატიმრის რევოლვერი

თამუნა კვინიკაძე

ლევან ურუშაძე, *ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მუზეუმის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრი:*

— ამ მუზეუმის გახსნის იდეა საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტარ ნიკა რურუას ეკუთვნის. 3 თვის წინ, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც მასალების მოძიება-დამუშავება, შერჩევა, პერიოდების მიხედვით მიმოხილვების მომზადება მოახერხა.

ეს ნაგყვიარები იმ შავბნელი ეპოქის დროინდელია და თითოეულ მათგანს თავისი ისტორია აქვს

— რას გვეტყოდით იმ ნივთებზე (საკნების კარები, დაცხრილული ვაგონი, ტყვიამფრქვევი და ა.შ.), რომლებიც აქაა წარმოდგენილი?

— ეს ნივთები იმ შავბნელი ეპოქის დროინდელია და თითოეულ მათგანს თავისი ისტორია აქვს. რაც შეეხება საკნების კარებს, ექვსივე მათგანი ციხეებიდან არის მოტანილი. მათ შორის, ყველაზე ძველი, ყოფილი „კგბ“-ს ციხეში მოვიძიეთ. შორაპნის დეპოში მივაკვლიეთ ერთ-ერთ ისეთ ვაგონს, როგორშიც 1924 წლის აგვისტოს ამბოხებულები ჩაცხრილეს. იგი განადგურებას შემთხვევით გადაურჩა, რადგან წლების მანძილზე, უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

მუზეუმში წარმოდგენილია ჩეკისტების „ნაგანის“ სისტემის რევოლვერები, რომლებითაც 1930-იან წლებში დახვრიტეს მრავალი სიკვდილმისჯილი. ასევე, ჩვენთან ინახება მაშინდელი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ავქსენტი რაფავას პირადი დაშნა, რომელიც „კრიტის“ ციხის პატიმართა მიერ, 1943 წელს არის დამზადებული. ასევე „მაქსიმკად“ წოდებული ტყვიამფრქვევი, რომელსაც ჩეკისტები 20-იან წლებში მასობრივი დახვრეტისას იყენებდნენ. ჩვენი უახლესი ისტორიიდან წარმოდგენილია ხელკეტი, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს მედესანტეთა მიერ, მშვიდობიანი აქციის დასარბევად იქნა გამოყენებული. ასევე კედელში ჩასამონტაჟებელი ფარული სათვალთვალო მოწყობილობა; სხეულზე დასამაგრებელი ფარული რადიოგადამცემი; დოკუმენტების გადასაღები მინიატიურული ფოტოაპარატი. მუზეუმში წარმოდგენილია ის ნივთებიც, რომლებიც ჩვენს პატრიოტებს ეკუთვნოდა. მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილის კალამი, რომლითაც ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის აქტს, მიხეილ ჯავახიშვილის პენსნე და ლუპა, რევოლვერი, რომლის მფლობელიც უცნობია — იგი 1937 წელს, „ჩეკისტებმა“ ჩხრეკის დროს ერთ-ერთ პოლიტპატიმარს ჩამოართვეს.

— მუზეუმში წარმოდგენილია დახვრეტილთა ფოტოები, ასევე სურათი, რომელზეც აღბეჭდილია ის მომენტი, როცა ბოლშევიკები ქუთაისის საკათედრო ტაძარს ანგრევენ. ვინ არის ამ ფოტოს ავტორი? მაშინ ასეთი რამ აკრძალული არ იყო?

— უცნობია, თუ ვის მიერ არის გადაღებული ეს ფოტო. იგი საპატრიარქოს არქივში ინახებოდა. წარმოდგენილია ასევე, „სამეულის“ მიერ დახვრეტილთა ფოტოკოლაჟი. „სამეულები“ განუსაზღვრელი უფლებებით იყო აღჭურვილი, მათ სასამართლოს გარეშე გამოჰქონდათ განაჩენი და სისრულეშიც მოჰყავდათ. ეს იყო საშინელი პერიოდი, რომელმაც უამრავი პატრიოტის სიცოცხლე შეიწირა. ბოლშევიკების პირველი მსხვერპლი მიხეილ მაყაშვილი გახლდათ — 1920 წლის 2 მაისს, სამხედრო სასწავლებელს თავს დაესხნენ „ჩეკისტები“ და სწორედ ამ თავდასხმას ემსხვერპლა. ჩვენამდე მოღწეულია ბოლშევიკთა მიერ დახვრეტილ სასულიერო პირთა არასრული სია *(სადაც 83 სასულიერო პირია დასახელებული. — ავტ).*

— მუზეუმში კალმითა თუ ფანქრით ნაწერი უამრავი წერილია წარმოდგენილი...

— დიახ, თქვენს ყურადღებას ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებ. წერილი მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელის, კოტე მაყაშვილის მიერ საგანგებო კომისიისადმია მიწერილი. ავტორი ვაჟა-ფშაველას ვაჟის, ლევან რაზიკაშვილის შეწყალებას ითხოვს. წერილზე კი, სერგო ორჯონიკიძისგან ასეთი პასუხი მიიღო: ვაჟა-ფშაველას შვილი კი არა, თვითონ ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, მასაც ზედ დავაკლავდითო.

გაგრძელება იხ. გვ. 13

„მაქსიმკად“ წოდებული ტყვიამფრქვევი, რომელსაც ჩეკისტები 20-იან წლებში მასობრივი დახვრეტისას იყენებდნენ



ცხელი ამინდების დადგომასთან ერთად, თბილისში სულ უფრო აქტუალური ხდება პრობლემა, რომელსაც ზოგადად შესაძლოა, ქვეწარმავლების გამოჩენა ვუწოდოთ. ზოოლოგების განმარტებით, ქვეწარმავლების გამოღვიძება მაისიდან იწყება და მათთან შეხვედრის ალბათობა, ოქტომბრის ბოლომდე გასტანს. ამ გაზაფხულზეც, დაახლოებით ერთი თვის წინ, ორი მოზრდილი გველი ვარკეთილის დასახლებაში, მაღალსართულიან კორპუსში აღმოაჩინეს. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევა როდი გახლავთ „ცხელი ხაზის“ ნომერზე, რომელიც უწინ, ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახურს ეკუთვნოდა. დღეში ათამდე ჩვენი თანამოქალაქე რეკავს: ვიღაცას გველი სარდაფში უნახავს, ვიღაცას ხვლიკი, ობობა ან მორიელი „ჰყავს“ შინ... სამწუხაროდ... მოსახლეობის ზარები რეაგირების გარეშე რჩება. ქალაქის მერის, გიგი უგულავას გადაწყვეტილებით, აღნიშნული სამსახური ცოტა ხნის წინ გაუქმდა, ამიტომ შხამიან ქვეწარმავლებთან ბრძოლა მოსახლეობას თავად მოუწევს...

„ზვიადური ერთიანობისთვის რომ ბრძოლა, ეს რეფერენდუმი ზანდაჭანელ დედანიკწას“

შხამიან ქვეწარმავლებს მოსახლეობა თავად უნდა ებრძოლოს

ემა ტუხიამვილი

ავთანდილ ჟოლოკავა, *შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი:*

— არგუმენტი, რომლითაც ქალაქის მერმა ჩვენი სამსახურის გაუქმება ახსნა, ის გახლდათ, რომ ამ სამსახურმა ვერ გაამართლა... აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა და საინტერესოა, რა შედეგებს ელოდა ჩვენგან ქალაქის თავი — მივადგებოდით, ქალაქში ყველა გველს ამოვხოცავდით და ამით გადავჭრიდით პრობლემას?.. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ გველის მოკვლა საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, დაუშვებელია და ამ დოკუმენტზე ჩვენს სახელმწიფოს აქვს ხელი მოწერილი: გველები ერთიანად რომ ამოვყლიტოთ, მღრღნელები გადაჭამენ დედამიწას. ხოლო რაოდენ ძვირფასია გველის შხამი, ამის განმარტება, ვფიქრობ, ზედმეტია. 25-30 მილიონი წელია, რაც გველები არსებობენ საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ მათი გამოჩენა, თუნდაც ისეთ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში, როგორიც ჩვენი დედაქალაქია, არ უნდა გვიკვირდეს. სულ სხვა საკითხია, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გაუვნებელყოფა და სწორედ ამისთვის არსებობდა ჩვენი სამსახური. მხოლოდ შარშან, თბილისში 250 გამოძახება გვქონდა. ჩვენი ჰერმეტოლოგები გადიოდნენ მოცემულ მისამართზე, იჭერდნენ ქვეწარმავალს ან შხამიან მწერს, სვამდნენ ტომარაში და ბიოლოგიის ინსტიტუტში, შესაბამის ვოლიერებში ათავსებდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, რამდენიმე ათეული ქვეწარმავალი გაგზავდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე — იქ, სადაც 20-30 კილომეტრის რადიუსში მოსახლეობა არ არის და ვუშვებდით. მსოფლიოში სულ რამდენიმე ადამიანია, ვისაც შხამიან გველთან ურთიერთობა შეუძლია. ჩვენი ჰერმეტოლოგები ისე იჭერენ გველებს, როგორც კარგი მეთევზე — წყალში თევზს. მართალია, ჩვენი ჯგუფი მხოლოდ თბილისის მოსახლეობას ემსახურებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი სამსახურის ანალოგი საქართველოში არ არსებობს, სხვადასხვა რეგიონშიც გვიხდებოდა გასვლა შხამიანი გველების დასაჭერად.

— გამოდის, რომ შეუძლებელია, რაიმე პრევენციული ღონისძიების ჩატარება, რომელიც ქალაქში გველების გამოჩენისგან დაგვიცავს?

— საუკეთესო პრევენციული ღონისძიება, ქალაქში სანიტარული ნორმების დაცვაა. გაიარეთ ქალაქის გარეუბნებში და ნახავთ, რამდენი გაზონია გასათიბი, პარკები და სკვერები — მოუვლელი. მეტსაც გეტყვით, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გმირთა მოედანზე, ყოფილი მაუდკამვოლის ფაბრიკის მიტოვებული შენობა დგას. მინდა, ყველა გავაფრთხილო, რომ იქ საუკეთესო გარემოა ქვეწარმავლების გასამრავლებლად, ამიტომ ტერიტორიაზე შესვლას უნდა მოერიდონ. მოგეხსენებათ, რომ გველი მღრღნელებით იკვებება, ამიტომ ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ იქ, სადაც ბევრი თაგვია, გველიც გამოჩნდეს. საინტერესოა, რატომ გაუკვირდა ვარკეთილის მოსახლეობას საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში ქვეწარმავლის გამოჩენა? ნებისმიერი მაღალსართულიანი კორპუსის სატვირთო ლიფტი გაუქმებულია და მოსახლეობა ამ ლიფტის შახტას ნაგავსაყრელად იყენებს, ნაგვის გროვების სიმაღლე იქ უკვე მეტრობით იზომება. ამიტომ ნამდვილად არ გამიკვირდება, რომ მომავალში იქ ვეფხვები და ლომებიც გაჩნდნენ... ვერც ქლოროფოსით და ვერც დუსტით გველს ვერ შევაშინებთ. ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, სისუფთავის დაცვაა, მაგრამ ვერც ეს მოგვცემს იმის სრულ გარანტიას, რომ ზაფხულში ქვეწარმავლის გამოჩენისგან თავს დავიზღვევთ. გვქონდა შემთხვევა, როდესაც საირმის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის მეშვიდე სართულის აივანზე საკმაოდ დიდი გველი ვნახეთ. შარშან გამოგვიძახეს ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, საუცხოოდ გარემონტებულ ბინაში დიდი გველი საბავშვო აბაზანაში დაცურავდა. თავიდან ვერაფრით მივხვდით, თუ საიდან უნდა შეეღწია იქ ქვეწარმავალს, მაგრამ შემდეგ ჩვენი ყურადღება სავენტილაციო სისტემამ მიიქცია, რომელსაც გარედან დამცავი ბადე არ ჰქონდა...

— მსმენია, რომ გველი გოგირდის ბოლს უფრთხის...

— გოგირდის დაწვას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ეფექტი, როდესაც გველს, ყველა მცდელობის მიუხედავად, ვერ ვპოულობთ, მაგრამ ადამიანი დარწმუნებულია, რომ ის ნამდვილად არის კონკრეტულ, დახურულ სივრცეში. თუ დახრულ სივრცეში დავწვავთ გოგირდს, გველი ან ხვრელს იპოვის და დატოვებს იქაურობას, ან — გაიგუდება. მაგრამ გოგირდის ბოლს არანაირი ეფექტი არა აქვს ღია სივრცეში — ქუჩაში, ეზოში. ჩემი თვალით მინახავს, ვაშლოვანის ნაკრძალში როგორ იწვა ჩვენ მიერ დადებულ, გოგირდით სავსე ტომარაზე დიდი გიურზა.

— ვარკეთილში ცოტა ხნის წინ ნაპოვნი ორი გველი შხამიანი იყო?

— საცხოვრებელ სახლებში შხამიანი ქვეწარმავლები თითქმის არ გვხვდება, მა-

> **გველის დანახვისას, ნუ გადახვალთ იერიშზე. ფრთხილად დაიხიეთ უკან, თან ისე, რომ თვალი არ მოაცილოთ. თუ ბედმა გაგიღიმათ, გველი გარკვეული პერიოდის შემდეგ გაეცლება იქაურობას**

გრამ არაშხამიანი გველი საწოლიდანაც კი გამოგვიყვანია. ვარკეთილში ნაპოვნი ორი ქვეწარმავალი ერთსა და იმავე სახეობას — მცურავს მიეკუთვნება. მართალია, ამ გველს შხამი თითქმის არა აქვს, მაგრამ ძალზე აგრესიულია, საკმაოდ შორიდან გრძნობს ადამიანის სიახლოვეს, მიახლოებისთანვე ყალყზე დგება და დაგესვლას ცდილობს. მის ნაკბენს მხოლოდ უმნიშვნელო ანთებითი პროცესის გამოწვევა შეუძლია. მახსოვს, შარშან ჯიქიას ქუჩაზე მდებარე თავშესაფარში მცურავმა ბავშვი დაგესლა. პატარას არაფერი მოსვლია, არც რაიმე სახის შრატის გაკეთება დასჭირვებია, მაგრამ ისე შეშინდა, რომ შოკში ჩავარდა. როდესაც ადამიანი გველს ხედავს, მისთვის შხამიანიც და არაშხამიანიც ერთნაირად საშიშია, ამიტომაც მიმართავს დასახმარებლად ჰერმეტოლოგს.

— გვიამბეთ, რა სახის გველებია გავრცელებული თბილისსა და მის შემოგარენში და რომელია მათ შორის შხამიანი.

— საქართველოში სულ 21 სახეობის გველია აღმოჩენილი, თბილისსა და მის შემოგარენში კი — მხოლოდ 15 გვხვდება. ამ 21 სახეობიდან შხამიანი 6-ია, მაგრამ ტიპური შხამის მქონე, რომელსაც ადამიანის მოწამვლა შეუძლია — მხოლოდ 4. საქართველოში გავრცელებული ყველაზე შხამიანი გველია — გიურზა, შემდეგ მოდის: ცხვირრქოსანი გველგესლა, გველის გველგესლა და კავკასიური გველგესლა. აქედან თბილისის მიდამოებში, თრიალეთის ქედზე, ბაგების ტერიტორიაზე, მხოლოდ ცხვირრქოსანი გველგესლა გვხვდება. გიურზა აღმოგვიჩენია კრწანისის ტერიტორიაზე, სამთავრობო რეზიდენციის მოდამოებში. სხვათა შორის, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე 9 გიურზაა ნაპოვნი. გვქონდა შემთხვევა, როდესაც გიურზამ ჩვენი ჰერმეტოლოგი, მისივე გაუფრთხილებლობის გამო დაკბინა. საბედნიეროდ, მას დროულად გაუკეთდა ანტიგიურზინი. შარშან კი, რუსთავში, გიურზამ ბავშვები დაკბინა. ისინი ძლივს გაადარჩინეს სიკვდილს. თბილისის მიდამოებში გვხვდება შხამიანი გველის კიდევ ორი სახეობა — ხვლიკჭამია და კატისთვალა. შხამიანი კბილები მათ პირის ღრუში ღრმად აქვთ ჩამჯდარი და ადამიანს ისინი ვერ დაგესლავენ. შხამიანი გველის ნაკბენს უეჭველად აღენიშნება ორი წერტილოვანი ჭრილობა, ხოლო არაშხამიანი გველის ნაკბენს — მცირე წიწკლები ზემოდან და ქვემოდან.

— ზაფხულში თბილისში არც ხვლიკის და მორიელის ნახვა წარმოადგენს იშვიათობას...

— ხვლიკები აბსოლუტურად უვნებელნი არიან. მსოფლიოში ერთადერთი სახეობის შხამიანი ხვლიკი, ამაზონის ხეობაში ბინადრობს. თბილისში გავრცელებული ხვლიკის სახეობა — გეკონი ჩვენში დაახლოებით 50-60 წლის წინ აზერბაიჯანიდან შემოვიდა. გეკონი საკმაოდ გავრცელებულია თბილისში, უყვარს ტენიანი ადგილები, ამიტომ მისი ნახვა სამზარეულოსა და სააბაზანოში, დიდ იშვიათობას ნამდვილად არ წარმოადგენს. რაც შეეხება მორიელს, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობის — ჭრელი მორიელი, რომელიც ხშირად გვხვდება თბილისის მოდამოებში. მაგალითად, მთაწმინდის პლატოზე რამდენ ქვასაც გადააბრუნებ, შეიძლება, თითოეულის ქვეშ 3-4 მორიელი იპოვო. ხრიოკი და მშრალი ადგილები უყვარს მორიელს. ის ღამით აქტიურდება. თბილისში მისი გამოჩენა გამოწვეულია ან საკვების ძებნით, ან იმით, რომ ნიაღვარი ჩამორეცხავს ხოლმე მთიდან. ჯანმრთელი, ზრდასრული ადამიანისთვის მორიელის ნაკბენი სასიკვდილო არაა, მაგრამ შესაძლებელია, მწვავე ანთებითი პროცესი გამოიწვიოს. მორიელის ნაკბენი საშიშია ჩვილი ბავშვებისა და მოხუცი ადამიანებისთვის. შარშან, პირველად თბილისში, ნუცუბიძის დასახლებაში, საცხოვრებელ ბინაში შხამიანი ობობა — კარანკუტი დაფიქსირდა. მისი შხამი იმდენად ძლიერია, რომ გიურზაც კი ვერ შეედრება. კარანკუტის შხამის საწინააღმდეგო შრატი საქართველოში არ არსებობს და მისი ნაკბენი რამდენიმე საათში კლავს ადამიანს.

— რამდენად საშიშია წყალში გავრცელებული გველები? ამბობენ, რომ კუს ტბაზე მათთან შეხვედრა საკვებით შესაძლებელია.

— მცურავი გველები ძალზე აგრესიულები არიან. ისინი ერთი მეტრის მანძილზეც კი გრძნობენ ადამიანის მიახლოებას და შესაძლოა, რომ მოულოდნელად დაგესლონ. თუმცა, ჩვენში არ არის გავრცელებული მცურავი გველების შხამიანი სახეობები, ამიტომ გველის ნაკბენმა წყალში, შესაძლოა, მხოლოდ ადგილობრივი ანთებითი პროცესი გამოიწვიოს. არასწორია საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, თითქოს გველი წყალში ჩასვლამდე შხამს ქვაზე ტოვებს. გველები ხმელეთზე არ არიან ისეთი შხამიანები, როგორიც წყალში. ტროპიკულ წყლებში გავრცელებულია უძლიერესი შხამის მქონე გველები — ის მომენტალურად მოქმედებს და მაგალითად, მყვინთავს თუ უკბინა, წყლის ზედაპირზე ამოსვლასაც ვერ მოასწრებს. მინდა დავამშვიდო ჩვენი მოსახლეობა და ვუთხრა, რომ შხამიანი გველები არც შავ ზღვაში გვხვდებიან არც თბილისის ზღვასა და კუს ტბაზე.

— თქვენ მუშაობის შედეგებს თუ გადავხედავთ, თბილისში ქვეწარმავლების მომრავლების ტენდენცია აშკარაა: შარშანწინ თქვენს სამსახურს 122 გამოძახება ჰქონდა, შარშან უკვე 250 შემთხვევა დაფიქსირდა... როგორი პროგნოზი შეიძლება გაკეთდეს ამ სეზონისთვის და რა რჩევა შეგიძლიათ მისცეთ მოსახლეობას, რომელსაც ქვეწარმავლების გაუვნებელყოფა საკუთარი ძალებით მოუწევს?

— რაც შეეხება ქვეწარმავლების მომრავლებას, ეს პირველ რიგში დამოკიდებულია მოსალოდნელ ამინდებზე — რამდენად ცხელი ზაფხული გველის და იმაზე, თუ როგორი იქნება წელს ქვეწარმავლების გამრავლების მაჩვენებელი. წინასწარ ამის განჭვრეტა შეუძლებელია. ერთ სეზონში, შესაძლოა, მეტი შემთხვევა დაფიქსირდეს, მეორე სეზონში — ცოტა უფრო ნაკლები. რჩევა კი ასეთი იქნება: გველის დანახვისას, ნუ გადახვალთ იერიშზე. ფრთხილად დაიხიეთ უკან, თან ისე, რომ თვალი არ მოაცილოთ. თუ ბედმა გაგიღიმათ, გველი გარკვეული პერიოდის შემდეგ გაეცლება იქაურობას, თუ არა და, დასახმარებლად ქალაქის მერს მიმართეთ... ■

ლალი ფაცია

ერთხელ, ინგა გრიგოლიას გადაცემაში სტუმრად მიწვეულმა მომღერალმა ანრი ჯოხაძემ საკუთარი პოლიტიკური მოსაზრება გამოხატა. ამასთან, კომპლიმენტით შეამკო პოლიტიკოსი ქალბატონი, პარლამენტის წევრი, საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი, მარიკა ვერულაშვილი. მას მერე, გარკვეული, თუმცა, არც ისე ბევრი დრო გავიდა და ეს ორი ადამიანი ერთმანეთს ცხოვრებაში პირისპირ პირველად, რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — შეხვდა. მომღერალი ანრი ჯოხაძე თავის სიმპათიასთან — მარიკა ვერულაშვილთან შინ ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული მოვიდა, ხოლო მასპინძელი ქალბატონი, რომელსაც ძირითადად, ტელეეკრანზე პრეზიდენტის გარემოცვაში ვხედავთ ხოლმე, ინტერვიუს დაწყებამდე, დიასახლისის როლში მოგვევლინა და არავის დაუთმო გემრიელი, ტკბილი სუფრის გაწყობა.

ჟურნალისტი – მარიკა ვერულაშვილი
რესპონდენტი – ანრი ჯოხაძე

— ჟურნალისტიკაში „გადაბარგებას“ ხომ არ აპირებ?

— შესაძლებელია, ქართულ ჟურნალისტიკას კიდეც გამოვდგომოდი, მაგრამ მშვენიერი პროფესია მაქვს, არ „ვემდური“...

— ვინ ხარ პროფესიით?

— მომღერალი. ხელოვნების აკადემია მაქვს, ვოკალის განხრით, დამთავრებული.

— ჩვენს ესტრადაზე, მგონი, ცოტანი არიან მუსიკალური განათლების მქონე მომღერლები, არა?

— გეთანხმები, ბევრნი არ არიან ისეთები, რომლებმაც თავიანთ ვოკალურ მონაცემებს ყურადღება მიაქციეს და ხმა შესაბამისად დაიმუშავეს.

— შენზე ამბობენ, მრავალმხრივ განათლებული ბიჭიაო...

— დიდი მადლობა მას, ვინც ეს თქვა, მაგრამ გეტყვით, რომ სკოლაში ოროსანი ვიყავი.

— გეზარებოდა სწავლა?

— ძალიან.

— წიგნებს თუ კითხულობდი?

— სკოლის დამთავრების შემდეგ მივხვდი, რომ თავში არაფერი მეყარა, „სიცარიელე“ ვიგრძენი და მერე დავიწყე კითხვა და განათლება...

— მაგრამ სამაგიეროდ, ალბათ, ბავშვობიდან ბევრ დროს მუსიკას უთმობდი, არა?

— ჩემი სკოლაში უსწავლელობის მიზეზი, მუსიკა იყო. სულ მუსიკით ვიყავი დაკავებული.

— ამ ინტერვიუს ჩაწერის წინ, ჟურნალისტობა პირველად, მე დამითმე. ცხოვრებაშიც ასე იოლად თმობ

მოლათესავე სულებში

ანუ როგორ აღმოაჩინეს ერთმანეთი მარიკა ვერულაშვილმა და ანრი ჯოსაძემ

„ლიდერი, ენერგიული და ძლიერი ქალები მიუვარს“

პირველობას? ლიდერობა გირჩევნია თუ უკანა პლანზე ყოფნა?

— არასდროს მინდა, მეორე რომ ვიყო. მაგრამ როგორ შეიძლება, ისეთ ქალს პირველობა არ დაუთმო, როგორიც მარიკაა?! საერთოდ, ქალებს ვუთმობ, მათთან არ ვჭიდაობ.

— დღეს რასაც აკეთებ, მიგაჩნია, რომ შენი საქმეა? იპოვე საკუთარი თავი და მთლიანად რეალიზებული ხარ?

— ჩემი საქმე ვიპოვე. რაც შეეხება ჩემს რეალიზებას, არა მგონია, ბოლომდე რეალიზებული ვიყო.

— რა გიშლის ხელს? მიგაჩნია, რომ მაქსიმუმს დებ იმაში, რასაც აკეთებ?

— მაქსიმუმს ნამდვილად ვდებ, მაგრამ ასეთსავე შედეგს ვერ ვიღებ. ჩვენს კულტურას დღეს უჭირს, რადგან მძიმე სოციალური მდგომარეობაა. პრინციპში, დიდად უკმაყოფილო არა ვარ. შრომა გარკვეულად მიფასდება, მაგრამ მაქსიმალისტი გახლავართ. მუშაობაში ძირითადად, უფინანსობა მიშლის ხელს. ერთი მილიონი დოლარი რომ მქონდეს...

— ერთი მილიონი დოლარი მეც რომ მქონდეს, სომლერას დავიწყებდი (იცინის)... ალბათ ხელოვანს ფინანსების, ჭკუის გარდა, იღბალიც სჭირდება...

— აბსოლუტურად გეთანხმები, უიღბლო ნამდვილად არა ვარ...

— არასდროს დამივიწყებია ის კეთილი ადამიანები, რომლებსაც ჩემს ცხოვრებაში, კარიერაში გარკვეული როლი უთამაშიათ, თუნდაც ერთი კეთილი სიტყვა უთქვამთ. ასეთები ალბათ, შენს ცხოვრებაშიც იქნებოდნენ. ყველაზე მეტად ახლა ვისი სიკეთე გახსენდება?

— ყოველთვის და ყველგან ასეთ დროს, ჩემთვის შეუცვლელი ადამიანი — დედაჩემია. ჩემს ცხოვრებაში მუდმივად სერიოზულ როლს თამაშობდა, იმის გარდა, რომ — დედაა.

— შენით კმაყოფილი იყო ყოველთვის? მე დედა საყვედურებს დღემდე მეუბნება...

— მთავარი ის არის, რომ დედა თავიდანვე მენდობოდა. 17 წლისას, სრულიად გამოუცდელს, მენდო და უკრაინაში საერთაშორისო კონკურსზე გამიშვა. აბსოლუტურად მარტო წავედი. ჩემთვის დაუვიწყარია მერაბ სანოძის, „სანო სტუდიის“ დირექტორის პატივისცემა. მას ჩემს „ინდუსტრიულ მამას“ ვეძახი. უანგაროდ დამეხმარა... ბევრი მეგობრის დასახელება შემიძლია, ვინც გარკვეულწილად, ჩემს წარმატებაში შეიტანა წვლილი.

— ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. ვინ, როდის, როგორ გიმტყუნებს, არ იცი. თუ ახერხებ იმას, რომ ღირსეულად გაუძლო და შეებრძოლო ცხოვრების „სიურპრიზებს“?

— ჩემ მიერ გავლილი პატარა, შემოქმედებითი ცხოვრების, კარიერის ფონზე რითიც ვამაყობ, ის არის, რომ აბსოლუტურად ჩემით გავაკეთე ყველაფერი. არასდროს წავსულვარ თავმოყვარეობისა და საკუთარი ღირსების შელახვაზე. მტერიც ვერ იტყვის ჩემზე იმას — ანრი ჯოხაძემ, რაღაცის მისაღწევად, უღირსი საქციელი ჩაიდინაო... ისე, ბევრი ვიწვალე, ვიბრძოლე. შინაგანად ბრძოლის ჟინით სავსე ადამიანი ვარ. სიმართლე რომ ვთქვა, რაღაც ეტაპზე, მართობს კიდეც ჩემს მტრებთან ურთიერთობა...

— სამაგიეროს გადახდის სურვილი თუ გიჩნდება ხოლმე?

— არიან ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად მიზანმიმართულად გმტრობენ, ენით აუწერელ ბოროტებას სჩადიან შენ წინააღმდეგ, ძნელია. და როდესაც არ ჩერდებიან, ასეთ დროს, სამაგიეროს გადახდის სურვილი მიჩნდება.

— ბედისწერის გჯერა? მკითხავთან თუ ყოფილხარ?

— მკითხავთან არ ვყოფილვარ, მაგრამ მეგობრებს ჩემთვის კარტი გაუშლიათ. რაღაც-რაღაცები დამთხვევია. მიუხედავად ამისა, მკითხაობის არ მჯერა და არც ბედისწერის. საერთოდ, ღმერთმა ყოველ ჩვენგანს თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცა. უნდა ავირჩიოთ, რა გვინდა — კარგი თუ ცუდი. ბედისწერაც სისულელეა. არა მგონია, რომ ადამიანის ბედი სადღაც იწერება. ნებისმიერი პიროვნება თვითონ ქმნის თავის ბედს. რასაც შინაგანად, ენერგეტიკულად გასცემს, ის უკან უბრუნდება.

— რას ვერ აპატიებ ადამიანს?

— ადამიანისთვის ყველაფერი მიპატიებია.

— მართალია: თუკი ის გულწრფელია, თვალებში ჩამხედავს და ბოდიშს მომიხდის, იმწუთას, მეც ყველაფერი მავიწყდება... რას უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში ანრი ჯოხაძისგან? სიურპრიზებს ხომ არ გვიმზადებ?

— სიურპრიზები იქნება. უბრალოდ, ზაფხულმა მომისწრო და ახლა დასასვენებლად მივდივარ, ამიტომ, რაღაც-რაღაცებს ვერ ვასწრებ. ალბათ, სექტემბრიდან გავშლი ფრთებს და როგორც სიმღერაში ვმღერი: „ფრთები რომ შემაჭრან, მე მაინც მოვალ“ — სწორედ ისე იქნება. კარგი გეგმები მაქვს.

— სად მიბრძანდები დასასვენებლად?

2 ივნისს არ გამოგრჩეთ
ხვალ და ყოველ პარასკევს
ახალი გაზეთი!

არც გულლრძო ხარ.

— კარგი. ახლა ვეცდები, მე ჩამოვაყალიბო შეხედულება, რომელიც ამ შეხვედრისას შენზე შემექმნა. ბუნებით ლიდერი ხარ; შეიძლება, არ დამეთანხმო, მაგრამ გეტყვი, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებ მამაკაცის აზრს... ძლიერი პიროვნება ხარ. შენს გულში ჩაიხედე და ისე მითხარი — ასე არ არის?

— ისეთ „კომპლიმენტს“ მიკეთებ, რომ კაცს, რომელსაც შეეძლო, ჩემზე ეფიქრა, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, ამ განზრახვაზე საერთოდ აიღებს ხელს... სხვათა შორის, ისეთ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე, რომ დღემდე მეშინია ჩემი მშობლების. სამსახურიდან სახლში დაბრუნებას რომ ვიგვიანებ, დედაჩემს ვურეკავ. ვიმეორებ — მეშინია მშობლების *(იცინის)*...

— ...და არა მამაკაცების, ხომ?

— ალბათ, ცხოვრებაში არ შემხვედრია ისეთი მამაკაცი, ვისიც უნდა შემშინებოდა. საერთოდ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში შიში — მიუღებელი რამ არის. ურთიერთობა სულ სხვა რაღაცებზე უნდა იყოს აგებული. ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც „საკუთარ ორბიტაზე“ შიშით გაჩერებს, მალე შეწყდება... მაგრამ არც ისეა საქმე, რომ თქვი, — სხვის აზრს არ ითვალისწინებო. ცხოვრება სხვის ტალღაზეც გადამიწყვია.

— გამოგიტყდები, რომ ლიდერი, აქტიური, ენერგიული ქალები მომწონს...

— როგორც კი თავს დახრი, თვალს დახუჭავ, შეიძლება, გადაგიარონ. უნდა ეცადო, რომ ასე არ მოხდეს...

— აი, ეს მინდოდა, რომ გეთქვა *(იღიმება)*.

როცა საქმეს აკეთებ, პროფესიონალი ხარ, ყველაფერი უნდა მოახერხო

— სხვათა შორის, შენში ის თვისებები აღმოვაჩინე, რომლებიც ჩემთვისაც ახლოა. მონათესავე სულები ვყოფილვართ. ადამიანები, რა თქმა უნდა, გარკვეული თვისებებით ვიბადებით, მაგრამ ბევრი რამ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც მოაქვს. ასე არ არის?

— ბავშვობაში ასეთი არ ვიყავი. ორი უფროსი ძმის მზრუნველობის ქვეშ ვიმყოფებოდი. ისინი 8-9 წლით არიან ჩემზე უფროსები. სახლში არასდროს არაფერი იყო ჩემი გასაკეთებელი. ძირითადად, წიგნის კითხვით ვიყავი დაკავებული. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ისე მოხდა, რომ მე და ჩემი შვილი სულ მარტონი დავრჩით. იმ დღიდან მივხვდი, რომ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი იყო. უკვე დიდი ვიყავი და არავის იმედად ყოფნა აღარ შეიძლებოდა. იქიდან დავიწყე ახალი ცხოვრება. როგორ გამომივიდა, არ ვიცი.

— რომ გამოგივიდა, ფაქტია. სალომე რამდენი წლის არის?

ქურნალისტი
რესპონდენტი

— კარგია, — რისგან დაბადებული პატარა ბავშვი — ეს ალბათ ყველაზე

— სალომე რამდენიმე წლის მანძილზე ამბობდა, რომ დედამისი 28 წლის იყო, როდესაც მას ჩემს ასაკს ეკითხებოდნენ *(იცინის)*. ახლა ვუთხარი — მგონი, დროა, ასაკი ცოტა მომიმატო, რადგან სადმე ერთად რომ ვართ, ცოტათი „ვიჭედებით“, როდესაც საუბარი ჩვენს ასაკზე იწყება-მეთქი.

— მარტოს არ გაგიჭირდა ცხოვრებასთან შეჭიდება?

— იმ პერიოდში, სტუდენტი ვიყავი. საშინელი დეპრესია დამემართა. სულ ვტიროდი, თავს ვერ ვიკავებდი. სალომე ძალიან პატარა იყო. პირველი წინადადება, რაც მან თქვა, იყო — არ იტირო, დედიკოო.

— რა მოხდა ბავშვის ამ სიტყვების შემდეგ?

— გადმოვაბრუნე დიდი პლაკატი და მთელ სიგრძეზე ჩამოვწერე: შენ ხარ ძლიერი! შენ ხარ ძლიერი! შენ ხარ ძლიერი! — და კედელზე გავაკარი. ეს წარწერა ერთი წელი ეკიდა — მანამ, სანამ თავისი დანიშნულება არ შეასრულა. ერთი წლის თავზე, უკვე ვმუშაობდი.

— ეი. შენს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შენმა შვილმა ითამაშა?

— კი, მაშინაც და ახლაც ასეა. დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, ყველაფერი სალომეს დამსახურებაა. ყველაფერს იმისთვის ვაკეთებდი, რომ კარგად ყოფილიყო. დღეს, იმის გამო, რომ დაძაბული სამუშაო რეჟიმი მაქვს, ცოტათი ერთად ყოფნის დეფიციტი გვაქვს, მაგრამ სალომე დამოუკიდებელი გოგოა. მასთან ვცდილობ, გულახდილი, გახსნილი ვიყო.

— თვითონაც გიყვება თავის საიდუმლოებებს?

— კი, ყველაფერს, რადგან მეც ყველაფერს ვუყვები.

— იქნებ, შენც გაიხსენო ადამიანები, ვისაც შენს ცხოვრებაში კეთილი კვალი აქვთ დატოვებული.

— გამიმართლა, ისეთ დროს აღმოვჩნდი ტელევიზიის პირველ არხზე, რომ უცებ ინფორმაციის მთავარ რედაქციაში მოვხვდი. მე და ჩემს მეგობარს მამუკა არეშიძე (მაშინ ის „მოამბის“ მთავარი რედაქტორი იყო) გაგვესაუბრა და სამსახურში მიგვიღო. ის რომ არ ყოფილიყო, დღეს არ ვიცი, ვინ ვიქნებოდი. მან მართლაც, დიდი როლი შეასრულა კრიზისული მდგომარეობიდან ჩემს გამოყვანაში.

მეგობრებთან ერთად, ევროპაში უნდა დავისვენო, რომ ცოტა აზრზე მოვიდე

— ამ ბოლო დროს, ტელეეკრანზე ხშირად გხედავთ პრეზიდენტთან ერთად, არაერთ ქვეყანაში გიწევს მოგზაურობა. როგორ ახერხებ, მუდამ კარგ ფორმაში ყოფნას?

— როცა საქმეს აკეთებ, პროფესიონალი ხარ, ყველაფერი უნდა მოახერხო. საკუთარი თავის ფორმაში მოყვანა — პატივისცემაა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ყოველდღე გიყურებს, შენთან ერთად მუშაობს. ამასთან, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოვადგენ, ხშირად პრეზიდენტთან ერთად მიწევს ყოფნა. ჩემი მოვალეობაა, თავი მოვიწესრიგო.

— ლამაზი ქალი ხარ, ფართო ასპარეზზე ხარ გამოსული... შეიძლება, ბევრი პოლიტიკოსი ქალბატონი ამის გამო, შურით განიმსჭვალოს. არავისგან გრძნობ შენ მიმართ ასეთ დამოკიდებულებას?

— ვისთან ერთადაც მუდმივად მიწევს ურთიერთობა და უკვე ბევრი წელია, ერთად ვარ, წლებმა გამოგვცადა. ჩვენს გუნდში ქალი მარტო მე ვარ. თუ სადღაც, ვიღაც ღიზიანდება ჩემი არსებობითა თუ პიროვნებით, ეს მათი პრობლემაა.

— რომ არა ის, რასაც დღეს აკეთებ, კიდევ ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყავი?

— ბავშვობიდან ვოცნებობდი, მოსამართლე ვყოფილიყავი. ამისთვის ყველაფერი გავაკეთე. წითელ დიპლომზე დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ოთხი წელი, სამხედრო პროკურორი ვიყავი. შემდეგ, წარმატებით ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, მაგრამ იმის გამო, რომ არ მქონდა შესაბამისი ასაკი, ვერ დავინიშნე. თუმცაღა, დღეს, ჩემი სამუშაო რეჟიმის ფონზე, ძნელად

ერთად მიწევს ყოფნა. ჩემი მოვალეობაა, თავი მოვინესრიგო.

— ლამაზი ქალი ხარ, ფართო ასპარეზზე ხარ გამოსული... შეიძლება, ბევრი პოლიტიკოსი ქალბატონი ამის გამო, შურით განიმსჭვალოს. არავისგან გრძნობ შენ მიმართ ასეთ დამოკიდებულებას?

— ვისთან ერთადაც მუდმივად მიწევს ურთიერთობა და უკვე ბევრი წელია, ერთად ვარ, წლებმა გამოგვცადა. ჩვენს გუნდში ქალი მარტო მე ვარ. თუ სადღაც, ვიღაც ღიზიანდება ჩემი არსებობითა თუ პიროვნებით, ეს მათი პრობლემაა.

— რომ არა ის, რასაც დღეს აკეთებ, კიდევ ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყავი?

— ბავშვობიდან ვოცნებობდი, მოსამართლე ვყოფილიყავი. ამისთვის ყველაფერი გავაკეთე. წითელ დიპლომზე დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ოთხი წელი, სამხედრო პროკურორი ვიყავი. შემდეგ, წარმატებით ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, მაგრამ იმის გამო, რომ არ მქონდა შესაბამისი ასაკი, ვერ დავინიშნე. თუმცალა, დღეს, ჩემი სამუშაო რეჟიმის ფონზე, ძნელად წარმომიდგენია, რომ დილიდან საღამომდე სასამართლო პროცესებზე ვიჯდე.

— მოდი, ცოტა ვიხუმროთ: მითხარი, ვის გაასამართლებდი?

— ჩვენ წელან, სიკეთეზეც ვისაუბრეთ. თუკი ადამიანს სიკეთის კეთება გინდა, მოსამართლეობა ამისთვის ყველაზე სერიოზული „პლატფორმაა“: შენს თითოეულ სიტყვაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი. მიმაჩნია, რომ ვეცდებოდი, ობიექტური ვყოფილიყავი, ბევრი სიკეთე მეკეთებინა. ისე არ არის — მომიყვანეთ ეს პიროვნება, უნდა გავასამართლო-მეთქი. მანამდე, მთელი პროცედურებია ჩასატარებელი, გამძიღება, პროკურატურის დახმარებაა საჭირო. მიზანში არავინ მყავს ამოღებული — გინდა თუ არა, უნდა გავასამართლო-მეთქი...

— მოდი, ახლა, შენზე, როგორც ქალზე ვილაპარაკოთ.

— ქალზე?.. რა გითხრა? აპრილში 5 ვიზიტი გვქონდა, თბილისში მხოლოდ რამდენიმე დღე ვიყავი. საოცარ რეჟიმში ვცხოვრობ. ჯერჯერობით, ჩემ გვერდით არ არის ისეთი მამაკაცი, რომ გავიპრანჭო...

— მაინც როგორი მამაკაცია შენთვის მისაღები?

— თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს არ ველოდები. მისაღებია ისეთი მამაკაცი, რომლის აზრიც ჩემთვის გასათვალისწინებელი იქნება. ის ჩემი საიმედო დასაყრდენი გახდება. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ იმ ადამიანს უნდა ვუყვარდე.

— როგორ შეეგუება შენი საყვარელი მამაკაცი შენი ცხოვრების მძიმე რეჟიმს?

— მე ყოველთვის მცალია ჩემი საყვარელი ადამიანისთვის. თუკი ვინმე გამოჩნდება, ის წინასწარ უნდა იყოს შეგუებული, რომ... მთავარი მაინც ის არის, რომ მენდობოდეს. მე ბუნებით ერთგული ადამიანი ვარ...

■

„დახვრეტილი“ ვაგონი, უშიშროების შეფის დაშნა

და უცნობი პოლიტპატიმრის რევოლვერი



დასაწყისი იხ. გვ. 8

— ბატონო ლევან, ქართველ პატრიოტთა სურათების გვერდით, წარმოდგენილია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გერმანელების ფოტოები. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— გერმანელებიც ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის იბრძოდნენ. ისინი 1936 წელს, ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დახვრიტეს. გერმანიის კონსული საქართველოში, ფრიდრიხ შულენბურგი გახლდათ. ძალიან ცოტა ქართველმა თუ იცის, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის თანაავტორი იყო და მას „საქართველოს დამოუკიდებლობის რუხ კარდინალს“ უწოდებდნენ.

— მუზეუმისთვის საჭირო ბევრი ნივთი, ალბათ, არაერთ ქართულ ოჯახში ინახება. ახალი ექსპონატების ძიების პროცესი გრძელდება?

— იმ ეპოქაში, ასეთი ისტორიული მნიშვნელობის ნივთების შენახვა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მაინც ახერხებდნენ. რა თქმა უნდა, ძიების პროცესი გრძელდება და ასეთი ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი მუზეუმში გამოფენილ ექსპოზიციებს აუცილებლად მიემატება. ხშირად, 1937 წელს დახვრეტილთა შთამომავლები მუზეუმში მოდიან და წინაპრის ფოტოებს ეძებენ. თუ ვერ იპოვეს, პრეტენზიას გამოთქვამენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ ვიღაც 1937 წელს დახვრიტეს, არამედ ის, თუ რას აკეთებდა დახვრეტამდე. თუ კომუნისტური პარტიის წევრი იყო და მერე დახვრიტეს, იმ პიროვნების ფოტო ოკუპაციის მუზეუმში ვერ მოხვდება. ბოლშევიკურმა რეჟიმმა სისხლის ღვარი ადინა საქართველოს და როგორ შეიძლება, ამ პარტიის წევრთა ფოტოები გამოვფინოთ?!

— ოკუპაციის მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით, რუსეთის მხ-

მედიამ აღშფოთება ვერ დაფარა. თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით?

— მათი მხრიდან ასეთი რეაქცია ბუნებრივია. მუზეუმში ხომ ის მასალებია თავმოყრილი, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო და როგორ მიმდინარეობდა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ■

მალაზია „ოფის-სერვის ცენტრი“

გთავაზობთ ფაიფურის ჭურჭელს სასტუმროებისთვის, რესტორნებისა და ბარებისთვის

მის: ვაჟა-ფშაველას №25 (სასტუმრო „აფხაზეთი“)

☎ 899-51-53-06 (10-20სთ.)

საღისტური მკვლელობა დუშეთში ძმარმა ცოლს თავი მოაჭრა

შემზარავმა დანაშაულმა მაშინ, მთელი დუშეთის რაიონი შეძრა. ამბობდნენ, რომ ადამიანისგან, რომელიც პოლიციამ, სადისტური დანაშაულის გამო, მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს დააკავა, ყველაფერს მოელოდნენ, მაგრამ მსგავს სისასტიკეს — არა. დანითა და ნაჯახით აჩეხილი 48 წლის ქალის გვამი მეზობლებმა მისსავე საძინებელ ოთახში აღმოაჩინეს. მოკლულის თავი ცალკე ეგდო, ტანი — ცალკე. გვამი სისხლში ცურავდა. სისხლით იყო მოსვრილი მთელი ოთახი. „სისხლის შხეფები შპალერსაც ეტყობოდა, მაშინვე ჩამოვხიეთ ყველგან და იატაკიც მოვრეცხეთ“, — იხსენებდნენ სასამართლოში მეზობლები.

მათ პირველ რიგში, მიცვალებულის გაპატიოსნებასა და ოთახის დალაგებაზე დაიწყეს ზრუნვა. ამის გამო, შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას დანაშაულის ადგილი სულ სხვაგვარ მდგომარეობაში დახვდა: კვალი მთლიანად იყო წაშლილი, ნივთმტკიცებები — დანაშაულის იარაღი და გასისხლიანებული ტანსაცმელი კი — გაწმენდილი და გარეცხილი.

მკვლელის ვინაობის დადგენა და დანაშაულის დეტალების გამოძიება პროკურატურას მაინც არ გასჭირვებია, რადგან დამნაშავე არსად გაქცეულა, მის მიერ ჩადენილ დანაშაულს აღიარებდა და ინანიებდა კიდეც. *„ვერ წარმომიდგენია, ასეთი რამ როგორ ჩავიდინე, მე მისი მოკვლა არასდროს მნდომებია“*, — ეუბნებოდა მკვლელი გაოგნებულ მეზობლებსა და მის დასაკავებლად მისულ პოლიციელებს...

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე მასთან ერთად, განსასჯელის სკამზე კიდევ ორი პირი იჯდა — მაისურაძე და შავიშვილი (გვარ-სახელები შეცვლილია). მათ მკვლელობის თანამონაწილეობაში არავინ სდებდა ბრალს, სამაგიეროდ, პროკურატურის განცხადებით, განსასჯელთან ერთად, ისინი სხვა სახის დანაშაულს სჩადიოდნენ.

რამაზ გაფრინდაშვილი თავის მეუღლესთან — მაია გაფრინდაშვილთან ერთად, დუშეთის რაიონში ცხოვრობდა. ნუგზარ მაისურაძე გაფრინდაშვილების მეზობლად ცხოვრობდა და ამ ოჯახთან წლების მანძილზე, ახლო ურთიერთობა ჰქონდა. გაფრინდაშვილებს ვალერი შავიშვილიც იცნობდა. ხშირად ხვდებოდა რამაზ გაფრინდაშვილს, თუმცა, მისი ოჯახური ცხოვრების დეტალები არ იცოდა.

საქმის მასალების მიხედვით, ბოლო წლებში, რამაზ გაფრინდაშვილი უმუშევარი დარჩა. ამის გამო თუ სხვა მიზეზით, აგრესიული გახდა და სისტემატურად სვამდა.

„ხასიათი ძალიან შეეცვალა. ველარ ვცნობდით. თითქმის ყოველდღე სვამდა. ამან ოჯახშიც დაძაბა სიტუაცია. მეუღლესთან ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი. ცოლი რამაზს საყვედურობდა — სამსახურის ძებნის ნაცვლად, მთელ დღეებს სმაში ატარებო. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ რამაზს ჩხუბი აეტეხა. აგინებდა, ყველას გასაგონად ღრიალებდა და უშვერი სიტყვებით მიმართავდა მეუღლეს. მე არ შევსწრებივარ, მაგრამ ამბობენ, რომ სცემდა კიდეც ცოლს“, — წერს გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ერთ-ერთ მოწმე — გაფრინდაშვილების მეზობლად მცხოვრები ქალბატონი.

ტრაგედია გაფრინდაშვილების ოჯახში ახალი წლის ღამეს დატრიალდა. 31 დეკემბერს, ქმარმა დილიდანვე სმა დაიწყო. ჯერ მასთან ოჯახში სტუმრად მისულ ნათესავთან დალია რამდენიმე ჭიქა არაყი, შემდეგ, მეზობლის სახლში განაგრძო სმა. როცა შინ დაბრუნდა, უკვე ახალი წელიც დამდგარი იყო. დღესასწაულის აღნიშვნა ცოლთან ერთადაც მოისურვა. უზომოდ მთვრალი იყო და ცოლმა ურჩია, თავი შეეკავებინა, მაგრამ რამაზ გაფრინდაშვილმა თავისი არ დაიშალა. რამდენიმე ჭიქა არაყი ზედიზედ შესვა და მოულოდნელად ცოლს აუხირდა. პირველი იანვრის დილის 5-6 საათი იქნებოდა, როცა თითქმის შეშლილმა და გამხეცებულმა ქმარმა, როგორც საქმის მასალებში წერია, ცოლის მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით, ღუმლის საჩხრეკი, ე.წ. ასტამი აიღო და მაია გაფრინდაშვილს მაგრად ჩაარტყა თავსა და სხეულის სხვა ადგილებში. შემდეგ, დანა აიღო, ცოლს მოუქნია და რამდენიმე ღრმა ჭრილობა მიაყენა. გონდაკარგული მაია გაფრინდაშვილი იატაკზე ეგდო, სისხლისგან იცლებოდა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი მთლიანად წართმეოდა. რამაზ გაფრინდაშვილი ხედავდა ცოლის მდგომარეობას, მაგრამ ის არც ამ სურათმა შეაჩერა. უფრო მეტიც, ოთახში, სამეურნეო საქმიანობისთვის განკუთვნილი, დიდი ნაჯახი მოიძია. ნაჯახმომარჯვებული, უმწეო ცოლს მიუბრუნდა და გამეტებით აჩეხა.

მოგვიანებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მაია გაფრინდაშვილის სხეულზე 40-ზე მეტი დაზიანება დააფიქსირეს. ჭრილობები მიყენებული იყო როგორც ტანზე, ასევე თავის არეშიც. ქალს ზედა და ქვედა კიდურებიც აჩეხილი და დასახიჩრებული ჰქონდა. დაზიანდა თავის ტვინიც, ნაკვეთი ჭრილობა დაფიქსირდა ხერხემალზეც, ზურგის ტვინი გადაჭრილი იყო... თავი სხეულისგან ცალკე იყო, რადგან რამაზ გაფრინდაშვილმა ბოლოს, ცოლს პირდაპირ კისერზე მაგრად დაარტყა ნაჯახი და თავი მოჭკვეთა...

მკვლელი დილით დაიკავეს. როცა საკუთარი მეუღლის განზრახ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ბრალი წაუყენეს, მან მომხდარი დაადასტურა, მაგრამ თავი მხოლოდ ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ. რამაზ გაფრინდაშვილმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ თავის ცოლს ასე სადისტურად არავითარ შემთხვევაში არ მოკლავდა...

ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმიდან (სტილი დაცულია):

„უმუშევარი გახლავართ, მაგრამ პროფესიით ხელოსანი ვარ. შემიძლია დურგლობა, კალატოზობა. ვმუშაობდი კერძო საქმეებზე. ერთხანს რუსეთშიც გავემგზავრე სამუშაოდ. ომსკის ოლქში ვცხოვრობდი. ჩემი მეუღლე მაიაც იქ გავიცანი. როცა ცოლად შევირთე, ჩემს გვარზე დავწერე. განათხოვარი იყო. პირველი ქმრისგან ერთი შვილი ჰყავდა — გოგონა, სახელად მარინა. ბავშვიც ვიშვილე და ისიც ჩემს გვარზე დავწერე. მარინა, ამჟამად გათხოვილია და თავის ქმარ-შვილთან ერთად დუშეთის რაიონში ცხოვრობს. მე და მაია მას შემდეგ, რაც რუსეთიდან ჩამოვედით, ჩემი მშობლების ბინაში დავსახლდით. ჩვენთან ერთად ცხოვრობდა დედაჩემიც. ახლა ის 90 წლისაა... ბოლო 3-4 წელი იქნება, რაც უმუშევარი დავრჩი. სამსახური ვერა და ვერ ვიშოვე. ამ ამბავს განვიცდიდი, ძალიან ვნერვიულობდი და დარდს ალკოჰოლით ვიქარვებდი. ცოლი ამის გამო ხშირად მსაყვედურობდა და მეჩხუბებოდა. მეც არ ვფარავდი უკმაყოფილებას, რადგან არ მიგებდა. 30 დეკემბრის საღამო იყო, როცა მაიამ მითხრა, ხვალ დილით ჩემი ქალიშვილისა და შვილიშვილის სანახავად უნდა წავიდეო. მე საწინააღმდეგო რა მექნებოდა — კარგი, წადი-მეთქი — ვუთხარი. ჯერ გათენებულიც არ იყო, ალბათ, დილის 8 საათი იქნებოდა, როცა ჩემი მეუღლე სახლიდან გავიდა. ავტობუსისთვის უნდა მიესწრო.

თან წაიღო ცოტა კაკალი, რათა შვილის ოჯახში მიეტანა. მე ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი. კარგად რომ გათენდა, ავდექი. საქონელს და ქათმებს ვაჭამე. ორი ჭიქა არაყიც დავლიე და გადავწყვიტე, შინ დავრჩენილიყავი. არსად გასვლა არ მინდოდა. დაახლოებით დილის 11 საათისთვის, ჩემმა ძმისშვილმა დამიძახა. სახლში შევიყვანე. ძმისშვილმა მითხრა — ღორი გვყავს დასაკლავი და თუ შეგიძლია, წამოდი, მოგვეხმარეო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ჩემი

ორი დანა ავიღე და კარგად გავლესე — ღორისთვის ჯაგრის გასაცილებლად უნდა გვეხმარა. სანამ ძმისშვილს წავყვებოდი, შევთავაზე, ერთი-ორი ჭიქა დავლიოთ-მეთქი. მანაც უარი ვერ მითხრა და დავლიეთ. ამის შემდეგ, ცოლს წერილი დავუტოვე — ჩემს ძმასთან ვარ, ღორს ვკლავთ-მეთქი. ეს წერილი დავუტოვე ოთახში, მაგიდაზე. ძმასთან რომ მივედი, ოჯახის ყველა წევრი შინ დამხვდა. ღორის დაკვლას და გამზადებას რომ მოვრჩით, სუფრაც გაშალეს. სასმელად ღვინო გამოიტანეს, მაგრამ მე არაყი ვარჩიე. მახსოვს, რომ ძალიან დავთვერი. ჯერ დაღამებული არ იყო, რომ ჩემმა მეუღლემ მომაკითხა და შინ წამიყვანა. უზომოდ მთვრალი ვიყავი, სიარულიც კი მიჭირდა, ძლივს ვლაპარაკობდი. როგორ მივედი სახლში, ან როგორ შევედი ოთახში, არაფერი მახსოვს. ვერც იმას ვიტყვი დანამდვილებით, მართლა მომივიდა თუ არა ცოლთან კამათი. მაშინ გამოვერკვიე, როცა მაია ჩვენს საძინებელ ოთახში იატაკზე ეგდო, მე კი ხელში ნაჯახი მეკავა. მაია იატაკზე გვერდულად ეგდო, კისრის მხრიდან ვაჭრიდი თავს. სისხლი სდიოდა, ის კი ფართხალებდა. ოთახში დედაჩემიც იყო. კიოდა და წიოდა... ამ მომენტში გამოვფხიზლდი. მაიასთვის თავის მოჭრას შევეშვი. ნაჯახი სად გადავაგდე, არ მახსოვს. გარეთ გავვარდი და ყვირილი დავიწყე. ჩემ წინ მცხოვრებ — ამირან და დალი გოგინაშვილებს ვეძახდი — მოდით, მიშველეთ, მაია მოკვალი-მეთქი. დალი მაშინვე გამოვარდა, ჩემს საძინებელში შევარდა და იატაკზე დაგდებული მაია ნახა. ის უკვე მკვდარი იყო. მან სხვა მეზობლებსაც დაუძახა. ჩხუბი დამიწყეს, ეს რა გაგიკეთებიაო. ტანზე რომ დავიხედე, ვნახე, რომ ტანსაცმელი სულ სისხლიანი მქონდა, ხელებიც. შინ შევბრუნდი და ტანზე გამოვიცვალე. ზუსტად რა ადგილზე დავყარე გასისხლიანებული ტანსაცმელი, არ მახსოვს. ვინ დაალაგა, ან მკვდარი ვინ დაასვენა ტახტზე, არ ვიცი. იმ ოთახში, სადაც მკვლელობა ჩავიდინე, აღარ შევსულვარ და პირდაპირ ძმის სახლში წავედი. ღამით იქ დავრჩი. დილით, ქალიშვილი — მარინა მოვარდა, კიოდა და ტიროდა, ტირილით მეკითხებოდა — დედაჩემი რად მოკალიო? ამ დროს პოლიციაც მოვიდა, დამაკავეს და დუშეთის შს რაიგანყოფილებაში წამიყვანეს... რატომ მოვკალი ცოლი, არ ვიცი. სიმთვრალის გამო მომიხდა ეს მკვლელობა. უზომოდ მთვრალი ვიყავი და რას ჩავდიოდი, ვერ ვხვდებოდი. ფხიზელი ამას არც ერთ შემთხვევაში არ გავაკეთებდი... ნაჯახის გარდა კიდევ რამე თუ დავარტყი ცოლს სხეულზე, არ მახსოვს. მართალია, როცა გონს მოვედი, იქვე, იატაკზე დაგდებული „ფეჩის“ საჩხრეკი რკინა და მაშა დავინახე, მაგრამ ეს საგნები ვურტყი თუ არა ჩემს ცოლს, არ მახსოვს...“

ძმისშვილის ჩვენებიდან:

„რამაზი რომ ჩვენი სახლიდან წავიდა, დაახლოებით, საღამოს 8 საათი იქნებოდა. ცოლმა — მაიამ მოაკითხა. ბიძაჩემი ძალიან მთვრალი იყო. ყველამ ერთად გავაცილეთ, შემდეგ შინ შევბრუნდით. იმ საღამოს ბიძაჩემის სახლიდან არანაირი ხმაური ან ყვირილი არ გაგვიგონია. ახალი წელი რომ დადგა, სროლის ხმაც გაისმა. ყველანი გარეთ გავედით. შუშხუნების სროლას ვუყურებდით. დაახლოებით 3-4 წუთი გავჩერდით გარეთ. არც მაშინ გაგვიგონია რაიმე საეჭვო. ბიძის სახლისკენ რომ გავიხედე, ფანჯრებში შუქი ენთო. დილის 7 საათი იქნებოდა, როცა სახლში მეზობელი — გოგინაშვილი მოვარდა. ყველანი გაგვაღვიძა, რაღაცას ყვიროდა. ელდანაცემივით იყო, მთლად გაფითრებული. ძლივს გავარჩიეთ, რას ამბობდა. ბოლოს გაგვაგებინა, რომ ბიძაჩემს და ბიცოლაჩემს უჩხუბიათ, ჩხუბის დროს ბიძაჩემს მაია ნაჯახით აუჩეხია... ბიძა რომ ვნახე, სულ სისხლით იყო მოსვრილი. ხელები იდაყვებამდე ჰქონდა დასისხლიანებული. ვკითხე — ეს რა ჩაიდინე-მეთქი? მიპასუხა — მაია მოვკალი, ყელში ამომიყვანა, არაფრად მაგდებდა, კაცად აღარ მთვლიდა, ვეღარ ვიშორებდი და მოვიშორეო... როცა იმ ოთახში შევედი, დავინახე, რომ შესასვლელი კარის მარცხნივ, კედელთან, კედლიდან დაახლოებით 30 სმ-ის მოშორებით, იატაკზე ეგდო ბიცოლაჩემის გვამი. გვერდულად იწვა. მთლიანად სისხლში იყო მოსვრილი, ყელიდან სისხლი ჯერ კიდევ თქრიალით სდიოდა. გვამიდან დაახლოებით 50 სმ-ის დაცილებით, იატაკზე ხის ნაჭრები, ასტამი და დანა ეგდო. ბიცოლაჩემს ტანზე თეთრი პერანგი ეცვა. პერანგი დახეული იყო... ბიძაჩემს სიმთვრალეში მართლაც, ცუდი ხასიათი ჰქონდა, ხშირად ეჩხუბებოდა ცოლს, მეც და მეზობლებსაც არაერთხელ გაგვიშველებია ისინი. ვიცი, რომ ჩხუბობდნენ ბებიაჩემის გამო. ბიძაჩემს არაერთხელ უთქვამს, მაია დედაჩემს ვერ ეგუება, არაფერს უთმენს და აპატიებს, საცემრადაც კი იწევსო. ამას ბიძაჩემი არაფრით აპატიებდა. როცა მომხდარი მკვლელობის შესახებ შევიტყვეთ და ბიძაჩემის საძინებელ ოთახში შევედით, ბებიაჩემი იქვე იდგა, ფანჯარასთან. ხმას არ იღებდა და სულ კანკალებდა. როცა ვკითხეთ, რა მოხდა, რისთვის იჩხუბეს-თქო, ვერაფერი გვიპასუხა...“

გამოძიების პერიოდში, რამაზ გაფრინდაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების საკითხიც დადგა. ამ მიზნით დაინიშნა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზაც, მაგრამ ექსპერტებმა გაფრინდაშვილის შეურაცხადობა გამორიცხეს. ბრალდებულის ფსიქიკის გამოკვლევის შემდეგ, მათ განაცხადეს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მას შეეძლო, კონტროლი გაეწია საკუთარი ქმედებისთვის და გაეცნობიერებინა მოსალოდნელი შედეგი. გაირკვა ისიც, რომ ჩადენილი მკვლელობა გაფრინდაშვილისთვის პირველი და ერთადერთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება როდი გახლდათ. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მკვლელობამდე რამდენიმე წლით ადრე, ძიებით დაუდგენელ თვესა და რიცხვში, მან საკუთარ საცხოვრებელ ბინაში სტანდარტული მცირეკალიბრიანი იარაღის ნაწილებით, კერძოდ, ლულის ფრაგმენტის გამოყენებით, უკანონოდ, კუსტარულად დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი — პისტოლეტი და ასევე უკანონოდ მიჰყიდა თავის ნაცნობს — ვალერი შავიშვილს. აღმოჩნდა, რომ შავიშვილი აღნიშნულ პისტოლეტს წლების მანძილზე უკანონოდ ატარებდა და ინახავდა. მოგვიანებით, რამაზ გაფრინდაშვილმა კიდევ ერთი იარაღი დაამზადა. ამჯერად, კუსტარულად დამზადებული იარაღი მან პნევმატურ პისტოლეტში გაუცვალა თავის ახლობელს — ნუგზარ მაისურაძეს, პისტოლეტი კი, რამდენიმე დღეში გაყიდა და სამაგიეროდ, სანადირო თოფი შეიძინა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, გაფრინდაშვილი სისტემატურად ამზადებდა ცეცხლსასროლ იარაღს და შემდეგ ყიდდა მას. მკვლელობის მეორე დღეს, შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, მის საძინებელ ოთახში, იარაღთან ერთად, საბრძოლო მასალაც იპოვა. ცეცხლსასროლი იარაღის დამზადებისა და ვაჭრობის ფაქტი სასამართლო პროცესზე გაფრინდაშვილმა კატეგორიულად უარყო. მოსამართლეს მან განუცხადა, რომ იარაღს შინ მართლაც იანახავდა, მაგრამ პისტოლეტი მას არასდროს დაუმზადებია.

„...კარადის უჯრაში შენახული მქონდა მცირეკალიბრიანი შაშხანის — „გეკოს“ ვაზნები. რამდენი ცალი იყო, არ მახსოვს. დაახლოებით 10-12 ცალი იქნებოდა. ამ „პატრონებს“ დიდი ხანია, სახლში ვინახავ. საიდან მოვიტანე, არ მახსოვს. შეიძლება, მაშინ ვიყიდე, როცა თავისუფალ გაყიდვაში იყო. იმავე კარადის თავზე, შალაშინებთან და სხვა ხელსაწყოებთან ერთად, „პარაბნიანი“ პისტოლეტის მაკეტიც მედო. მართალია, სურვილი მქონდა, დამემზადებინა, მაინტერესებდა, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ მიმიყვანია. იარაღი არასდროს გამიჩუქებია ან გამიყიდია. თოფი, რომელსაც შინ ვინახავდი, სროლისთვის ვარგისი იყო, მაგრამ ხელუხლებლად იდო, არასდროს გამომიყენებია“, — განაცხადა პროცესზე განსასჯელმა.

ამ ნაწილში რამაზ გაფრინდაშვილის ჩვენება სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია. ის იარაღის უკანონოდ დამზადება-ვაჭრობაშიც ცნეს დამნაშავედ. ამ მხრივ, ბრალი მაისურაძესა და შავიშვილსაც დაუდასტურდათ. თუმცა, სასამართლომ ამ ორ განსასჯელს მსუბუქი სასჯელი აკმარა. რაც შეეხება გაფრინდაშვილს, ზემოთ აღნიშნული დანაშაულისა და ცოლის სადისტურად მკვლელობისთვის, მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გაფრინდაშვილს აღარ გაუპროტესტებია. *„ციხიდან რომ გამოვალ, ღრმად მოხუცი ვიქნები და აღარავის დავჭირდები“,* — მხოლოდ ეს უთხრა მან მოსამართლეს, როცა ამ უკანასკნელმა განაჩენის კითხვა დაასრულა.

■

მოზარდმა ორი ადამიანი პირადი შეურაცხყოფის გამო მოკლა

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ჩვენს ქვეყანაში არასრულწლოვანი დამნაშავეების მიერ ჩადენილ, სამწუხაროდ, საკმაოდ მრავალრიცხოვან კრიმინალურ ქმედებას შორის, ეს ფაქტი განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩევა. მომხდარ დანაშაულს სამართალდამცველებმა შესაბამისი კვალიფიკაციაც მიანიჭეს — განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს ორი მოკლული მამაკაცი. არასრულწლოვანმა ორივე მათგანი ცეცხლსასროლი იარაღით გამოასალმა სიცოცხლეს.

სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე, გამწესრიგებელ სხდომაზე ბრალმდებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი ადამიანი — მცირეწლოვანი შვილების მამები — დაუნდობლადაა მოკლული და რომ 14 წლის მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულში აშკარად იკვეთება სადიზმის ნიშნები. მე-8-კლასელი განსასჯელი წარდგენილ ბრალდებაში სასამართლომ დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მკვლელობა სიღნაღის რაიონში მოხდა. ზაურ ღვინიაშვილმა, რომელიც იმავე რაიონში ცხოვრობდა, ცხვრები გადათვალა და სხვა მწყემსებთან ერთად, დილით ადრე გაუდგა თრიალეთის გზას.

სულ ექვსი მწყემსი იყო, მათ შორის, ერთ-ერთის ნათესავი — 14 წლის ნოდარ ბაირამოვიც. სასწავლო წელი ახალი დასრულებული იყო და ნოდარი სკოლაში აღარ დადიოდა. ბიძას სთხოვა, როცა სამწყემსავად წავიდოდა, ისიც თან წაეყვანა. ბიძაც დათანხმდა და დანაპირები შეუსრულა. ოღონდ, თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ნოდარი მწყემსებს დაეხმარებოდა და მორიგეობაში ისიც მიიღებდა მონაწილეობას.

მწყემსებს გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე შემოაღამდათ. ისინი უდაბნოში, ე.წ. შუაგორასთან იმყოფებოდნენ და იქვე ღამის გასათევი ადგილი შეარჩიეს.

მოწმის ჩვენებიდან:

„ვივახშმეთ და მორიგეობით შევუდექით ყარაულობას. გადავწყვიტეთ, ორ-ორ კაცს გვემორიგევა 2-2 საათი. პირველად, მორიგეობას ღვინიაშვილი და ბაირამოვი შეუდგნენ. დანარჩენებმა დავიძინეთ. დიდი ხანი არ იქნებოდა გასული, როცა მოულოდნელად, იარაღიდან გასროლის ხმამ გაგვაღვიძა. ზუსტად რამდენჯერ გაისროლა, არ მახსოვს. კარგად მახსოვს ის, რომ სროლებს შორის, დაახლოებით ორწუთიანი პაუზა იყო. ყველანი წამოვცვივდით. ვერ გაგვეგო, რა მოხდა. თავიდან ვიფიქრეთ, რომ ნადირი დაინახეს და ისროლეს-თქო, მაგრამ როცა ნოდარს მოვკარი თვალი, მივხვდი, რომ რაღაც ცუდი ამბავი მოხდა. ნოდარმა უცებ იარაღი ხელიდან გააგდო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა იქიდან. მინდოდა, დავდევნებოდი, მაგრამ ჩვენთან ერთად მყოფმა ერთერთმა მწყემსმა შემაჩერა და მითხრა — სასწრაფოდ ვინმეს უნდა დავუძახოთ საშველად, მკვდრები არიანო. მაშინ დავინახე მიწაზე თავქვე მწოლიარე ზაურ ღვინიაშვილი. არ ინძრეოდა. ხელით შევეხე და ვიგრძენი, რომ აღარ სუნთქავდა, მკვდარი იყო. ფარანი რომ მივანათე, თავი სულ სისხლიანი ჰქონდა. გადმოვაბრუნე და მაშინ სისველე გულმკერდზეც შევნიშნე. ჭრილობა იქაც ეტყობოდა. იქვე, დაახლოებით 5 მეტრში ეგდო მეორე გვამიც. ომარ ლალიაშვილი გულაღმა იწვა. მას სახე ჰქონდა დასისხლიანებული. შემდეგ გაირკვა, რომ მკვლელს მისთვის დამიზნებით, პირდაპირ თვალში უსვრია ტყვია“.

ეს ლალიაშვილის სხეულზე დაფიქსირებული ერთადერთი ჭრილობა არ იყო. მოგვიანებით, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ნატყვიარი მას გულმკერდის არეშიც ეტყობოდა. დანაშაულის იარაღი 16-კალიბრიანი, ერთლულიანი სანადირო თოფი გახლდათ. თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი იარაღი, რომლითაც იმ ღამეს ნოდარი, როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, პირადი შეურაცხყოფისთვის უფროსებს გაუსწორდა. გასახსნელი დანა, რომელსაც ის მუდამ თან დააატარებდა და რომლითაც პირველი ჭრილობა ღვინიაშვილს მიაყენა, პოლიციას არ ამოუღია. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა თქვა, რომ დანა არც მას წაუღია თან შემთხვევის ადგილიდან, ის ღვინიაშვილის დაჭრის შემდეგ, სადღაც შორს მოისროლა.

სანადირო თოფი ოფიციალურად, ღვინიაშვილზე იყო გაფორმებული. ამ იარაღის გარდა, მწყემსებს იმ ღამით კიდევ ორი თოფი ჰქონდათ წაღებული, ორივე — კანონიერად დარეგისტრირებული. პირველად, მორიგეობის სურვილი თავად ნოდარმა გამოთქვა. ბიძამაც მოუწონა წინადადება, რადგან თავად შეუძლოდ გრძნობდა თავს და ერჩივნა, ცოტა ხანს დაეძინა. თუმცა, როცა გაირკვა, რომ მასთან ერთად ყარაულობას ღვინიაშვილი აპირებდა, ნოდარი ცოტა შეცბა. საქმის მასალებში არსებულ მოწმეთა ჩვენებებში წერია, რომ ნოდარს ის, უხეში ხასიათისა და ზედმეტი სიმკაცრის გამო, არ მოსწონდა. ამის მიუხედავად, როგორც ამბობენ, მათ, მომხდარ შემთხვევამდე, კონფლიქტი არასდროს მოსვლიათ.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„ბნელი და ბურუსიანი ღამე იყო, ამის გამო მხედველობა შეზღუდული გვქონდა. ფიგურებს კარგად ვერ ვარჩევდით. არაფერზე გვისაუბრია. ღვინიაშვილი სულ ჩუმად იყო. 12 საათი რომ შესრულდა, ღვინიაშვილმა მბრძანებლური ტონით მითხრა — ადექი და გააღვიძე შემცვლელებიო. მისგან ასეთი ტონი მოულოდნელი არ იყო, მაგრამ მაინც მეწყინა და თან გამიკვირდა. მე მისთვის ცუდი არაფერი მითქვამს და არც დამიშავებია რამე. მაშინვე წამოვდექი და ომარ ლალიაშვილს დავუწყე გაღვიძება. უეცრად, ღვინიაშვილმა ყვირილი დამიწყო — შე ლაწირაკო, ამხელა კაცს წიხლით როგორ აღვიძებო?! ვუპასუხე — წიხლით არ გამიღვიძებია, დავუძახე-მეთქი. მან არ დამიჯერა და ლანძღვა დამიწყო. ძალიან გავბრაზდი, მაგრამ არაფერი მითქვამს. მახსოვს, რომ გული ამიჩქარდა და ცუდად ვხდებოდი. მერე თავი ვერ შევიკავე, უცებ წამოვხტი და რა გავაკეთე, აღარ მახსოვს“.

საქმის მასალების მიხედვით, ამ დროს, ნოდარმა ჯიბიდან დანა ამოიღო, მოულოდნელად მივარდა ღვინიაშვილს და მომარჯვებული იარაღი ჯერ ზურგზე დაუსვა, შემდეგ, მისკენ მობრუნებულს, გულმკერდის არეში ჩაარტყა. ღვინიაშვილი წაიქცა, ნოდარმა კი ამჯერად, მისი სანადირო თოფი აიღო, იარაღი ახლოდან დაუმიზნა და ტყვია პირდაპირ თავში მოარტყა. *„მაშინ გავიგონე ლალიაშვილის ყვირილი — რას შვრები, გიჟი ხარ თუ სულელი?“* — თქვა სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა. ამ სიტყვების გაგონებისთანავე, ნოდარმა იარაღიდან განასროლი მასრა ამოიღო, მეორე ვაზნა ჩადო და ამჯერად, ლალიაშვილს დაუმიზნა. ნანახით გაოგნებულმა ლალიაშვილმა თავს ვერაფ-

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს...

...სამაგიეროდ, აქვს ფრთები და შეუძლია, შორს გაფრინდეს

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში — უცოდველი სახე! არსებობენ პროფესიონალი მატყუარები, რომელთაც თაღლითები ჰქვიათ და უცოდველი სახით ისეთ ტყუილს „გაჭმევენ“, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მოინელებ. მაგრამ ხომ არსებობს უწყინარი ტყუილი, რომელსაც ზიანი არ მოაქვს! მაგალითად, ფუფალასა და შიოლას სიყვარულის ამბავი: იცი, რომ ტყუილია, მაგრამ სიამოვნებით ისმენ. თუ ჩვენი მკითხველის მიერ გამოგზავნილ „აფორიზმს“ დავუჯერებთ — „არსებობს ტყუილის 4 სახეობა: ტყუილი, საზიზღარი ტყუილი, ციტირება და სტატისტიკა“; ხოლო თუ ყოვლისმცოდნე სოციოლოგებს — თურმე ადამიანთა 100% დღეში 3-ჯერ მაინც იტყუება. გამოდის, რომ ტყუილი ჩვენი ცხოვრების აუცილებელი „ატრიბუტია“. მით უმეტეს, იმ სიტუაციაში, რომლის შესახებაც ჩვენი პირველი რესპონდენტი გვიამბობს.

მარი ჯაფარიძე

ცოლის დაქალს ხელს ნუ ახლებ!

„18 წლის წინ, 2 გოგონა გავიცანი. ერთი მათგანი ცოტა ხანში ცოლად მოვიყვანე, თუმცა, გარეგნულად მეორე უფრო მომწონდა. ჩემი არჩევანი ლიაზე იმიტომ შევაჩერე, რომ გაცილებით მორიდებული, მორცხვი და მშვიდი ბუნების გოგო იყო. მზია კი თამამი, პრანჭია და ძალზე ჯიუტი. ლია და მზია დღემდე მეგობრობენ. მზიას ცხოვრება ისე ვერ აეწყო, როგორც თავად უნდოდა. დღემდე 2 ქმარი და რამდენიმე საყვარელი გამოიცვალა. ჩემი ცოლი და ის ძალზე განსხვავებული ტიპები არიან, მაგრამ ერთმანეთს კარგად უგებენ და შეხმატკბილებული დაქალები არიან. რაც მზიას ვიცნობ, იმის მერე მკლავს მასთან ურთიერთობის სურვილი. პირველ ქმარს რომ გაშორდა, ბევრი ვეცადე, რომ მის გვერდით ადგილი დამეკავებინა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ახლოს არ გამიკარა და სხვა კაცს ჩაუწვა ლოგინში. მერე მასაც დაშორდა. ისევ გავაქტიურდი, მაგრამ ისევ სხვაზე გააკეთა არჩევანი. მერე გათხოვდა... მოკლედ, როგორც კი მამაკაცის გარეშე რჩებოდა, მაშინვე დიდი მონდომებით ვცდილობდი, დამეთანხმებინა ჩემთან ურთიერთობაზე. ამას ვაკეთებდი ღიად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. ვერა და ვერ მივაღწიე მიზანს. ამ 2 წლის წინ ისევ მარტო დარჩა და გადავწყვიტე, უკვე გადამჭრელი ზომები მიმეღო. დავურეკე და გადაჭრით ვუთხარი: — ამაღამ შენთან მოვდივარ და იცოდე, უარი არ გაბედო-მეთქი. უცებ დამთანხმდა. სიხარულით გადავირიე. შინ ვთქვი, რომ რაიონში მივდიოდი საქმეზე და მხოლოდ მეორე დღეს დავბრუნდებოდი. კარგად

რით უშველა. ნოდარმა მას ტყვია დაახლოებით 2 მეტრის მანძილიდან ესროლა. გულმკერდის არეში მძიმედ დაჭრილი ლალიაშვილი მაშინვე მიწაზე დავარდა. ნოდარმა მორიგი ტყვია მოათავსა თოფში და ამჯერად მას სახეში დაუმიზნა, ახლო მანძილიდან პირდაპირ თვალში ესროლა. ამის შემდეგ, იარაღი დააგდო და გაიქცა...

სროლის ხმაზე გაღვიძებულმა მწყემსებმა ყურადღება, პირველ რიგში, გარდაცვლილებს მიაპყრეს: *„მიუხედავად იმისა, რომ დახოცილები იყვნენ, მაინც გვინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიგვეყვანა ისინი საავადმყოფოში. ახლოს მდებარე დასახლებაში გავიქეცით და იქიდან ჯერ ტრაქტორით, შემდეგ მანქანით გადავიყვანეთ ორივე საგარეჯოში“*, — აღნიშნა მოწმემ.

საქმის მასალებში ისიცაა აღნიშნული, რომ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, ბაირამოვი ნათესავის სახლში დააკავეს. დაკავებისას, ჩადენილი დანაშაული მან აღიარა, მაგრამ ყველაფერი შემთხვევითობას მიაწერა. გამოძიებას მან რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული ჩვენება მისცა. ჩვენებებში აღნიშნავდა, რომ ლალიაშვილის გაღვიძების მომენტში, მას ძაღლები დაესივნენ, მოგერიების მიზნით, ორჯერ ესროლა მათ, მაგრამ ვინაიდან ღამე იყო და კარგად ვერ ხედავდა, ძაღლებს ტყვია ააცილა და შემთხვევით, ღვინიაშვილი დაჭრა; ამის შემდეგ, მას ხელებში ლალიაშვილი სწვდა; ჭიდილის დროს, იარაღიდან ტყვია ისევ გავარდა და ამჯერად, შემთხვევით, ლალიაშვილს მოხვდა. მაგრამ მიყენებული ჭრილობების რაოდენობის, დანის გამოყენებისა და იარაღში ტყვიების გადატენის ფაქტებთან დაკავშირებით წინააღმდეგობას რომ აწყდებოდა, ჩვენება შეცვალა. *„ღვინიაშვილი წინა დღეებშიც მაგინებდა და აგდებულად მექცეოდა. იმ დღესაც, ჯერ მამის, შემდეგ დედის მისამართით დამიწყო გინება, ამიტომაც გადავწყვიტე მისი მოკვლა. ლალიაშვილის მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ მანაც გიჟი და სულელი მიწოდა, ამის გამო ვესროლე...“* — აღიარა ნოდარმა სასამართლო პროცესზე.

ადვოკატმა განსასჯელის ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, ექსპერტებმა კი განაცხადეს, რომ განსასჯელი შერაცხადია და მას საკუთარი ქმედების გაკონტროლება დანაშაულის ჩადენის მომენტშიც შეეძლო. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და მიიჩნია, რომ არასრულწლოვანმა ორი ადამიანის მკვლელობა პირადი შეურაცხყოფის გამო, შურისძიების ნიადაგზე ჩაიდინა. ■

რუბრიკა მოამზადა
მეგი ცანავამ

რომ დაღამდა, მზიას სახლის კარს მივადექი. არც უკითხავს, ვინ იყო კართან, ისე გააღო. ძალზე შილიფად ჩაცმული დამხვდა. მოღეღილი ხალათიდან მშვენიერი მკერდი უჩანდა. ხელი მოვხვიე და ვუთხარი: — ამდენი წლის განმავლობაში ვიწვოდი შენი სურვილით და რატომ მკრავდი ხელს? ასეთ მშვენიერ სხეულს სხვას რატომ უგდებდი ხელში-მეთქი? მომიშორა და დივანზე მიმითითა. დავჯექი. მზიამ ტკბილეული გამოიტანა და ჩემი მიტანილი კონიაკიც გახსნა. რამდენიმე ჭიქა რომ დავლიე, სასმელმა ტვინში სასიამოვნოდ შემიღიტინა. მზია ჩავბღუჯე და მისი მოფერება ვცადე, მაგრამ გამიძალიანდა და საწოლი ოთახისკენ გამიძღვა. ოთახში რომ შევედით, ხელი ჩამრთველს მიაჭირა, მაგრამ შუქი არ აინთო. — უჰ, ნათურა გადამწვარა, შენ დაწექი, მე კი ნათურას მოვიტან და გამოვცვლიო. არ ვუშვებდი, მაგრამ თავისი არ დაიშალა და გავიდა. მე სწრაფად გავიხადე და ლოგინში ჩავწექი. გავიტრუნე და მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას. ცოტა ხანში შემოვიდა და გვერდით მომიწვა. — ნათურა მოიტანე-მეთქი? — არა, ვერ ვიპოვე, მაგრამ არა უშავსო, — ჩამჩურჩულა და მომეხვია. მოკლედ, დაუვიწყარი ღამე გავატარე. მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა. რამდენი საათი მეძინა, არ ვიცი, მაგრამ რომ გავიღვიძე, ლოგინიდან ფრთხილად გამოვძვერი, რომ მძინარე მზია არ გამეღვიძებინა და ტუალეტისკენ გავემართე. ვიდრე ტუალეტში შევიდოდი, სამზარეულოსთან უნდა გამევლო. იქ მაგიდასთან მზია იჯდა და ყავას მირთმევდა. თვალებს არ დავუჯერე. ხმაურზე მანაც გამოიხედა და გამიღიმა. სულ დამავიწყდა, რომ ტუალეტში მივდიოდი. უკან გავბრუნდი და საწოლს დავაკვირდი. იქ ნამდვილად ვიღაც იწვა. ახლოს მივედი, სახეზე წაფარებული საბანი გადავწიე და რას ვხედავ? იქ ჩემი საკუთარი ცოლი წევს. უკან, სამზარეულოში დავბრუნდი. მზია ჩემს დანახვაზე სიცილს ძლივს იკავებდა. — რა ხდება? — დავსვი პირველი კითხვა. — გეგონა, დაქალის ქმარს ლოგინში ჩავუწვებოდი? კაცები დაილია ქვეყანაზე, რომ საკუთარ დაქალს ქმარი არ წავართვაო? — მიპასუხა და გადაიხარხარა. როგორც ჩანს, ისეთი სახე მქონდა, რომ სიცილი ვერ შეიკავა. ალბათ მიხვდით, რომ მაგრად გამიჩალიჩა. როდესაც დავურეკე და ვუთხარი, რომ ღამე მასთან ვაპირებდი მისვლას, ჩემი ცოლისთვის დაურეკავს და ყველაფერი უთქვამს. ეს გეგმაც ერთად შეუმუშავებიათ და კარგადაც გამაცურეს. ღია არ გამებუტა. არც კი უგრძნობინებია, რომ ნაწყენი იყო. — ქალო, თუ ასეთი სექსუალური იყავი, რატომ მიმალავდი-მეთქი? — ვკითხე ერთხელ. — არც შენ გამოგიჩენია თავი მაინცდამაინცო, — მიპასუხა... ამის შემდეგ რაღას ვეტყოდი? აი, ასეთი მოკლე ფეხები აღმოაჩნდა ტყუილს, მაგრამ სხვა დროს კარგად ჭრის...“

„...აცხა, შე მახინჯო!“

„კერძო სახლში ვცხოვრობთ. ჩვენს მეზობელს ერთი საძაგელი, მახინჯი კატა ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოცხით ვცემ, მაინც თავისას არ იშლის და ღია ფანჯრიდან ხშირად ძვრება ჩვენს სახლში. ისე მეზიზღება ეს კატა, რომ სიამოვნებით დავახრჩობდი საკუთარი ხელით, მაგრამ ახლოს არ მიკარებს, მხოლოდ საჭმელს იპარავს და გარბის ხოლმე. ჩემი და ჩემზე 2 წლით უფროსია და საკმაოდ პუტკუნა გოგოა. მთელი ოჯახი ვეჩხუბებით, რომ დიეტა დაიცვას და გახდეს, მაგრამ ისე უყვარს ჭამა, რომ ვერაფრით ახერხებს დიეტაზე ყოფნას. ამ ბოლო დროს ერთი ბიჭი შეუყვარდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ის ბიჭი სწორედ სიმსუქნის გამო იწუნებს. გადავწყვიტე, ჩემი და მე გამეკონტროლებინა და მისი დღის განრიგი და ჭამის გრაფიკი და რაციონი შევადგინე. ძალზე მკაცრად ვაკონტროლებდი და ვაიძულებდი, რომ თითქმის მშიერი ყოფილიყო. წინათ, საჭმელს იპარავდა ხოლმე და მერე იმ მეზობლის კატას აბრალებდა, რომელზეც წეღან მოგიყევით. ამ ბოლო დროს კი ვატყობდი, რომ რამდენიმე კილოგრამი დაიკლო და თვითონვე მოწადინებული გახლდათ, რომ დიეტა მთელი სიმკაცრით დაეცვა. ერთ ოთახში გვძინავს. ერთ დღეს, შუაღამისას ადგა. — სად მიდიხარ-მეთქი? — ტელეფონის აპარატს წამოავლო ხელი — გოგიტას (შეყვარებულს) უნდა დავურეკოო. — არაფერი მითქვამს, რადგან ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც შუაღამისას ტელეფონზე უნდა ესაუბრა... რაღაც ხმაურმა გამაღვიძა. ფხაჭუნის ხმა სამზარეულოდან მოდიოდა. გამახსენდა, წინაღამეს იმ საძაგელმა კატამ ტორტის ნაჭერი რომ მოიპარა და გაბრაზებულმა გადავწყვიტე, რომ სწორედ შურისძიების დრო დადგა. სამზარეულოსკენ მიმავალმა გზად ცოცხი გავიყოლე. შუქი არ ავანთე, რომ საზიზღარი ცხოველი არ დამეფრთხო და დავაყურადე. მაცივრის გვერდით, თავისუფალი ადგილიდან ისმოდა ხმაური. ჩუმად მივეპარე, მაცივარს ამოვეფარე და მთელი ძალით ვესროლე ცოცხი. თან დავიყვირე: — აცხა, შე მახინჯო-მეთქი... უცებ, ვიღაცის განწირული ყვირილი გაისმა. შუქი ავანთე და რას ვხედავ? ჩემი დაიკო ჩაცუცქულა კუთხეში და ჩუმად ილუკმება. ცოცხის ტარი კი შუბლში მოხვედრია და სწორედ მისი ყვირილის ხმა ისმოდა. კარგა ხანს იარა დალურჯებული შუბლით. აი, ასეთი მოკლე ფეხები და დალურჯებული შუბლი აქვს ტყუილს“.

ნუ გააბრაზებთ ზაირას

„ბიოლოგიის ფაკულტეტი გასული საუკუნის 70-იან წლებში დავამთავრე. მოგეხსენებათ, ეს ისეთი ფაკულტეტია, სადაც მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სწავლობენ, მამაკაცს იშვიათად თუ შეხვდებით. ჩვენს ჯგუფში ერთადერთი მამაკაცი სწავლობდა, თანაც საკმაოდ სიმპათიური. ზომაზე მეტად მექალთანეც გახლდათ და მასთან ურთიერთობაზე ბევრი გოგონა ოცნებობდა. წინათ, საზაფხულო არდადეგების დროს, სტუდენტებს კოლმეურნეობებში გვიშვებდნენ ხოლმე, მისახმარებლად. ამას შრომითი სემესტრი ერქვა. ერთ წელიწადს, კახეთში გაგვიშვეს, ვენახში სამუშაოდ. საღამოობით საერთო საცხოვრებლის ეზოში ვიკრიბებოდით ხოლმე და ვმხიარულობდით. იქვე, მეზობლად ერთი ოჯახი ცხოვრობდა. მათ ძილი და მოსვენება სჭირდებოდათ, ჩვენ კი შუაღამემდე ვხმაურობდით და მოსვენების საშუალებას არ ვაძლევდით. დიასახლისი, ქალბატონი ზაირა ჩვენთან ერთად დადიო-

და ვენახში და გაბრაზებული, ხმასაც არ გვცემდა ხოლმე. განსაკუთრებით ჩვენი ვალერი ამოიღო თვალში. რამდენჯერმე კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გვიჩივლა, მაგრამ მან ჩვენი მხარე დაიჭირა და დაგვიცვა. ჩვენს ერთადერთ მამაკაცზე ერთ გოგონას ჰქონდა თვალი დადგმული და როგორც იქნა, ერთი ღამე თივის ზვინზე გაატარეს. მეორე დღეს ვალერი მკვდარივით იყო. მუშაობის თავი არ ჰქონდა. ვენახში მისვლისთანავე ჩრდილში წამოწვა და დაიძინა. ჩვენ ჩუმ-ჩუმად ვიცინოდით, ეს ჩვენი მეზობელი ქალბატონი კი გულზე სკდებოდა, ბურტყუნებდა და მძინარე „პრინცს“ წარამარა გახედავდა ხოლმე. ბოლოს, გულმა არ მოუთმინა და თავზე დაადგა — ბიჭო, რატომ უსაქმურობ? ადექი და გაინძერი, ახლავე! ღამით ადრე რომ დაიძინებთ, მეც დასვენებული ვიქნები და შენც გამოძინებული, ადექი ახლავე და იმუშავეო... — ვალერიმ ცალი თვალით გამოხედა და ძილი განაგრძო. — შენ გელაპარაკები, არ გესმის, ქართველი არა ხარო? — არ ეშვებოდა ზაირა. — არა, ბერძენი ვარო, — ჩაიბურტყუნა ვალერიმ. — რა გვარის ხარო? — ვალერი წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და უთხრა — რა გვარის ვარ? პენისი, ასეთი ბერძნული გვარი გაგიგიაო? — როგორ არაო, თავი დაუქნია ზაირამ და კანტორისკენ გაემართა. თან, გვარი რომ არ დავიწყებოდა, გზაში ბურტყუნებდა: — პენისი, პენისი... კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში შეიჭრა და ომახიანად ეუბნება (აქაოდა, თქვენ რომ იცავთ, იმ ახალგაზრდაზე მოგახსენებთო): — რომ გეუბნებოდი და არ მიჯერებდი, ქაღალდებში ქექვის მეტი რომ არაფერი გაგეგება, იცი, რომ პენისი არ მუშაობს? (მაშინ ეს დიდ დანაშაულად ითვლებოდა). — რას მეუბნები, ზაირა, ვერ გავიგეო, — ეუბნება გადარეული თავმჯდომარე. — რას და, გოგონები კიდევ რაღაცას ახერხებენ, წვალობენ, მაგრამ ეს პენისი არაფრის გამკეთებელი არ არის, დილიდანვე აგდია ჩრდილში და ისვენებსო... — შენ რა იციო? — ჰკითხა თავმჯდომარემ. — რას ჰქვია, რა ვიცი? ჩემი თვალით ვნახე, კომკავშირის კრებაზე უნდა გავიტანოთ პენისის საკითხი და მაგას კომკავშირის რიგებიდან გავარიცხვინებო... თავმჯდომარე მიხვდა, რომ სტუდენტებმა რაღაც უხიმანდრეს ზაირას. ამბის გასარკვევად მასთან ერთად მოვიდა ვენახში. — აბა, რომელია პენისიო? — აი, ისო, ამაყად გაიშვირა ხელი ჩრდილში მწოლიარე ვალერისკენ ქალბატონმა ზაირამ. ამ ამბავზე ბევრი იცინა თავმჯდომარემ და სწორედ მისგან მოვისმინეთ, რა მოხდა მის კაბინეტში. როდესაც ზაირას აუხსნეს ვალერის „გვარის“ მნიშვნელობა, ქალი სირცხვილით ლამის მოკვდა. მას შემდეგ ხმას საერთოდ აღარ გვცემდა. ასეა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ დროზე რომ არ გამჟღავნებულიყო, ვინ იცის, სად აღარ მოჰყვებოდა ჩვენი ზაირა უსაქმური პენისის ამბავს“.

ერთი მეზობლის ორი კავალერი

„საოცარი ამბავი უნდა მოგიყვეთ. უკვე 3 წელია, ჩემთან ერთად ცხოვრობს ჩემი

ძაღლი. სულ პაწაწინა იყო, როცა მოვიყვანე. ერთმანეთს თვალებითაც ვუგებთ. გეფიცებით, კაცივითაა, ყველაფერს გრძნობს და ისე მიგებს, რომ ძმაკაცი ვერ გაგიგებს. ერთი ჩვევა აქვს — რაც იატაკზე გდია, ყველაფერი მისია. დაავლებს პირს და თავის ბუნაგში მიარბენინებს. მისი პატარა სახლი მუდამ სავსეა ათასგვარი ხარახურით. ვინაიდან მარტო ვცხოვრობ, ბუნებრივია, რომ ყველა ქალი, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, შინ მომყავს ხოლმე. ყველას ცნობს. უცხოს თავიდან, უნდობლად ხვდება, მერე, თუ მოეწონა, მივა და მიეფერება. თუ არა და, არაფრის დიდებით არ მიეკარება. მეც და მასაც განსაკუთრებით მოგვწონს მეზობლის ქალი, რომელიც ჩემს თავზე ცხოვრობს. რომ დავინახავთ, ორივე კუდის ქიცინს ვიწყებთ და დორბლი გვდის. ერთ მშვენიერ დღეს, დღეს კი არა, საღამოს, ამ მეზობელმა მომიკაკუნა. კარი რომ გავაღე, ტუჩები მოვილოკე და შინ შემოვიპატიჟე. თქვენს სარეცხის თოკზე შარვალი ჩამომივარდა და თუ შეიძლება, ავიღებო. რა თქმა უნდა, მე თვითონ გამოვურბენინე. მერე ყავაზე დავპატიჟე. კარგა ხანს დარჩა და ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. მე ვცდილობდი, რომ რაღაცნაირად მეთქვა ჩემი გრძნობების შესახებ, მაგრამ მიხვდა თუ არა, არ ვიცი. ეგ იყო, რომ წავიდა, ნახევარ საათში უკანვე ჩამოვიდა და 10 ლარი მასესხეო, მთხოვა. ისევ შემოვიპატიჟე. მას ტანისამოსი გამოცვლილი ჰქონდა, შედარებით შილიფად ეცვა და გაპრანჭულიც იყო. მივხვდი, რომ ჩემს „ნამიოკებს“ კარგად მიმხვდარა და არც ურთიერთობის წინააღმდეგი იყო. შემოვიდა, დაჯდა... ფული სამწუხაროდ, არ მქონდა, რომ მესესხებინა, მაგრამ გული და სული შევთავაზე. იმ ღამით ჩემთან დარჩა. დილით ისევ გამიმეორა თხოვნა, რომ იქნებ ფული იშოვო და მასესხოო... შევპირდი... ადგა და ჩაცმა რომ დაიწყო, ამ დროს ჩემი ძაღლი შემოვიდა ოთახში, პირში კი ოცლარიანი კუპიურა ედო... მოვიდა და ფული საწოლზე დაუდო. ლამის გავგიჟდი. როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ ფული მომპარა და დამალა. ახლა კი, გამოაჩინა და როგორც პატრონს ანუ მე მხედავს ხოლმე, რომ დილაობით, წასვლის წინ ქალებს ფულს ვაძლევ, გამოიტანა და კაცურად გადაუხადა... სწორედ მაშინ მითხრა იმ ქალბატონმა: — ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო... ვერ დავაჯერე, რომ ფული მე არ მქონდა და ძაღლს ჰქონდა დამალული...“

მუცელმა თავი არ დამალა

„მინდა, ერთი ბანალური ამბავი მოგიყვეთ. მართალია, ძალზე ჩვეულებრივი, მაგრამ ჩემთვის მძიმედ გასახსენებელი და ალბათ მკითხველისთვის საინტერესო... 19 წლის ასაკში ერთი ჩემზე გაცილებით უფროსი ასაკის მამაკაცი შემიყვარდა. ცოტა „მოძველებიჭო“ ტიპი იყო და ჭკუას ვკარგავდი მისი გულისთვის. მან მალევე შეამჩნია, რომ მის მიმართ გულგრილი არ ვიყავი და თვითონაც ცდილობდა ჩემთან დაახლოებას. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სიყვარული ამიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა და წინასწარ ვიცოდი, რომ მათ არ მიატოვებდა, უკან არ დავიხიე და მაინც მისი საყვარელი გავხდი. რა თქმა უნდა, ამის მერე დაიწყო ტყუილების ნიაღვარი, რადგან ოჯახში ყოველთვის ინტერესდებოდნენ, რას ვაკეთებდი, როცა შინ არ ვიყავი ან რატომ ვაგვიანებდი. მეც, ხან რას ვიგონებდი და ხან — რას. მეგობარ გოგოს ვაბრალებდი, ვითომ მასთან ვრჩებოდი, რადგან მშობლებთან კონფლიქტი ჰქონდა და ა.შ. მე კი ყურებამდე შეყვარებული, ჩემი საყვარლის ტყვეობაში ვიყავი და მისი მკლავებიდან თავის დახსნა აღარ მინდოდა. უნამუსობის ზღვარს გასცდა ჩემი საქციელი ოჯახის წევრების მიმართ. რა მინდოდა, მე თვითონაც არ ვიცოდი. ჩემი ძმის ყველაზე მეტად მეშინოდა, მაგრამ რას არ გავაკეთებდი, რომ საყვარელი ადამიანის გვერდით ვყოფილიყავი! ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ამის შესახებ ისეთ დროს გავიგე, რომ უკვე გვიან იყო და ბავშვის მოცილება აღარ შეიძლებოდა. თუმცა, ადრეც რომ ყოფილიყო, ამაზე არც ვიფიქრებდი. ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, სწორედ მაშინ გავიგე. სად წამეღო მუცელი, რომელიც სულ მალე ცხვირზე მომეჯინებოდა?

დედას გავუმხილე ჩემი გასაჭირი. გადაირია ქალი, არც აცია, არც აცხელა და იმავე საღამოს ჩემს ძმას მიუტანა ამბავი. ისეთი ამბავი ატყდა, რომ მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს. მათ ჩემი ძმა დააშოშმინეს და წავიდნენ. როგორც კი დრო ვიხელთე, მაშინვე დავურეკე ჩემს საყვარელს. 5 წუთში მოვიდა, თან იარაღიანი ხალხი ახლდა. კარზე ისეთი ბრახაბრუხი ატყდა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ძალით წამიყვანა სახლიდან და თავისი მეგობრის ოჯახში მიმიყვანა. ცოლ-ქმარი თავზე მევლებოდა და ცივ ნიავს არ მაკარებდა. მეორე დღეს წელისა და მუცლის ტკივილი ვიგრძენი. მაშინვე სასწრაფო გამოიძახეს და საავადმყოფოში წამიყვანეს. მთელი თვე ვიწექი, რომ ბავშვი შემენარჩუნებინა. თან მყვებოდა ყველა, საკუთარი ოჯახის წევრების გარდა. მათ ოჯახიდან მომიკვეთეს და მკვდრად გამომაცხადეს. ბავშვი გადარჩა და რამდენიმე თვის შემდეგ, გოგონას დედა გავხდი. მამამისის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან 2 ბიჭი ჰყავდა და ძალიან უნდოდა გოგონა. ვიდრე ვიმშობიარებდი, კვლავ მისი მეგობრის ოჯახში ვცხოვრობდი, შემდეგ, ჯერ ქირით გადავედით, მერე კი, საკუთარი სახლიც შევიძინეთ. დღემდე ასე ვცხოვრობთ. მას ფაქტობრივად 2 ოჯახი ჰყავს, მაგრამ საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, თვითონ საზღვარგარეთაა. ჩემი ოჯახი კი დღემდე არ მცნობს შვილად და არც 12 წლის შვილიშვილი უნახავთ. ტყუილს მართლაც მოკლე ფეხები აქვს, აბა, რა!"

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ორივეს დედაც!"

„ნეტავ იცოდეთ, რამდენ ტყუილს ვამბობ! ხანდახან ისე კარგად დავიფიცებ ხოლმე ტყუილზე საყვარელ ადამიანს, თითქოს ვიღაც უცხო ადამიანის სიცოცხლეზე იყოს საუბარი. მიკვირს, ჩემი ოჯახის წევრები როგორ არიან ცოცხლები ჩემს ხელში. მატყუარა".

„ერთხელ მოვიტყუე, თუმცა, არ ვნანობ, რადგან ამ ტყუილმა საყვარელი ადამიანი მაპოვნინა. ასე რომ, ტყუილს მოკლე ფეხები კი აქვს, მაგრამ ყოველთვის ცუდი არ არის".

„ჩემმა მეუღლემ მალულად სმა დაიწყო. როცა შინ მოდიოდა, ყოველთვის კევს ღეჭავდა, რომ სასმლის სუნი არ ჰქონოდა. თავიდან ცოტას სვამდა და ამის გამო არ ეტყობოდა. ერთ დღეს შინ მოსვლა დააგვიანა. დავურეკე. მის მობილურზე მეგობარმა მიპასუხა — აჩი გავიდა, ტელეფონი კი მე დამიტოვა, თვითონ 10 წუთში დაბრუნდებაო. — ამის შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე დავურეკე, მის მეგობარსაც დავურეკე, მაგრამ არც ერთი ყურმილს არ იღებდა. მოთმინების ძაფი გამიწყდა და ძალიან რომ დააგვიანდა, აჩის მეგობართან წავედი. იქ დამხვდა, გაგლეჯილი მთვრალი გახლდათ. უაზროდ ბურტყუნებდა და პატიებას მთხოვდა. ასე გავიგე, რომ თურმე, მატყუებდა".

„ერთი ბიჭის, ვატატოს ტყუილებს საკმაოდ გრძელი ფეხები აღმოაჩნდა, მაგრამ რად გინდა? ჩემს მოკლე ჭკუას არაფერი ეშველა და... ნანუჩი, ქუთაისიდან".

„ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, როგორ არ ვიცი, მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის მავიწყდება ხოლმე. ნახევარი წლის წინ დათოს ვეპრანჭებოდი. სწორედ ამ დროს გავიცანი ტატო. თავიდან ვმეგობრობდით, მერე კი სიყვარულის ახსნა დამიწყო. იმისათვის, რომ უმტკივნეულოდ მომეშორებინა, მოვატყუე — შეყვარებული მყავს-მეთქი. ამის შემდეგ დათოც სადღაც დაიკარგა. თურმე ისინი ძმაკაცები ყოფილან, ტატოს უთქვამს, რომ შეყვარებული მყავს, დათოს კი უფიქრია, რომ „კოლექციას" ვაგროვებდი და თვითონაც დაიკარგა. ასე დავკარგე ორივე თაყვანისმცემელი, უწყინარი ტყუილის გამო, მაგრამ ორივეს დედაც! მე უკვე გიო მიყვარს. ასე მოუხდებათ!"

„ტყუილს მარტო მოკლე ფეხები კი არ აქვს, არამედ, „ინვალიდიც" არის. ჩემი ტყუილი ჯერ გაცივებულიც კი არ არის ხოლმე, რომ უცებ მჟღავნდება. როცა ვიტყუები, სულელივით მეცინება. ცხოვრება ტყუილის გარეშე გაცილებით ლამაზია. ვერო".

„ტყუილს მართლაც მოკლე ფეხები აქვს. გიო მეფიცებოდა, რომ დასავით ვუყვარდი. ერთხელ, ზოოპარკში ვიყავით. შემცივდა და გიომ თავისი ქურთუკი მათხოვა. მის ჯიბეში ჩემი სურათი ვნახე, რომელსაც უკანა მხრიდან გულები ეხატა და — მიყვარხარო, ეწერა. გიო, დამივიწყე და აღარ დამირეკო, მე სხვა მიყვარს. ვერელი ნინი".

„2 წლის წინ ერთ ბიჭს მოვეწონე. ერთმანეთს ვხვდებოდით. რამდენიმე ხნის შემდეგ კი თავისი ნათესავი ქალი გამაცნო. ამ ქალსაც მოვეწონე და რატომღაც ძალზე გვაჩქარებდა, რომ ერთად ვყოფილიყავით. მე ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა, რატომ იქცეოდა ეს ქალი ასე უცნაურად. თავიდან მეგონა, კარგი განზრახვა ჰქონდა, მერე კი გავიგე, რომ თურმე საყვარლები ყოფილან. ეგონათ, ვერ გავიგებდი? ქვეყნად არაფერი იმალება, რადგან ტყუილს მოკლე ფეხები აქვს".

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვს? მერე რა! ცოლად ხომ არ მომყავს?"

მკითხველების მიერ გამოგზავნილი „აფორიზმები"

● **მამაკაცი ქალს არ ატყუებს მხოლოდ მაშინ, თუ მის მიმართ გულცივია.**

● **ყოველთვის დაიმახსოვრე სიმართლე, რა იცი, როდის დაგჭირდება ტყუილის თქმა.**

● **ოქროს წესი: სხვების შესახებ ისეთივე ტყუილი თქვი, როგორიც გინდა, რომ შენზე თქვან!**

● **თითქოს ტყუილის თქმა იოლია და ყველას კარგად გამოსდის, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, რომელიც მოახერხებს და 3-ჯერ ზედიზედ ისეთ ტყუილს იტყვის, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდეს.**

● **ტყუილი დაშნაზე საშიში იარაღია, რადგან მისგან მიყენებული ჭრილობა არ ხორცდება.**

● **ტყუილი მხდალთა შურისძიება გახლავთ.**

● **ლამაზი ტყუილი? ყურადღება! ეს უკვე ხელოვნებაა!**

● **იტყუებით? ეი. თქვენ აღიარებთ მის უპირატესობას, ვისაც ატყუებთ.**

● **შეიძლება, მოატყუო მხოლოდ საყვარელი ქალი და პოლიციელი. ყველა დანარჩენს მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრა!**

● **ტყუილი — თავის გატანის ერთ-ერთი ხერხია.**

● **ყველაზე მეტად ის იტყუება, ვინც ამბობს, რომ ქვეყნად ყველაფერი სამართლიანად წყდება.**

● **ტყუილი სიმართლის „უკულმა" მხარეა, მაგრამ მას ხშირად „წაღმად" მიიჩნევენ ხოლმე.**

● **ტყუილს გაცილებით დიდი ძალა აქვს, ვიდრე რეკლამას.**

● **ტყუილი არ მიიჩნევა ტყუილად, თუკი ის პასუხობს კითხვას, რომელიც არ უნდა დაუსვათ.**

● **ტყუილი გახლავთ „მსუბუქი ყოფაქცევის" სიმართლე.**

● **ვერ ვიტან, როდესაც ჩემს ტყუილზე ტყუილითვე მპასუხობენ. ეს არასამართლიანი კონკურენციაა.**

● **იცხოვრო ტყუილის გარეშე, იგივეა, რაც იცხოვრო უგასაღებო სახლში და ვერასოდეს შეძლო შინ მარტო დარჩენა.**

● **ტყუილის მოგონება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვისი გონებაც რთულად „აზროვნებს".**

● **ტყუილს ფეხები არა აქვს, რომ მყარად დადგეს, მაგრამ სამაგიეროდ, აქვს ფრთები და შეუძლია, შორს გაფრინდეს.**

● **ტყუილს მოკლე ფეხები აქვს... სამაგიეროდ, ხელები აქვს გრძელი.**

● **ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ ორივე — მაგარი!**

● **ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, რა გრძელი ენა!**

● **ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ — დაუღლელი!**

ამჯერად „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ: — რაც მეჯავრებოდა, ის მეძალებოდაო... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

„მე უარს ვამბობ საკუთარ შვილზე, ვინაიდან ვარ მარტოხელა დედა და არ შემიძლია მისი რჩენა...“ — ის, ვისაც მშობელი დაბადებისთანავე ასეთ განაჩენს გამოუტანს, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ხვდება. დღეს, ამ სახლში მშობლისგან უარყოფილი 111 პატარა იზრდება. აღსაზრდელთა დიდი ნაწილი, სხვადასხვა პათოლოგიითაა დაავადებული, მშობლების მხრიდან, მათზე უარის თქმის მიზეზიც, სწორედ ეს გახდა. ბავშვთა სახლში ისეთებიც არიან, ვის ბიოგრაფიულ ჩანაწერებშიც შემაძრწუნებელ სიტყვებს ამოიკითხავთ — „ცეცხლწაკიდებული ჩვილი ნაპოვნია ნაგვის ურნაში...“ „საპატრულო პოლიციამ ცოცხალმკვდარი ჩვილი, ჭაობში დაგდებული იპოვა“, ან „მიტოვებული ბავშვი სასაფლაოზე იპოვეს“... რატომ ამბობს მშობელი უარს საკუთარ შვილზე? რთულია პასუხი მოუძებნო ამ კითხვას, მაგრამ ფაქტებსა და რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით, შევეცადეთ, მცირედი სიცხადე მაინც შეგვეტანა ამ უმძიმესი პრობლემის ახსნაში.

მაგშვემი, რომლემსაც ჭაობში, სასათლაოზე და ცეცხლწაკიდემული ნაგვის ურნაში პოულობენ

„საკუთარი შვილის დაკრძალვაზე ისეთ ოჯახს უთქვამს უარი, რომ...“

ემა ტუხიაშვილი

მირანდა ადეიშვილი, *ჩვილ ბავშვთა სახლის დირექტორი:*

— უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში, ბავშვთა სახლში, ბავშვების ჩაბარების ტენდენცია, ფაქტობრივად, უცვლელია. მახსოვს, 10-15 წლის წინ, ძალიან ცოტა აღსაზრდელი გვყავდა, მაგრამ მაშინ, ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელიც დაბალი იყო. ძალიან რთულია, მხოლოდ ერთ ჭრილში განიხილო ასეთი უმძიმესი პრობლემა და თქვა, რატომ ხვდებიან ბავშვები ბავშვთა სახლებში. პირველ რიგში, ამის პროვოცირებას სახელმწიფოში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა ახდენს. ბევრი რამაა იმაზე დამოკიდებული, ფინანსურად რამდენად აქვს ოჯახს უნარი, რომ საკუთარი შვილი არჩინოს. ამ პრობლემის განხილვისას, ასევე თავს იჩენს ქართული მენტალიტეტის ფაქტორი. ჩვენი სახლის 111 აღსაზრდელიდან, 40-45% ინვალიდია. ბოლო დროს, გახშირდა დაუნის დაავადების შემთხვევები. ასეთი ბავშვები, დამახასიათებელი გარეგნობითაც გამოირჩევიან, აქვთ მონღოლოიდური თვალის ჭრილი, უნაგირა ცხვირი, ახასიათებთ სახსრების ჰიპერმობილურობა ანუ ძალიან მოძრავები არიან, აქვთ ბაყაყისებრი მუცელი. ხშირად სწორედ ეს დაავადება ხდება ბავშვის თავიდან მოცილების მიზეზი — ბევრი მშობელი საზოგადოებაში მათ გამოჩენას ერიდება, ზოგიც თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ არ სურს, ასეთი ბავშვი მის სხვა ჯანმრთელ შვილებთან ერთად გაიზარდოს. ხშირად მშობელი თავისი უნარშეზღუდული შვილის სანახავად ბავშვთა სახლში აღარ მოდის.

— მოდი, ამ პრობლემის თითოეული სეგმენტი განვიხილოთ. რა მოტივით ამბობს დედა თავის ჯანმრთელ შვილზე უარს?

— ჯერ გეტყვით, რომ ხშირ შემთხვევაში, ასეთი დედა, თავის შვილს დაბადებისთანავე უარყოფს. ის, თავის გადაწყვეტილებას წერილობით აყალიბებს, სადაც მითითებული აქვს ბავშვზე უარის თქმის მოტივაცია. ყველაზე ხშირად, ასეთ გადაწყვეტილებას მარტოხელა დედები იღებენ და მიზეზად, მატერიალურ მდგომარეობას ასახელებენ. არის შემთხვევები, როდესაც დედას ჩვილი თავად მოჰყავს, მაგრამ ხდება ისეც, რომ მშობელი ბავშვს კლინიკაში ტოვებს და მის გადმოსაყვანად, ექიმების ბრიგადას ვგზავნით. არის შემთხვევები, როდესაც ხელწერილში, დედა სამუდამოდ ამბობს უარს შვილზე, მაგრამ არიან დედები, რომლებსაც მითითებული აქვთ, რომ მხოლოდ დროებით (მანამ, სანამ თავად შეძლებენ ბავშვის რჩენას) სთხოვენ ბავშვთა სახლს შვილზე მზრუნველობას. გაგიკვირდებათ, მაგრამ ისეთებიც არიან, ვისაც ჯერ კიდევ ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი — უარი თქვან საკუთარ შვილზე.

— როგორც სამი შვილის დედას, რა განცდა გეუფლებათ, როდესაც ხედავთ, თუ როგორ ამბობს დედა შვილზე უარს?

— ნათქვამია: სხვა სხვის ომში ბრძენიაო. რთულია, ასეთი გადაწყვეტილების გამო, ყველა ერთნაირად განსაჯო, მაგრამ რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ბავშვს საკუთარ ოჯახში, დედის გვერდით ცხოვრების უფლება წაართვა. 8 წელია, რაც ამ ბავშვთა სახლში ვმუშაობ და ბევრი დედა მინახავს — მოდიან, ტირიან, ამბობენ, რომ ბავშვი არარეგისტრირებული ქორწინებიდან ჰყავთ, რომ მშობლების ეშინიათ და სახლში ვერ წაიყვანენ, შეშინებულები და დაბნეულები არიან. ხშირად ასეთი ქალები მეცოდება კიდეც. ერთადერთხელ მქონდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ემოციების შეკავება ვერ შევძელი (ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, ამის უფლება არ მაქვს). ერთხელ, სამსახურში მოვედი თუ არა, მითხრეს, რომ ბავშვიანი წყვილი მელოდებოდა. ჩვილი ახალგაზრდა, მაღალი ტანის მამაკაცს ეკავა ხელში, ქალი კი, ბავშვის დედა იყო. პირველად იმან გამაოცა, რომ პატარა აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო და მამაკაცი მთხოვდა — ის ბავშვთა სახლში მიმეღო. კიდევ უფრო გავოგნდი, როდესაც მითხრა: ბავშვის მამა ვარო. როგორც გაირკვა, ეს წყვილი ოფიციალურად არ იყო რეგისტრირებული, ამიტომაც არ სურდა, რომ ვინმეს მათი შვილის არსებობის შესახებ შეეტყო. ისიც გაირკვა, რომ ქალს, რომელიღაც კერძო სამშობიაროში მოულოგინებია — შესაბამისად, წყვილს მატერიალური პრობლემა არ ჰქონდა. მამაკაცს ვკითხე: აქამდე სად გყავდა ეს ქალი-მეთქი? ნაქირავებ ბინაშიო — მიპასუხა. ჰოდა, მოჰკიდე ახლა ორივეს ხელი და ისევ ნაქირავებ ბინაში წაიყვანე-მეთქი. — ვუთხარი. არ ვიცი, რა ბედი ეწია ამ წყვილს და მათ შვილს, მაგრამ ისინი ჩვენთან აღარ მოსულან.

— ალბათ, ხშირად შესწრებიხართ ისეთ ამაღელვებელ ფაქტს, როდესაც დედა წლების წინ მიტოვებული შვილის სანახავად პირველად მოსულა...

— ამდენი წელია აქ ვმუშაობ და დედა-შვილის შეხვედრის ემოციური სცენა ჯერ არ მინახავს. პირიქით, ხშირად მხვდება ისეთი დედა, რომელსაც საკუთარი შვილი, ალბათ, მეორედ თუ უჭირავს ხელში და იმის მაგივრად, რომ ბავშვს მიუალერსოს, სადღაც სივრცეში იყურება.

— თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დედა თავისი შვილის წასაყვანად მოსულა, მაგრამ ის უკვე გაშვილებული იყო?

— რა თქმა უნდა, გვქონია ფაქტებიც, როდესაც ქალი ხელწერილით უარს ამ-

ბობს თავის შვილზე, ამ ხელწერილს იურიდიული ძალა მხოლოდ 42 დღის შემდეგ აქვს. მოგეხსენებათ, რომ შვილად აყვანის პროცესი გაჭიანურებულია, დედას საკმარისი დრო აქვს იმისთვის, რომ საკუთარი ნაბიჯი გააანალიზოს. მაგრამ როგორც გითხარით, დედები შვილის წასაყვანად ისეთ დროსაც მოსულან, როდესაც ბავშვი უკვე გაშვილებული ყოფილა. ასეთ შემთხვევაში, საქმე სასამართლოს გადაეცემა და მისი ნებაა, საბოლოოდ ვის მიაკუთვნებს ბავშვს — ბიოლოგიურ დედას თუ აღმზრდელ ოჯახს.

— როგორც ვიცი, საკანონმდებლო ორგანო აქტიურად მუშაობდა შვილობილობის პროცედურების გამარტივებაზე. თუ გადაიდგა რაიმე ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით?

— სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. საქართველოს პარლამენტში ამ ახალი კანონპროექტის განხილვა თებერვალში უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, გადაიდო. არსებული კანონმდებლობით კი, ბავშვის შვილად აყვანის პროცესი ძალიან რთულია და კანონი მხოლოდ დედის ინტერესებს იცავს, ხოლო ბავშვის ინტერესები მეორეხარისხოვანია. მაგალითად, 2004 წელს, ჩვენი ბავშვთა სახლიდან 37 ბავშვი გავაშვილეთ. კანონის გამარტივების შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ გაშვილებულთა რაოდენობა გაორმაგდება.

— ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც ოჯახს ბავშვთა სახლში რამდენიმე შვილი ჩაუბარებია?

— გვქონდა შემთხვევა, როდესაც დედამ ტყუპი მოგვიყვანა, ეს ბავშვები, დღემდე ჩვენთან იზრდებიან. ერთი ოჯახიდან სამი ბავშვიც კი გვყავდა: მათ მშობლები ინვალიდები ჰყავდათ, რომლებსაც შვილების მოვლის უნარი არ შესწევდათ. მულატი და-ძმაც გვყავდა — მათი დედა ქართველია, მამა კი — ზანგი. შემდეგ, მამამ გოგონა წაიყვანა, ბიჭი კი, დღემდე ბავშვთა სახლშია.

— პოლიციის აქტის საფუძველზე შემოსულ ბავშვებზე რას გვეტყვით?

— ჩვენთან დღემდე იზრდება ბავშვი, რომელიც პატრულის თანამშრომლებმა ჭაობში იპოვეს. სხვათა შორის, ამ ბავშვის დედა გამოჩნდა და შვილის მოსანახულებლად მოვიდა. რამდენიმე თვის წინ, მოგვიყვანეს ბავშვი, რომელიც ცეცხლწაკიდებულ ნაგვის ურნაში იპოვეს. გაირკვა, რომ ჩვილი ასე დედამ გაიმეტა. ცოტა ხნის წინ კი, პოლიციამ ორი წლის ბავშვი მოგვიყვანა, რომელიც მშობელს სასაფლაოზე მიუტოვებია. პატარას იმდენი უტირია, რომ ხმა წართმევია. სხვათა შორის, ამ ბავშვის დედაც გამოჩნდა, მაგრამ ჯერ, პოლიციიდან ველოდებით დასტურს — შეიძლება თუ არა, მას ბავშვი სახლში გავატანოთ. ასევე, გვყავს პატარა, რომელიც პატრულის თანამშრომლებმა შობის დღესასწაულზე, მეტროს სადგურ „ისანთან“ იპოვეს.

— ალბათ, ხდება ისიც, რომ ფიზიკური დეფექტით შემოსული ბავშვი, ბავშვთა სახლში იღუპება. ამ ამბავს მის მშობლებს თუ აგებინებთ?

— არსებობს სიცოცხლესთან შეუთავსებელი პათოლოგიები, ამიტომ მშობლებს წინასწარ ვეკითხებით — შევატყობინოთ თუ არა ბავშვის გარდაცვალების შესახებ. ზოგი უარს ამბობს და გვთხოვს, რომ დაკრძალვის ხარჯები მთლიანად სახელმწიფომ გაიღოს. მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თხოვნის შესაბამისად, ოჯახისთვის გვიცნობებია და საკუთარი შვილის დაკრძალვაზე ისეთ ოჯახს უთქვამს უარი, რომ გამკვირვებია. ასეთი ბავშვების დაკრძალვა სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე ხდება, მაგრამ მათი ვინაობა მხოლოდ მაშინ აღინიშნება, როდესაც ამას მშობელი ითხოვს. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც მშობლები, მრავალი წლის შემდეგ გადაწყვეტენ შვილის საფლავის მოძებნას და დახმარებისთვის ჩვენი სახლის იურისტს მიმართავენ.

— როგორც ბრძანეთ, ბავშვზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი მშობლის მძიმე მატერიალური მდგომარეობაა. საინტერესოა, რამდენად შესწევს ბავშვთა სახლს უნარი, აღსაზრდელები ყველა აუცილებელი პირობით უზრუნველყოს?

— საკმაოდ მძიმე პერიოდი გამოვიარეთ. უწინ, ჯანდაცვის სამინისტრო და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი გვაფინანსებდა, ხოლო ამ უწყებებში გატარებული რეფორმა ითვალისწინებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დავრეგისტრირდეთ და ჯანდაცვის სამინისტროს პატრონაჟს დავექვემდებაროთ. ამ რეფორმის გატარების პერიოდში, ფაქტობრივად, დაფინანსების გარეშე ვარსებობდით და აუცილებელი მედიკამენტები და პროდუქტი კონსიგნაციით შემოგვქონდა. ჩვენი სახლის ყოველთვიური ბიუჯეტი 22.000 ლარია. ვიღაცას ეს შესაძლოა სოლიდურ თანხად მოეჩვენოს, მაგრამ აქედან, 10.000 ლარს, ყოველთვიურად კომუნალურ გადასახადებში ვიხდით. დენის ტარიფის ზრდა, ჩვენისთანა ორგანიზაციას საკმაოდ დიდ დარტყმას მიაყენებს. წარმოიდგინეთ, სახელმწიფო სუბსიდიას გვიზრდის, ხარჯები კი, მნიშვნელოვნად იზრდება. რა თქმა უნდა, რეალურად, თითოეულ აღსაზრდელზე გაცილებით მეტი გვჭირდება, ვიდრე ამის საშუალება გვაქვს.

— 4 წლის შემდეგ, სად ხვდებიან თქვენი აღსაზრდელები?

— პატარებისთვის ეს ყველაზე მძიმე მომენტია — ფაქტობრივად, აქ არიან გაზრდილები, ძიძებს დედას ეძახიან და მათთან განშორება უჭირთ. ტირიან, როდესაც ბარგს ჩაულაგებენ და გასამგზავრებლად ამზადებენ. მცირე კონტინგენტი საკუთარ ოჯახში ბრუნდება, სხვები კი, სხვადასხვა ბავშვთა სახლში მიჰყავთ. ცოტა ხნის წინ, ჩვენი ბავშვთა სახლიდან ორი ინვალიდი ბავშვი (რომელთა გადაყვანა სენაკის ბავშვთა სახლში იგეგმებოდა) გავაშვილეთ. ■

` minda, male wavide saxlSi, minda, male gavizardo, minda~...

მარტყოფელი ბავშვების დიდი ოცნებები

რამდენიმე დღის წინ, საბავშვო ანსამბლ „გვირილას“ წარმომადგენლებთან ერთად, მარტყოფის ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ. „გვირილა“ პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ფილარმონიაში გრანდიოზული კონცერტის გამართვას აპირებს, რომელსაც სხვა სტუმრებთან ერთად, მიუსაფარ ბავშვთა სახლის ბინადარნიც დაესწრებიან, ზოგიერთი მათგანი კი, კონცერტში მონაწილეობასაც მიიღებს. სწორედ ამ მიზნით წავედით მარტყოფში — ანსამბლის ხელმძღვანელობას სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები უნდა შეერჩია.

ნათია ქივიძე

ჩვენს მისვლამდე, ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. როგორც კი სამარშრუტო ტაქსი ჭიშკარს მიუახლოვდა, თითოეულმა მათგანმა ცნობისმოყვარედ გამოგვხედა. ეზოში შევედით, მაგრამ არც ერთი მათგანი ახლოს არ მოგვეკარა — შორიდან გვადევნებდნენ თვალს. ბავშვთა სახლის დირექტორის მოადგილე დარბაზში შეგვიძღვა, სადაც ბავშვების ნახატები იყო გამოფენილი. კედლის ერთ მხარეს კი, მათი სურვილები ეწერა...

ეზოში შევედით, მაგრამ არც ერთი მათგანი ახლოს არ მოგვეკარა — შორიდან გვადევნებდნენ თვალს

„მინდა, რომ მალე წავიდე სახლში“... — ნათია ქისტაური.

„მინდა მალე გავიზარდო და მშენებელი გავხდე“... — ნოდარ ალიევი.

„მინდა, რომ ძალიან ბევრი საჩუქარი მომიტანონ“... — რუსლან ზელენჩუკი...



მარტყოფის სახლში სულ 26 ბავშვი ცხოვრობს. მათ შორის, ბიჭები ჭარბობენ

ჩვენს პატივსაცემად, ბავშვები სცენაზე ავიდნენ და საქართველოს ჰიმნი შეასრულეს...

მარტყოფის სახლში სულ 26 ბავშვი ცხოვრობს. მათ შორის, ბიჭები ჭარბობენ. ზოგმა მათგანმა სცენაზე ასვლა ითაკილა — რაღა დროს ჩვენი სიმღერააო...

ჩემთან მოსვლა ერთმა პატარა ბიჭმა გაბედა, რომელიც ეშმაკურად მიღიმოდა...

— იცი, მე გიორგი ქეცბაია ვარ და დიდი გიორგივით, მეც ფეხბურთელი უნდა გამოვიდე. ხუთშაბათს 9 წლის ვხდები...

— უკვე დიდი ბიჭი ყოფილხარ.

— ჰო, გავიზარდე. სხვათა შორის, ფეხბურთს კარგად ვთამაშობ.

ჩვენი საუბრით სხვებიც დაინტერესდნენ და კიდევ რამდენიმე ბიჭი შემოგვიერთდა.

— მე მშენებელი ვიქნები და აუცილებლად დიდ სახლს ავაშენებ...

— შენ, ალბათ ნოდარი ხარ, არა? შენი სურვილი კედელზე წაიკითხე...

— დიახ, ნოდარი ვარ. სხვათა შორის, ფეხბურთს მეც კარგად ვთამაშობ, მაგრამ მაინც, მუშა მინდა გამოვიდე.

— მე აკაკი ცოფურაშვილი ვარ. ამ კედელზე გამოფენილ ნახატებს ხომ ხედავ? — თითქმის ყველა ჩემი დახატულია, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, მხატვარი გავხდები თუ არა.

— მე კვაჭი ვარ, წაქაძე. ბაბუაჩემის სახელი მქვია. ზესტაფონიდან ვარ. სახლში ხანდახან მივდივარ ხოლმე. იცი, მე მეგრული ვიცი — ამ ენაზე ისე ვლაპარაკობ, როგორც ქართულად.

— ზესტაფონელმა მეგრული საიდან იცი?

— მეგრელი მამა მყავდა. გვარად გოგავა იყო, გარდაიცვალა. მე დედის გვარზე ვარ. მეგრული კი, მამაჩემის დებმა მასწავლეს.

გიორგი ქეცბაია:

— მეც ვიცი მეგრული, გალში ვისწავლე.

ამასობაში, ანსამბლ „გვირილას“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ერნა წიფურია, ბავშვებთან ახალ სიმღერაზე მუშაობას მორჩა და თითოეულ მათგანს „პეჩენია“ ჩამოურიგა. ერთი ბავშვი ჩემთან მოვიდა და ჩურჩულით მკითხა:

— რუსი რომ ვარ, ფილარმონიაში მაინც მამღერებენ?

— რა თქმა უნდა, გამღერებენ...

— მალე დაბადების დღე მაქვს, 11 წლის ვხდები. რამდენიმე ბავშვს რესტორანში წავიყვან და მაგრა ვიქეიფებთ.

— მართლა? მეც დამპატიჟებ?

— არ ვიცი, ბიძაჩემს უნდა ვკითხო — ის მიხდის დაბადების დღეს.

— შენ მშობლები გყავს?

— კი, დედაც მყავს და მამაც. აფრიკაში ცხოვრობენ. ხშირად მაკითხავენ და სახლში მივყავარ ხოლმე.

ჩემი ყურადღება ფანჯარასთან მდგარმა გოგონებმა მიიქციეს, რომლებიც შორიდან, ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ყველაზე სევდიანი ჩანდა, სახელი ვკითხე.

— ფატი მქვია — *ჩუმად მიპასუხა და თავი დახარა.*

— თუ არ ვცდები, შენ აქ ყველაზე დიდი უნდა იყო, არა?

— დიახ, 16 წლის გავხდი. მეცხრე კლასს რომ დავამთავრებ, აქედან უნდა წავიდე.

— სად უნდა წახვიდე? მშობლები გყავს?

— მამა ადრე მომიკლეს — რუსეთში. ამ ცოტა ხნის წინ კი, დედაც მოკლეს. გათხოვილი და და ერთი უფროსი ძმა მყავს... თუ სპონსორი გამომიჩნდება, სწავლას გავაგრძელებ, თუ არა და მუშაობას დავიწყებ სადმე — თავი რაღაცით ხომ უნდა ვირჩინო?

— შენ თურმე, ძალიან კარგად მღერი.

— სიმღერაზე არასოდეს მივლია, უბრალოდ, ბავშვობიდან ვმღეროდი და ვცეკვავდი, ამით ვერთობოდი.

ფატის გვერდით მდგარმა გოგონამ ველარ მოითმინა და ჩვენს საუბარში ჩაერთო.

— მე მადონა მქვია. დედა მანაველი მყავს. მალე დაბადების დღე მაქვს და ჩვენც მაგრად ვიქეიფებთ. უპატრონო კი არ ვარ, აქ მხოლოდ სუფთა ჰაერის გამო მომიყვანეს... იცი, ინდურ სიმღერებს ვმღერი კარგად. გინდა, ვიმღერო?

— მინდა.

კვაჭი:

— „ბლატაობს“, განა მართლა მღერის...

მადონამ მთელი მონდომებით დაიწყო სიმღერა — „ჯიმი, ჯიმი, ჯიმი, აჯა, აჯა, აჯა...“ (ინდური ფილმიდან — „დისკოს მოცეკვავე“).

— მადონა, ვინ გასწავლა ინდური სიმღერა?

— მამაჩემმა, ისიც კარგად მღერის.

საუბარი ერთმა ბიჭმა შეგვაწყვეტინა:

— წამოდი, ჩვენი გაკეთებული მაგარი რაღაცები უნდა გაჩვენოთ.

გვერდით ოთახში გადავინაცვლეთ, რომლის კედლებზეც ლამაზი ჩანთები ეკიდა. იქვე, ქანდაკებები და გოგონების ხელით დამზადებული სხვადასხვა ფერის შარფები ეწყო. განსაკუთრებით, ერთი შარფი მომეწონა — თექითა და ბისერებით გაწყობილი, რომელიც ფატის ნახელავი აღმოჩნდა. ის მომიახლოვდა და ჩუმად მითხრა:

— ახლავე დავიწყებ შენთვის საჩუქრის გაკეთებას და მეორედ რომ ჩამოხვალ, გაჩუქებ. ხომ ჩამოხვალ?

— რა თქმა უნდა, აუცილებლად გინახულებთ.

საუბარში მადონა ჩაერთო:

— არ შეიძლება, რომ ჩვენთან მომღერლები ჩამოიყვანოთ? მარტო თამუნა ამონაშვილი ჩამოდის ხოლმე, ისიც — იშვიათად...

ჩვენი წასვლის დრო ახლოვდებოდა. გარეთ გამოვედით. რამდენიმე ბიჭი სამარშრუტო ტაქსიში ჩამალულიყო და სიგარეტს ეწეოდა.

— ბიჭებო, არ გრცხვენიათ? რა დროს თქვენი სიგარეტია? — *ვუსაყვედურე, მაგრამ არა მგონია, ჩემს შეგონებას რაიმე აზრი ჰქონოდა. ერთ-ერთმა მათგანმა უკანა სავარძლიდან თავი ამოყო და ამაყად მითხრა:*

— მე არ ვწევი, მარტო ესენი ეწევიან.

ხასიათი გამიფუჭდა. ჩემს ადგილას მოვკალათდი. ამასობაში, ჩვენი მანქანაც დაიძრა. „მხატვარი“ აკაკი გაიქცა და ჭიშკარი გაგვიღო. ბავშვები ჟრიამულით მოგვდევდნენ უკან და რაღაცებს გვთხოვდნენ, მაგრამ განსაკუთრებულს არაფერს — გოგოებს ჩვენი ჟურნალი უნდოდათ — ჩვენს საყვარელ მომღერლებზე კარგ ამბებს წავიკითხავთო. ბიჭებს კი, ძირითადად, სპორტული გაზეთები აინტერესებდათ და ფეხბურთელების პლაკატებიც დამაბარეს.

ჩვენი მანქანა ჭიშკრიდან რომ გავიდა, სახლის კართან მდგომი ფატი დავინახე, რომელიც სევდიანი მზერით მაცილებდა და ჰაეროვან კოცნას მიგზავნიდა.

უახლოეს მომავალში, მარტყოფს აუცილებლად ვესტუმრები და შევეცდები, ბავშვების სურვილები მაქსიმალურად დავაკმაყოფილო...

■

ანსამბლ „გვირილას“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ერნა წიფურია, ბავშვებთან ახალ სიმღერაზე მუშაობას მორჩა



შვილი დედის ცხოვრებაში ძალიან ბევრ რამეს ცვლის. ახალი წევრის შემატებას ოჯახში, სიხარულთან ერთად, არაერთი პრობლემაც მოაქვს. განსაკუთრებით, დიდი თავსატეხი უჩნდებათ იმ ქალბატონებს, რომელთ-აც არ სურთ, შვილის შეძენის შემდეგ, სამსახური დაკარგონ, ბავშვის დამტოვებელი კი არ ჰყავთ. ერთი შეხედვით, პრობლემა უფრო იოლად მოგვარდება, როდესაც თქვენი პატარა ფეხს აიდგამს და ლაპარაკს დაიწყებს. ძიძასაც უფრო თამამად ანდობთ ბავშვს და მისი ბაგა-ბაღში მიყვანაც უკვე შეგეძლებათ. ამ გადაწ-ყვეტილების მიღების შემდეგ, ძიძის ან საუკეთესო ბაგა-ბაღის მოძებნას იწყებთ.

პედაგოგის არასწორი მიდგომა, უხეში დასჯის მეთოდები და ბავშვის მწრული აგრესია

ნინო ჯავახიშვილი

არჩევანის გაკეთება არცთუ ისე ადვილი საქმეა. რამდენიმე თვის წინ, თავად დავდექი მსგავსი პრობლემის წინაშე და ჩემს სახლთან ახლოს მდებარე რამდენიმე ბაგა-ბაღიც მოვინახულე. ერთ-ერთში ასეთ სურათს წავაწყდი — მასწავლებელი ორიოდე წლის ატირებულ ბიჭუნას ხელზე ცივ ტილოს ადებდა და სისხლს წმენდდა, ხოლო მეორეს — „დამნაშავეს“ ტუქსავდა — ძაღლი ხომ არა ხარ, რატომ მივარდი ან ასე ძალიან როგორ უკბინეო?! გულახდილად გითხრათ, ჩემი შვილი — წლისა და 4 თვის მარიამი „დასაკბენად“ ვერ გავიმეტე, თან უსუფთაობაც მომხვდა თვალში და უკან გამოვბრუნდი... კიდევ რამდენიმე ბაგა-ბაღი მოვიარე და აღმოჩნდა, რომ არც სხვაგან იყო შესაშური მდგომარეობა. ბოლოს, ყველასგან ნაქები, რაიონში პრესტიჟულად აღიარებულ ბაგა-ბაღსაც მივაკითხე. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა — შენობა გარემონტებული იყო, ოთახებში ახალი ავეჯი იდგა — საწოლები, მაგიდები, სკამები. სისუფთავე შესვლისთანავე თვალში საცემი იყო. ძიძას გავესაუბრე და მეორე დღეს, უკვე ბავშვთან ერთად მივედი. ოთახში შესვლისთანავე, უცხო ბავშვმა დანარჩენების ყურადღება მიიქცია. ერთ-ერთი კი, უეცრად გამოქანდა, კართან ატუზულ მარიამს ხელი ჰკრა და წააქცია. ბავშვი წამოვაყენე, მასწავლებელი კი (ახალგაზრდა გოგონა გახლდათ) ანც ბავშვს მიუტრიალდა და ისე გამეტებით გაულანწუნა ხელი სახეში, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. ესეც არ აკმარა — წადი ახლავე და კუთხეში დადექიო! — უბრძანა. სიბრაზისა და გაოცებისგან თვალებიდან ნაპერწკლები მეც გადმომცვივდა. ბავშვი ცოდვაა-მეთქი, — მასწავლებლის მისამართით ვთქვი, ჩემს შვილს ჩავავლე ხელი და უკანმოუხედავად წამოვედი.

ჯერჯერობით, ბავშვის ბაგა-ბაღში მიყვანის სურვილი გამიქრა და შვილი კვლავ საიმედო ძიძას — ბებიამისს მივაბარე. მაგრამ ყველას ამის შესაძლებლობა როდი აქვს, ამიტომ იძულებულნი ხდებიან, ბაღს მიანდონ საკუთარი პირმშო.

როგორ ეგუებიან ბავშვები ახალ გარემოს და მოსწონთ თუ არა იქაურობა, როგორია მათი ფსიქოლოგია ამ ასაკში? აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბავშვი უფრო ადვილად ეგუება ახალ გარემოს და თანატოლებთან ერთად ყოფნაც მოსწონს, ხშირ შემთხვევაში კი, თავდაპირველად მაინც, მშობლებს ტირილ-ტირილით მიჰყავთ პატარები ბაგა-ბაღში. ფსიქოლოგი ბაია ნიკოლაიშვილი სკოლამდელი ასაკის ბავშვების თავისებურებებზე და იმის შესახებ გვესაუბრება, თუ როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ან აღმზრდელი, როდესაც ბავშვს ახალ გარემოსთან შეგუება უჭირს და კიდევ — საერთოდ, ღირს თუ არა შვილის ბაგა-ბაღში შეყვანა?

ბაია ნიკოლაიშვილი, *ფსიქო-სოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობის“ კრიზისული დახმარების და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი:*

— ზოგჯერ, არც მშობლებს და არც აღმზრდელებს ბოლომდე არა აქვთ გაცნობიერებული ის, რასაც ბავშვები სოციალიზაციის პროცესში განიცდიან. მათ უჭირთ კრიზისული პერიოდების გადალახვა და ხშირ შემთხვევაში, ისეთ სიძნელეებს აწყდებიან, რომლის გადაჭრაც თვითონ უჭირთ. მოკლედ, ჩამოვთვლი იმ ძირითად პრობლემებს, რასაც სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებში ვხვდებით — ეს არის დაჩაგვრა, იგნორირება, პროტესტის გამოხატვა, ლოგონევროზი, ქცევის მოშლა, ემოციური ლაბილობა (მგრძნობელობა), ოჯახის რომელიმე წევრთან ან წევრებთან ზედმეტი მიჯაჭვულობა და სხვა ემოციური დარღვევები. ნებისმიერ ასაკში, დღიდან დაბადებისა ბავშვისთვის ოჯახი ძირითადი მნიშვნელობისაა. პიროვნების ჩამოყალიბებაში, ოჯახის წევრების თანაცხოვრების სტილი დიდ როლს თამაშობს. ბავშვის აღზრდაში გასათვალისწინებელია, როგორც მშობლებისთვის, ასევე საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის, რომ დაუკმაყოფილონ მას ისეთი ძირითადი მოთხოვნილებები, როგორიცაა — დაცულობა, აღიარება, უსაფრთხოება. ზოგიერთი პედაგოგის არასწორმა მიდგომამ (უხეშმა ტონმა, ზედმიწევნით

ჯერჯერობით, ბავშვის ბაგა-ბაღში მიყვანის სურვილი გამიქრა და შვილი კვლავ საიმედო ძიძას — ბებიამისს მივაბარე

რაიმეს მოთხოვნამ, ხშირმა შენიშვნამ, დასჯის მეთოდებმა, იგნორირებამ) შეიძლება წნეხის ქვეშ მოაქციოს მისი თვითშეფასების უნარი და ხელი შეუშალოს მის პიროვნულ თუ ინტელექტუალურ ზრდას. მშობელსაც და აღმზრდელსაც სრული შესაძლებლობა აქვთ, ბავშვი გახსნან.

— უჭირთ თუ არა სკოლის პირობებთან შეგუება იმ ბავშვებს, რომელთაც არ უვლიათ ბაღში?

— ზოგიერთ ბავშვს, ოჯახური იზოლაციური აღზრდის ანუ დედაზე ზედმეტად მიჯაჭვულობის გამო, უჭირს ადაპტირება და ინტეგრირება ახალ, მისთვის უცხო გარემოსთან. ზოგ შემთხვევაში კი, ისინი წარმატებულად ადაპტირდებიან ბაგა-ბაღშიც და სკოლაშიც. ეს ბავშვზეც არის დამოკიდებული და კიდევ იმაზეც, რამდენად არის მომზადებული ფსიქოლოგიურად ახალი სიტუაციისთვის, ცვლილებისთვის. მათ, ვინც ეს სიძნელეები უკვე სკოლამდელ ასაკში გადალახა, ბუნებრივია, აღარც სკოლის გარემოსთან შეჩვევა უჭირთ.

— რა როლს ასრულებს თამაში ბავშვის ფსიქოფიზიკურ განვითარებაზე?

— თამაში, ეს არის გრძნობების გამოხატვის საშუალება, მოძრაობა, გამარჯვება, სიხარული, საიმოვნება. ამასთან ერთად, მისთვის თამაში სერიოზული საქმეცაა და უფროსებიც მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ ამ საკითხს. თამაში უფროსებს იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ უკეთესად შევისწავლოთ ბავშვის განცდები, ინტერესები, მოთხოვნილებები, პატარებს კი, გარკვეული უნარ-ჩვევების შესაძენად ეხმარებათ. თამაშს თერაპიული ფუნქციაც აქვს. ბავშვში ის ბუნებრივი თვითგამოხატვის უნარს აღვივებს. აძლიერებს თვითმართვის შესაძლებლობას.

— ოჯახში თუ ბაღში არსებული არასასურველი გარემო (იგივე დაჩაგვრა, დასჯა, მითითება), როგორც აღნიშნეთ, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ასეთ შეთხვევაში ხომ არ ჯობია, რომ ის, საერთოდ არ მივიყვანოთ ბაგა-ბაღში?

— როგორც უკვე ვთქვი, ბავშვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღიარებას, მხარდაჭერას, რაც მას უცხო გარემოში უნდა დახვდეს. რა თქმა უნდა, ის უნდა გრძნობდეს უსაფრთხოებას, ასაკის შესაფერის თვითდარწმუნებას და გარკვეულწილად, კომპეტენტურობასაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, დასჯამ, ხშირმა შენიშვნამ და აგრესიამ მასში კონფლიქტური, მტრული განწყობილებების ჩამოყალიბება გამოიწვიოს. ვფიქრობ, რომ მოზარდის თანატოლებთან, საბავშვო კოლექტივთან ურთიერთობა აუცილებელია. ის შეიძენს ჯანსაღ უნარ-ჩვევებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი კატეგორიულად წინააღმდეგია საბავშვო ბაღში სიარულის, ვერ ეგუება პირობებს, უჭირს ადაპტაცია, სასურველია — მშობელი გაერკვეს მის პრობლემებში და იმ გარემოში, რომელიც ასე მიუღებელია მისი შვილისთვის. ბავშვის ბაღში ძალდატანებით ტარება კარგ შედეგს არ გამოიღებს...

ბავშვის ბაღში ძალდაგანებით ტარება კარგ შედეგს არ გამოიღებს...

ფსიქოლოგისგან ცოტა არ იყოს, განსხვავებული აზრი აქვთ თავად ბაგა-ბაღების მასწავლებლებს და მათ თანაშემწეებს.

ლალი ბერიძე *უკვე 8 წელია, რაც აღმზრდელის თანაშემწედ მუშაობს და ბევრი სირთულის მიუხედავად, თავისი პროფესია ძალიან უყვარს. მისი აზრით, კრიზისული პერიოდის გადალახვის შემდეგ, ყველა ბავშვი ეგუება ახალ გარემოს და მიაჩნია, რომ ბავშვის აღზრდას და განათლებას საფუძველი სწორედ ამ დაწესებულებაში ეყრება და არა — სკოლაში.*

— პატარებთან ურთიერთობა და მუშაობა, მათთვის ხასიათის შეწყობა, რა თქმა უნდა, ძალიან რთული და დამღლელია. რადგან ბავშვის ფსიქოლოგია აბსოლუტურად განსხვავებულია და ძნელად გასაგებია. ამის ძალა და ენერგია კი, ყველა აღმზრდელს როდი აქვს. ამიტომაც, თუ ბავშვები არ გიყვარს, ბაღში არც უნდა მუშაობდე.

— მაინც რამდენ ხანს გრძელდება ხოლმე ეს შეგუების პროცესი?

— ზოგჯერ, ბაგა-ბაღში პირველად მიყვანილი ბავშვი, 5-10-წუთიანი ტირილის შემდეგ, ადვილად შემოდის კონტაქტში, იწყებს ბავშვებთან თამაშს და შეიძლება, მთელი დღე ისე გავიდეს, რომ დედა არც კი გაახსენდეს. ზოგი საათობით, გადაბმულად ტირის და ამიტომ, მშობლებს უკანვე მიჰყავთ. პირველ დღეს, 1-2 საათით ტოვებენ, მერე — ცოტა უფრო დიდხანს და ისინიც, სიტუაციას ნელ-ნელა ეგუებიან. საერთოდ, თითოეულ ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, ის, თუ როგორ მოხდება მისი ინტეგრირება ახალ გარემოში, პირველ რიგში, აღმზრდელზეა დამოკიდებული. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ის გიყვარს. ზოგიერთმა მათგანმა, ერთი რომელიმე მასწავლებლის ამოჩემება იცის და სულ მასთან ყოფნა უნდა. მახსოვს ერთ ბავშვს მხოლოდ ჩემთან უნდოდა ყოფნა, სხვასთან არ რჩებოდა და იძულებული ვიყავი, ოთახიდან გასვლის დროსაც კი, თან წამეყვანა.

— ერთმანეთს ხშირად ეჩხუბებიან თუ არა და როდესაც რაიმეს აშავებენ, როგორ სჯით ხოლმე მათ?

— არიან აგრესიული ბავშვები, რომლებიც დანარჩენებს სცემენ. მიზანშეწონილი არ არის, რომ მასწავლებელმა ბავშვი სცემოს, ამიტომაც „დაზარალებულს“ თავის დაცვას ვასწავლით. ვცდილობთ, დარიგებით და შეგონებით გავაგებინოთ, რომ ეს ცუდი საქციელია — ზოგჯერ, ბოდიშს ვახდევინებთ, ზოგჯერ კი ან კუთხეში ვაყენებთ, ან ცალკე მაგიდასთან ზურგით ვსვამთ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ შენიშვნის მიცემა არ სიამოვნებთ, აქეთ გვადანაშაულებენ — თქვენ კარგად ვერ დაინახეთო. არადა, ხომ ვიცით, ვინ რისი გამკეთებელია. როცა ვეტყვით, ჩვენ სპეციალური აპარატი გვაქვს და ყველაფერი დავინახეთ-თქო, მხოლოდ მერე აღიარებენ ხოლმე დანაშაულს...

— უფრო მეტად რა თამაშები უყვართ პატარებს და რამდენად კონტაქტურები არიან ისინი?

— პატარებს, ერთად თამაში ძალიან უყვართ. 4-5-წლიანთა ჯგუფში კი, უკვე დაჯგუფებულები არიან. ძალიან მოსწონთ „დროშობანა“, „მატარებლობანა, „ბატებო, ბატებო, სად ხართ“, მოძრავი თამაშები, ვთქვათ — „ქორი და ფრინველები“. ქორი დააცხრება ფრინველებს, ბავშვები გარბიან — ვინ უფრო მალე მოძებნის სამალავს. ვინც ვერ დაიმალება, ქორის მსხვერპლი ხდება. ერთი სიტყვით, ბავშვები კარგად ერთობიან ხოლმე.

■

პროფესიით იურისტი მერი მაღლაფერიძე, სახალხო დამცველის აპარატში ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრს ხელმძღვანელობს. სხვაგვარად, მას ბავშვთა ომბუდსმენსაც უწოდებენ. ის ბავშვთა სახლების ხშირი და მოულოდნელი სტუმარია. მის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, სახალხო დამცველის ყოველწლიურ მოხსენებაშიც აისახა, მაგრამ ყოველ კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება, შესაბამისი სახელმწიფო უწყების კომპეტენციაში შედის. როგორია უფლებააყრილი ბავშვების მიწიერი ოცნებები, მშიერი ინვალიდების და სასუნთქი გზებით დაავადებული ბავშვების ყაზარმული ცხოვრება — ამ ყველაფერზე, თავად ბავშვთა ომბუდსმენი გვიამბობს.

რა ევალება და რა შეუძლია ბავშვთა ომბუდსმენს

„ავჭალის ბავშვთა სახლში საშინელი სურათი დამხვდა...“

ემა ტუხიაშვილი

— ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც ამ სამსახურს ვხელმძღვანელობ, მაგრამ უკვე შევძელი, რომ საქართველოში არსებული 42 ინსტიტუციური დაწესებულება მომენახულებინა. მათ შორისაა როგორც ჩვეულებრივ ბავშვთა სახლები, ასევე სკოლა-ინტერნატები, შეზღუდული უნარის მქონე ბავშვთა პანსიონები და სხვა. მდგომარეობა ძალზე მძიმეა, უმეტესად კი — იქ, სადაც სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვები ცხოვრობენ. მაგალითად, კასპის ბავშვთა სახლში მისულებს, შემზარავი სურათი დაგვხვდა: ინვალიდი ბავშვები დასჯილებივით, უმოძრაოდ ისხდნენ შენობის ერთ ნაწილში, სადაც ისეთი საშინელი სუნი იდგა, რომ წუთით ვერ გაჩერდებოდი, აღმზრდელები კი, თავისთვის მშვიდად მუსაიფობდნენ. ამ ბავშვთა სახლში აღსაზრდელების მიმართ ისეთი დამოკიდებულებაა, თითქოს ისინი ბავშვები კი არა, რაღაც მცენარეები არიან. მხოლოდ ღმერთმა უწყის — რითი იკვებებიან ეს ბავშვები. თუმცა, უარესიც ხდება, ზოგი ინვალიდი ბავშვი, იმის გამო, რომ დამოუკიდებლად ჭამა არ შეუძლია, საერთოდ მშიერი რჩება. გაოგნებული დავდიოდი კასპის ბავშვთა სახლში და ვცდილობდი, რომ ერთი სათამაშო მაინც მეპოვა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ, ერთი აღმზრდელი რის ვაი-ვაგლახით წამოიზლაზნა, დანგრეულ კარადასთან მიმიყვანა, რომელსაც უშველებელი ბოქლომი ედო და ისე, რომ კარადის შიგთავსისთვის თვალი არ მომეკრა, იქიდან დაძონძილი სათამაშო კურდღელი გამოაძვრინა... მონიტორინგის განსახორციელებლად, ჩვენი წარმომადგენელი ბათუმის ბავშვთა სახლში გახლდათ ჩასული. გაოგნებული დარჩა, როდესაც მედიკამენტების ნაცვლად, თაროზე ცარიელი კოლოფები აღმოაჩინა. წმლები კი არა, ბავშვთა სახლში, სადაც უამრავი აღსაზრდელი ცხოვრობს, თერმომეტრიც კი არ ჰქონდათ.

— ალბათ, მსგავსი დარღვევების აღმოჩენა, მხოლოდ გაუფრთხილებელი, მოულოდნელი რეიდის დროსაც არის შესაძლებელი...

— რა თქმა უნდა. წინასწარ არავინაა ინფორმირებული — როდის რომელ ბავშვთა სახლს შევამოწმებთ, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მათ მოულოდნელად ვესტუმრებით, იქაურ პერსონალს, რამდენიმე ნაცადი ხერხი აქვს შემუშავებული. მაგალითად, პირველად გთხოვენ, რომ წაბრძანდე და მათი სააქტო დარბაზი დაათვალიერო, ამ დროს კი, სხვა თანამშრომლები შეეცდებიან, ჩაბინძურებული საძინებლები მოაწესრიგონ. როდესაც მათი ხრიკები შევისწავლე, ერთ-ერთ ბავშვთა სახლში ვიზიტისას, გეზი პირდაპირ საძინებლისკენ ავიღე. შევესწარი, როგორ ცდილობდნენ ჭუჭყისგან გაშავებული თეთრეულის გამოცვლას, მაგრამ ის, რომ ბავშვებს დაუბანლობისგან კანი დამსკდარი და თმა დატილიანებული აქვთ, შემოფლეთილ

ბავშვებიც იმდენად ჰყავთ აღმზრდელს „დამუშავებული“, რომ თავის პრობლემებზე ღიად საუბარს ერიდებიან

სამოსი აცვიათ, ამის შელამაზება რამდენიმე წუთში ძალიან უჭირთ ხოლმე. სხვათა შორის, ბავშვებიც იმდენად ჰყავთ აღმზრდელს „დამუშავებული“, რომ თავის პრობლემებზე ღიად საუბარს ერიდებიან, მაგრამ ერთხელ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ ბავშვთა სახლს (იმ სახლის აღსაზრდელების თხოვნით, არ დავკონკრეტდები), გვიან ღამით ვესტუმრეთ. დირექტორი არ დაგვხვდა და შესაბამისად, სხვა თანამშრომლებმა სიტუაცია ბოლომდე ვერ გააკონტროლეს. მოხდა ისე, რომ აღსაზრდელებთან სრულიად მარტო დაგვტოვეს. ერთი საათის განმავლობაში ვცდილობდი, რომ ბავშვებთან გულახდილად მესაუბრა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ სხვა ხერხს მივმართე და ვთხოვე, რომ ფურცლებზე თავიანთი ოცნებები დაეწერათ. როდესაც მათი ნაწერი წავიკითხე, გაოგნებული დავრჩი, რადგან ბავშვები ნატვრის თვალს, მხოლოდ ოთხი ელემენტარული სურვილის ახდენას სთხოვდნენ: ნორმალურ საკვებს, სისუფთავეს, ექსკურსიაზე წასვლას და სასტიკი პედაგოგებისგან გათავისუფლებას.

— ალბათ, თბილისის ბავშვთა სახლებში გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე რაიონებში, არა?

— ცოტა ხნის წინ, თბილისის გარეუბანში, ავჭალის ბავშვთა სახლში ვიყავი. საშინელი სურათი დამხვდა — საუკუნოვან დანგრეულ შენობაში, რომელსაც სახურავი ფაქტობრივად, აღარ შერჩა, სასუნთქი გზებით დაავადებული ბავშვები ცხოვრობენ და წარმოიდგინეთ, რომ მათ ამ პირობებში, თითქოს მკურნალობენ კიდეც. პატარებს პირსაბანიც კი არა აქვთ, ტუალეტში რომ შევიხედე, კინაღამ წავიქეცი, ისეთი სიბინძურე იყო. იქვე უამრავი, ჭუჭყისგან გაშავებული პირსახოცი ეკიდა. შემდეგ, სასადილო ოთახში შევიხედე. გაჭვარტლულ, ბნელ ოთახში მხოლოდ ერთი ნათურა ბუუტავდა. ბავშვები ერთმანეთთან შეტყუპებულ მერხებთან ისხდნენ და სადილობდნენ. ნახევარზე მეტს ჩანგალი არ ჰქონდა და საჭმელს თეფშიდან პირდაპირ ხელებით იღებდა. შემდეგ, დავათვალიერე საძინებელი ოთახი, რომელიც უზარმაზარ ყაზარმას ჰგავდა, სადაც 40 ავადმყოფ ბავშვს ერთად ეძინა. ამ უშველებელ ოთახში. მხოლოდ ერთი პატარა ღუმელი იდგა და ეტყობოდა, რომ მას იშვიათად ანთებდნენ. ბავშვებიც გამომიტყდნენ, რომ ზამთარში მათი საძინებელი თითქმის არ თბება და ღუმლის დანთების უფლებას პედაგოგები მხოლოდ მაშინ აძლევენ, როდესაც ბავშვები ფიჩხის საკმაო რაოდენობას მოაგროვებენ. ხოლო, რამდენად რეკომენდებულია სასუნთქი გზებით დაავადებული ბავშვებისთვის ფიჩხის შეგროვება და მათ ნამწვავში ძილი, უკვე სხვა თემაა. კანონი პირდაპირ ავალდებულებს შესაბამის ინსტიტუციებს, რომ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ოჯახური გარემო შეუქმნან. ჩვენი მოვალეობაა, რომ ყველა კანონდარღვევა გამოვავლინოთ, მათზე რეაგირება კი, სხვა სახელმწიფო უწყებების საქმეა.

— ბავშვთა სახლების გარდა, ბავშვების უფლებები ქუჩაშიც, სკოლაშიც და ზოგჯერ ოჯახშიც ირღვევა.

— გეთანხმებით, მაგრამ შესაბამისი ინფორმაციის გარეშე, ამ პრობლემების მოკვლევა რთულია. მაგალითად, გვქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვთა თავშესაფარში მყოფი გოგონა გვთხოვდა, რომ იგი საკუთარი დედისგან დაგვეცვა. 14 წლის მოზარდი, დედის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სახლში წასვლაზე უარს აცხადებდა. ასეთი დავა, საბოლოოდ, მაინც სასამართლოს გადასაწყვეტია. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ მართლმსაჯულებას, მშობლისა და შვილის შესახებ ობიექტური ინფორმაცია მივაწოდო. რეაგირების გარეშე არც თერჯოლაში მომხდარ თვითმკვლელობის ფაქტს დავტოვებთ. ბავშვმა წერილი დატოვა, სადაც თავისი უფლებების დარღვევაში მასწავლებლებსაც ადანაშაულებს, ამიტომაც დეტალურად უნდა გავერკვეთ იქ არსებულ პრობლემებში.

■

მომღერალმა კახა კუხიანიძემ მოლდავეთში გამართულ კონკურსზე — „ხრუსტალნი აისტ“ მიიღო მონაწილეობა და ჟიურის წევრების სიმპათია, მათი საქმიანი შემოთავაზებები და II ადგილი დაიკავა. კახა თინეიჯერებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს და როგორც თვითონ ამბობს: არ მიყვარს, როცა ზარებს მიშვებენ, ტელეფონს მითიშავენ — ეს ძალიან მაღიზიანებსო, მაგრამ...

მოლდავური წარმატებები, დაჩაბრული „დედიკოს“ ბიჭები და უიტნი ჰიუსტონის ბიჭი ფანი

ლიკა ქაჯაია

— მოსკოვისა და მოლდავეთის საპროდიუსერო ცენტრებმა მოლდავეთის ქალაქ ლუბერციში ჩაატარეს კონკურსი — „ხრუსტალნი აისტ“. ჩვენ, ინტერნეტით გავაგზანეთ სიმღერები, რაღაც მასალები და ისე მოხდა, რომ ქართველებიდან მარტო მე მიმიწვიეს. კონკურენცია დიდი იყო, კონკურსანტები მთელი ევროპიდან იყვნენ ჩამოსულები. იქ მომღერალს აფასებდნენ არა მარტო ხმით, არამედ რეპერტუარით, არტისტიზმით, სასცენო მოძრაობებით და ა.შ. ამიტომაც, ძალიან ბევრი კარგი მომღერალი კონკურსს მიღმა დარჩა.

— რას ნიშნავდა შენთვის ეს კონკურსი?

— ბევრ რამეს: მივიღე საკმაოდ კარგი შემოთავაზებები, დავიკავე მეორე ადგილი, თუმცა, ადვილად შესაძლებელი იყო, პირველ ადგილზეც გავსულიყავი.

— მერე, ხელი რამ შეგიშალა?

— ამ დონის კონკურსი მოლდავეთში პირველად ტარდებოდა და ბუნებრივია, გრან-პრი თვითონ დაიტოვეს...

— ბუნებრივი რატომ არის?

— იმიტომ, რომ ასეთი კონკურსი საქართველოში რომ ჩატარებულიყო, ჩვენც ასე მოვიქცეოდით, მთავარ პრიზს არავის გავატანდით... რაც შეეხება პირველ ადგილს — ამ ადგილზე, ფაქტობრივად, მე ვიყავი გასული — მოსკოველ მომღერალს ნახევარი ქულით ვუსწრებდი, მაგრამ „გრუზიას“ ვინ გაუშვებდა წინ?!.

თინეიჯერები ჩემთვის, ფრინველთან ასოცირდებიან

— ეი. იქ ყველაზე ძლიერი მომღერალი შენ იყავი?

— ამას ნამდვილად არ ვფიქრობ... მე ისედაც, იმაზე მეტი მივიღე, ვიდრე გრან-პრი და პირველი ადგილია.

— რას გულისხმობ?

— შემოთავაზებებს. ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლდათ ცნობილი რუსული ჯგუფის — „ასორტის“ წევრი ირინა, რომელიც დაჯილდოების ცერემონიის დღეს, სცენაზე ამოვიდა და მასის წინაშე განაცხადა: დიდი სურვილი მაქვს, რომ ქართველ კახასთან დუეტი ჩავწეროო... კონკურსანტებს შორის იყო 2 „ფაბრიკანტი“ — საკმაოდ ენერგიული და კარგი მომღერლები (სხვათა შორის, ერთ-ერთმა მათგანმა მესამე ადგილი დაიკავა), რომლებმაც ასევე დუეტის ჩაწერა შემომთავაზეს... გარდა ამისა, ჟიურის ერთ-ერთი წევრი, რადიო „როსიის“ დირექტორი გახლდათ. მან მთხოვა, ჩემი სიმღერები გავუგზავნო და მათ რადიოეთერში დაატრიალებენ. ვფიქრობ, რომ ეს, არა მარტო ჩემი, არამედ მთელი საქართველოს წარმატებაა.

— რუსეთის წარმომადგენლები ქართველს ცუდად ხომ არ გექცეოდნენ?

— არა, თავიდან, ცოტა არ იყოს შევშინდი, მაგრამ იქაური ხალხისგან იმდენი სითბო წამოვიდა, რომ გაოგნებული დავრჩი. როცა რესტორანში ან ბანკეტზე მივდიოდით, ყველა ჩვენ გვიძღვნიდა სიმღერას, მხოლოდ საქართველოსთვის მღეროდნენ. ამის გახსენებაზე, ახლაც ჟრუანტელი მივლის.

— რუს მომღერლებთან დუეტის ჩაწერას როდისთვის გეგმავ?

— როგორც იცით, მაქვს საკუთარი, ხმის ჩამწერი სტუდია, რომელშიც ახლა რემონტი მიმდინარეობს. როცა იქ ყველაფერი მოწესრიგდება, რუს მომღერლებს მოვიწვევთ, დუეტებს ჩავწერთ და მერე კონცერტსაც გავმართავთ.

— კახა, ვინ არიან შენთვის თინეიჯერები?

— თინეიჯერები არიან მოზარდები, რომლებიც ჯერ ჩამოყალიბებულები არ არიან. ისინი ჩემთვის, ფრინველთან ასოცირდებიან — იმიტომ, რომ ამ ასაკში ყოველთვის სადღაც დაფრინავ.

— ამ ასაკში შენ სად დაფრინავდი?

— ძალიან ბევრ ადგილას. იმიტომ, რომ მყავდა 1000 შეყვარებული, მქონდა მილიონი გატაცება. ახლა კი, დავსერიოზულდი, ჩამოვყალიბდი...

— 1000 შეყვარებულის ერთად ყოლა შესაძლებელია?

— პრინციპში — კი... მაგრამ სინამდვილეში, მათ შეყვარებულს ვერ დავარქმევ — ეს უფრო, რაღაც გატაცება, მოწონებაა. როცა შეყვარებული ვიყავი (მაგრამ — არა თინეიჯერობის ასაკში), მხოლოდ ერთ ადამიანზე ვფიქრობდი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თაყვანისმცემელი მყავს, თვალი არავისკენ არ გამირბოდა, მთელი ყურადღება მისკენ მქონდა მიპყრობილი.

— თაყვანისმცემლები გაწუხებენ ხოლმე?

— როცა ვიღაცას შენი ხმის გაგონება, შენთან კონტაქტი სურს, ეს შემაწუხებელი არ არის. პირიქით — მიხარია, როცა ადამიანი პატივს მცემს, ვუყვარვარ, ჩემ მიმართ დადებითად არის განწყობილი. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: არ მიყვარს, როცა ზარებს მიშვებენ, მირეკავენ და ხმას არ იღებენ, ტელეფონს მითიშავენ — ეს ძალიან მაღიზიანებს.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— თინეიჯერობიდან მოყოლებული, დღემდე ვგიჟდები უიტნი ჰიუსტონზე, სტივ უანდერზე და ა.შ. 24 საათის განმავლობაში „მათთან ერთად“ ვმღეროდი. ფაქტობრივად, ჩემი მასწავლებლები ისინი იყვნენ (რადგან მუსიკის სხვა პედაგოგი არ მყოლია), შეიძლება ითქვას, რომ მათ დახვეწეს ჩემი მუსიკალური გემოვნება.

— შენი ფანობა კიდევ რაში გამოიხატებოდა?

— ვაგროვებდი და სახლში ვაკრავდი მათ პლაკატებს. უიტნის სურათი საფულეშიც კი მედო, ტელეფონის ეკრანზეც მისი ფოტო დავაყენე. მოკლედ, გიჟი ფანი ვარ.

— საცოლედ უიტნის ორეულსაც ხომ არ ეძებ?..

— ოჰ... ალბათ, ოცნებებში ამომხდება სული...

— უიტნი ხომ ნარკომანია და ამ ბოლო დროს, სცენაზეც აღარ გამოდის. ამაზე რას იტყვი?

— იცი, რა?.. მე ამას ასეთი ახსნა მოვუძებნე: როგორც ვიცი, ჩემი ოცნების ქალი და მისი მეუღლე ბობი ერთმანეთს დასცილდნენ. ბუნებრივია, რომ უიტნის მულმა მასზე ცუდი რაღაცები ილაპარაკა, ჭორები მოიგონა *(იცინის)*.. ან იქნებ, მართალია კიდეც, მაგრამ ვამბობ იმას, როგორც მინდა, რომ იყოს. ჰიუსტონს ცუდი რამე რომ დაემართოს, ამას ვერ გადავიტან. კონკურსზე წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ერთ-ერთი ჟურნალის საშუალებით ეს ამბავი გავიგე და იმდენი ვინერვიულე, რომ მეცადინეობის თავი აღარ მქონდა.

— შენზე თუ გაგიგონია რაიმე გამაღიზიანებელი ჭორი?

— ჩემზე გავრცელებული სასიყვარულო ჭორები გამიგონია, მაგრამ ეს არანაირად არ მაღიზიანებს. მეცინება, როცა მეგობართან დამაწყვილებენ, მას შემაყვარებენ, დამაქორწინებენ კიდეც და...

— თინეიჯერულ ასაკში ბიჭებს რა პრობლემები აქვთ?

— ვერ გეტყვი, რადგან ამ ასაკში არანაირი პრობლემა არ მქონია. ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც მინდოდა.

— იმ პერიოდში „შიკად“ რა ითვლებოდა?

— თუ ამ ასაკში მანდილოსანთან ურთიერთობა გქონდა, ე.ი. მაგარი იყავი. არ ვიცი, ეს როგორ აგიხსნა, ამის აფიშირება მეუხერხულება... თუ არავისთან არ გქონდა ურთიერთობა, მაშინ დაბალი „ღობე“ იყავი. ეს ის პერიოდია, როცა თავი ჩამოყალიბებული გგონია, ამ დროს კი, ყველაფერი პირიქითაა — მაშინ იწყებ ჩამოყალიბებას, ფიქრობ, რომ დიდი კაცი ხარ, გინდება სიგარეტის მოწევა და ა.შ. მით უმეტეს, როცა წვერი ამოგდის, თავს სრულფასოვან მამაკაცად მიიჩნევ.

— შენ როდის იგრძენი თავი სრულფასოვან მამაკაცად?

— წვერი 12 წლის ასაკში ამომივიდა და ამით ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მამაპაპური ულვაშის დაყენება არასდროს მომნდომებია. რაღაც სხვანაირი ვიყავი, თმას ყოველთვის ზღარბივით ვიყენებდი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ასეთი ვარცხნილობა მოდაში არ იყო.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ ითვლებოდი?

— ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვსწავლობდი სკოლაში, სადაც დედაჩემი მუშაობდა და ვერაფერს „გავახალტურებდი“. თუმცა, ზარმაცი და ბუნტისთავიც ვიყავი.

— ბუნტისთავობა რაში გამოიხატებოდა?

— იმავე „შატალოებში“... არ მიყვარდა გაკვეთილებზე ჯდომა. ერთი სული მქონდა, როდის დაირეკებოდა ზარი და ამიტომ, სხვებს ავიყოლიებდი და სკოლიდან ვიპარებოდით ხოლმე.

— და სად მიდიოდით?

— სად უნდა წავსულიყავით? პარკში...

— რატომ, სხვაგან წასასვლელი არსად იყო?

— დღეს რომ გვაქვს ფეშენებელური კინოთეატრები, მაშინ ასე არ იყო და ინდური ფილმების სანახავად ხომ არ ვივლიდით?!

— თინეიჯერი კახა როგორ ერთობოდა ხოლმე?

— საერთოდ, ბავშვობიდანვე მუსიკით ვიყავი დაინტერესებული, დავდიოდი კონცერტებზე, დისკოთეკებზე. მაგრამ დღეს ეს აღარ მიზიდავს, რადგან იქ უკვე იმდენჯერ ვიყავი (ყოველდღე და ღამე დისკოკლუბებში „ვეგდე“), რომ ეს ყველაფერი ყელში ამომივიდა. ხმაურიანმა მუსიკამ დამღალა.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი ხოლმე?

— დაახლოებით მე-8 კლასში ვიყავი, რაღაც კონცერტი ტარდებოდა და კლასის დამრიგებელმა სკოლიდან არ გამიშვა (არ იცოდა, ასეთ სერიოზულ საქმეში რომ ვიყავი ჩართული, რომ მთელი არსებით მუსიკას ვეკუთვნოდი) და გავიპარე. მეორე დღეს, ერთი ამბავი ატეხა და დამსაჯეს... 2 წლის წინ, ქუჩაში მნახა და იმ დღის გამო, ბოდიში მომიხადა — არ ვიცოდი, ასე თუ გიყვარდა მუსიკაო. იმის მაგივრად, რომ მეთქვა — რას ამბობთ?! — ვუპასუხე: არა უშავს, პატიება შეიძლება-მეთქი. მოკლედ, „ნაგლობაში“ გადავედი.

— მშობლები თუ გზღუდავდნენ რამეში?

— რა თქმა უნდა, ჰქონდათ იმის მცდელობა, რომ ჩემთვის რაღაც-რაღაცები აეკრძალათ, მაგრამ ყოველთვის ჩემი გამქონდა. თან, ისეთ რამეს არ გავაკეთებდი, რისთვისაც შეიძლება, შვილი სახლში ჩაკეტო და თუ გავაკეთებდი კიდეც, ამას ისინი ვერ გაიგებდნენ.

— ეი. მშობლები ყველაფერში გენდობოდნენ, არ გამოწმებდნენ?

— შემოწმება არ მჭირდებოდა. ვიტყოდი — იქ მივდივარ-მეთქი, — და ყოველთვის ყველაფერი გასაგები იყო. მოკლედ, მივდიოდი იქ, სადაც და როცა მინდოდა.

— თინეიჯერობის ასაკში ბიჭებს ქუჩური ცხოვრება იტაცებთ. შენს შემთხვევაში როგორ იყო?

— არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი და ვფიქრობ, რომ ამ ასაკში ეს გზა ყველამ უნდა გაიაროს.

— რატომ, ასეთი რა მოაქვს ქუჩაში დგომას?

— ცოდნა.

— რისი ცოდნა?

— ადამიანებთან ურთიერთობის, ცხოვრების, ზრდილობის, შავისა და თეთრის გარჩევის...

— და ქუჩის ბიჭები ე.წ. „დედიკოს ბიჭებს“ ჩაგრავდით ხოლმე?

— ისინი ისედაც დაჩაგრულები არიან — არ იციან ურთიერთობა, მათ ჩაკეტილ სივრცეში ზრდიან და ა.შ. ასეთ ხალხს კიდევ დაჩაგვრა უნდა?!.

— როგორ ფიქრობ — რითი განსხვავდებიან დღევანდელი თინეიჯერები შენი თაობის მოზარდებისგან?

— დღეს, თინეიჯერი ბევრად უფრო თავისუფალი ცხოვრებით ცხოვრობს. მათ უფრო მეტი გასაქანი და გასართობი ადგილი აქვთ.

— ესენი უფრო მეტად, განათლებულები არიან?

— ამას ვერ ვიტყვი, რადგან სწავლა საერთოდ აღარ აინტერესებთ. მხოლოდ ინტერნეტით შემოიფარგლებიან. უბრალოდ, ჩემი თინეიჯერობის დროს, ყველაფერი შავ-თეთრი იყო, ახლა კი...

— და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართველი და უცხოელი თინეიჯერები?

— მაგალითად, რუსისთვის ან ნებისმიერი უცხოელისთვის სულერთია — ვისთან გაატარებს ღამეს, ეს მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ქართველი გოგონასთვის კი... ჩვენ ისეთი ტრადიციები გვაქვს, რომელსაც არ უნდა გადავაბიჯოთ.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— თინეიჯერებს ბედნიერ, გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებდი და ვურჩევდი, რომ უყვარდეთ და გვერდში ამოუდგნენ, გაიტანონ ერთმანეთი.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც კახა თავის თინეიჯერულ ამბებს იხსენებს და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები რაღაც ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, მაშინ დაგვიმესიჯე ნომერზე: 899 17-35-27.* ■

ეკამეხმაურება

ეკა, *15 წლის:*

„ანი, ძალიან ლამაზი ხარ. ალბათ, შენი ბევრს შურს. მაინტერესებს, სად ყიდულობ ტანსაცმელს?“

ანი გიუნტერი:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ტანსაცმელს ვყიდულობ ყველგან, სადაც კი რაიმე მომეწონება.

გუჩი, *17 წლის:*

„თინეიჯერებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!“ ანი, ძალიან მომწონხარ. ერთი შეკითხვა მაქვს — რომელ კლუბს გულშემატკივრობ?“

ანი გიუნტერი:

— ვგულშემატკივრობ გერმანიის ნაკრებს, ასევე — „ბაიერნს“ და, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებს.

უცნობი, *16 წლის:*

„ანი, შენზე ვგიჟდები, შეიძლება ითქვას, რომ შენი ფანი ვარ. მინდა, რჩევა გკითხო — ბევრი თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ არც ერთი არ მომწონს, რადგან ერთი ბიჭი მიყვარს. ზოგჯერ მგონია, რომ მასაც მოვწონვარ, ზოგჯერ კი — არა. როგორ მოვაწონო თავი, როგორ დავადგინო, აქვს თუ არა ჩემ მიმართ სიმპათია?“

ანი გიუნტერი:

— მეც მქონია ასეთი შემთხვევა. ამიტომ გირჩევ — ყველაფერი დროს მიანდე, უფრო მეტი სითბო აგრძნობინე და არავითარ შემთხვევაში არ გადაერთო სხვაზე.

ნიცა, *17 წლის:*

„გამარჯობათ. ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდოთ, რადგან თქვენი რჩევა მჭირდება. ვარ ძალიან მაღალი (180 სმ) და გამხდარი გოგო. სიმაღლის გამო, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვექცევი, ამან დამაკომპლექსა. როცა წვეულებაზე მივდივარ, არავინ „მეცეკვება“ (ჩემი სიმაღლის არავინ არის): ბიჭებს თავისზე მაღალ გოგოსთან ცეკვა „უტყდებათ“, ამიტომ დებილივით ვდგავარ ხოლმე. რა მეშველება?“

ანი გიუნტერი:

— მეც დაახლოებით შენი სიმაღლის ვარ. მინდა გითხრა, რომ სიმაღლე შენი პლუსია და ამან არ უნდა დაგაკომპლექსოს. თუ არავინ „გეცეკვება“, მარტო იცეკვე და ვინმე აუცილებლად შემოგიერთდება. დებილივით, როგორც შენ ამბობ, ნუ დადგები და ყველაფერი კარგად იქნება.

კახა, *17 წლის:*

„ანი, გოგონებმა ზედმეტი თავის დაფასება რატომ იცით?.. თუ ბიჭი გიყვარს, პირდაპირ უთხარი, რა საჭიროა იმის თქმა — მომწონხარ, მაგრამ დრო მჭირდებაო?! შენი სათქმელი თქვი, რაღა!“

ანი გიუნტერი:

— დროის მიცემა ყველასთვის და ყველაფერში აუცილებელია, რადგან ჩვენს საქციელზე პასუხს ყველანი ვაგებთ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს მართლა ისაა, რაც გვჭირდება.

ანი, *13 წლის:*

„ანი, მაგარი ხარ. მართალია, ცუდია, „სასტავებად“ რომ ვიყოფით და უფრო დაბალი დონის ბავშვები გარიყულად რომ გრძნობენ თავს, მაგრამ რას იზამ?!. ძალიან მეცოდება ბევრი ჩემნაირი ადამიანი: მეც ხომ დაბალი დონის „სასტავს“ მივეკუთვნები“.

ანი გიუნტერი:

— პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ კატეგორიებად არავის ვყოფ, მაგრამ თუ ვინმეს შენთან მეგობრობა არ უნდა, რას იზამ?!. ვფიქრობ, რომ ყველამ თავის ტოლთან და სწორთან უნდა იმეგობროს“.

მარი, *15 წლის:*

„ანი, ჯიგარი ხარ, მაგრამ ერთ რამეში არ გეთანხმები — დღევანდელი თინეიჯერები ნამდვილად არ არიან ავარდნილები. არა, ზოგი შეიძლება იყოს, მაგრამ ამას ყველაზე ვერ იტყვი. რომ ამბობ — ქართულ სიმღერებს უსმენენო, ასე რატომ ფიქრობ? თინეიჯერი ვარ, მაგრამ უცხოურ მუსიკას ვუსმენ და არც ქართველ მომღერლებს არ ვლანძღავ“.

ანი გიუნტერი:

— ყველა ერთ ქვაბში არც მე ჩამიყრია. უბრალოდ, ვთქვი ის, რასაც ვხედავ და ვუსმენ.

ანი, *15 წლის:*

„სეხნია, ძალიან კარგი და ლამაზი გოგო ხარ, წარმატებებს გისურვებ“.

ანი გიუნტერი:

— დიდი მადლობა, შენც ასევე.

მარი, *15 წლის:*

„ანი, მაგარი ხარ. შენზე გიჟდებიან ნორიოელი ბიჭები. განსაკუთრებით, ბეგო მუხიაშვილი“.

ანი გიუნტერი:

— ეს ჩემთვის დიდი პატივია. სხვათა შორის, მეც ვგიჟდები, ოღონდ, ნორიოელ ბიჭებზე კი არა, არამედ იქაურ ბუნებაზე.

გიო, *20 წლის:*

„ანი, შენზე ვგიჟდები. ძალიან მინდა გაგიცნო და გულში ჩაგიკრა. მქონდეს თუ არა იმედი, რომ სადმე გაგიცნობ და შემიყვარებ?.. შენი გული თავისუფალია?..“

ანი გიუნტერი:

— იმედი ბოლოს კვდება. ისე, შეგიძლია, პირდაპირ ეთერში დამიკავშირდე. გეტყვი, რომ ქარივით თავისუფალი ვარ.

ერეკლე, *17 წლის:*

„ანი, შენი უბნელი ვარ. მაინტერესებს — რატომ დადიხარ ასე ამაყად?“

ანი გიუნტერი:

— ეს ჩემი სიარულის მანერაა. არა მგონია, ასეთი ამაყი ვიყო... რომ გამიცნობ, მერე მიხვდები, როგორიც ვარ.

ეკა, *18 წლის:*

„2 წლის წინ, ერთმა ბიჭმა მომიტაცა, მაგრამ ჩემებმა სახლში დამაბრუნეს, მასთან შეხვედრის უფლებას არ მაძლევდნენ. ამ რამდენიმე დღის წინ კი გავიგე, რომ ცოლი მოიყვანა. რა მეშველება?“

ანი გიუნტერი:

— გავოგნდი, რა დამთხვევაა! ზუსტად 2 წლის წინ, მეც მომიტაცეს და ახლა, იმანაც ცოლი მოიყვანა... მაგრამ არ მესმის, ამას ასე რატომ განიცდი! ეტყობა, გიყვარდა, არა? თუ ასე იყო, რატომ წამოხვედი?.. ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია გირჩიო, ისაა, რომ ის ბიჭი უნდა დაივიწყო.

უცნობი, *45 წლის:*

„ანი, სად მუშაობ, რას წარმოადგენ და კიდევ, გერმანული გვარი გაქვს, დედა მაინც თუ გყავს ქართველი?“

ანი გიუნტერი:

— „პირველ სტერეოზე“ ვმუშაობ, წამყვანი ვარ. მამა გერმანელი მყავს. რაც შეეხება დედას, ის უკრაინელია და არა ქართველი. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. დარაია აბრეშუმის ქსოვილია.
2. აქლემის კურტანს პალანი ჰქვია.
3. თუნი ჭურჭლის გამოსაწვავი ქურაა.
4. ზეკარი და უღელტეხილი სინონიმებია.
5. სამყურა ირლანდიის ნაციონალური ყვავილია.
6. მერილინ მონროს ექვს-ექვსი თითი ჰქონდა ფეხებზე.



7. ბეთჰოვენი ერთხელ მაწანწალობისათვის დააპატიმრეს.
8. იხვების ყიყინს ექო არ იმეორებს. არავინ იცის, რატომ.
9. სარა ბერნარმა 70 წლისამ ითამაშა ჯულიეტას როლი.
10. აბრეშუმის პარკს, რომელშიც ორი ჭიაა, დომფალი ჰქვია.
11. ამერიკის მოსახლეობა წელიწადში 18 ჰექტარი გარშემოწერილობის პიცას მიირთმევს.
12. „ნურასდროს დასცინებ შენს უკან მომავალს," — ამბობდა ტალეირანი.
13. ნებისმიერი ქაღალდის ფურცელი მხოლოდ შვიდჯერ შეიძლება გაკეცოთ შუაზე.
14. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში დღესაც არსებობს მუხლი, რომელიც მეკობრეობისათვის ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, ოღონდ 150 წელიწადზე მეტი ხანია, ამ მუხლით აღარავინ დაუსჯიათ.
15. სუვოროვი იმდენად იყო შეჩვეული საველე პირობებში ცხოვრებას, რომ სახლშიც იატაკზე ეძინა.
16. „202"-ის გადაცემა „დებატებს" შალვა რამიშვილი ხუმრობით „დემოკრატიის ჯიხურს" ეძახის.
17. „ტენორი დაავადებაა და არა სასიმღერო ხმა!" — სისხლს უშრობდა ენრიკო კარუზოს განთქმული სოპრანო მარია სელკა.
18. ივანე ჯავახიშვილმა და მისმა მეუღლემ, ანასტასია ჯამბაკურ ორბელიანმა, 1906 წელს პეტერბურგში დაიწერეს ჯვარი.
19. „ტოლკო ნაშ მუჟიკ მოჟეტ პასპორიტ ნა იაშიკ ვოდკი, შტო ონ მოჟეტ ბროსიტ პიტ" — მხრებს იჩეჩს მიხაილ ზადორნოვი.
20. რომაელებს მხოლოდ თეთრი ფერის ვარდები მოჰყავდათ. წითელი ვარდი ჯვაროსნებმა დამასკოდან შემოიტანეს ევროპაში.
21. ძველად, აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ღიტინს კანონი კრძალავდა, რადგან ადამიანის ამ სახით

ექიმობიდან მშენებლობაში და მაღლიერი პაციენტისგან ალებული პირველი ფული

ჯერ კიდევ 8 წლის წინ, ექიმი-რეპროდუქტოლოგი გახლდათ და ოჯახების „მშენებლობით" იყო დაკავებული. დღეს კი ეს ქალბატონი ბინებს აშენებს — ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სამშენებლო კომპანიას ხელმძღვანელობს, მაგრამ ძალიან ენატრება უწინდელი დრო. რუსუდან კერვალიშვილმა დაძაბული დღის რეჟიმის მიუხედავად, მაინც გამონახა დრო და იმის შესახებაც მომიყვა, თუ როგორ ატყუებდა პატარაობისას თავის დას მაიას, რის გამო ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს და რატომ ჰქონდათ ახლობლებს დების დაოჯახებაზე მძაფრი რეაქცია...

ნინო ჯავახიშვილი

— მოგვიყევით, როგორ დაიწყო თქვენი კარიერა და რამ განაპირობა სამედიცინო სფეროდან ბიზნესში გადანაცვლება?

— ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი შეასრულა კლასის დამრიგებელმა, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. მან შემაყვარა ლიტერატურა და ფილოლოგიურზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ მამაჩემმა გამომიცხადა — ეტყობა, სამედიცინო ინსტიტუტში იმიტომ არ გინდა ჩაბარება, რომ საკუთარი თავის იმედი არ გაქვსო. ჯიუტი ვიყავი, ამ სიტყვებმა გამაბრაზა და სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, ჩავაბარე. თუმცა მალევე — ორ თვეში, გავთხოვდი და ზაზას *(ზაზა დარასელი. — ავტ.)* წყალობით, ფილოლოგიასთან მაინც მჭიდრო შეხება მქონდა. ექიმი-რეპროდუქტოლოგი გახლდით — 18 წელი ვიმუშავე ჩემი პროფესიით.

— მაგრამ ეს პროფესია არ გიყვარდათ?

— არა, რას ამბობთ?! იმდენად მიყვარდა, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია. ეს ისეთი პროფესიაა, რომელიც ყველაზე მეტად გაგრძნობინებს შენს საჭიროებას ადამიანისთვის. ექიმობა კეთილშობილური და გამორჩეული პროფესიაა, მით უფრო — რეპროდუქტოლოგია. ახლა, როდესაც აღარ ვმუშაობ ექიმად, ვაღიარებ, რომ ძალიან მენატრება ის დრო...

— გაიხსენეთ, როდის და როგორ იშოვეთ პირველი ფული?

— სხვათა შორის, ეს სწორედ მედიცინას უკავშირდება. კომუნისტური მმართველობის დროს, როგორც მოგეხსენებათ, პაციენტებისგან ფულის აღება არ შეიძლებოდა და იყო ამაზე განევგამონევა. მე საერთოდ არ ვიღებდი ფულს. ერთხელაც, განყოფილების გამგემ დამიბარა და მითხრა — შენ არავისზე უკეთესი არა ხარ და შენი უარით ნუ აბრკოლებ სხვებსო...

მაიას უფრო ძლიერი, მტკიცე ხასიათი აქვს და ის საყრდენია ჩემთვის

— გამოდის, რომ სხვებს ხელს უშლიდით ფულის აღებაში, არა?

— ასე გამოდის. ეს ამბავი ძალიან განვიცადე და დღემდე მახსოვს. ამპარტავნება დავძლიე, მაგრამ გამიჭირდა იმასთან შეგუება, რომ პაციენტებისგან ფული უნდა ამეღო. მართლაც, ძალიან ბევრს ჰქონდა ექიმების მიმართ მადლიერების გრძნობა და ცდილობდნენ, სიკეთე რამით მაინც გადაეხადათ. ეს იყო ჩემი პირველი

ფული — მადლიერი პაციენტისგან აღებული.

— დღესდღეობით კი, ყველაზე წარმატებული სამშენებლო კომპანია გაქვთ. თქვენი აზრით, თქვენს წარმატებას ყველაზე მეტად რამ შეუწყო ხელი — შრომისმოყვარეობამ, მონდომებამ თუ კიდევ იყო რაიმე სხვა ფაქტორი?

— პირველ რიგში, ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ და იმის სურვილმა, რომ გაგვეკეთებინა რაღაც ისეთი, რითიც დავეხმარებოდით ოჯახს, ახლობლებს. იცით, რა მძიმე პერიოდი გადავიტანეთ?.. განსაკუთრებით, 1989-90 წლების შემდეგ, ისევე, როგორც ყველამ.

ნინო კარგი შვილია

მე და მაია ვერასდროს წარმოვიდგენდით, თუ მშენებლობასთან გვექნებოდა საქმე... ჩვენ ვერაზე ვცხოვრობდით, იქვეა სატივეს უბანიც. ამ უბანში ძალიან ძველი სახლები იდგა, უფრო სწორად — ქოხმახები. ნებისმიერი ადამიანი ფიქრობს საკუთარ კუთხეზე, უბანზე — ღმერთო, აქაურობა უფრო ლამაზი რომ იყოს, რა ბედნიერება იქნებოდაო!.. ხშირად გვიფიქრია მეც და მაიასაც. ქვეყანაში იყო ჟამი ნგრევისა და მე ვფიქრობ, როდესაც დაიწყო ჟამი შენებისა, ჩვენ რაღაცნაირად იმ პერიოდს ავუწყვეთ ფეხი. პირველად რესტორანი ავაშენეთ და იქ პირველად წვნიანი რომ გაკეთდა, წყნეთის ბავშვთა სახლში წავიღე... ქართველები იმ გაჭირვებიდან ერთმანეთის დახმარებით გამოვედით, თორემ, არ ვიცი, უერთმანეთოდ რა გვეშველებოდა. ერთხანს, იმ პერიოდში, როდესაც შუქი და გაზი არ იყო, თვითმფრინავის ეკიპაჟისთვის ვამზადებდით საჭმელს და 100 ლარი იყო ყველაზე დიდი თანხა, რაც იქ მომუშავე ქალებს გვრჩებოდა. არანაირი საქმე სათაკილოდ არ მიმაჩნია. მე და მაიას ახლაც ხშირად გვიწევს ისეთი საქმის კეთება, რომელიც ქალისთვის უმძიმესია. მაია ხშირად გამოთქვამს პროტესტს — არ ვისწავლი ბუღალტერიასო! — მაგრამ რას იზამს, უნდა ისწავლოს...

— ბუღალტერიის სწავლა თქვენც მოგიხდათ?

— ვცდილობ ავითვისო, თუმცა ვაღიარებ, რომ რთულია. მადლობა ღმერთს, რომ კომპანიაში ახალი გენერალური მენეჯერი და ახალი ჯგუფი მოვიდა. მათ აქვთ ის ცოდნა და პროფესიონალიზმი, რომელიც ჩვენ გვაკლდა. აქამდე მოვედით ინტუიციით, დიდი შრომით, ჩვენდამი ადამიანების ნდობის წყალობით და, რაც ყველაზე მთავარია, უფლის ნებით. ძალიან დაგვეხმარა ის, რომ მაია პროფესიით არქიტექტორია. ახლა უკვე ისე კარგად გავერკვიე ყველაფერში და იმხელა გამოცდილება დამიგროვდა, რომ სინანულით ვფიქრობ — ნეტავ, ვის შეიძლება გადავცე ჩემი გამოცდილება-მეთქი?

— თქვენი შვილი არ ინტერესდება ბიზნესით?

— არა, ნინოს საერთოდ არ აინტერესებს ეს სფერო. ჰუმანისტია და ღმერთმა ქნას, ბოლომდე ჰქონდეს იმის საშუალება, რომ არჩეული გზით იაროს. ზაზას კვალს გაჰყვა. როდესაც შენი პროფესიით მუშაობ, ამაზე მეტი ბედნიერება ვერც კი წარმომიდგენია.

— ქალბატონო რუსუდან, მოდით, ის დრო გაიხსენეთ, როდესაც პატარები იყავით — როგორ გზრდიდნენ მშობლები, რას გასწავლიდნენ?

— დედაჩემი გვეტყოდა ხოლმე — მირჩევნია, თქვენი მოწესრიგებული საფლავები მქონდეს, ვიდრე უსაქმურები და უწესოები იყოთო... ძალიან მკაცრი იყო, იმდენად მკაცრი, რომ როდესაც გავიპარე — გავთხოვდი, ჩემოდანი სახლის გარეთ დამახვედრა და მითხრა — ეს სახლი შენ აღარ გელოდება, სადაც გათხოვდი, მე ყოველთვის იქ მოვალო, თან გამაფრთხილა კიდეც — არ მაინტერესებს, შენ მოგეწონება რამე თუ არ მოგეწონება, გექნება რამე თუ არ გექნება, ეს გზა შენ თვითონ აირჩიე და პრეტენზიები აღარ გქონდესო... გარდა ამისა, სულ მეგონა, რომ თუ სკოლაში ხუთიანს არ მივიღებდი, მამაჩემს გული გაუსკდებოდა. თვითონ ასე გვეუბნებოდა — ინფარქტი დამემართებაო. ამიტომაც კარგად ვსწავლობდით. ალბათ საჭიროა, შვილებთან ასეთი მკაცრი დამოკიდებულება. დედას საქმე განაწილებული ჰქონდა: მაია კერძებს აკეთებდა, მე — სახლს ვალაგებდი. ორივე ვცდილობდით, რომ მისი შექება დაგვმსახურებინა. სულ მინდოდა, რომ ცოტა უფრო მეტად შევექე, მაგრამ — არა: ერთს მეორეზე მეტად არ შეაქებდა, დასჯითაც ორივეს გვსჯიდა — ყურებს გვინევდა, იმის მიუხედავად, დამნაშავე მე ვიყავი თუ მაია.

— დებს როგორი ურთიერთობა გქონდათ ერთმანეთთან? რის გამო ჩხუბობდით და რამდენად განსხვავებული ხასიათი გქონდათ?

— როგორც ყველა, ჩვენც თოჯინების გამო ვჩხუბობდით. მაია უფრო შემტევი იყო, მე დათმობა უფრო მიყვარდა. ახლაც ასეა. პატარაობაში მაიკოს ვატყუებდი — ვითომ ღამღამობით

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

აღგზნება ცოდვად ითვლებოდა.

22. ჰოლანდიელი მძღოლისათვის, თუკი მას მანქანა დაუგორდა, შეჩერებას ვერ ახერხებს და ავტომობილი სანაპიროდან არხში ვარდება, ერთი მხრივ უმჯობესია, სალონში დარჩეს, რადგან ამ შემთხვევაში მისი გადარჩენისა და ავტომობილის არხიდან ამოთრევის ხარჯებს ქალაქის მუნიციპალიტეტი ფარავს. თუკი მანქანაში არავინაა, მეპატრონეს არხიდან მისი ამოყვანა საკმაოდ სერიოზული თანხა უჯდება.

23. ევა ბრაუნი თავდაპირველად ჰიტლერის პირადი ფოტოგრაფის ასისტენტად მუშაობდა.

24. საბჭოთა კავშირში ფეხბურთი სამოყვარულო სპორტად ითვლებოდა, რის გამოც ფეხბურთელები ფორმალურად სხვადასხვა სამუშაოზე ირიცხებოდნენ. მაგალითად, მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელები, რომელიღაც ქარხანაში ჩვეულებრივ მუშებად იყვნენ გაფორმებულები და ხელფასსაც იღებდნენ, თუმცა მუშაობას მათ არავინ აიძულებდა. „ტორპედოს“ ლეგენდარულმა თავდამსხმელმა ვალერი ვორონინმა ერთხელ სუფრაზე ასეთი საოდეგრძელო წარმოთქვა: „ვიპიემ ზა რაბოჩიე რუკი, კატორიე მი რეკლამირუემ სვაიმი ნაგამი“.

25. ერთხელ, ჩინეთში ჩასულ ამერიკელ ტურისტთა ჯგუფს პეკინის აეროპორტში ადგილობრივი გიდი დახვდა, მიესალმა და საკუთარი თავი გააცნო: „გამარჯობათ, მე თქვენი გიდი ვიქნები. ჩემი სახელია ესა და ეს, მაგრამ რადგან თქვენ ჩინური სახელების წარმოთქმა გიჭირთ, უბრალოდ, ჯორჯი დამიძახეთ“. პეკინის დათვალიერების შემდეგ ამერიკელთა ჯგუფი შანხაიში გაემგზავრა. იქაც დახვდა ადგილობრივი გიდი, რომელიც ასევე მიესალმა ამერიკელებს და უთხრა: „გამარჯობათ. მე თქვენი გიდი ვიქნები. ჩემი სახელია ესა და ეს, მაგრამ რადგან თქვენ ჩინური სახელების წარმოთქმა გიჭირთ, უბრალოდ, პოლი დამიძახეთ“. მესამე ქალაქში ჩასვლისასაც იგივე განმეორდა, იმ განსხვავებით, რომ იქაურმა გიდმა ამერიკელებს უთხრა, სახელად ჯონი დამიძახეთო. ორ დღეში ჯგუფი კვლავ გაემგზავრა სხვა ქალაქში. ალბათ უკვე მიხვდით, იქაურ გიდს რაც ერქვა — რინგო — რაღა თქმა უნდა.

დავფრინავდი და სხვენზე პრინცესებს ვხედავდი. ყოველ დილით მოუთმენლად ელოდებოდა ჩემს გაღვიძებას და მთხოვდა, რომ ახალი ამბები მომეყოლა... მაიას გარეშე უიმედოდ ვარ, ცოტა ხანიც რომ ვერ ვხედავ, ძალიან მიჭირს. მაიას უფრო ძლიერი, მტკიცე ხასიათი აქვს და ის საყრდენია ჩემთვის.

— ერთმანეთს საიდუმლოს თუ უმხელდით ხოლმე, თუნდაც თაყვანისმცემლების შესახებ?

— მე 16 წლის გავთხოვდი და მაიამ ვერ მოასწრო ჩემთვის რჩევა-დარიგებების მოცემა. ჩემი დაოჯახების შემდეგ მაია ზაზამ „ჩაიბარა“ და დედაჩემთან ერთად ურჩევდა თაყვანისმცემლებს. ვახტანგიც პირველად ზაზამ გაიცნო.

— თვითონ გაგიმხილათ ოჯახის წევრებს, რომ შეყვარებული იყო?

— კი და ძალიანაც დავინტერესდით, ვინ იყო მისი რჩეული. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ნიკუშა კალანდაძემ მითხრა — რუსო, ვახტანგი ძალიან ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ მოჩხუბრის სახელი აქვს პლეხანოვზეო... ვაიმე, იცით, როგორ ვინერვიულეთ?! ბოლოს, ბებიაჩემმა ზაზას უთხრა — ერთი გაიგე, ვინ არის ეს პლეხანოველი ტუიო *(ვახტანგ რჩეულიშვილის მეტსახელი. — ავტ.)*... მაიამ კი, თავიდანვე გამოგვიცხადა — მე ცოლად მივყვები, იმიტომ, რომ მიყვარს და თქვენი აზრი არ მაინტერესებსო. ვერც კი გეტყვით, როგორ განვიცდიდით მაშინ ამას. ზაზამ გაიცნო ვახტანგი და დაგვამშვიდა, ძალიან ნიჭიერი, განათლებული ბიჭია, მომეწონაო. ზაზა და ვახტანგი როგორც ძმები, ისე იყვნენ ერთმანეთთან. ყოველდღე საქმეების გამო ვკამათობდით, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვეძლო.

— სიძეებს სიდედრთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ?

— არაჩვეულებრივი. დედა ჩვენ მიმართ არის ასეთი მკაცრი, თორემ სიძეებთან?! ჩემი მეუღლე გარდაცვალებამდე ამბობდა — ჩემი სიდედრი ყველაზე მეტად დამიტირებს, სიკვდილის წინ მან მნახოსო...

— მეუღლის გახსენებამ ძალიან დაგადარდიანათ. ნუთუ დრო ტკივილს არ აყუჩებს?

— ზაზაზე ლაპარაკს ტირილის გარეშე ვერ ვახერხებ... 5 წელი გავიდა, რაც ზაზა აღარ არის, ახლა 55 წლის იქნებოდა. იცით, ეს რა ძნელია?! მტერსაც კი არ ვუსურვებ! ამ ტკივილს არც დრო აყუჩებს და არც არაფერი. უბრალოდ, ეჩვევი იმას, რომ ასეთია ცხოვრება. საქართველოში იმდენი უბედურება მოხდა და ომში იმდენი ახალგაზრდა დაიღუპა, რომ ტკივილით ვეღარავის გააკვირვებ. ნინოსაც ძალიან გაუჭირდა — მისი ხალისიანობის მიღმა, საოცარი შფოთი და ტკივილი იმალება.

— ნინო როგორი შვილია? ხომ არ გაბრაზებთ?

— *(იცინის)* კარგი შვილია, კარგი ადამიანია, მაგრამ უფრო ახლო ურთიერთობა შვილიშვილთან მაქვს. ძალიან კარგი ბიჭია, ბევრი რამ გადამატანინა, ჩვენ ვმეგობრობთ კიდეც.

— თქვენი და ქალბატონი მაიას ოჯახის წევრები, ყველანი პოპულარულები ხართ. რამდენად ძნელია, როდესაც ოჯახის ყველა წევრი ასეთი ცნობილია?

— ჩემთვის ძალიან ძნელია და გეტყვით, რატომ: ასეთი გაჭირვება რომ არის საქართველოში, ზოგჯერ მაღაზიაშიც კი არ შევდივარ, არ ვჩნდები ხალხში. ბევრი მცნობს და ბუნებრივია, დახმარებას მთხოვენ: ზოგი — მატერიალურს, ზოგიც — დასაქმებას. ზოგჯერ ხომ არის ისე, რომ ფული მართლაც არ გაქვს?! თანაც, ყველას ხომ ვერ გასწვდები!.. არადა, ის ერთი ადამიანი ხომ, ერთი სატკივრით მოდის შენთან... ეს, კი არ მაღიზიანებს, უბრალოდ, ძალიან განვიცდი, რომ ყოველთვის ყველას დახმარება არ შემიძლია. ქართველები მაინც სხვანაირები ვართ. მადლიერების უნარს არ ვკარგავთ. ძალიან ვბრაზდები ხოლმე, როდესაც ვხედავ, რომ ჯანმრთელი, ახალგაზრდა ქალი დგას და ბავშვს ამათხოვრებს. ქალი ისეთია, მაინც რაღაცას მოძებნის და ლუკმაპურს არ მოაკლებს შვილებს, თუკი, რა თქმა უნდა, ამის სურვილი აქვს. წლების წინ, ჩემთან ოჯახში მოვიდა ერთი ქალბატონი, ზაზას კლასელი და შემომთავაზა — შენთან ვიმუშავებ, საოჯახო საქმეებში მოგეხმარებიო. მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. მხოლოდ ქართველ დედას შეუძლია იმის გაკეთება, რომ ნებისმიერი სამუშაო არ იუკადრისოს. განა, ჩვენი დედები არ არიან წასულები ამერიკაში, საბერძნეთში... რომელი ერთი ქვეყანა ჩამოვთვალო?!. იმათ შრომასთან, ჩემი და მაიას შრომა რა მოსატანია?! ამიტომაც, ყველა ჩვენგანმა რკინის ქალამანი უნდა ჩაიცვას და მოიძიოს, რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი თანამემამულეებისთვის.

16 წლის გავთხოვდი და მაიამ ვერ მოასწრო ჩემთვის რჩევა-დარიგებების მოცემა...

— შოუ — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ — ამის კარგ შესაძლებლობას აძლევს ბევრ ადამიანს. თქვენ თუ მიიღებთ მონაწილეობას ამ პროექტში და უფრო მეტად რომელი სფეროთი დაინტერესდებით?

— ყოველი გადაცემის დროს ისე ვიძაბებოდი, თითქოს მე მიხდებოდა ჩემი იდეის წარდგენა ამდენი გამოცდილი პროფესიონალის წინაშე. ეს ხომ საკმაოდ რთულია, მით უფრო, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ არ იცის, ვთქვათ, როგორ გაუკეთოს პრეზენტაცია ბიზნესწინადადებას. რაც შეეხება შოუში მონაწილეობას, ჯერჯერობით, არაფერი შემოუთავაზებიათ და არც ის ვიცი, დავთანხმდები თუ არა. ჩემი ემოციური ბუნების გამო, ვიცი, ძალიან გამიჭირდება არჩევანის გაკეთება. ისე, შოუში ბევრი კარგი იდეა წარმოადგინეს, მაგრამ გამოუცდელობის გამო დაუმუშავებელი იყო. ჩემი შეხედულებით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფერო შეიძლება იყოს ყველაზე მეტად დაფინანსებული და ტურიზმი.

— ბოლოს, ბინის ფასების შესახებ მინდა გკითხოთ, რადგან ეს საკითხი ძალზე ბევრ ადამიანს აინტერესებს. მაინც, რა იწვევს ასე მკვეთრად ფასების ზრდას და როდის შეეძლება საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანს სასურველი ფართის შეძენა?

— სამწუხაროდ, ყველაფერში ევროსტანდარტებს ვერ ვეწევით, მაგრამ ამ მხრივ, რატომღაც, ევროსტანდარტებს მივუახლოვდით. ფასები იზრდება არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც. უძრავი ქონების გაძვირება ქვეყანაში სტაბილიზაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია და ამიტომ იზრდება ფასებიც. თუ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა შენარჩუნდება, ფასები კიდევ აიწევს და რაღაც ზღვარზე გაჩერდება. ახლა ყაზახური ინვესტიციები იდება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს განაპირობა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენმა, საბანკო სექტორის გაძლიერებამ, ქვეყანაში ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კორუფციასთან რეალურმა ბრძოლამ, რისი შედეგიც ბიზნესზე პირდაპირ აისახება. ყოველივე ამის შედეგად კი, სამუშაო ადგილები მომრავლდება. იმაზე დაბალი ფასი, რაც დღეს არის, აღარ იქნება, იმიტომ, რომ ეს თითქმის თვითღირებულებაა. სხვა ყველაფერთან ერთად, უკრაინიდან არმატურის შემოტანა ძვირდება, ერთადერთი თუ იმას მივაღწიეთ, რომ რაც შეიძლება, გავწელოთ გადახდის ვადა და პროცენტი იყოს მინიმალური, ძალიან კარგი იქნება. უძრავი ქონების შეძენა საქართველოში ძალიან მომგებიანია, ჩვენი ქვეყანა კი ასაშენებელია, რადგან „ხრუშჩოვკებიდან“ დაწყებული, ყველაფერი ამორტიზებულია.

■

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში აღმოსავლური ორთაბრძოლებ-ის უამრავი სახეობაა გავრცელებული. ამათგან, ზოგიერთი უფრო პოპუ-ლარულია, სხვას მეტი დაფინანსება და მიმდევარი ჰყავს და ა.შ. მაგალითად, კარატისტები მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატიდან ისე არ ჩამოვლენ, სხვადასხვა სინჯის მედლების „გროვა“ რომ არ ჩამოიტანონ. თუმცა, არ გამიგია — მათგან რომელიმე, შაოლინის ცნობილ სკოლაში მიეწვიოთ. ასეთი მიღწევით თავის მოწონება, საქართველოს ვუშუ-კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს — დავით თათარაშვილს ნამდ-ვილად შეუძლია. ის, ორიოდე კვირის წინ, იტალიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატიდან, ჩვენი გუნდის თასით ხელდამშვენებული დაბრუნ-და. მან საჩვენებელი გამოსვლით, ამ სახეობის ფუძემდებლებიც „პირდაღე-ბული“ დატოვა, მისი „შეგირდი“ კი, ივნისში შაოლინს ეწვევა და იქ ვარჯიშის პარალელურად, გადასაღებ მოედანზეც მოუწევს შრომა...

ჟარმენელი სპორტსმენი ჟიოლინჟი ჟიოწვიეს

რატი შელეგია

— ვუშუ-კუნგ-ფუს ეროვნული ფედ-ერაცია 1989 წელს შეიქმნა. 1996 წლიდან კი, მსოფლიო ფედერაციის წევრები ვართ. სამწუხაროდ, საქართველოში ამ სახეობას სერიოზულად არ უყურებენ და იმის მი-უხედავად, რომ ძალიან ძლიერი სპორტს-მენები გვყავს, ფინანსური პრობლემების გამო, ხშირად ვერ ვახერხებთ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გამგზავრებას.

— თუმცა, წელს ეს მაინც მოახ-ერხეთ...

— წელს, მსოფლიო ჩემპიონატი იტალ-იის ქალაქ პერუჯაში ჩატარდა. კურიოზია, მაგრამ ჩემპიონატზე იმ დროს ჩავედით, როცა პირველი დღის ბრძოლები უკვე დამთავრებული იყო. ეს ავიაკომპანიის გამო მოხდა და იძულებულნი გავხდით, მხოლოდ მეორე დღეს გამოვსულიყავით. ბიჭებმა 24 საათი აეროპორტის სკამზე გაატარეს და ამის გამო, ორთაბრძოლებში სათანადოდ ვერ იასპარეზეს (თუმცა, გიგა კუხიანიძე ოთხეულში შევიდა). სამაგიეროდ, საჩვენებელ გამოსვლებში ყველას ვაჯობეთ და ჩემპი-ონები გავხდით.ორთაბრძოლებში მხოლოდ 35 წლამდე სპორტსმენებს შეუძლიათ მონაწ-ილეობის მიღება, საჩვენებელი გამოსვლებ-ისას კი, ასაკი შეზღუდული არ არის. იქ მეც ვიასპარეზე და გავიმარჯვე კიდეც. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ისეთი ილეთები, როგორიც მე შევასრულე, პე-რუში ვერავინ გაიმეორა. შესანიშნავად გამ-ოვიდა გიგა კუხიანიძეც, რომელიც ძალიან ძლიერი სპორტსმენია, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ჩინელებმა შაოლინის სკოლაში მიიწვიეს. ნაკრების მწვრთნელი — გიორგი ვერულიძე ტურნირის საუკეთ-ესო მწვრთნელად დაასახელეს და „ბაელეს“ ჯილდო გადასცეს.

— კუხიანიძე მართლა ასეთი მაგარია?

— აბა, რა! კარგად მოგეხსენებათ, შა-ოლინი უძლიერესი სკოლაა. გიგა იქ ივ-ნისში ჩავა და ვარჯიშთან ერთად, ფილმ-შიც უნდა გადაიღონ.

— ასეთი მაღალი დონის სპორტს-მენის არსებობა იმის ნიშანია, რომ კვალიფიციური სპეციალისტები გვყავს, არა?

— ამ მხრივ, პრობლემა არ გვაქვს, რად-გან 2002 წელს, შანხაიში გახლდით კვალი-ფიკაციის ასამაღლებლად და საერთა-შორისო კატეგორიის ინსტრუქტორი ვარ. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს მსოფ-ლიო ორგანიზაციასთან, მუდმივად ვეცნო-ბით ამ სახეობაში არსებულ სიახლეებს და ძალიან პერსპექტიული ბიჭებიც გვყავს. ოღონდ, ვარჯიში ძალიან ცუდ პირობებში გვიხდება და ფინანსური პრობლემებიც გვაწუხებს.

— არავინ გეხმარებათ?

— ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის დეპარტამენტი, ამა თუ იმ საკითხში შუა-მდგომლობას გვიწევენ, მაგრამ სხვა საჭირო თანხის მოძიება თავად გვიხდება. მსოფ-ლიო ფედერაციაში გვეუბნებიან ხოლმე: ჩინებული ბიჭები გყავთ და კარგია, საქართ-ველოში ასეთ ყურადღებას რომ აქცევენ ვუშუსო. ამ დროს, ხელისუფლებაში წარ-მოდგენა არა აქვთ — ეს სახეობა არსებობს თუ არა...

ნაკრების მწვრთნელი, გიორგი ვერულიძე (შუაში) თავის შეგ-ირდებთან ერთად

— იტალიიდან როგორი შთაბეჭდ-ილებებით დაბრუნ-დით?

— ამ ქვეყანაზე ახა-ლი რა უნდა ვთქვა? ძალიან ლამაზი და ამავდროულად, „ძვი-რი“ ქვეყანაა. რაც შეეხება უშუალოდ ტურნირს, შთაბეჭდილება ჩვენ კი არ მივიღეთ, არამედ დანარჩენებზე მოვახდი-ნეთ. მთელი დარბაზი, ამ სახეობის შემქმ-ნელების — ჩინელების ჩათვლით, „საქართვე-ლო, საქართველოს“ გაიძახოდა.

— საჩვენებელი გამოსვლისთვის ასაკს მნიშვნელობა რომ არა აქვს, ამაზე თქვენ მიერ მოპოვებული თასიც მეტყველებს...

— ამ მხრივ, ჯერ „ახალგაზრდა“ — 39 წლის ვარ. წლების მატებასთან ერთად, სიბრძნე და ოსტატობაც გემატება და ამი-ტომაც, ხანდაზმული ადამიანები ახალ-გაზრდებზე უკეთ ასრულებენ ილეთებს. ვუშუში ოსტატობის დახვეწა დაუსრულე-ბლად შეგიძლია. კარატეში კი, მოიპოვებ ბოლო დანს და მორჩა, წინ ვეღარ მიდიხ-არ, იკეტები. მისგან განსხვავებით, ჩვენთან ორი „ტიტულია“ — ოსტატობა და უმაღ-ლესი ოსტატობა, რომლის სრულყოფა მუდმივად შეგიძლია.

— ხშირად ამბობენ, რომ აღმო-სავლური ორთაბრძოლები მართლმა-დიდებლობას ეწინააღმდეგება...

— ამას ის ხალხი ამბობს, ვისაც ამ სახეობებზე წარმოდგენაც არა აქვს. რად-გან ვუშუში, კარატეში ან სხვა სახეობაში ვარჯიშობ, მაინცდამაინც ბუდისტი უნდა იყო? სხვათა შორის, ჩინეთსა და იაპონია-ში ძალიან ბევრი ქრისტიანული ტაძრია. ვუშუ სულიერი და ფიზიკური ძალების გაჯანსაღებას უწყობს ხელს და არავის აი-ძულებს — ბუდისტი ან მუსლიმანი იყოს...

— ეი. შეიძლება ითქვას, რომ ვუშუს საქართველოში დიდი პერ-სპექტივა აქვს, არა?

— თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ვერ გეტყვით, მაგრამ... საერთოდ, არაოლიმპიურ სახეობებს ჩვენს ქვეყანაში ყურადღებას არ აქცევენ. ლაპარაკია იმაზე, რომ ვუშუ ოლიმპიური სახეობა გახდეს და თუ ასე მოხდა, იქნებ ჩვენც მოგვხედოს ვინმემ. თორემ, ასე გაგრ-ძელება აღარ შეიძლება, ვარჯიშისა და ტურნირებში მონაწილეობისთვის არავითარი საშუალება არ გვაქვს. ძალიან ბევრ ქვეყანა-ში მეპატიჟებიან და თუ რამე არ შეიცვალა, იძულებული ვიქნები, ჩემი ცოდნა სხვა ქვეყ-ანას მოვახმარო...

■

თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ — საიდან მყავს ამდენი მეგობარი ძაღლი.

„ძაღლების ვალი"

მანანა ჭირაქაძე

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, როგორც უკვე წლის დასაწყისში გვაცნობეს ასტროლოგებმა, მიმდინარე 2006 წელი ძაღლის წელიწადია. ის ძალაში თებერვლიდან შევიდა. ის, თუ რა მოგვიტანა ძაღლის წელიწადმა, ჯერ ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. ერთი რამ კი უკვე გამოიკვეთა — პრობლემები ქვეყანას, რომელსაც პრეტენზიები აქვს დემოკრატიულობაზე, კი არ აკლდება, არამედ ერთიორად ემატება: პოლიტიკური (როგორც საგარეო, ისე საშინაო), ეკონომიკური, სოციალური, მორალურ-ზნეობრივი, კულტურული. რამდენად არის ამაში დამნაშავე ძაღლი და საერთოდ, სად არის ძაღლის თავი დამარხული, ყოველივე ამის შესახებ ალბათ, სერიოზული სახითა და არანაკლებ სერიოზული არგუმენტებით წლის ბოლოს იმსჯელებენ სოციოლოგები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები და ალბათ, ასტროლოგებიც... მანამდე კი ისევე, როგორც მთელ პლანეტაზე, ჩვენს ქვეყანაშიც ძაღლის წელიწადი გრძელდება, გუგუნებს „ძაღლების ვალსი". სწორედ ამიტომ და არა მარტო ამიტომ, ალბათ უინტერესო არ იქნება, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ძაღლებისა და ადამიანების ურთიერთობის ისტორიას.

„Если у вас нет собаки..." — ალბათ, თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელს ახსოვს მომღერალი ცოლ-ქმრის — ნიკიტინების ეს „უკვდავი" სიმღერა ელდარ რიაზანოვის ძალიან ძველი და ძალიან კეთილი ფილმიდან — „ბედის ირონია ანუ გაამოთ", ან კი როგორ დაგვავიწყდება, დღიდან ფილმის ეკრანებზე გამოსვლისა. ყოველ ძველ და ახალ წელს, ხომ „ბედის ირონიით" გვილოცავდნენ, გვილოცავენ და ალბათ, კვლავაც მოგვილოცავენ.

„თუ თქვენ არა გყავთ ძაღლი", „თუ თქვენ არ გიყვართ ლამაზი ქალი", „თუ თქვენ არა გყავთ ავტომობილი", „თუ თქვენ არა გაქვთ სამშობლო"... მოკლედ, თუ ყოველივე ეს არა გაქვთ, ყველაფერ ამასთან დაკავშირებული პრობლემებიც არ არსებობს: — ძაღლს არ მოგიწამლავთ მეზობელი, სატრფოს არ წაგგვრით ერთგული მეგობარი, სამშობლოს (თუ გაქვთ ან საერთოდ გახსოვთ, რომ ერთ დროს გქონდათ!) — ვერავინ წაგართმევთ და აღარც აღმოგხდებათ ლექსად: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება — თორემ, ისეთ დღეს დავყარით, მკვდარსაც კი გაეცინება".

მოდით, ზემოთ ჩამოთვლილიდან პირველზე — ანუ ძაღლზე შევჩერდეთ და დროებით დავივიწყოთ ავტომობილთან და ლამაზ ქალთან დაკავშირებული პრობლემები. ხოლო სამშობლო... სამშობლო?! ო პრობლემ... უკომენტაროდ: ეს საკითხი კარგა ხანია, მოხსნილია დღის წესრიგიდან — ჩვენ ხომ გლობალისტები ვართ.

„მიმინო მყავდა, მიყვარდა..." მიმინო იქით იყოს და გავიხსენოთ რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ უნდა გიყვარდეთ ძაღლი:

უპირველესად, თუნდაც იმიტომ, რომ ძაღლი — ჯიშიანი იქნება ის თუ უჯიშო, მაწანწალა, — ადამიანის მეგობარია! აბა, კარგად გაიხსენეთ, რომელ მეგობარს უერთგულია თქვენთვის ისე, როგორც ძაღლს... ძაღლი არ გაგწირავს, არ გიღალატებს. ტყუილად კი არ ამბობენ — ძაღლივით ერთგულიაო... კვლავ ხალხური სიბრძნე გავიხსენოთ: ძაღლი, ძაღლის ტყავს არ დახევსო. ადამიანი — ადამიანისას?!.

აბა, დაფიქრდით, რა გინდ უანგარო და კეთილმოსურნე ადამიანი იყოს თქვენი მეგობარი, თუ თქვენ მასზე ნიჭიერი, პოპულარული, თანამდებობრივად უფრო მაღლა მდგომი ან პირიქით — მასზე ნაკლებად ნიჭიერი, ნაკლებად პოპულარული, უსამსახურო და უფულო, მაგრამ მაინც ბედნიერი, „მცირედითაც კმაყოფილი ხართ" — შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ აეკვიატოს აზრი... დაეუფლოს ყოველივე იმას, რაც თქვენ სრულიად სამართლიანად გაქვთ და გეკუთვნით.

აბა, კარგად გაიხსენეთ, რომელ მეგობარს უერთგულია თქვენთვის ისე, როგორც ძაღლს...

აი, ძაღლს კი... ძაღლს თქვენგან არაფერი უნდა, გარდა ყურადღებისა. მას ისეთი უყვარხართ, როგორიც ხართ. ის არც თქვენს სავარძელს ეპოტინება და არც თქვენი ქონების დაუფლება, დაპატრონება სურს.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, უფრო სწორად — შეგახსენებთ, რომ ოდითგანვე, ძაღლები და კატები იყვნენ ისტორიულად ერთმანეთზე გადამტერებულები და არა ძაღლები და ადამიანები...

„დღეა და ძაღლი ისვენებს ჯერ კი,
ისვენებს იგი და თანაც ნაღვლობს.
როს დაღამდება, მოხუცი ჯეკი
მეგობარივით დაწვება ახლოს.
ეს ძაღლი ხშირად კაცი მგონია,
ალბათ მას ტანჯავს ფიქრების წყება.
ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია,
სდუმს უმიზეზოდ, არ იცის ყეფა."

(ტერენტი გრანელი).

ეს ლექსი პოეტმა მაშინ მიუძღვნა თავის ძაღლს, როდესაც ძაღლი ჯერ კიდევ ადამიანის მეგობრად მიიჩნეოდა. იმ შორეულ დროში, როდესაც ადამიანიც ადამიანის მეგობარი იყო.

იმ კეთილ, მშვიდ და ჰარმონიულ წარსულში არც ძაღლები იკბინებოდნენ და არც ადამიანები. ადამიანებს ჰქონდათ თავიანთი საქმე („ადამიანური") ძაღლებს — თავიანთი („ძაღლური). ეს ადრე. ახლა?!.

ადამიანები და ძაღლები ორი მტრულად განწყობილი ბანაკია — ადამიანები ირწმუნებიან, რომ ძაღლები ჰკბენენ და გაცოფების საშიშროებას უქმნიან მათ. თუმცა ზოგიერთები (საიდუმლოდ, რა თქმა უნდა) ირწმუნებიან, რომ საქმე სხვაგვარადაა: ეს, გაძაღლებული ცხოვრებით გამწარებული ადამიანები იკბინებიან და არგუმენტებიც საკმაოდ დამაჯერებელი მოჰყავთ...

ერთმა ნაცნობმა პეკინესმა (ანუ სარწმუნო წყარომ) საიდუმლოდ გამანდო: ადამიანებმა, შენიღბვის მიზნით, შემოიღეს ანტირაბიული ცენტრები — ცოფის საწინააღმდეგო სამსახურები, თორემ, თურმე იქ ადამიანებს კი არა, ადამიანების მიერ დაკბენილ, დასახიჩრებულ ძაღლებს მკურნალობენ.

ძაღლების საყოველთაო, სავალდებულო ვაქცინაციაო, — რომ გაიძახიან, ეს სინამდვილეში აგრესიულ ადამიანთა, განსაკუთრებით კი, პოლიტიკოსთა სავალდებულო ვაქცინაცია ყოფილა. ამას თურმე საშინლად ასაიდუმლოებენ, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გამოჟონა... ჩემმა ახლობელმა კავკასიურმა ნაგაზმა კი, ამაზე უარესი რამ მითხრა: თურმე ნუ იტყვით და, ერის გამრავლების პრობლემაც — ე.ი. შობადობის შემცირებაც ძაღლებს ჰბრალდებათ, რადგან ანტირაბი-

ული, ცოფის საწინააღმდეგო სამსახურში აღნუსხულ დაკბენილ-დაგლეჯილ ადამიანთა ყველაზე პოპულარულ საკბენ ადგილად, მამაკაცებისთვის — ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო, რომელიც წელს ქვემოთ არის განთავსებული, ხოლო ქალებისთვის, უკაცრავად პასუხია და, ბარკლები და თეძოები ყოფილა მიჩნეული. ეს ყველაფერი კი, სპეციალურად კეთდება, რომ „დაგვაბოლონ“ — ა, ბატონო! ჩვენ კი ვზრუნავთ ერის გამრავლებაზე, მაგრამ ამ წყეული, აგრესიული ძაღლების მიერ დაკბენილი, დაგლეჯილი, დაფლეთილი მთავარი ორგანოებით ვერ ვახერხებთ ამასო.

ერთმა ნაცნობმა ბულტერიერმა კი, აი, რა მიამბო: ჩემმა პატრონმა ცოლი და ორი შვილი დაკბინა; თვითონ მისთვის კი თურმე, სიდედრს უკბენია, საქვეყნოდ კი აცხადებს, ჩემმა ბულტერიერმა დაგვკბინაო...

ალბათ დამეთანხმებით, — არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია. დღე არ გავა ისე, რომ ან პარლამენტში, ან პარლამენტს გარეთ პოლიტიკოსებმა არ დაკბინონ და არ დაგლიჯონ ერთმანეთი... მერე კი, მიდიან ანტირაბიულ ცენტრში და... ძაღლმა დამკბინაო, გაიძახიან. ისე, ცნობისათვის: ამ ანტრაბიულ სამსახურს ყველაზე ხშირად, პოლიტიკოსები აკითხავენ... წარმოიდგინეთ, რა საიდუმლო დიალოგი იმართება ამ დროს დაკბენილ პოლიტიკოსსა და ექიმს შორის:

ექიმი: „ვინ გიკბინა? გამოტყდი — „ახლებმა?“

პოლიტიკოსი დუმს, მერე ხვდება, რომ მკურნალობის კურსის სწორად ჩასატარებლად, სიმართლის თქმა აუცილებელია და პასუხობს: „არა, უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა“. — „კი, მაგარი კბენა იციან“, — ეთანხმება ექიმიც, — „ნაციონალური ჰქვია მათ „საფირმო“ ნაკბენს“...

არც პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები და შესაბამისად, ამ პარტიების წევრი პოლიტიკოსები გამოირჩევიან ნაკლები აგრესიულობით. ცოფის საწინააღმდეგო ცენტრებში ხშირად ნახავთ მათ მიერ დაკბენილ ძაღლებსა და ადამიანს...

თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ — საიდან მყავს ამდენი მეგობარი ძაღლი. გამოგიტყდებით, მეც ძაღლი ვარ — ჰუდელი ჯერალდინა, ერთ დროს შინაური, ახლა კი ქუჩის ძაღლად წოდებული. პატრონს გამოვექეცი, კბენა დამიპირა და... სხვა რა გზა მქონდა!

„და ღამეები მას არ დაღლიან,
დაბერდა, შვებას ის აღარ ელის.
ჯეკი პატარა თეთრი ძაღლია,
ჰყავს მეგობარი და საყვარელი.
ალბათ მას ახსოვს ლანდი კამეჩის,
იცის დუმილი და შეწუხება,
წუხელ ქარიან შუაღამეში
ჯეკმა ვიღაცას დიდხანს უყეფა.
ბედნიერ დღეებს იგი არ ელის,
ალბათ სიხარულს გრძნობს გიტარაში.
ახლა ჯეკია ჩემი მფარველი,
ახლა ჯეკია ჩემი დარაჯი“.

(ტერენტი გრანელი).

...ეს მაშინ ითქვა, როდესაც ძაღლი ადამიანის მეგობრად მიიჩნეოდა, იმ კეთილ, ჰარმონიულ წარსულში, სადაც არც ძაღლები და არც ადამიანები არ იკბინებოდნენ.

სანამ საინკუბაციო ათი დღე გავიდოდა, მე სახლიდან გამოვიქეცი და ახლა თბილისის ერთ-ერთი უბნის „დვარნიაშკათა“ საძმოს ავტორიტეტი გახლავართ; დღეს ან ხვალ შეიძლება, სულაც იმიტომ დამიჭირონ ადამიანებმა, რომ ქურდული მენტალიტეტი გაქვსო.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ფედერიკო ფელინის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლემ, ჯულიეტა მაზინამ იცოცხლა...



ა) ...ნდღე;
ბ) ...ნ თვე;
გ) ...ნ საათი.

2. ვახტანგ გორგასლის პირველი ცოლი სპარსი იყო; სადაური იყო მისი მეორე ცოლი?

ა) ბერძენი;
ბ) რუსი;
გ) ჩეჩენი.

3. ვინ გამოიგონა სასკოლო ზარი?

ა) არქიმედემ;
ბ) პლატონმა;
გ) არისტოტელემ.

4. მკურნალთა დაკვირვებით, ჭრილობები უკეთ უმუშავდებათ...

ა) ...გამარჯვებულებს;
ბ) ...დამარცხებულებს;
გ) ...ინდიელებს.

პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე

ჟურნალის საჭარჭიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. დაასრულეთ სტენდალის სიტყვები: „კაცისა და ქალის მეგობრობას ძლიერ აქვეითებს...“
2. თავის უკვდავ ნაწარმოებში იაროსლავ ჰაშეკი შვეიკის პირით მოგვითხრობს მოხუცი ქალის ამბავს, რომლის შვილიც ეკლესიამ დედის უპატრონოდ მიტოვებისთვის შეაჩვენა. საწყალმა ქალმა ბევრი იფიცა, ჩემს შვილს არ მივუტოვებივარ, ავსტრალიაშია ბედის საძებნელად წასული და იქიდან ფულსაც მიგზავნისო. რატომ არ უჯერებდნენ მას?
3. მეკობრეები ამას „ეშმაკის ბიბლიას“ ეძახდნენ.
4. ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა — მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო. იგი ხშირად, ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა: მე ამ ნივთს სახლში წავიღებ, შევისწავლი და ხვალ დაგიბრუნებ. მეორე დღეს კი, გაზეთში აქვეყნებდა ინფორმაციას — ამა და ამ ადამიანმა საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი ნებაყოფლობით უსახსოვრაო.
5. ვინ არის დაკრძალული პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ?
6. რა ჰქვია ქართულად პარფიუმერიას?
7. ცნობილი გამონათქვამის თანახმად, არქიტექტორები საკუთარ შეცდომებს ფასადით ფარავენ, მზარეულები — სოუსით. რით ფარავენ საკუთარ შეცდომებს ექიმები?
8. მას შემდეგ, რაც ეგვიპტელმა ქურუმებმა იგი ღმერთის შვილად შერაცხეს, მას თავადაც სურდა, საკუთარი ღვთაებრივი წარმოშობა დაეჯერებინა, მაგრამ ძილი და ქალისადმი ტრფიალებაც კმაროდა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი უბრალო მოკვდავი იყო. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაჭრილი, იგი დიდხანს დაჰყურებდა ჭრილობას და ბოლოს შესძახა: „ეს სისხლია, მეგობრებო, სისხლი და არა იქორი, რომელიც ღმერთებს უჩქეფთ ძარღვებში!“ დაასახელეთ ეს ადამიანი.
9. რა ჰქვია მამლების ორთაბრძოლას?
10. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე თვალსაჩინო პროდუქტი ამ ადამიანმა ძილში შექმნა.

ანეკდოტები

* * *

ოსმა თავისი მანქანის მარჯვენა მხარე წითლად შეღება, მარცხენა — ლურჯად.

— გააფრინე? — ეკითხება მეზობელი.

— ეეე, სენი წირიმე, ერთი მოგასმენინა მოწმეთა ჩვენებები, როცა ავარიაში მოვხდები ხოლმე....

* * *

ჭიჭიკიას ცოლმა ქმრის კაბინეტში უამრავი ცარიელი ბოთლი

აღმოაჩინა.

— საიდან ამდენი ცარიელი ბოთლი?

— მეც არ მიკვირს?! მე ყოველთვის სავსეს ვყიდულობ ხოლმე!

* * *

— თქვენი პირველი მეუღლე კარგი კაცი იყო, რა დასანანია, ასე უდროოდ რომ გარდაიცვალა.

— ჩემი მეორე ქმარიც იმავეს ამბობს.

* * *

რადიოდიქტორი:

— ახლა მოისმინეთ კულტურის ამბები. გუშინ საკუთარი სახლის წინ გაძარცვეს ფილარმონიის დირექტორი...

* * *

ნარკუშა:

— ვაა, რა მთებია!

— თქვენ ალპინისტი ხართ?

— არა, მე მორფინისტი ვარ, მაგრამ მაინც მაგარი მთებია!

* * *

— სიძე როგორი შეგხვდა, მარგალიტა?

— ოქროს გული აქვს, ოქროსი!

— მართლა?!

— კი! შეშის ჩეხას რომ დავიწყებ, სახლიდან გადის, ჩემს წვალებას რომ არ უყურეს!

* * *

მღვდელი დაქვრივებული ქალის დამშვიდებას ცდილობს:

— ნუ იდარდებ, შვილო ჩემო, შენი ქმარი ზეცაში გელოდება!...

— მაგიტომაც ვწუხვარ.... იქ უკვე სამი ეგეთი მელოდება...

* * *

დაქალები საუბრობენ:

— გუშინ წვეულებაზე ბევრი შამპანური დავლიე და როცა ზაზასთან ერთად მარტო დავრჩი, ჩემი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა!

— რა მოხდა, გაგაუპატიურა?

— არა, გაიქცა!

* * *

— შინ ხომ ვერ მიმაცილებთ, ბატონო?

— მხოლოდ მზერით, ქალბატონო!

* * *

ორი ქირურგი ხვდება ერთმანეთს:

— რატომ ხარ მოწყენილი? ავადმყოფი შემოგაკვდა?

— უარესი!

— მაკრატელი ჩაუტოვე?

— კიდე უარესი: 100-დოლარიანი ჩამრჩა შიგ ...

— ნეტავი რა განერვიულებს?! დღეს-ხვალ მოკვდება, გაკვეთ, ამოიღებ!..
— რომ არ მოკვდეს?!

* * *

გამოცდაზე სტუდენტი მიმართავს პროფესორს:

— შეიძლება, კიდევ ერთი ბილეთი ავიღო?
— შეიძლება, ოღონდ რკინიგზის სალაროში!...

* * *

ღამეა. უცებ ვაგონში სინათლე ქრება. სიბნელეში ვიღაცის ხმა ისმის:
— ჩემოდნებს გაუფრთხილდით, ხალხნო, იპარავენ! მე უკვე ერთი მოვიპარე!

* * *

დედა:
— სამი ნაყინის ფულს მოგცემ, თუ ერთ საათს ფორტეპიანოს დაუკრავ!
შვილი:
— ცოტაა. მეზობელი ხუთ ნაყინს შემპირდა, დღეს საერთოდ თუ არ დავუკრავ ...

* * *

დიალოგი გადატენილ ავტობუსში:
— მხრებზე რომ არ მომკიდოთ ხელი, სხვაგან აღარ არის ადგილი?
— ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, ნუ მაცდუნებთ!...

* * *

კონცერნის შეფმა ასისტენტი იხმო:
— მოძებნეთ ჩვენს ფირმაში, მიზანმიმართული ახალგაზრდა კაცი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩემს შეცვლას შეძლებს.
— რომ ვიპოვი, მერე რა ვქნა?

— კინწისკვრით გააგდეთ!

* * *

მამაკაცი ექიმთან მიღებაზე:
— ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან ნერვიული გავხდი. ტელეფონის ზარის გაგონებაზე მაკანკალებს, ტელევიზორს ვეღარ ვუყურებ, ხელში გაზეთის აღებისაც მეშინია...
— მესმის თქვენი, ჩემმა ცოლმაც ახლახან ისწავლა მანქანის ტარება...

* * *

ნასვამი ჟორა გვიან ღამით დაბრუნდა სახლში. კარის საკეტს გასაღები მოარგო, მაგრამ გაღება ვეღარ შეძლო, იქვე ჩაეძინა. დილით მისმა ცოლმა ვეღარ შეძლო შიგნიდან კარის გაღება. დაიწყო კაკუნი.
— ვინ არის? — ძლივს გაახილა თვალები ჟორამ.
— მე ვარ, ჟუჟუნა!
— სახლში არ შემოგიშვებ, იქ წაეთრიე, სადაც მთელი ღამე დაწანწალებდი!

ჯრნალის საკანონიერი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. დალამება.
2. აბატი ეუბნებოდა, სისულელეს ნუ ჩმახავ, „სახარების“ მიხედვით, არავითარი ავსტრალია არ არსებობსო.
3. ბანქო.
4. ექვთიმე თაყაიშვილი.
5. პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ პირველ მსოფლიო ომში დაღუპული უცნობი ჯარისკაცის ნეშტი განისვენებს.
6. ინანთეული.
7. მიწით.
8. ალექსანდრე მაკედონელი.
9. გალიერა.
10. ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონი მენდელეევმა ძილში აღმოაჩინა.

ნდობილ ფოტოგადაღება

„ქვევრის“ თანამედროვე ვარიანტი

10 წლის წინ, 1996 წლის 8 მარტს, მთელი საქართველო შეძრა გოგი დოლიძის უეცარმა გარდაცვალებამ. გოგი მართლაც, ძალზე ბევრ ადამიანს დააკლდა. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ამ დანაკლისის გრძნობა, წლების გასვლის მიუხედავად, არა და არ ნელდება...

სულ ახლახან, 22 მაისს, თბილისში, გოგი დოლიძის სახელობის ქართული სიმღერის ფესტივალი ჩატარდა, რომელმაც ბევრი ნიჭიერი მოზარდი წარმოაჩინა. ამ ფესტივალს კომპოზიტორმა ნანა კალანდაძემ „ქართული სიმღერის გადარჩენის შანსი“ უწოდა.

რაც მთავარია, დარბაზში მსხდომნიც და სცენაზე მდგომნიც, უფროსი თუ უმცროსი თაობის წარმომადგენლები, ყველანი ერთნაირად გრძნობდნენ, გოგი დოლიძის „მათთან ერთად ყოფნას“...

ᲐᲗᲐᲡᲝᲒᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲮᲚᲔᲒᲣᲚᲘ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲜᲪᲚᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲘᲡ ᲮᲛᲘᲗ ᲛᲝᲖᲣᲚᲖᲣᲚᲔ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲖᲘᲭᲣᲜᲐ

თამარ კაპანაძე

ლალი დოლიძე *(გოგის და), მუსიკოსი:*

— რაღაც გამორჩეული დაძმობა გვქონდა და ეს ურთიერთობა თუ შინაგანი კავშირი დღემდე არ შეწყვეტილა. როცა გოგისადმი მიძღვნილ წიგნზე დავიწყე მუშაობა, ვგრძნობდი, განუწყვეტლივ ჩემ გვერდით იყო, მამხნევებდა და მანუგეშებდა... არ ვიცი, რამდენად შევძელი, გადმომეცა ის, რასაც ვფიქრობდი, განვიცდიდი, თუმცა, ძალისხმევა არ დამიკლია... სათუთი, ნაზი გული ჰქონდა, არასოდეს არავის აგრძნობინებდა, თუ რაიმე უჭირდა. ირგვლივ გამეფებულ რუტინას, საერთო გასაჭირს ვეღარ გაუძლო და წავიდა... ბევრი ოცნება დარჩა განუხორციელებელი. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ შემოქმედებითი საღამოს გამართვა ვერ მოასწრო. არადა, მთელი პროგრამა, ორკესტრთან ერთად მზად ჰქონდა. წარმოიდგინეთ, ბილეთები და აფიშებიც კი დაბეჭდილი ჰქონდა. „ბომბა“ კონცერტი უნდა გავაკეთო, მამაო *(„მამა“ — ასე მიმართავდა ბევრს, სიყვარულის გამოსახატავად.— ავტ.)*, — მეუბნებოდა. ჰოდა, გადამექცა ოცნებად, გოგის ეს ნატვრა განმეხორციელებინა და როგორც იქნა, შარშან შემოდგომაზე ავიხდინე საწადელი და ამოვისუნთქე. ჩემთან ერთად, მაყურებელიც გაახარა იმ ფაქტმა, რომ ისევ ძალუმად იღვრება სცენიდან ქართული სიმღერა, უნივერსიტეტიდან მოსული ახალი „ქართული ხმებიც“ წარმატებით აგრძელებენ ძველი „ქართული ხმების“ ტრადიციას და გოგის ხმით მობულბულე პატარა, 21 წლის „ჯეოსტარელი“ ვარსკვლავბიჭუნაც გამოჩნდა, აჩიკო ნიჟარაძის სახით. კონცერტის მსვლელობისას, თამრიკო ჭოხონელიძის აკომპანიმენტის ფონზე, სცენაზე დადგმული ეკრანიდან ისე აჟღერდა გოგის ხმა, თითქოს იმწუთას, ყველას თვალწინ, ცოცხლად მღეროდა გოგი და ამან, ცრემლთან ერთად, შვებაც მომგვარა. იმ წუთში, თითქოს მყისიერად განელდა გოგის არყოფნით გამოწვეული ტკივილი, შეიცვალა მის მიერ დატოვებული სიცარიელე და ხსოვნისა კი არა, თავის შემოქმედებით საღამოზე მღეროდა იგი... რამდენჯერ მქონია შემთხვევა — სრულიად უცნობი ადამიანი გოგის ნაცვლად მომფერებია. ისეც მომხდარა, იქით დამჭირვებია ცრემლებად დაღვრილი ადამიანის დამშვიდება... ალბათ, ესეც ღვთის წყალობაა. როცა იცი, როგორ უყვართ, აკლიათ შენიანი, თითქოს ტკივილიც გიმსუბუქდება.

გოგიმ 24-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. რაოდენ მადლიერი ვარ ამ სკოლის — იქ მას არასოდეს ივიწყებენ, ძეგლიც დაუდგეს რამდენიმე წლის წინ და მუდმივმოქმედი ფოტოგამოფენაც ყოველთვის ამშვენებს სკოლის კედლებს. ახალმა დირექტორმა, ბატონმა გია მურღულიამ გოგის სახელობის ბავშთა ფესტივალის ჩატარებაც გადაწყვიტა. უღრმესი მადლობა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია გოგი დოლიძე და ქართული სიმღერა. ამდენი ნიჭიერი ანსამბლი და ბავშვი, ერთად ამღერებული რომ ენახა, არ ვიცი, რა დაემართებოდა...

თემურ ჭკუასელი, *მომღერალი, ჟურნალისტი:*

— ბევრი მიფიქრია და დამიწერია გოგიზე. თითქმის ყველაფერი, ყოველი ნათქვამ-ნააზრევი, ფურცელზე გადმოტანილი წარმომიდგენია მკითხველის სამსჯავროზე, მაგრამ როგორც ჩანს, გოგის თემა ამოუწურავია, მისი ფენომენი კი — შეუცნობელი... რა გითხრათ, პირქუში ტრადიციების მქონე სიცილიელების გამონათქვამიც გავიხსენე — დრონი მეფობენო, — რომ ბრძანეს, ქართულ ხალხურ სიბრძნესაც გადავწვდი — დრო ყველაფრის მკურნალიაო, — რომ გვაიმედებს... არ ყოფილა მართალი: გოგის ადგილი სამუდამოდ ცარიელი დარჩა ჩემს გულში. საზოგადოებაც იმავეს განიცდის. როგორც ჩანს, დრო ვერ შლის, ვერ ახუნებს ფერებს, რომლებიც თითოეული ჩვენგანის არსებაში წარმოშვა და სამუდამოდ ჩაბეჭდა. უნაპიროა მისი არყოფნით გამოწვეული სევდა, თუმცა, მაინც ბედნიერი უნდა ვიყოთ იმით, რომ არა მარტო შევხვდით — ვმეგობრობდით კიდეც მასთან. „ქართულ ხმებთან“ ერთად, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსები — რეპეტიციები, კონცერტები, გასტროლები — სულ თვალწინ მიდგას და აღარ მიკვირს, რატომ მიაჩნდა იგი ყველას თავის მეგობრად: მას ყველას დარდი და საზრუნავი საკუთარივით მიჰქონდა გულთან. დეტალებში ვიხსენებ, როგორი იყო იგი ბავშვებთან, ოჯახის წევრებთან, ქალებთან, უახლოეს მეგობრებთან ურთიერთობისას, როგორი შეუცვლელი იყო ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორ შეგეძლო, დაყრდნობოდი მას — და ვხვდები, ბედის საჩუქარია ასეთი კაცი, შეუძლებელია, რამისა გშინებოდა მის გვერდით... ვიხსენებ გარეგნულ სილაღეში შენიღბულ მის ფარულ სევდას, გულჩახვეულობის მიზეზებს, სულის საოცარ სიდიადეს, ერთგულებას, თავდადებას, უსაზღვრო, უსამანო, ყოველგვარ ფარგლებს გადაცილებულ სიკეთეს — ანუ ღირსებებს, რომლებითაც ასე უხვად იყო დაჯილდოებული და ვხვდები, თუ რატომ უყვარდათ იგი ასე ძლიერ ნაცნობებსაც და უცნობებსაც, იმათაც კი, ვინც მხოლოდ ეკრანიდან იცნობდა, რამეთუ ეკრანს აქვს ფრიად უცნაური თვისება — გააშიშვლოს ადამიანი. მის სულში კი, ყოველთვის ნათელი იდგა!.. გოგი ყველას იმედი იყო და ამას ისე ბუნებრივად ახერხებდა, თითქოს მხოლოდ ამ მიზნით იყო მოსული ამქვეყნად. თავისი უნაპირო სიკეთის გამო, სიცოცხლეშივე მოასწრო ათასეული სულში ჩასახლება. იმ ქვეყნად წასვლით კი, ერთგვარი მსხვერპლი გაიღო — საზოგადოებისაგან მისთვის გამეტებული, უზომო სიყვარული ჩვენ გადმოგვინაწილა, რადგან ანსამბლიცა და თითოეული ჩვენგანიც მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო შეიყვარა ხალხმა... ბევრი ახალი სახე გამოჩნდა უმისოდ ჩატარებულ მის შემოქმედებით საღამოზე. ბოლო ხანს, ნიჭიერი ბავშვები გამოჩნდნენ გოგის სახელობის ფესტივალზეც, რომლის ჟიურის თავმჯდომარეობაც მარგუნეს წილად... როგორ გაიხარებდა, მისი წასვლის შემდეგ, დაფრთიანებული ამდენი ახლგაზრდის ნახვა რომ შესძლებოდა, მათი საქმისადმი ესოდენი ერთგულება და ქართული სიმღერის, ქართული გენის და საუნჯისადმი მათი უსაზღვრო მოწიწება ეგრძნო...

რაღაც გამორჩეული დაძმობა გვქონდა და ეს ურთიერთობა თუ შინაგანი კავშირი დღემდე არ შეწყვეტილა

ეკა მამალაძე, *მომღერალი:*

— გოგის პიროვნების უნიკალურობა და სიმღერისადმი მისი ამაღლებული დამოკიდებულება ყველამ კარგად იცის. ასეთივე თავდადებული იყო იგი ჩემთვის, როგორც მეგობრისა და პარტნიორისათვის. ჩემს მომღერლად აღიარებას გოგის ჯენტლმენობამაც შეუწყო ხელი: იმდენად „ჩემთვის მღეროდა“, ისე მითმობდა ასპარეზს, არ შეიძლებოდა, სიმღერა არ გამომსვლოდა. მთლიანად ჩემზე იყო კონცენტრირებული და როცა დიდი გემოვნების პატრონს, რაიმე არ მოეწონებოდა, მანუგეშებდა: შენ — არა, მამა, მე ვაფუჭებო... გოგი პროფესიონალი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. საუცხოოდ იცოდა ქართული სიმღერის ფასი და გემო, მასში ჩაბუდებულ ფერებსაც შეიგრძნობდა და ცდილობდა, შენც ცხოვლად შეგეგრძნო იგი, რაც პასუხისმგებლობასაც მიათკეცებდა და

იმდენად „ჩემთვის მღეროდა“, ისე მითმობდა ასპარეზს, არ შეიძლებოდა, სიმღერა არ გამომსვლოდა

მეტის კეთების სურვილსაც მიჩენდა.

არ მახსოვს, სიტყვები დავიწყნოდეს და ამიტომაც, სულ სახეში შევეცქეროდი, რომ თავად არაფერი შემშლოდა. ასეთი ხმის პატრონი, ჩემთან ერთად ისე ჩუმად მღეროდა, რომ ზოგჯერ არც ისმოდა... ასეთი ბუნება ჰქონდა: სულ შენზე ზრუნვით იყო დაკავებული და საკუთარ თავზე ნაკლებად ფიქრობდა. იმდენად კარგად ერწყმოდა ჩვენი ხმის ტემბრი ერთმანეთს, სხვა მეწყვილე არც მიძებნია. გოგის წასვლასთან ერთად, ჩემი ცხოვრების დიდი ეტაპი დასრულდა...

თამრიკო ჟოხონელიძე, *მომღერალი:*

— გოგი ნამდვილი ჯენტლმენი იყო. ის სულ გითმობდა, სულ წინ გიშვებდა და თავად ჩრდილში რჩებოდა. რაინდობის, ვაჟკაცობის, ერთგულების სიმბოლო იყო ჩემთვის და იმდენად გულით აკეთებდა ყველაფერს, ზოგჯერ მისი გაგებაც უჭირდათ... გოგის სიმღერაში ყოველთვის იყო ისეთი შტრიხი — ვთქვათ, სუნთქვა, გამომეტყველება, — რომელიც იმდენად მისი იყო, სხვა ადამიანი ვერაფრით ახერხებდა მის გამეორებას. ის გამუდმებით მუშაობდა საკუთარ თავზე, ცდილობდა, სრულყოფილი ბგერისთვის მიეგნო და ამასვე ითხოვდა ყველასგან. გოგის განსაკუთრებული ნიჭიერების დასადასტურებლად, მინდა გიამბოთ, თუ როგორ იბადება რაღაც წამებში ყოველივე საუკეთესო, ნამდვილ შემოქმედთა ურთიერთობისას: ტელევიზიის პირველი არხის დიდ სტუდიაში მიმდინარეობდა გადაცემის ჩაწერა, რომელსაც „დუეტი“ ერქვა და რომელშიც ყველაფერი — ცეკვა, სიმღერა, ლექსი, პანტომიმა — მხოლოდ სიყვარულს ეძღვნებოდა, სიყვარულს გამოხატავდა. სამ-სამი სოლო და სამი დუეტი უნდა შეგვესრულებინა. აღმოჩნდა, რომ გოგის არ ჰქონდა მესამე სიმღერა, რომელიც ზუსტად მოერგებოდა გადაცემას. საგონებელში ჩავცვივდით. უეცრად გამახსენდა მარინა ლეკიშვილის სიმღერა, რომელსაც ჯერ მხოლოდ ვიწრო წრეში იცნობდნენ. დავსხედით, გავიხსენეთ ტექსტი; დავუკარი, გოგიმ იმღერა და იმდენად მოეწონა, რომ ჩაწერაზეც მყისვე დათანხმდა... ეს ამბავი პირველად, გოგის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე გავამხილე. მანამდე რატომღაც, არსად ვამბობდი. ახლა მინდა, ყველამ იცოდეს, რომ იმ ჩანაწერში სიმღერის აკომპანიმენტს მე ვაკეთებ და ამ მშვენიერი სიმღერის საზოგადოებაში გამოტანის, მისი დაბადების უშუალო მოწმე და მონაწილეც გავხდი. ასე, წამიერად, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, დაიბადა და შემდეგ, უსაზღვროდ შეიყვარა ხალხმა — „გავა დრო და მოვუყვები შვილებს“... გავა დრო და მეც მოვუყვები ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს, რომ მყავდა ძალზე კარგი მეგობარი, ნიჭიერი მომღერალი, რომლის შემოქმედების ერთ-ერთი ლამაზი ფურცლის შევსებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის... წარმოუდგენლად უყვარდა ქართული სიმღერა. ერთხელ ნუკრი კაპანაძისთვის უთქვამს — ჩემსავით არავის უყვარსო ამქვეყნად ქართული სიმღერა. ლამის ანდერძივით დაგვტოვა მის მეგობრებს ეს სიტყვები: ყველანი ყოველნაირად ვცდილობთ, მართლაც, ყველასა და ყველაფერზე მეტად გვიყვარდეს ჩვენი ფოლკლორი, ჩვენი დიდებული ქართული სიმღერა და მომავალ თაობასაც ასეთივე სიყვარულით შევაყვაროთ იგი. ამის შანსს ეს, მშვენიერი მონაცემების მქონე ბავშვებიც იძლევიან — ფესტივალი, ქართული სიმღერის ნამდვილ ზეიმად აქციეს.

გოგი დოლიძის შვილი ლევანი და მამა ლეონიდე

აჩიკო ნიჟარაძე, *მომღერალი:*

— იმის გამო, რომ მუსიკოსების გარემოცვაში გავიზარდე და ჩემი ოჯახის ყველა წევრი კარგად მღერის, მეც ბავშვობიდანვე შევიყვარე ქართული სიმღერა. როცა წამოვიზარდე, სულ ხალხური სიმღერების ანსამბლში ვმღეროდი. მართალია, გოგი დოლიძეს არ ვიცნობდი, მაგრამ მის სიმღერებზე აღვიზარდე, მის ჩანაწერებს გამუდმებით ვუსმენდი და ვხვდებოდი, რომ ძალიან მომწონდა მისი ხმის ტემბრი, სიმღერასთან მოკრძალებული დამოკიდებულება, ბგერის მოფერების მისეული მანერა და მის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელება მომინდა... ვიცი, დიდ საქმეს შევეჭიდე და ბევრი საფეხურის გავლა მომიწევს, ვიდრე იქამდე მივაღწევ, მაგრამ ძალიან მიხარია, როცა ისეთ ადამიანსა და მომღერალს მამსგავსებენ, როგორიც გოგი დოლიძე იყო. ბევრი მეუბნება, გოგი გამახსენეო, ბევრი მეფერება — გოგი გამიცოცხლეო, ეს კი პასუხისმგებლობას მიათკეცებს. მას ბადალი არ ჰყავდა... ასეთი სახის ფესტივალები გამოავლენს ნიჭიერ თაობას და არასოდეს დასრულდება ის საქმე, რომელსაც გოგი ემსახურებოდა...

მაია დეთუნაშვილი, *მუსიკათმცოდნე:*

— ნამდვილად მეამაყება რომ გოგის სკოლელი ვარ. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს წაყვანა და მისი სახელობის ქართული სიმღერის ფესტივალის გალა-კონცერტის წაყვანაც მე დამეკისრა. საერთოდ, ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება გოგიზე, როგორც პიროვნებაზე და მომღერალზე. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მისი ადგილი ვერავინ დაიკავა ტრადიციულ საშემსრულებლო სივრცეში. საინტერესოდ გახლდათ იგი რეალიზებული ქართულ ხალხურ სიმღერაშიც, რადგან ოჯახშიც აღიზარდა ამ სიმღერებზე. თქვენ რომ მოგესმინათ, როგორ მღეროდა დედამისი, ქალბატონი ქეთევან ჩხეიძე, აღარ გაგიკვირდებოდათ, როგორ მღეროდა გოგი, სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციით ათასჯერ ნამღერ ქართულ სიმღერას. მის მიერ ნამღერს ყოველთვის ახლდა ისეთი ნიუანსი, რომელიც სხვებისგან გამოარჩევდა. შესაძლოა, ვინმეს ჰქონდეს კიდეც მსგავსი ძლიერი ვოკალური მონაცემები ან ტექნიკა, მაგრამ იშვიათია, სიმღერის მისეული, განსაკუთრებული სულიერება, რომლის გამოც, გოგი დღემდე რჩება განუმეორებელ მომღერლად. ამავე დროს, ის იყო სრულიად გამორჩეული მოქალაქე, ადამიანი, რომლის მსგავსები ყოველთვის, დღეს კი — განსაკუთრებით სჭირდებიან საქართველოს... სადაც არ უნდა ყოფილიყო, აუცილებლად დამირეკავდა, გაზაფხულის მოსვლას თუ დაბადების დღეს მომილოცავდა. ყველას როდი შეუძლია, იყოს ასე, „კომპლექსურად“, ყველა ასპექტში სანიმუშო. ის მუდმივად ხარობდა სხვისი სიხარულით და ყველანაირად შეეძლო, მხარში ამოგდგომოდა. რა გჭირდება, მითხარი, თუ გინდა, სცენას დავგვიო, — მეტყოდა და ვიცოდი, ის ნამდვილად იყო ამის გამკეთებელი. ამიტომაც მაკლია ძალიან... ბევრჯერ,



გოგი დოლიძეს არ ვიცნობდი, მაგრამ მის სიმღერებზე აღვიზარდე

მოვიხედავ უკან: მეჩვენება რომ აქვეა, ჩემ გვერდით, ან ახლა შემომაშველებს საჭირო სიტყვის, ან — ახლა... როცა ბატონმა გია მურღულიამ თავისი ინიციატივის შესახებ მითხრა, მივხვდი, ამაზე მეტს ვერასოდეს გავუკეთებდი გოგის: ეს იქნებოდა მისი ოცნების ხორცშესხმა — კიდევ უფრო განვითარებულიყო, მაღალ საფეხურზე ასულიყო ქართული სიმღერა. ფესტივალის დირექტორად, ჩვენივე თანასკოლელი — ზაზა მამალაძე დავნიშნეთ. მან საუცხოოდ გაართვა თავი ამ საქმეს. ყველანი — ჟიურის თავმჯდომარე, თემურ ჭკუასელი, ჟიურის წევრები — მარიკა კვალიაშვილი, თამრიკო ჭოხონელიძე, სულიკო კოროშინაძე, დათო კიკაბიძე, გოგის ვაჟი, ლევან დოლიძე — ყველანი ერთი სურვილით ვიწვოდით: რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ბავშვი აღმოგვეჩინა და წარმოგვეჩინა. 4 დღეში 600-ზე მეტ ბავშვს მოვუსმინეთ. მათი უმრავლესობა არ იყო სპეციალურად მომზადებული — სამაგიეროდ, ჟღერდა ხალასი, თუმცა ჯერ დაუმუშავებელი, „გაუწვრთნელი“ ხმა... ჩვენი კონკურსი არ დასულა კომერციულ ინტერესებზე, რადგან არ მიმაჩნია სწორად, ეს-ემ-ესებით ნიჭიერების გამოვლენა. იმედგაცრუება ნიჭისათვის დამღუპველია, ამიტომ, დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდით თითოეულ ბავშვს. არ ვითხოვდით დასრულებულ პროდუქციას — ვითხოვდით ქართულ მანერას, ქართულ ტრადიციულ მღერას. საოცარი რამ ხდებოდა — ბავშვები ისე მღეროდნენ, საუკეთესოთა შერჩევაც გაგვიჭირდა.

თან, ყველა ძალზე შეგვიყვარდა... გალა-კონცერტისთვის 40 ბავშვი შევარჩიეთ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან მიღებული დარიგებაც აღვასრულეთ — გალა-კონცერტზე, გარდა სიმღერისა, პატრიოტული სიტყვაც უნდა აჟღერებულიყო. უმოკლეს დროში, 35 ახალი სიმღერა დაიბადა. სტუდიური ჩანაწერების შესაქმნელად, დიდი დახმარება გაგვიწია მერაბ სანოძემ. ორთვიანი საფესტივალო ტურები ლამაზ, პატარა ამბებად იქცა, მასში მონაწილე ბავშვების ცხოვრებაში. რაც შეხება გალა-კონცერტს — იგი ძალიან ლამაზი, კარგი ქართული სიმღერის საღამოდ იქცა. ჩვენი ლაურეატების ოცნება ახდა — ისინი მღეროდნენ ცნობილი ანსამბლების: „ფესვების“, „ქართული ხმების“, „ალილოსა“ და ჩვენი უსაყვარლესი მომღერლების — თამრიკო ჭოხონელიძის, მერაბ სეფაშვილის, ეკა კვალიაშვილის, ნუკრი კაპანაძის, თემურ თათარაშვილის, ზაზა მამალაძის გვერდით. ქართული სასიმღერო „რეტროს მამას“ — ბატონ სულიკო კოროშინაძეს ლამის გული გაუსკდა, როცა 12 წლის ბიჭმა სიმღერა — „მე თბილისელი ბიჭი ვარ“ შეასრულა, რადგან ის არასდროს არავის უმღერია, ბატონი სულიკოს შემდეგ... უამრავი აღმოჩენის მომსწრენი გავხდით. 16 წლის ძალზე მორიდებული ყმაწვილი გამოვიდა, თქვა — შეავსრულებ „ფარვანასო“ — და უცებ, ჩვენ თვალწინ თითქოს ნუგზარ აფხაიძე ამღერდა. სამწუხაროდ, აღარც ნუგზარი, უნიკალური მომღერალია ჩვენ გვერდით... მომავალი წლიდან, ფესტივალი რესპუბლიკური გახდება. ყველაფერს ვიღონებთ გოგის სახელის უკვდავსაყოფად და ქართული სიმღერის ასაყვავებლად. ფინალური სიმღერაც ყოველთვის ის ომახიანი და პატრიოტული სიმღერა იქნება, რომელიც ასე უყვარდა გოგის და რომლითაც ყველას გვთხოვდა: „შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი“...

P.S. ბედნიერი იქნება ქართული სიმღერა, თუ გოგისთანა გულის მომღერალი კიდევ ეყოლებაო, — ბრძანა რობერტ გოგოლაშვილმა. გოგი დოლიძე ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების ნათელი სხივი იყოო, — დანანებით თქვა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ეკა თევზაძემ, რომლის ულამაზესი რომანსი — „დაგივჯერე და შევცდი“ — პირველად და უკანასკნელად იმღერა გოგიმ ბათუმში, დასავლეთ საქართველოში, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარებული ტურნეს დროს. ის ჩანაწერიც ნანახი მაქვს და არ მომჩვენებია — საოცრად სევდიანი იყო გოგი, თითქოს ინტუიცია ჰკარნახობდა, რომ უკანასკნელად იდგა სცენაზე...

ნაღდ კაცს, ნაღდ ადამიანს გამოცნობა არ სჭირდება, მამა, ბრმაც რომ იყო, დაინახავო, — იცოდა თურმე, თქმა. მადლობა ღმერთს, მასში ნაღდ კაცსა და ნაღდ შემოქმედს მთელი საქართველო ხედავდა. ჭეშმარიტ სიმღერასთან წილნაყარს კი, დავიწყება არ უწერია... ■

ნამღერად მეამყება რომ გოგის სკოლელი ვარ. ყველას როდი შეუძლია, იყოს ასე „კომპლექსურად“, ყველა ასპექტში სანიმუშო

ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად ქართლში ჩამოსული ასურელი მამები

ღვთის მინიშნებით სამოღვაწეოდ არჩეული ზედაზნის მთა და ზედაზნიობის ღვთასწაულად კედლიდან გადმოსული წყლის გული და ალა

ზორენა მერკვილაძე

ზედაზნის მონასტერი მცხეთიდან რვა კილომეტრის მოშორებით, ზედაზნის მაღალი მთის წვერზე მდებარეობს. იგი დაარსებულია V საუკუნეში, ერთ-ერთი ასურელი მამის, იოანეს მოღვაწეობის პერიოდში, რომელიც ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ამ მთაზე ავიდა და დაემკვიდრა. სწორედ იქ მოღვაწეობის გამო ეწოდა მამა იოანეს — ზედაზნელი. მისი მოღვაწეობის დროს დაარსებულ მონასტერსაც, ზედაზნის მონასტერი ეწოდა... საიდან მომდინარეობს თავად მთის სახელწოდება? ვინ იყო მამა იოანე და რატომ ჩამოვიდნენ ასურელი მამები საქართველოში? როგორ დაარსდა ზედაზნის სამონასტრო ცენტრი? — ამ და სხვა საკითხების შესახებ საუბარი, საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელს, **ზორენა ციცქიშვილს** *ვთხოვეთ.*

— ზედაზნის მთის სახელწოდების წარმოშობის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ადრეულ საუკუნეებში, მთაზე, მეფე ფარნაჯოს (ჩვ.წ. აღ-მდე 112-93 წწ.) ზადენის კერპი აღუმართავს. წარმართული კერპი უშუალოდ მთის წვერზე მდგარა, ამიტომაც ეწოდა მთას — ზედაზადენი, მოგვიანებით კი — ზედაზენი, მაგრამ, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ივანე ჯავახიშვილი. მისი აზრით, ზედა ზადენი გეოგრაფიული ერთეულია და მეორე გეოგრაფიული ერთეულის, ქვედა ზადენის არსებობაზე მიუთითებს. კიდევ ერთი ვერსიით, ასურელმა მამებმა, სწორედ იმ ადგილას დააარსეს და დაამტკიცეს მონასტერი, სადაც ადრე ზადენის კერპი იდგა და აქედან წარმომდგარა მისი სახელწოდებაც.

— ასურელი მამები საქართველოში სწორედ იაონე ზედაზნელის წინამძღოლობით ჩამოვიდნენ. ვინ იყო მამა იოანე და რა იყო მათი საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი?

— მამა იოანე წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. თავდაპირველად, თავის ქვეყანაში, ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა. წმინდა და ღვთივსათნო ცხოვრებით იმდენად განიწმინდა სული, რომ ღმერთმა მას სასწაულმოქმედების ძალა და უნარი მიანიჭა. მისი ლოცვით ადამიანები სასწაულებრი-

ვად იკურნებოდნენ სნეულებათაგან — ბრმებს თვალები ეხილებოდათ, ბოროტი სულებით შეპყრობილთაგან ეშმაკები განისხმოდნენ, მასთან სარეცლით მიყვანილი დავრდომილნი უკან საკუთარი ფეხით ბრუნდებოდნენ... მამა იოანეს ყოველდღიურად უამრავი ადამიანი აკითხავდა, წმინდა მამას კი, განმარტოებით მოღვაწეობა სურდა, ამიტომ პირველმოღვაწეობის ადგილი მიატოვა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად, ყველასთვის უცნობ ადგილას დაემკვიდრა, თუმცა, ღმერთმა მისი რჩეულის ჩრდილში ყოფნა არ ინება, იოანეს ახალი ადგილსამყოფელიც გააცხადა და ხალხმა კვლავ იწყო მასთან მისვლა. შინაგანად, განდეგილი მოღვაწეობისთვის მოწოდებული იოანე, უფრო შორეულ მხარეში აპირებდა დამკვიდრებას. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ამ პერიოდში, მას ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად მის წილხვედრ ქვეყანაში — საქართველოში წასულიყო. თან, თორმეტი რჩეული მოწაფე გაეყოლებინა. მამა იოანეს მათი გამორჩევა გაუჭირდა და გადაწყვიტა, ეს საქმე ღვთისთვის მიენდო — მასთან მოღვაწე ბერების სახელები სათითაოდ ჩამოწერა ქაღალდზე და საკურთხეველში, ტრაპეზზე დაალაგა, მოწაფეებს კი, ორმოცდღიანი ლოცვა და მარხვა დაუწესა. ორმოცი დღის შემდეგ, როდესაც ყველანი საკურთხეველში ლოცულობდნენ, მათ დაინახეს უფლის ანგელოზი, რომელმაც ტრაპეზიდან თორმეტი ქაღალდი აიღო და სათითაოდ მისცა ბერებს, რომლებიც თან უნდა გაჰყოლოდნენ მამა იაონეს საქართველოში. ქართლში შემოსულ ასურელ მამებს, წინ მიეგებნენ ქართლის იმჟამინდელი მეფე ფარსმანი, სამეფო ამალით და კათოლიკოსი ევლავიოზი, რომელსაც მათი მოახლოების შესახებ უფლისგან წინასწარ ეუწყა. ცხადია, ასურელ მამებს ქართული არ უნდა სცოდნოდათ, მაგრამ მამა იოანეზე სულიწმიდის მადლი გადმოვიდა და კათოლიკოსს ქართულად მიესალმა. ასურელმა მამებმა პირველ ყოვლისა, მოილოცეს უფლის კვართი, სვეტიცხოველი და მცხეთის სხვა სიწმინდეები, შემდეგ კი, ზედაზნის მთაზე გავიდნენ და იქ დაემკვიდრნენ, სადაც ორი წლის მანძილზე ერთად მოღვაწეობდნენ. ორი წლის შემდეგ, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გავიდნენ სამოღვაწეოდ, რათა საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზნისთვის — ქრისტიანული სჯულის განმტკიცებისთვის შეეწყოთ ხელი. თავად იოანე ზედაზნის მთაზე დარჩა და სიცოცხლის ბოლომდე იქვე იღვწოდა უფლის წინაშე.

— რატომ აირჩია მამა იოანემ სამოღვაწეოდ ზედაზნის მთა, როგორ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება იქ დამკვიდრებულ ბერებს და როგორ დაარსდა ზედაზნის მონასტერი?

— როდესაც ასურელმა მამებმა მცხეთის სიწმინდეები მოილოცეს, მამა იოანემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მისთვის სამოღვაწეო ადგილი ეჩვენებინა. უფალმა მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე ზედაზნის მთაზე მიანიშნა. მან ლოცვა-კურთხევისთვის ქართლის კათოლიკოსს მიმართა. ევლავიოზმა აუწყა, რომ მთაზე ადრე, წარმართული კერპი იყო აღმართული და ამიტომ ამ ადგილას ბოროტი სულები ეპატრონებიანო, მაგრამ რადგან მათი ზედაზენზე დამკვიდრება ღვთის ნება იყო, კურთხევა მისცა. წმინდა იოანე ზედაზნელის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ ასურელი მამების ლოცვით, მთა ბოროტი სულებისგან განიწმინდა და ირგვლივ ყოველივეს ღვთის მადლი მოეფინა. როდესაც ზედაზნის მთაზე მიმავალი ასურელი მამები მდინარე არაგვთან მივიდნენ, მამა იოანეს კურთხევით, შიო მღვიმელმა ლოცვა აღავლინა, მდინარეს კვერთხი შეახო და წყალი ორად განიპო. მეორე ნაპირზე წმინდა მამების გადასვლის შემდეგ, მდინარე კვლავ შეერთდა. ეს სასწაული კიდევ ერთი ნიშანი იყო იმისა, რომ ასურელი მამების ზედაზენზე მოღვაწეობა ღვთის ნება იყო. ზედაზნის მთა ხალხით დასახლებული ადგილიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა, ამიტომ განმარტოებით მოღვაწეობისთვის ხელსაყრელი და შესაფერისი ადგილი იყო და იოანეს ნახვისთანავე მოეწონა. თუმცა საცხოვრებელი პირობები ძალზე რთული იყო — მთა მთლიანად ტყით იყო დაფარული, სადაც მხეცები ბინადრობდნენ, არ მოიპოვებოდა სასმელი წყალი, საკვებიც საკმაოდ მწირი ჰქონდათ, ამიტომ ასურელი მამები მკაცრი, ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. უმეტეს დროს ლოცვაში ატარებდნენ. რაც შეეხება მონასტრის დაარსებას, იგი მამა იოანეს კურთხევით, ერთ-ერთმა მოწაფემ — თათამ დააარსა ზედაზნის მთის ძირში. სწორედ მთის ძირას არსებულ მონასტერში მკვიდრობდნენ ასურელი მამები. თავად იოანე ზედაზნელმა, მთის მწვერვალზე ბუნებრივად ნაკვეთი გამოქვაბული იპოვა და იქ დაემკვიდრა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე განმარტოებით მოღვაწეობდა — დაახლოებით, ოცდაათი წლის მანძილზე. როგორც მოგახსენეთ, ზედაზენზე წყალი არ მოიპოვებოდა, ამიტომ მთაზე მოღვაწე ერთ-ერთი ბერი წყალს მდინარიდან ეზიდებოდა, რომელიც საკმაოდ შორ მანძილზე მოედინებოდა. ეს ძალზე მძიმე შრომას მოითხოვდა. მამა იოანეს შეებრალა მოწაფე და უფალს წყლის აღმოცენება შესთხოვა, მისი ლოცვით მართლაც, სასწაულებრივად აღმოცენდა მთის მწვერვალზე ანკარა წყარო.

— წმინდა იოანე სხვა მრავალ სასწაულსაც იქმოდა. იქნებ, რამდენიმე მათგანის შესახებ გვიამბოთ...

— იოანე ზედაზნელის სახელს უამრავი სასწაული უკავშირდება. ერთხელ წმინდა მამასთან ერთ-ერთი მოწაფე მივიდა და უთხრა, წყაროზე დათვი დამხვდა და წყალთან მიახლოებას ვერ ვახერხებო. ნეტარმა მამამ დათვს მშვიდად მიმართა: მოიკალი წყურვილი, მაგრამ ადამიანებს ზიანს ნუ მიაყენებო. დათვმა წყალი დალია და მორჩილად გაეცალა იქაურობას. მისი ლოცვით ადამიანები მძიმე ავადმყოფობისგან იკურნებოდნენ: მე კი არ ვარ მკურნალი, არამედ უფალი იესო ქრისტეო — ეუბნებოდა ბერი მისი სასწაულებით განცვიფრებულ ხალხს. წმინდა იოანე არც გარდაცვალების შემდეგ აკლებს მადლს და შეწევნას მის წინაშე რწმენითა და სასოებით მლოცველთ.

— იოანე ზედაზნელის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ სულიწმიდისგან წინასწარ ეუწყა ამა სოფლიდან გასვლის ჟამის შესახებ. მოწაფეები იხმო, უკანასკნელად დამოძღვრა, აკურთხა ისინი და სამუდამო სამკვიდრებლად სწორედ ის გამოქვაბული აირჩია, სადაც მრავალი წლის მანძილზე მოვაღწეობდა. თუმცა, მიუხედავად სურვილისა, თათას მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს...

— მოწაფეებმა მთის მწვერვალზე მდებარე გამოქვაბული წმინდა მამისთვის შეუფერებლად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, ზედაზნის მთის ძირში, თათას მიერ დაარსებულ მონასტერში დაეკრძალათ, მაგრამ როდესაც მისი წმინდა ნეშტი მიწას მიაბარეს, მოულოდნელად მიწისძვრა დაიწყო და იქამდე არ შეწყვეტილა, ვიდრე ნეტარი მამის ანდერძი არ გაიხსენეს და პირველმოღვაწეობის ადგილას არ გადაასვენეს. წმინდა მამის საფლავზე, V საუკუნეში კათოლიკოსმა კლიმენტოსმა ზედაზნის მონასტრის მთავრის — იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ააგო. იოანე ზედაზნელის საფლავი, ეკლესიის ჩრდილოეთ ნავშია განთავსებული და მონასტრის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეს წარმოადგენს. X საუკუნეში, ნათლისმცემლის ეკლესიას სამხრეთიდან კარიბჭე მიაშენეს, X საუკუნეში კი, კანკელი გაკეთდა. მონასტერი დამპყრობელთა რბევა-აწიოკებას ხშირად განიცდიდა. საქართველოში შემოჭრილი მტერი, თავს მონასტრის ირგვლივ არსებულ ხშირ ტყეში აფარებდა და იქიდან ესხმოდა თავს მოსახლეობას. ცხადია, ეს მონასტერზეც მოქმედებდა. ამიტომ, სამონასტრო ცხოვრება ხშირად ფერხდებოდა ან საერთოდ წყდებოდა. საბოლოოდ, სამონასტრო ცხოვრება XX საუკუნის პირველ ნახევარში შეწყდა. იქ უკანასკნელად მოღვაწეობდა წმინდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე), რომელიც გარდაცვალების შემდეგ იქვე, ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთით დაკრძალეს. 1990-იან წლების დასაწყისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ზედაზენზე ბერები დასახლდნენ და სამონასტრო ცხოვრება კვლავ განახლდა. ამავე პერიოდში, მთავარი ეკლესიის დასავლეთით, ბერების საცხოვრებელი სენაკები აიგო, წმინდა იოანე ზედაზნელის საფლავი კი, ბაზალტის ფილებით მოაპირკეთეს. ზედაზნის მონასტერში, ყოველწლიურად მეორდება ერთი და იგივე სასწაული — ზედაზნობის დღესასწაულზე — ე.ი. იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს (20 მაისს), ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლიდან გადმოდის წყალი ისე, როგორც ცრემლი. ამას იოანეს ცრემლებს ეძახიან. კედლიდან გადმოსული წყალი, იოანე ზედაზნელის საფლავის წინ მდებარე ავზში ჩაედინება. ზოგიერთ წელიწადს ავზი პირამდე ივსება, ზოგჯერ კი, ნაკლულია. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, თუ ავზი პირამდე აივსო, ნაყოფიერი წელიწადი იქნება. ამ მინიშნებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც აკვირდება და ზედაზნობის დღესასწაულზე ყოველთვის კითხულობს — აივსო წყლით ზედაზნის ავზი? წყალს სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან კურნების ძალა შესწევს, ამიტომ ზედაზნობის დღესასწაულზე მონასტერში ასულ მომლოცველებს ყოველთვის თან მიაქვთ წმინდა მაკურნებელი წყალი. მას მთელი წლის მანძილზე სასოებით ინახავენ და მხოლოდ ავადმყოფობის ჟამს იხმევენ. ■

ორგანიზება

შიო გვეტაძე

ქუთაისის მილიციამ საშიშ დამნაშავეთა ბანდა დაიჭირა. მას სათავეში უდგას ძალზე გამოცდილი და ამავე დროს, ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობი კრიმინალი, რომელსაც ისინი პირობითად, ჭაღარას ეძახიან. მისი ხსენებაც კი შიშის ზარს სცემს სხვა ბოროტმოქმედთ, მაგრამ პატიმრების ურთიერთდაპირისპირების დროს, გამომძიებელი მინდელი მაინც ახერხებს მისი ქურდული „კლიჩკის“ დადგენას. „უდანაშაულოდ“ დაკავებული კაცი, რომელიც თავს ჩარგიევად ასაღებდა, საშკა ჩერქეზის მეტსახელის ხსენებისთანავე, „ნებდება“ გამოძიებას და სრული სიმართლის თქმას ჰპირდება.

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-21)

მინდელის ვარაუდი გამართლდა: ჩარგიევთან დაპირისპირებისთანავე, ბალავაძემ, ივანისელმა და კიტოვანმა სავსებით აღიარეს დანაშაული, დაადასტურეს ჩარგიევის მონაწილეობა და გამოძიებას დეტალური ჩვენება მისცეს.

არც ერთ ბანდიტს არ უცდია, რაიმე დაემალა გამოძიებისათვის, მხოლოდ ხოტოველი გაჯიუტდა და კატეგორიულად უარყო ობლიგაციებისა და ორი ოქროს საათის კიტოვანისაგან შესყიდვის ფაქტი.

კიტოვანი ხოტოველის ჩვენებამ გააცოფა და მანამდე აგინა უშვერი სიტყვებით, ვიდრე მინდელმა ისევ საკანში არ დააბრუნა.

ქავჟარაძის მიმართ გამომძიებელმა საქმე წარმოებით შეწყვიტა და ბავშვივით ატირებული, დაუყოვნებლივ გაათავისუფლა, სხვები კი წინასწარი საპატიმრო საკნიდან ციხეში გადაიყვანა.

გამოძიება თითქმის დასრულდა.

ძალზე მძიმედ განიცადა მინდელმა ტყეშელიაძის ქვრივთან და ჩიკვაიძის დედასთან შეხვედრა: სიძისა და შვილის დაკრძალვის შემდეგ, ძაძებით მოსილი, ერთბაშად დაბერებული, ანზორის დედა თითქმის ყოველდღე პროკურორთან იჯდა და დაჟინებით მოითხოვდა გამოძიების სწრაფად დამთავრებას. გამწარებულ ქალს დამნაშავეთა სიკვდილით დასჯაც მცირე სასჯელად მიაჩნდა, ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ბოროტმოქმედნი ჯერ კიდევ არ იყვნენ დასჯილნი და გამოძიებას ბრალს სდებდა უმოქმედობაში, მკვლელების მფარველობაში. პროკურორსა და გამომძიებელს კარგად ესმოდათ მისი, ამიტომ ყურადღებას არ აქცევდნენ უსამართლო ბრალდებას და საქმის მალე დამთავრებას ჰპირდებოდნენ.

და აი, დადგა დრო, როდესაც ორი გაუბედურებული ქალისთვის გამოძიების მასალები უნდა გაეცნოთ. მინდელის თხოვნით, ანზორის დედა და ტყეშელიაძის ქვრივი ხომერიკმა მიიღო. გამომძიებელი ფრთხილად შეუდგა მათ შემზადებას საშინელი ამბის შესატყობინებლად.

საქმის გაცნობამ ქალებზე სხვადასხვანაირად იმოქმედა: ტყეშელიაძის ქვრივი თითქმის დამუნჯდა, ხოლო ჩიკვაიძემ დიდხანს ვერ გაიგო, თუ რას ამბობდა გამომძიებელი. შემდეგ, როდესაც საქმის არსი ბოლოს და ბოლოს, გააცნობიერა, საზარელი ხმით იკივლა — „შვილო!“ — და გულწასული, სკამიდან გადავარდა. მინდელი კაბინეტიდან გავიდა და ნერვებმოშლილმა, იმ დღეს მუშაობა ვეღარც მოახერხა...

დილით, ხომერიკსა და ბალანჩივაძეს ეთათბირა. მას მოსვენებას არ აძლევდა პატიმარ გიორგაძის წერილი და თვითონაც არ იცოდა — რატომ ეპარებოდა ეჭვი კიტოვანის ჩვენებაში — იმაში, რომ წერილი შორეული ჩრდილოეთიდან უცნობმა პატიმარმა ჩამოიტანა. ხომერიკი თავიდან წინააღმდეგი იყო, ამ საკითხის გასარკვევად გამოძიების გაგრძელებისა და თავის მოსაზრებას, კოლონიიდან (სადაც გიორგაძე იხდიდა სასჯელს) უკვე მიღებული პასუხით ასაბუთებდა; ბოლოს, ისიც დათანხმდა გამოძიების გაგრძელებაზე და გახარებულმა მინდელმა სასწრაფოდ აფრინა დაშიფრული დეპეშა.

სამი დღის შემდეგ, შორეული ჩრდილოეთიდან სრულიად მოულოდნელი პასუხი მოვიდა. მინდელი გაკვირვებული დასცქეროდა გაშიფრულ დეპეშას და თვალს არ უჯერებდა. ხომერიკი და ბალანჩივაძე დუმდნენ.

ცნობა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა მინდელი, სულ ოციოდე სტრიქონს შეიცავდა, მაგრამ ის, რაც ამ სტრიქონებში ეწერა, თავდაყირა აყენებდა მთელ საქმეს. მინდელს არაფრით არ სურდა, დაეჯერებინა ცნობის სისწორე, ეჭვი შეეპარა პასუხის სწორად გაშიფვრაში და ამით განაწყენებულ კაპიტან დარსაძეს მეორედ მოუხდა დეპეშის დამუშავება. პასუხი კი ასეთი იყო: მაგადანის ოლქის კოლონიების სამმართველო იტყობინებოდა, რომ ქურდრეციდივისტების წრეში საშკა ჩერქეზად წოდებული პატიმარი, კოლონიდან გაქცევის მცდელობის დროს, ტაიგაში დაღუპულიყო.

მინდელი უხერხულად ატრიალებდა ხელში ქაღალდს და ისე ჩასცქეროდა, თითქოს იქ შეიძლებოდა ეპოვა თავისი ვერსიის ასეთი მოულოდნელი დასასრულის მიზეზი...

დუმილი ხომერიკმა დაარღვია და მინდელს სთხოვა, ხმამაღლა წაეკითხა მაგადანიდან მიღებული ცნობა. გამომძიებელმა უხალისოდ ჩაიკითხა:

„თქვენი ა/წ №18/3 მომართვაზე გაცნობებთ:

მათე ივანეს ძე ჩარგიევი მაგადანის ოლქის შრომა-გასწორებით კოლონიაში არ ყოფილა მოთავსებული. რაც შეეხება საშკა ჩერქეზს, ასეთ პატიმარს — გვარად ვაზგენ მიხეილის ძე მარკაროვს — ესტონეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს 195... წლის 18-26 მარტის განაჩენით, მისჯილი ჰქონდა 25 წლით პატიმრობა და სასჯელს იხდიდა №... შრომაგასწორებით კოლონიაში. 195... წლის 19 მაისს, მარკაროვმა შეძლო კოლონიიდან გაქცევა და გაურკვეველი მიმართულებით მიმალვა. გაქცეულის ძებნა უშედეგოდ დამთავრდა. იმავე წლის 9 აგვისტოს, კოლონიიდან 47-ე კილომეტრზე, გაუვალ ტაიგაში მონადირეები წააწყდნენ მგლების მიერ დაგლეჯილი ადამიანის ჩონჩხის ნარჩენებს. კოლონიის ადმინისტრაციის მიერ მივლინებულმა სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ იგი ეკუთვნოდა კოლონიიდან გაქცეულ პატიმარ მარკაროვს, იმავე საშკა ჩერქეზს. სათანადო კვლევის ჩატარებისა და ვინაობის დადგენის შემდეგ, ძვლების ნარჩენები და თავის ქალა დამარხული იქნა ტაიგაში, მისი აღმოჩენის ადგილზე. მაგადანის ოლქის კოლონიათა სამმართველოს უფროსი — ზლოტოვი“.

მინდელმა კითხვა დაამთავრა, ქაღალდი საწერ მაგიდაზე დააგდო და ნერვიულად მოქაჩა პაპიროსი.

— ცნობის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, — ყველას აზრი გამოთქვა პოლკოვნიკმა.

ხომერიკმა თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია, შემდეგ, თავდახრილ მინდელს მიუბრუნდა და შეეკითხა:

— რას იტყვით, ლევან? იქნებ, შეცდით, იქნებ, სწორად ვერ გაიგეთ?

მინდელმა თავი ასწია, ერთბაშად აუწითლდა სახე.

— არა, გიორგი ასლანიჩ, არ შევმცდარვარ, დამიჯერეთ — ნამდვილად არ შევმცდარვარ.

— კი, მაგრამ ეს ცნობა... — დაიწყო ისევ ხომერიკმა.

— ცნობა არის და ამის უარყოფა მე არ

შემიძლია. მაგრამ ჩარგიევიც რომ საშკა ჩერქეზია, ესეც არ მიმაჩნია სადავოდ. შეიძლება, ეს სხვა საშკა ჩერქეზია, მაგრამ...

— არა, — გააწყვეტინა პოლკოვნიკმა, — ქურდ-რეციდივისტებში ასეთი რამ არ ხდება. თითოეულ მათგანს თავისი სახელი აქვს და სხვის სახელს არ დაირქმევს. ან ჩარგიევი მართლაც, საშკა ჩერქეზია, ან კიდევ.. — პოლკოვნიმა მინდელს გადახედა და სათქმელი არ დაამთავრა.

— ან კიდევ, ბალავაძემ მე თვითონ გამაბა ჩემ მიერვე დაგებულ მახეში და მკვდარი ჩერქეზის „შემოჩეჩებით“ ცრუკვალზე გამიყვანა?.. — წარმოთქვა მინდელმა მწარედ.

— ნუ ცხარობ, ლევან, ასეთი რამ სრულიადაც არ არის გამორიცხული, — შენიშნა ხომერიკმა.

— და არც სათაკილოა... — დაუმატა პოლკოვნიკმა.

— მე არ გედავებით, რომ შესაძლოა, მოხდეს ის, რასაც თქვენ ფიქრობთ. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი მახეში გაბმა გამორიცხულად მიმაჩნია. თქვენ რომ დასწრებოდით ბალავაძისა და ივანისელის დაპირისპირებას და გენახათ, თუ რა რეაქცია მოახდინა საშკა ჩერქეზის, ვითომდა ბალავაძის მიერ ხსენებამ, დარწმუნებული ვარ, ამ ვერსიას გამორიცხავდით.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, საშკა ჩერქეზმა გამოქცევა შეძლო და ახლა ჩარგიევის გვარით ჩავარდა? — იკითხა ხომერიკმა.

— ყოველ შემთხვევაში, ამ ვერსიის გამორიცხვა ნაადრევია, მით უმეტეს, შესაძლებლობა გვაქვს, 10-15 დღეში შემოწმდეს — ერთი და იგივე პირია თუ არა, ჩარგიევი და მარკაროვი.

— კეთილი, დავუშვათ, ჩარგიევმა შეძლო შეუძლებელი და კოლონიიდან გაიქცა. როგორ მოხდა, რომ მგლებისაგან დაფლეთილ ადამიანში მარკაროვი ამოიცნეს ან საიდან გაჩნდა ტაიგაში, კოლონიიდან არც ისე შორს, ვიღაცის ასეთი საჭირო გვამი?.. — დასვა კითხვა პოლკოვნიკმა.

— გარდა ამისა, „ჩვენს“ ჩერქეზს ხომ, მეორე გვარიც აქვს — კოკოევი. მაგადანიდან მოსულ ცნობაში კი, მხოლოდ ერთი გვარია აღნიშნული.

— გვარი... შეიძლება, გამომძიებლის დაუდევრობით, შეუმოწმებელი დარჩა მარკაროვის წარსული. ეს, სამწუხაროდ, ბევრს ემართება. ხოლო თავის ქალათი და ორიოდე ძვლით, ასევე ტანსაცმლის ნაფლეთებით ადამიანის სრულყოფილად ამოცნობა ძალზე ძნელია. ყოველ შემთხვევაში, შეცდომა გამორიცხული არ არის.

— გვამი? მაშ, ვისია გვამი? — კვლავ გაიმეორა ხომერიკმა.

— ეს სერიოზული კითხვაა. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხის დეტალურად შემოწმება.

— მიმოწერით?

— შეიძლება, მიმოწერითაც, მაგრამ ეს ბევრ დროს წაგვართმევს და იქნებ, სასურველი შედეგიც არ მოგვცეს, რადგან დაღუპულის ვინაობას მაგადანელი ამხანაგები დადგენილად თვლიან. გარდა ამისა, თუ ჩარგიევი და ტაიგაში დამარხული საშკა ჩერქეზი — ერთი და იგივე პიროვნებაა, უნდა ვაღიაროთ, რომ ის გაცილებით საშიში რეციდივისტია, ვიდრე ჩვენ მიგვაჩნია. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩერქეზად მიჩნეული, სხვა არავინაა, თუ არა მისივე მსხვერპლი. მაშასადამე, ჩარგიევი არა მარტო ქურდია, არამედ მკვლელიცაა და რაც მთავარია, კოლონიიდან გაქცეული პატიმარია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ნათელი მოვფინოთ ამ საკითხს. ამისათვის აუცილებლად მიმაჩნია, პირველ რიგში, თვით ჩარგიევის დაკითხვა, რაც დღესვე უნდა გავაკეთოთ. მაგრამ თუ ჩარგიევი არ გატყდა და არ აღიარა, მაშინ...

— მაშინ — რა?

— მაშინ, უნდა მიმავლინოთ მაგადანში! — მტკიცედ წარმოთქვა მინდელმა.

— მაგადანში?! — განცვიფრდა ხომერიკი.

— დიახ, მაგადანში! მომისმინეთ, გიორგი ასლანიჩ. ხოტოველმა არ გვითხრა, თუ სად წაიღო ობლიგაციები. ჩვენ მაინც გვჭირდება, თქვენი გეგმის სისრულეში მოსაყვანად, მოსკოვში გამგზავრება და გენერალური პროკურორისათვის საქმის მოხსენება. მე მგონი, როდესაც ჩვენს მოსაზრებას მოისმენენ, ნებას დამრთავენ მაგადანში გამგზავრებაზე, იქ კი ორი დღე სავსებით მეყოფა.

ხომერიკი ცოტა ხანს დუმდა.

— თანახმა ვარ, — თქვა მან ბოლოს და სავარძლიდან წამოდგა. — ოღონდ, ჯერ ჩარგიევი დავკითხოთ და თუ მან არაფერი აღიარა, დღესვე მიგავლენთ მოსკოვში.

...დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი ციხის უფროსის სამუშაო ოთახში ისხდნენ და პატიმრის კამერიდან ამოყვანას უცდიდნენ.

ჩარგიევი ამოიყვანეს. პატიმარმა მტკიცე ნაბიჯით გაიარა მანძილი კაბინეტის კარიდან საწერ მაგიდამდე. მისი სახე არც შიშს გამოხატავდა და არც ამპარტავნებას. ხომერიკის წინ შეჩერდა, გულგრილად მოათვალიერა ოთახში მყოფნი და გულხელდაკრეფილი, მდუმარედ დაელოდა კითხვებს.

— ჩარგიევ, — დაიწყო პროკურორმა, — ჩვენ ამოგიყვანეთ იმისათვის, რომ დამატებით დავაზუსტოთ ზოგიერთი საკითხი და გამოძიებაც დავამთავროთ.

ჩარგიევმა უსიტყვოდ დაუკრა თავი, მაგრამ დუმილი არ დაურღვევია.

— პირველ რიგში, გვაინტერესებს — გვითხარით, რამდენ გვარს ატარებთ და რომელია აქედან თქვენი ნამდვილი გვარი? — განაგრძო ხომერიკმა.

— მე უკვე ვუპასუხე ამ კითხვაზე გამომძიებელს. მაგრამ თუ თქვენ გსურთ, შემიძლია, გავიმეორო: ჩემი ნამდვილი გვარი — კოკოევია, ამჯერად კი, ჩარგიევის გვარს ვატარებ.

— და სხვა გვარი არასოდეს გიტარებიათ? — კვლავ შეეკითხა პროკურორი.

— არა, ამის დამალვას ახლა აზრი აღარ აქვს. მე მგონი, სულერთია, ქურდი ორ გვარს ატარებს თუ ოთხს... — მიუგო გესლიანი ღიმილით ჩარგიევმა.

— ამაოდ ცრუობთ, ჩარგიევ! — ჩაერია ბალანჩივაძე.

— მართალს მოგახსენებთ, ბატონო პოლკოვნიკო!

— არა, ტყუით! თქვენ მესამე გვარიც გაქვთ, რომლის აღნიშვნაც „გულწრფელი აღიარებისას“ გამოგრჩათ, — შენიშნა მინდელმა.

ჩარგიევი მოიღუშა.

— იცით, რას გეტყვით?.. — დაიწყო მან ცივად. — მე არაფერი გამომრჩენია, არც არაფერი დამიმალავს, მაგრამ თუ ჩემი აღიარებით კმაყოფილი არა ხართ, რაშიაც თქვენი ტონი მარწმუნებს, ეძიეთ და იპოვეთ. მე მგონი, ამისათვის გიხდიან ხელფასს, — ღვარძლიანად მიუგო მინდელს.

— ჩვენ უკვე ვიპოვეთ, ჩარგიევ!

— მართლა?! — გაიღიმა ჩარგიევმა. — მაშინ, იმედი მაქვს, გამაცნობთ თქვენს ახალ აღმოჩენას.

— კი, ბატონო. თქვენი მესამე გვარი — მარკაროვია, ამ გვარით იჯექით შორეულ კოლონიაში, საიდანაც სამწუხაროდ, გაქცევა მოახერხეთ.

ჩარგიევის სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებულა, მან დამცინავად გადახედა მინდელს და შემდეგ, ბალანჩივაძეზე გადაიტანა მზერა.

— აღიარებთ? — შეეკითხა ხომერიკი.

პატიმარი ერთხანს დუმდა, შემდეგ, პაპიროსი ამოიღო, მშვიდად მოსრისა და აუჩქარებლად მოუკიდა.

— აღიარებთ თუ არა? — კითხვა გაუმეორა ხომერიკმა.

— სისულელეს არასოდეს ვაღიარებ. როგორც ჩანს, თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ შორეულ ჩრდილოეთზე, თორემ გეცოდინებოდათ, რომ იქიდან პატიმრის გაქცევა შეუძლებელია, — დინჯად უპასუხა განმეორებით დასმულ კითხვას ჩარგიევმა.

— შეუძლებელი რომ იყოს, თქვენც ვერ გაიქცეოდით. მაგრამ ახლა ამაზე საკამათოდ როდი ამოგიყვანეთ საკნიდან. გეუბნებით, ეს ფაქტი უკვე გამორკვეულია და კოლონიიდანაც ოფიციალური ცნობა გვაქვს მიღებული.

— მე კი გეუბნებით, რომ სისულელეა! თქვენ მიერ დასახელებული გვარი არასოდეს მიტარებია.

— ამის უარყოფას აზრი აღარ აქვს, ჩარგიევ! თქვენ არა მარტო საპატიმროდან გაქცეული მარკაროვი ხართ, მეტსახელად საშკა ჩერქეზი, არამედ მკვლელიც!

— მკვლელი? მერე და, ვინ მოვკალი ან რატომ უნდა მომეკლა? — განცვიფრდა ჩარგიევი.

— კარგად იცით, ვინც მოკალით, ხოლო მოკალით იმიტომ, რომ თქვენი ტაიგაში დაღუპვის ილუზია შეგექმნათ და გაქცეული საშკა ჩერქეზის ძებნა აღარ მომხდარიყო.

— ზღაპარია, ბატონო პროკურორო.

— თქვენ ტყეშელიაძის გაძარცვა-მკვლელობასაც ზღაპრად აცხადებდით, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რაც ეს ზღაპარი სინამდვილედ მიიღეთ და დანაშაულიც აღიარეთ, — კვლავ ჩაერია მინდელი.

ჩარგიევს ბრაზი მოერია.

— ვაღიარე ის, რაც გავაკეთე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თქვენს ყოველგვარ ზღაპარს დავეთანხმები. გაიგეთ, რომ მე ქურდი ვარ და არა მკვლელი.

— ამაყობთ კიდეც თქვენი პროფესიით?.. — აღშფოთდა ბალანჩივაძე.

— მერე და, რით არის სათაკილო?! თქვენ ყველანი, უარესები ხართ. ყოველი ქურდი, თქვენთან შედარებით, უცოდველი კრავია, წმინდანია. ჩვენ, ქურდები, არც ვმალათ ჩვენს პროფესიას, თქვენ კი, თავი რომ პატიოსან ადამიანებად მოგაქვთ, ათას სხვა პროფესიას ეფარებით, რომ უფრო იოლად შეძლოთ სხვისი გაქურდვა, მოკვლა, გზიდან ჩამოშორება! — ჩარგიევის თვალებში ცეცხლი აგიზგიზდა. — მე რომ შემეძლოს, — განაგრძო მან ღვარძლიანად, — ადამიანებს ორ ჯგუფად გავყოფდი, ორივეს სასტიკად ვაშიმშილებდი, შემდეგ ერთმანეთს მივუსევდი და სიამოვნებით ვუყურებდი, როგორ დაჭამდნენ ერთმანეთს.

მინდელი შეზარა პატიმრის საშინელმა გულახდილობამ.

— თქვენ ადამიანის სახე დაგიკარგავთ, ჩარგიევ...

— დამიკარგავს... — ძაღლივით დაიღრინა პატიმარმა. — კი არ დამიკარგავს — დამაკარგვინეთ, თქვენ დამაკარგვინეთ და ახლა გყოფნით გამბედაობა, ადამიანის სახის დაკარგვა მევე დამაბრალოთ!..

ჩარგიევი უეცრად შეიცვალა, სადღაც გაქრა მისი დახვეწილი მანერები და ნაძალადევი თავდაჭერილობა. სახის ნაკვთები საშინლად მოექცა, უეცრად გამშრალი ტუჩები გაილოკა და ამღვრეული თვალებით, სისხლმოწყურებული ნადირივით მიაჩერდა გამომძიებელს. შემდეგ ნელ-ნელა დაიცხრო ემოციები, პაპიროსს მოუკიდა და თავი ჩაქინდრა.

— მაშ, არ გსურთ, აღიაროთ? — დაარღვია დუმილი ხომერიკმა.

ჩარგიევმა თავი ასწია.

— მე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი.

— კეთილი, ჩარგიევ. რამდენიმე დღეში, თქვენი პირადი საქმეც მოგვივა — მაშინ, რაღას იტყვით?

— მაშინ გაიგებთ... — ჩაიცინა პატიმარმა.

— ასე იყოს!

ხომერიკი სავარძლიდან წამოდგა, ბადრაგს პატიმრის გაყვანა უბრძანა.

ჩარგიევი აუჩქარებლად წამოდგა, ჩვეული სიდინჯით დაიწყო ხელები ზურგზე და ნელი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ხომერიკმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, შემდეგ, მინდელთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო:

— შენი შენიშვნა უადგილო იყო, ლევან: პატიმარს არასოდეს არ უნდა მისცე საბაბი შეურაცხყოფისათვის.

მინდელი შეიშმუშნა.

— საყვედურს არ გეუბნები, — გაიღიმა ხომერიკმა, — დარიგება კი, არ გაწყენს.

— მესმის, გიორგი ასლანიჩ, მაგრამ მე არ ველოდი, თუ ჩარგიევი ასეთ პასუხს გამცემდა. დაკითხვების დროს მისმა ქცევამ სულ სხვა აზრი შემიქმნა: გულახდილად რომ გითხრათ, რაღაც სიმპათიაც კი გამიჩინა...

— სიმპათია... ანტიპათია... ეს სუბიექტური განცდებია, რომლებსაც ვერ დაეყრდნობი, — მიუგო ხომერიკმა და შემდეგ დაფიქრებულმა დაუმატა: — ვინ იცის, რა ვითარებამ განაპირობა მოლიპულ გზაზე ჩარგიევის შედგომა. მე მახსოვს ერთი ქურდი, რომელიც მართლმსაჯულების უხეირო მუშაკთა შეცდომამ აქცია ბოროტმოქმედად. თქვენთვის მიამბია კიდეც ამის შესახებ, დავით...

— ვიცი, მახსოვს, — დაუდასტურა ბალანჩივაძემ, — მაგრამ ჩარგიევის ასეთი კაცთმოძულეობა, მე მგონი, იმით უნდა აიხსნას, რომ ის, როგორც ძველი ქურდ-რეციდივისტი, თვითონვე გაურბოდა ადამიანებს. მისი ბიოგრაფიაც ადასტურებს ამ მოსაზრებას. ჩარგიევი სულ 37 წლისაა, ქურდობას კი, უკვე 20 წელია, ეწევა. ორი ათეული წელი სავსებით საკმარისია, რომ მტკიცედ შეეძულებინა ადამიანები ანუ ისინი, ვინც ხელს უშლიდნენ არჩეულ საქმიანობაში.

პოლკოვნიკს არც ერთი არ შეპასუხებია.

მინდელი ტახტზე იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. ხომერიკი ბოლთას სცემდა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩარგიევის საშინელმა პასუხმა.

„სიამოვნებით ვუცქერდი, როგორ დაჭამდით ერთმანეთს!“ — გაახსენდა პატიმრის ნათქვამი და მისი სისხლმოწყურებული სახეც თვალწინ დაუდგა. ჩარგიევის ქცევა არ ჰგავდა ათასი სხვა ქურდისა თუ მკვლელის ქცევას — ის, ყველა ადამიანის მიმართ რაღაც განსაკუთრებულ, წრესგადასულ მძულვარებას შეეპყრო და სწორედ ეს ვერ აეხსნა პროკურორს.

„ბოროტმოქმედს სძულს საგამომძიებლო დარგის ყველა მუშაკი, ამაში არაფერია გასაკვირი, მაგრამ ადამიანთა მთელი მოდგმისადმი ასეთი მძულვარების მიზეზი უფრო ღრმა უნდა იყოს“, — დაასკვნა პროკურორმა და ჩამქრალი პაპიროსი საფერფლეზე დააგდო, მერე საკიდრიდან პალტო ჩამოიღო, ჩაიცვა.

— წილი ნაყარია, — წარმოთქვა მან წყნარი ხმით. — შენი დაყოვნება აღარ შეიძლება, ლევან, დღესვე უნდა წახვიდე, — საათს დახედა, — ახლა 5 სრულდება, 11 საათზე ჩემთან კაბინეტში იყავი, ზოგიერთ საკითხზე კიდევ უნდა მოვილაპარაკოთ. წინასწარ დირექტივებს არ გაძლევ, შენ თვითონ ადგილზე გაერკვევი, როგორ უნდა იმოქმედო. ეცადე, არაფერი, სულ მცირე დეტალიც კი არ დაგრჩეს შეუმოწმებელი. თუ გაქცეული საშკა ჩერქეზი, ჩარგიევი და მარკაროვი ერთი და იგივე პიროვნება, მის წარსულში არის რაღაც ისეთი, რამაც ის მხეცად აქცია, გაანადირა. იმის დადგენა, თუ რა დანაშაული ჩაიდინა, ყველაფერი როდია, მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. ვინ არის იგი? სადაურია? სად და როგორ გაატარა ბავშვობა და სიჭაბუკე? რომელია მისი ნამდვილი გვარი? რა ეროვნებას ეკუთვნის? ჰყავს თუ არა ცოლ-შვილი, ნათესავები, ახლობლები? — აი, საკითხები, რომლებზეც ჯერჯერობით, გადაჭრით ვერ ვუპასუხებთ. — ხომერიკი ცოტა ხნით შეჩერდა და შემდეგ, დაუმატა: — დამნაშავის დასჯა ადვილია, არც დანაშაულის გახსნაა მაინცდამაინც ძნელი, მაგრამ მიზეზი — რატომ გახდა ადამიანი ბოროტმოქმედი? — ყოველთვის როდია იოლი დასადგენი, ამას კი დიდი, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. გამიგე, ლევან?

— გაგიგე, გიორგი ასლანიჩ!

— კეთილი. ამაღამ თბილისში წახვალ, დილით რესპუბლიკის პროკურორს მოახსენებ საქმის ვითარებას, ხვალ თვითმფრინავით გაემგზავრები მოსკოვში. ახლა კი, წავიდეთ, დრო ცოტაღა დაგვრჩა, — დაამთავრა ხომერიკმა და პირველი წავიდა კარისკენ.



თებერვლის მეორე ნახევარში, ერთბაშად გატყდა ზამთრის სუსხი, თბილმა მზიანმა ამინდებმა სწრაფად აღგავა თოვლი, ხეებს კვირტები დაებერათ და მარტი ამაყად შემოუძღვა ქუთაისში ნაადრევ გაზაუფხულს. თბილად ჩაცმული მინდელი მანქანიდან ათვალიერებდა ნაცნობ ბებერ მუხებს და სიამოვნებით ისუნთქავდა კარზე მომდგარი გაზაფხულის სურნელებას. მანქანა სწრაფად მიქროდა მუხნარში ლარივით გაჭრილ გზატკეცილზე. უკვე გამოჩნდა ქალაქი, უკან დარჩა გარეუბანში ჩამწკრივებული კორპუსები. მანქანამ სვლას უკლო, რკინიგზის ხაზი გადაჭრა და ქალაქში შევიდა. მძღოლმა ღილინი შეწყვიტა და გამომძიებელს მიაპყრო მზერა.

მინდელი მიუხვდა უტყვ კითხვას.

— პროკურატურაში, სოლომონ მძღოლო, პროკურატურაში! სახლში მისვლას მერეც მოვასწრებ.

სოლომონმა გაიცინა, სავარძელში შესწორდა...

მანქანა სამსართულიან, თეთრ შენობასთან გაჩერდა.

მინდელი გადავიდა და სწრაფი ნაბიჯით აუყვა კიბეს...

— ლევანს გაუმარჯოს! — სიხარულით შეეგება ხომერიკი გამომძიებელს და ხელი გაუწოდა. — როგორ ხარ, პოლარელო, ხომ კარგად იმგზავრე? — დაუმატა და ღიმილით შეათვალიერა ლევანი.

— კარგად ვარ, გიორგი ასლანიჩ. მგზავრობაც ჩინებული გამოვიდა, — მიუგო მინდელმა და მარჯვენას მარჯვენა შეაგება.

ხომერიკმა ხელი მოხვია, ფანჯარასთან მდგარ ტახტთან მიიყვანა, დასვა, შემდეგ თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— მაშ, კარგად იმგზავრე? — შეეკითხა ისევ.

— კარგად, შედეგით მგონი, კმაყოფილი დავრჩებით, — მიუგო მინდელმა. შემდეგ, სავარძლიდან წამოდგა, მოკლე ქურქი გაიხადა.

— დამახრჩო ამ ოხერმა, — ჩაილაპარაკა და საკიდარზე დაკიდა.

ხომერიკს გაეცინა.

— აბა, რა გეგონა, აქ ჩრდილოეთი როდია!

— ვხედავ, გიორგი ასლანიჩ, გაზაფხულია! — მხიარულად უპასუხა მინდელმა, შემდეგ ტანსაცმელი შეისწორა, პაპიროსს მოუკიდა.

— როგორ არის „ჩემი ჭაღარა“? — იკითხა ღიმილით.

— მოგენატრა? — კვლავ გაეცინა პროკურორს. — კარგად არის, მაგრამ არა მგონია, სიხარულით შეხვდეს შენს ჩამოსვლას.

— ამაში დარწმუნებული ვარ. სამაგიეროდ, მე ველი მოუთმენლად მასთან შეხვედრას.

— შენი მოუთმენლობა გასაგებია, ლევან ჩემო, და ამჟამად, მისატევებელიც, — გაიღიმა ხომერიკმა, შემდეგ, საწერ მაგიდასთან მივიდა, ყურმილი აიღო და ბალანჩივაძეს დაელაპარაკა...

რამდენიმე წუთში, მინდელი ჩვეული დინჯი ტონით აცნობდა პროკურორსა და მილიციის უფროსს შორეულ ჩრდილოეთში შეკრებილ მასალებს.

— ადგილობრივი ამხანაგები ძალიან გააკვირვა ჩემი ჩასვლის მიზეზმა, — ჰყვებოდა მინდელი. — გაიგეს თუ არა, ჩვენ საშკა ჩერქეზს ვეძებდით, მაშინვე მტკიცედ მიპასუხეს: ჩერქეზი დიდი ხანია, მიწაში წევსო. უხალისოდ მომცეს მისი პირადი საქმე. ფოტო არც კი დამითვალიერებია, პირდაპირ დაქტილობარათს ვეცი. ფორმულები ზუსტად დაემთხვა. მხოლოდ ამის შემდეგ დავაკვირდი, პროფილსა და ანფასში გადაღებული მარკაროვის სურათებს. ფოტოდან ოდნავ შეცვლილი ჩარგიევის სახე შემომცქეროდა, თუმცა — არა ისეთი ელეგანტური, როგორიც ჩვენი ჭაღარაა, მაგრამ მაინც — ჩარგიევი. ამის შემდეგ, კოლონიის ხელმძღვანელობას ვუჩვენე ჩვენ მიერ შედგენილი დაქტილობარათი და ჩარგიევის ფოტოსურათები. პირველად, დაჯერებაც არ უნდოდათ, მაგრამ დაქტილობარათი — დაქტილობარათია!

გავეცანი ტაიგაში ნაპოვნი გვამის ამოცნობის აქტს და მოკვლეულ მასალებს. უნდა გითხრათ, ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, აღარ გავუკვირვებივარ ადგილობრივი ამხანაგების დასკვნას, მარკაროვ-ჩერქეზის ტაიგაში დაღუპვის შესახებ. ტანსაცმლის ნაფლეთებში კომისიას პატიმრის პირადობის დამადასტურებელი საბუთიც ეპოვა. უფრო სწორად, საბუთი კი არა — რაღაც ნაკუწები. დიდი შრომა გაეწიათ ამ საბუთების აღსადგენად და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსპერტებმა ცალ-ცალკე და ერთად დაასკვნეს, რომ საბუთი მარკაროვის გვარზე იყო შედგენილი, ჩაეთვალათ, რომ გვამი, უფრო სწორად — გვამის ნარჩენები, კოლონიიდან გაქცეულ ჩერქეზს ეკუთვნოდა.

— კი, მაგრამ ნუთუ არავინ აღმოჩნდა, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანის მძებნელი? — იკითხა ბალანჩივაძემ.

— აი, საქმეც ეგ არის, დავით ილიჩ, რომ არავინ! — მიუგო მინდელმა და განაგრძო: — არავითარი ცნობა ვინმე პატიმრის გაქცევის ან ვისიმე უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ არც მაშინ, არც შემდეგ, მაგადანის ოლქში არ შემოსულა. ჩემს იქ ყოფნაში კიდევ ერთხელ შევამოწმეთ ეს საკითხი. ასე რომ, ახლაც არ ვიცით, ვისია ტაიგაში აღმოჩენილი ცხედარი ან საიდან გაჩნდა იქ.

— ეგ რაღაც, წარმოუდგენელია, პატივცემულო გიორგი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მგლების მიერ დაგლეჯილი ადამიანი — ჩარგიევი ანუ მარკაროვი — არ არის, ხოლო დაღუპულის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. ამ გარემოებამ ძალზე შეგვაშფოთა. ყველანი შევთანხმდით, რომ ნაპოვნი საბუთი ტანსაცმელში შემთხვევით არ მოხვედრილა — ის ცხედარს სწორედ მარკაროვმა ჩაუდო ჯიბეში ან ცოცხალსვე მისცა, მაგრამ ვინ არის დაღუპული?

ადგილზე არსებული საბუთების შესწავლით გამოირკვა, რომ კოლონიიდან გაქცევა მარკაროვსა და ვიღაც მარტინოვს — ძველ ქურდ-რეციდივისტს მოეწყოთ. მარტინოვი პატრულს გადაჰყრია. უსვრიათ, მძიმედ დაჭრილი მიუყვანიათ უკანვე. მისი კოლონიაში მიყვანიდან 6 საათის შემდეგ ცნობილი გახდა მარკაროვის გაქცევის ამბავიც. დაუწყიათ ძებნა, მაგრამ მისი კვალისთვის ვერ მიუკვლევიათ... მარტინოვის დაკითხვა მხოლოდ მესამე დღეს მოხერხდა, მაგრამ მან უარყო მარკაროვთან ნაცნობობა და გაქცევის ცდაც. შემთხვევით კოლონას ჩამოვრჩი და გზა ამებნა, უმიზეზოდ მესროლესო, — იმეორებდა ყოველი დაკითხვისას.

— ახლა თუ დაჰკითხეთ? — შეაწყვეტინა ბალანჩივაძემ.

— ვერა, ვერ დავკითხეთ. მარტინოვი უკვე მომკვდარა, — მიუგო მინდელმა და განაგრძო: — გულახდილად უნდა გითხრათ: როცა მდგომარეობას გავეცანი, თითქმის შეუძლებლად ჩავთვალე კოლონიიდან გაქცევა. მარტინოვისთვის არ აღმოუჩენიათ არათუ რაიმე იარაღი, არამედ პურის ნაჭერიც კი, ხოლო უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე 150 კილომეტრია გასავლელი. როგორ შეეძლო, გაეღწია მარტინოვს ან როგორ მოახერხა ეს მარკაროვმა? — აი, კითხვები, რომლებიც წამოიჭრა ჩვენ წინაშე. როგორც კი ადგილობრივი ამხანაგები დარწმუნდნენ მარკაროვის ცრუსიკვდილში, ბუნებრივია, ვიფიქრეთ, რომ მარკაროვს ვიღაც დაეხმარა და შეიძლება, შემდეგ, თვითონვე გახდა მისი მსხვერპლი, მაგრამ ვინ დაეხმარა? — აი, ამ კითხვას კი ვერ ვუპასუხეთ, რადგან თუ ის პატიმარი ან, უარეს შემთხვევაში, კოლონიის თანამშრომელი იყო, სხვა არა იყოს რა, მისი უკვალოდ გაქრობა არ დარჩებოდა შეუმჩნეველი. ხოლო თუ დასახლებული პუნქტიდან მოვიდა ვინმე, შეუძლებელია, ისე გაევლო იმხელა მანძილი, რომ ის ვერავის შეემჩნია. ერთი სიტყვით, იმდენად წარმოუდგენლად მეჩვენა კოლონიიდან გაქცევა, ჩარგიევზე რომ არ იყოს ლაპარაკი, აუცილებლად ეჭვი შემეპარებოდა.

— რა თქვა გიორგაძემ წერილის შესახებ? — შეეკითხა ხომერიკი.

— გიორგაძე ძველი ქურდ-რეციდივისტია. დამნაშავეთა წრეში პაპაშას სახელით იცნობენ. მან კატეგორიულად უარყო მარკაროვთან ნაცნობობა. განმარტა, რომ თუმცა გაუგონია საშკა ჩერქეზის სახელი, მაგრამ პირადად არასოდეს უნახავს. ისე, როგორც სხვა პატიმრებმა, მეც გავიგე ჩერქეზის გაქცევისა და ტაიგაში სიკვდილის ამბავი, სხვა კი მის შესახებ არაფერი ვიციო, — თქვა. გამოირკვა, რომ ისინი თუმცა ერთ კოლონიაში, მაგრამ ერთმანეთისგან შორს იმყოფებოდნენ და მართლაც, არ ხვდებოდნენ ერთმანეთს. გიორგაძემ დაადასტურა მარტინოვთან ნაცნობობა, მაგრამ წერილის გადაცემის ფაქტი უარყო.

— კი, მაგრამ ვის მისცა წერილი გიორგაძემ?

— ეს კითხვა მეც მაინტერესებს, დავით ილიჩ. გიორგაძემ ვერ გაიხსენა, თუ ვის მისცა წერილი. განმარტა: შეიძლება, ვინმე გათავისუფლებულ პატიმარს გავატანე, მაგრამ ვის — არ მახსოვსო. ვაჩვენე წერილი. დაადასტურა, რომ მისი დაწერილია, მაგრამ იქ წერილის წამომღების გვარი ან სახელი არ არის მოხსენებული, ეს კი გიორგაძეს საშუალებას აძლევს, „ვერ გაიხსენოს“, ვის გაატანა. ასე რომ, საკითხი კვლავ ბურუსით არის მოცული.

— რა გამოირკვა საბოლოოდ? — კვლავ შეეკითხა ბალანჩივაძე.

— გარდა იმისა, რომ გაქცეული მარკაროვი — ჩარგიევია, თითქმის არაფერი, — მიუგო მინდელმა.

— ესე იგი?..

— ჩვენ არ ვიცით, ვისია ტაიგაში ნაპოვნი გვამი. ადგილობრივ ამხანაგებს სრული საფუძველი ჰქონდათ, რომ მკვდარი, მარკაროვად ჩაეთვალათ და თუ ჩვენი დეპეშა არა, ალბათ არავის შეეპარებოდა ეჭვი ამ ამბავში. ახლა კი, საფუძვლიანი გამოძიება მიმდინარეობს. თუმცა, ვეჭვობ, რაიმე

დადგინდეს, თუ თვით ჩარგიევმა არ აღიარა, რა ვითარებაში მოახერხა გაქცევა და ვინ არის მოკლული.

— ესე იგი, ჩარგიევზე ვყოფილვართ დამოკიდებული? — თითქმის იხუმრა ბალანჩივაძემ.

— თითქმის! — მიუგო მინდელმა. — შემთხვევიდან საკმაო დროა გასული, ხოლო ამ საქმის გახსნას ყველაზე მეტად ის ართულებს, რომ არავითარი განცხადება ვისიმე უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ არ ყოფილა შემოსული. ამ ხნის მანძილზე, არავინ დაინტერესებულა უკვალოდ გამქრალი ადამიანის ძებნით. ბუნებრივია, დავასკვნათ: ამ ადამიანის ახლობლები არ არიან დაინტერესებული მისი მოძებნით და



ამ საქმეში ხელისუფლების ჩარევით. ასე რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩარგიევს უნდა ვათქმევინოთ, თუ ვინ არის წასული ამ ქვეყნიდან მისი სახელით და მის ნაცვლად. — მინდელი ცოტა ხნით გაჩუმდა და შემდეგ, თითქოს გაუბედავად, დაუმატა: — არის კიდევ, თუმცა შედარებით სუსტი, მაგრამ მაინც ერთგვარი გზა მკვდრის ვინაობის დასადგენად.

— სახელდობრ? — შეეკითხა ხომერიკი.

— როგორც დეპეშით გვაცნობებდნენ, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თავის ქალა და ორიოდე ძვალი იქვე დაუმარხავთ. მე მოვათხრევინე და თან წამოვიღე...

— თან წამოიღეთ? — განცვიფრდა პოლკოვნიკი.

— დიახ, თან წამოვიღე, ჩავიტანე მოსკოვში და ვთხოვე გენერალურ პროკურორს, ჩაერია ამ საქმეში ცნობილი კრანიოლოგი, პროფესორი ეფრემოვი. პროფესორი სიამოვნებით დათანხმდა, დახმარება გაეწია გამოძიებისათვის, ასე რომ, ახლა ჩრდილოეთში ადგილობრივი ამხანაგები აწარმოებენ ძიებას. პროფესორი ეფრემოვი უკვე მუშაობს თავის ქალაზე, მისი ნამდვილი სახის აღსადგენად, მე კი, ჩარგიევის საშუალებით უნდა დავადგინო, ვინ არის მოკლული, — დაამთავრა მინდელმა.

— ეგ სწორად მოგიფიქრებიათ, — გაიღიმა ხომერიკმა, — ხოლო ყველაფერი ის, რაც თქვენ გვიამბეთ, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ჩარგიევი თუ მარკაროვი გაცილებით საშიში პიროვნებაა, ვიდრე ჩვენთვის წარმოდგენას ცდილობს.

— ცხადია, — დაუდასტურა ბალანჩივაძემ, — სწორედ ამით აიხსნება ის ძრწოლა, რომელსაც მისი „თანამოძმენი“ მის წინაშე განიცდიან და ისიც, რომ ის შედარებით იოლად გამოტყდა ქუთაისში ჩადენილ დანაშაულში...

— სხვა რა მასალები შეკრიბეთ ჩარგიევზე? — იკითხა ხომერიკმა.

— მე თან წამოვიღე, უფრო სწორად — ფოსტით გამოვგზავნე მისი პირადი საქმე კოლონიიდან. საკავშირო პროკურორის საშუალებით დავუკავშირდი ვილნიუსს და გამოვითხოვე სისხლის სამართლის საქმე, რომლის შედეგადაც, ჩარგიევს, მარკაროვის გვარით, 25 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და რის დამალვასაც ცდილობდა აქ. საქმე ალბათ, ამ დღეებში ჩამოვა.

— კეთილი. სხვა?

მინდელი გამომცდელად მიაჩერდა მოღიმარ ხომერიკს.

— გენერალურმა პროკურორმა, — დაიწყო მან ყოყმანით, — სავსებით მოიწონა ჩვენი გეგმა, რომელითაც ობლიგაციების პოვნას ვაპირებთ. შეათანხმა საკითხი, სადაც საჭირო იყო და მისცა კიდეც, ტყეშელიაძის ბინიდან მოპარული ორი ობლიგაციის ნომერი და სერია. ერთ-ერთ მათგანს უნდა რგებოდა 2.500, ხოლო მეორეს — 1.000 მანეთი მოგება. მაგადანში ყოფნისას, შევამოწმე გაზეთი და ძლიერ განვცვიფრდი, რომ ჩვენთვის საჭირო ობლიგაციებს მოგება არ ხვდა.

— ძალიან გეწყინა? — გაეცინა ბალანჩივაძეს.

— ჩემი წყენა რა შუაშია?! მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ, პროკურატურაში თქვენი დეპეშა მაჩვენეს, რომლითაც ითხოვდით, აღარ გაეტარებინათ რაიმე ღონისძიება. რა მოხდა?

— ობლიგაციები ვიპოვეთ, — უპასუხა ხომერიკმა.

— მართლა?! — გაუხარდა მინდელს. — აღიარა ხოტოველმა?

— არა! — გაეღიმა ხომერიკს. — ხოტოველი ბოლომდე „ერთგული“ დარჩა თავისი სიჯიუტის. ობლიგაციები კი იმ საშუალების წყალობით ვიპოვეთ, რომელიც ჩვენი მუშაობის ძირითად საყრდენს წარმოადგენს.

— ვერ გავიგე, გიორგი ასლანიჩ.

— ახლავე აგიხსნი, — ხომერიკი სავარძლიდან წამოდგა. — შენი წასვლიდან მეათე დღეს, ძიძიგური ჩამოვიდა თბილისიდან, თან ერთი ძალზე სიმპათიური მამაკაცი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, აბრამ კრიხელი ჩამოჰყვა. აი, სწორედ ამ კრიხელმა მოიტანა ობლიგაციები, უკლებლივ, ლურჯი აბრეშუმის ზონრით განასკვული.

ხომერიკმა სეიფი გახსნა, მრგვლად დახვეული ობლიგაციები გამოიღო და მინდელის წინ მაგიდაზე დადო.

— არაფერი მესმის! — აიჩეჩა მხრები ლევანმა და ობლიგაციებს შეავლო ხელი.

— ეს სულ მარტივი და ჩვეულებრივი ამბავია, — განაგრძო ხომერიკმა. — კრიხელი ხოტოველის დეიდაშვილია, საკმაოდ ცნობილი პიროვნება, რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი. იანვარში, ქუთაისში მივლინებაში მყოფი, ხოტოველს ეწვია, მან კი წასვლისას, დეიდაშვილს ობლიგაციები გადასცა და სთხოვა, შეენახა: არ მინდა, ცოლ-შვილმა იცოდეს, დამიხარჯავენო, — უთქვამს მისთვის. კრიხელს ცხადია, არაფერი არაჩვეულებრივი ამაში არ დაუნახავს და ობლიგაციები წაუღია. შემდეგ, როდესაც ხოტოველის დაპატიმრების ამბავი შეიტყო, თუმცა მისი დაპატიმრების მიზეზი არ იცოდა, ეჭვი შეჰპარვია ობლიგაციების შეძენის პატიოსან საშუალებაში და მილიციის სამმართველოსთვის შეუტყობინებია, — დაამთავრა ხომერიკმა.

— დიდებულია! — აღფრთოვანდა მინდელი. — ასე რომ...

— ასე რომ, — სიტყვა ჩამოართვა პროკურორმა, — კრიხელმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა, ხოლო ხოტოველს, აღიარების გარდა, აღარა დარჩა რა და ობლიგაციებს საათებიც მოაყოლა.

— საათებიც?! საათები სადღა ჰქონდა, ნუთუ სახლში? — აღელდა მინდელი.

— ნუ ღელავ, ლევან, სახლში რომ ჰქონოდა, ჩვენც ვიპოვიდით — ჩხრეკა საფუძვლიანად იყო ჩატარებული. საათები ხოტოველს სოხუმში მცხოვრები მოქალაქისათვის მიუყიდია. გუშინ ჩამოიტანა ბურდულმა.

— კარგი, ძალიან კარგი! — გამხიარულდა მინდელი. — მაშასადამე, საქმე მთლიანად გახსნილია და დანაშაულის სრული სურათიც — აღდგენილი.

— მკვლელობა? — ჩაერია ბალანჩივაძე.

— ტაიგაში ჩადენილი მკვლელობა?.. ეს ამ საქმის დამთავრებას ვერ შეაფერხებს. თუ ჩარგიევმა არ აღიარა, საქმის მხოლოდ ეს ნაწილი გამოიყოფა ცალკე საქმედ, — მიუგო მინდელმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სლავა მეტრეველი — ფეხბურთელი, რომელსაც ბრაზილიელები «თავისიანად» მიიჩნევდნენ

როგორ უსახსოვრა ქართველმა ფეხბურთელმა მაისური არგენტინელ ჰოლიციელს

განვლილი საუკუნის 60-იან წლებში, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები „მესხისტებად“ და „მეტრეველისტებად“ იყოფოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთი ნაწილი, მიხეილ მესხის თავგადაკლული გულშემატკივარი გახლდათ, ხოლო მეორე — სლავა მეტრეველისა. სტაჟიან ქომაგებში, ასეთი დავა დღესაც გრძელდება, მაგრამ მაშინ და ახლაც ყველა თანხმდება, რომ ორივე მათგანი მსოფლიო ფეხბურთის კაშკაშა ვარსვლავებს წარმოადგენდნენ. მეტრეველი ამბობდა, რომ ისიც ხშირად კამათობდა მიშასთან (ცხადია, ხუმრობით), რომელი იყო მათ შორის უკეთესი ფეხბურთელი. თუმცა, თავად აღიარებდა, რომ მესხს, მასზე კარგი სასტარტო სისწრაფე ჰქონდა, ხოლო თვითონ — თავით უკეთ თამაშობდა. მეტრეველს, თანაგუნდელის მიერ მარცხენა ფეხით შესრულებული დარტყმები მოსწონდა, სამაგიეროდ, მიიჩნევდა, რომ მარჯვენით თავად უკეთ ირჯებოდა.

ლაშა თაბაგარი

ბატონი სლავა 1956-დან 1962 წლამდე, მოსკოვის „ტორპედოში“, ხოლო 1963-დან 1971-მდე, თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა. შოთა იამანიძის შემდეგ, ის 5 წლის მანძილზე „დინამოს“ კაპიტანი იყო. მან, საბჭოთა კავშირის პირველობაზე, 375 მატჩში 83 გოლი გაიტანა, ხოლო კარიერის მანძილზე, საკლუბო დონეზე, მეტოქეთა კარის ბადის შერხევა 113-ჯერ შეძლო და გრიგორი ფედოტოვის სახელობის „ასიანთა“ კლუბის წევრობა მოიპოვა. ქვეყნის ჩემპიონატში, მან ორჯერ იმარჯვა, ერთხელ კი — თასს დაეუფლა. ნაკრებში ჩატარებულ 48 მატჩში, ქართველმა ფეხბურთელმა 11 გოლი გაიტანა და 1966 წელს, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სპორტის დამსახურებული ოსტატი ორჯერ ფლობდა საბჭოთა კავშირის პირველობის ვერცხლის მედლებს (1957, 1961) და ამდენჯერვე — ბრინჯაოს (1967, 1969). 1964 წელს, მეტრეველი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. 1976 წელს, ის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თანაშემწე გახლდათ. გამოჩენილი სპორტსმენი 1998 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა. მას ამა წლის 30 მაისს, 70 წელი შეუსრულდებოდა. სხვათა შორის, სოჭში არსებული სტადიონი, სწორედ სლავა მეტრეველის სახელს ატარებს.

პატარა სლავა, ბურთს პირველად ორი წლის ასაკში შეეხო, როდესაც მამამ მწვანე მოედანზე გაიყვანა და სათამაშოდ საჰაერო ბუშტი მისცა. მშობლები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათი შვილი ფეხბურთელი გახდებოდა და სურდათ (ოჯახური ტრადიციის მიხედვით), იგი მზარეული გამხდარიყო. თუმცა, სოჭში დაბადებულ-გაზრდილი სლავა, სპორტზე უზომოდ იყო შეყვარებული და მალევე აღმოაჩინეს, რომ მას ღმერთმა ფეხბურთის ნიჭი მიჰბოძა. თექვსმეტი წლის ასაკში, მეტრეველი ადგილობრივ „სპარტაკში“ თამაშობდა, სადაც თანატოლებში აშკარად გამოირჩეოდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში პაუზის დადგომისას, სოჭში ქვეყნის ყველა კუთხიდან, მოსამზადებლად სხვადასხვა ლიგის კლუბები ჩადიოდნენ, რომლებიც იქაურ კოლექტივებთან ამხანაგურ თამაშებს ატარებდნენ და ნიჭიერ ახალგაზრდებსაც აკვირდებოდნენ. 1952 წელს, მეტრეველების ოჯახს ახლანდელი ოდესის „ჩერნომორეცის“ (რომელიც მაშინ „მეტალურგად“ იწოდებოდა) წარმომადგენლებმა მიაკითხეს, რომლებმაც სლავას მშობლებს, ბიჭის გუნდში აყვანა და ოდესაში წაყვანა შესთავაზეს. თან დასძინეს — საცხოვრებელზე და სწავლაზე ჩვენ ვიზრუნებთო. იმ პერიოდში, მეტრეველის მამას, ბატონ კალისტრატს, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ შვილს დაიყოლიებდა და მომავალი ფეხბურთელისგან შეფ-მზარეულს გამოიყვანდა. ამიტომ ოდესელების შეთავაზებას მშობლები არ დათანხმდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, მეტრეველებთან უკვე გორკის (ამჟამინდელი ნიჟნი ნოვგოროდი) „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ მამულაიშვილი მივიდა, რომელიც ოჯახის უფროსებმა ასევე უარით გაისტუმრეს. თუმცა, მამულაიშვილი საკმაოდ ჯიუტი აღმოჩნდა და მან მანამ იარა სლავას ოჯახში, ვიდრე პერსპექტიული ყმაწვილი გორკში, მეორე ლიგის გუნდში არ წაიყვანა. ოფიციალურ შეხვედრაში, მეტრეველი პირველად ძირითად შემადგენლობაში როსტოვში „როსტსელმაშის“ წინააღმდეგ რომ დააყენეს, სავსე ტრიბუნების შემხედვარე შეშინებულმა სლავამ პირი გასახდელისკენ იბრუნა. ცხადია, ახალგაზრდა ფეხბურთელი უმალვე მოედანზე დაბრუნეს და მან აღნიშნული თამაში მაღალ დონეზე ჩაატარა. ამის დადასტურება ის გახლავთ, რომ „ტორპედომ“ 6:0 მოიგო და დებიუტანტმა ორი ბურთი გაიტანა. წარმატებული დებიუტის მიუხედავად, მომავალმა მატჩებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდა ქართველი საკმაოდ ცუდად დარბოდა — 100 მეტრს 14,5 წამში ფარავდა, რაც ფეხბურთელისთვის ძალიან დაბალი სისწრაფის მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, მეტრეველს საგანგებოდ მძლეოსნობის მწვრთნელი ლევ მასტეროვი მიუჩინეს, რომელიც „ტორპედოელს“ წელიწად-ნახევარის მანძილზე ავარჯიშებდა. ამან თავისი შედეგი გამოიღო და სლავამაც შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესა — 100 მეტრს უკვე 11,2 წამში ფარავდა. „ტორპედოში“ ჩატარებულმა შეხვედრებმა მეტრეველს დაანახვა, რომ საჰაერო ორთაბრძოლებში მეტოქეები ჩაგრავდნენ და თავით თამაშში მოიკოჭლებდა. მან

ნაკრებში ჩატარებულ 48 მატჩში, ქართველმა ფეხბურთელმა 11 გოლი გაიტანა და 1966 წელს, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ნახტომის გაუმჯობესება გადაწყვიტა. ამისთვის, საცხოვრებელ ოთახში ჩამოკიდებული ნათურის სადენზე, ჩოგბურთის ბურთი ჩამოკიდა და ყოველი გავლა-გამოვლისას, ცდილობდა, მას თავით მისწვდომოდა. თანდათანობით, ბურთი სულ უფრო და უფრო ზევით ინაცვლებდა და შესაბამისად, მეტრეველიც თამაშისას უფრო და უფრო მაღლა ხტებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლოს, ბურთი თითქმის ოთახის ჭერზე იყო მიმაგრებული. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 170 სანტიმეტრის სიმაღლის მეტრეველი, 180-სანტიმეტრიან თამასას ევლებოდა, ხოლო თამაშისას, როდესაც ჰაერში აიჭრებოდა, კარის ზედა ძელი თითქმის წელთან სწვდებოდა. 1956 წელს, მოსკოვის „ტორპედოს“ რამდენიმე ფეხბურთელი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს, რომელიც მელბურნის ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრა. მაშინ არსებული წესების თანახმად, გუნდები, რომლებსაც ნაკრებში მოთამაშეები ჰყავდათ გაგზავნილი, მათ უკან დაბრუნებამდე, შიდაჩემპიონატში შეხვედრების ჩატარებისგან თავისუფლდებოდნენ. შესაბამისად, კლუბის დანარჩენი წევრებისთვის სათანადო კონდიციების შესანარჩუნებლად, მოსკოველები ამხანაგურ თამაშებს მართავდნენ. ერთხელ, ისინი სლავას გუნდთან დასაპირისპირებლად გორკში გაემგზავრნენ. იმ მატჩში, მეტრეველი მარჯვენა გარემარბად ირჯებოდა და მის წინააღმდეგ გამოცდილი მცველი მანოშინი თამაშობდა. მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე, მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს და ქართველმა გამარჯვების გოლი თავით გაიტანა. აწ გარდაცვლილმა კონსტანტინ ბესკოვმა, რომელიც „ტორპედოს“ წვრთნიდა, მეტრეველი გუნდში მიიწვია. მოსკოვში ჩასული ფეხბურთელი, ორი კვირის განმავლობაში ბესკოვების ოჯახში ცხოვრობდა, შემდეგ კი, საერთო საცხოვრებელში გადაბარგდა. მასთან ერთად, გუნდში მცველი ლეონიდ ოსტროვსკი და რამდენიმე მოთამაშეც მიიწვიეს. ახალგაზრდები თავისუფალ დროს, თავის შესაქცევად, საერთო საცხოვრებელში გოგონებსაც ეპატიჟებოდნენ და ხანდახან ღვინოსაც სვამდნენ. მართალია, სლავა ალკოჰოლს არ ეტანებოდა, მაგრამ როგორც ყველაზე ახალგაზრდას, სასმლის მოსატანად ხშირად აგზავნიდნენ. ერთხელ, მორიგი წვეულების დაწყებამდე, მეტრეველი ღვინის საყიდლად გაუშვეს. მან რამდენიმე საათი დაიგვიანა და თანაგუნდელები საკმაოდ ანერვიულა. საბოლოოდ, ფორვარდი უკან კმაყოფილი სახით დაბრუნდა და კარი რომ გამოაღო, მუშტებმოღერებული ოსტროვსკი ეცა და ჰკითხა — „სად იყავი?“, ხოლო გაღიმებული ქართველისგან ასეთი პასუხი მიიღო: „შეხედეთ, „გუმ“-ში *(სახელმწიფო უნივერმაღი. — ავტ.)* რა კარგი შარვალი ვიყიდე“. მეტრეველს „ტორპედოში“ ორი მეტსახელი ჰქონდა. მოედანზე პარტნიორები „მეტრს“ ეძახდნენ, ხოლო მეგობრები — „მუხას“. საქმე ისაა, რომ გორკის „ტორპედოში“ თამაშისას, სოჭელ გარემარბს პერსონალური გულშემატკივარი — ფეხმოჭრილი ინვალიდი ჰყავდა, რომელსაც ყველა „მუხას“ ეძახდა. „ტორპედოში“ ახალმისული სლავა, შეკრების დროს, ამ ადამიანის შესახებ საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდა, რადგან აღფრთოვანებული იყო მისი სულიერი სიძლიერით და ფეხბურთისადმი სიყვარულით. ამიტომაც, თანაგუნდელებმა მას „მუხა“ შეარქვეს. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ თავის დროზე, მეტრეველმა თანაგუნდელ საშკა მედაკინს საცოლე „წაართვა“. მედაკინი მაღალი, ქერა და საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა იყო, რომელზეც თუ „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელის, ნიკოლაი მანოშინის სიტყვებს მოვიშველიებთ — „ქალები გიჟდებოდნენ“. მედაკინმა კალათბურთელი გოგონა გაიცნო, რომელსაც გარკვეული ხნის განმავლობაში ხვდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, იმავე გოგოს მეტრეველიც დაუახლოვდა და ცოტა ხანში, ტანია მისი ცოლი გახდა. მანოშინის თქმით, „ტორპედოს“ ბევრი ფეხბურთელისთვის გაუგებარი იყო — როგორ მოახერხა მეტრეველმა კალათბურთელის მოხიბლვა, როდესაც მედაკინი სასურველ სასიძოდ ითვლებოდა. მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი, რომელსაც ამ გუნდის წარმატება უკავშირდება, მეტრეველს დიდად აფასებდა, რადგან მას ყველაფრის გაკეთება შეეძლო: სლავასთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა ის, რომ სისწრაფეში მეტოქისთვის გვერდი მოხერხებულად აევლო, საგოლე გადაცემა გაეკეთებინა ან თავად დაელაშქრა მოწინააღმდეგის კარი. რაც მთავარია, ქართველი ფორვარდი ყოველთვის სტაბილურად თამაშობდა და ფაქტობრივად, არავის ახსოვს, რომ თამაში „ჩაეგდო“. გასული საუკუნის 60-იან წლებში, საბჭოთა კავშირში საკლუბო და სანაკრებო დონეზე, მარჯვენა თავდამსხმელის პოზიციაზე, მეტრეველის ერთადერთ კონკურენტად იგორ ჩისლენკო მიიჩნეოდა, რომელიც სტაბილურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ გარკვეულ მატჩებს ძალიან მაღალ დონეზე ატარებდა. თუმცა, ვისაც ორივეს თამაში უნახავს, აღიარებენ, რომ სლავა გაცილებით უკეთ ასპარეზობდა. პირველი ტიტული მეტრეველმა 1960 წელს მოიპოვა, როდესაც „ტორპედოსთან“ ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს, ქვეყნის პირველმა ნაკრებმა, პარიზში, ევროპის თასის ფინალში, დამატებით დროში იუგოსლავიელებს 2:1 სძლია. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში ბალკანელები თამაშს 1:0-ს იგებდნენ და მათ საპასუხო გოლი, მეორე ტაიმში მეტრეველმა გაუტანა და ერთადერთი ქართველი გახდა, რომელსაც ასეთი დონის ტურნირის ფინალში მოწინააღმდეგის კარი აუღია. დამატებით დროში კი, მიხეილ მესხის გადაცემის შემდეგ, გამარჯვება გუნდს ვიქტორ პონედელნიკმა მოუტანა, რომელიც სხვათა შორის, რამდენიმე წელი (ომის პერიოდში) თბილისში ცხოვრობდა. ქართველებიდან, იმ შეხვედრაში გივი ჩოხელიც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ მეტრეველი „პარკ დე პრენსზე“ ჩატარებულ თამაშს, საკუთარ კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე ღირშესანიშნავ მოვლენად მიიჩნევდა. საბჭოთა ფეხბურთელების ოქროს მედლებით დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც ეიფელის კოშკზე მდებარე რესტორანში გაიმართა, ევროპული ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტთან და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული მეპატრონე, სანტიაგო ბერნაბეუ დაესწრო. მან განაცხადა, რომ საკუთარ გუნდში სლავა მეტრეველის, მიხეილ მესხის, ლევ იაშინის, ვალენტინ ივანოვის და ვიქტორ პონედელნიკის ხილვა სურდა. ბერნაბეუს გვერდით „რეალის“ მთავარი ფინანსისტი ედგა, რომელსაც კონტრაქტები უკვე გამზადებული ჰქონდა და მადრიდელები თითოეულ ფეხბურთელში, ახლანდელი საზომით, რამდენიმე მილიონ დოლარს იხდიდნენ. ამის გაგონებაზე, რესტორანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა — საუბარი შეწყვიტეს, როგორც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ასევე მისმა მოადგილემ უშიშროების კომიტეტიდან. ბერნაბეუმ, რომელიც ჭკვიანი ადამიანი იყო და ყოველივე კარგად უწყოდა, სიტუაცია ასეთი ფრაზით განმუხტა — „მე ვიცი, რომ ყველა საბჭოთა ფეხბურთელს საკუთარ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს. მიუხედავად ამისა, როდესაც ორისამი წლის შემდეგ თქვენ ხელშეკრულებები დაგიმთავრდებათ, ყველას „რეალში“ გელოდებით“. მოთამაშეებმა შვებით ამოისუნთქეს, ხოლო რესტორანში მყოფებმა მადრიდელების პრეზიდენტს ტაში დაუკრეს. სხვათა შორის, მთავარმა მწვრთნელმა კაჩალინმა და მისმა თანაშემწე სტაროსტინმა, დელეგაციის წარმომადგენლებს მიმართეს, რომ ფეხბურთელები სიმბოლური თანხით მაინც დაეჯილდოებინათ, რაზეც პასუხად მიიღეს — ბიჭებო, გვაპატიეთ, მაგრამ თქვენი გამარჯვების არ გვჯეროდა და ამგვარი ხარჯი არ გაგვითვალისწინებიაო. 1960 წელს, მეტრეველმა კიდევ ერთი ჯილდო მოიგო, როდესაც ქვეყნის თასის ფინალში მოსკოვის „ტორპედომ“ თბილისის „დინამო“ 4:3 დაამარცხა. 1962 წელს, მან ნაკრების შემადგენლობაში ჩილის მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა, მაგრამ დებიუტი მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. იუგოსლა-

პირველი ტიტული მეტრეველმა 1960 წელს მოიპოვა, როდესაც „ტორპედოსთან“ ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა

ვიელებთან გამართულ პირველ მატჩში, მეტოქე ფეხბურთელმა ქართველს სახეში ხელი გამეტებით ჩაარტყა და ლამის დააბრმავა. სლავა ფაქტობრივად, ერთი თვალით ხედავდა და მომდევნო თამაშებში მოედანზე აღარ გამოსულა.

მეტრეველი ერთადერთი ქართველია, რომელმაც სამ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. 1966 წელს, ინგლისში, ნაკრების თავკაცმა მოროზოვმა, „დინამოს“ ფორვარდი მხოლოდ პორტუგალიელებთან (მესამე ადგილისთვის) მატჩში შეიყვანა მინდორზე და 1:2 წაგებულ შეხვედრაში, საბჭოელების მხრიდან, ერთადერთი გოლის ავტორი, სწორედ ის აღმოჩნდა. მაშინ, საფეხბურთო სამყაროში გაკვირვებას ვერ ფარავდნენ, თუ რატომ არ მიეცა ქართველს სხვა თამაშებში თავის გამოჩენის საშუალება. 1970 წელს, სლავა მექსიკაში გუნდთან ერთად კი იყო, მაგრამ არც ერთ შეხვედრაში არ უთამაშია. პარიზში, ევროპის თასის მოგების გარდა, მეტრეველისთვის ასევე დაუვიწყარი იყო 1962 წელს, სამხრეთ ამერიკაში, საბჭოთა ნაკრების მიერ გამართული ტურნე, როდესაც ბუენოს-აირესში არგენტინის ეროვნულ გუნდს სძლიეს. მატჩის დასრულების შემდეგ, მას ადგილობრივი გულშემატკივრები მისცვივდნენ და თითოეული მათგანი, ფეხბურთელის მაისურს თავისკენ ექაჩებოდა. ქართველმა არ იცოდა, რომ არგენტინელებს ტრადიციად ჰქონდათ — შეხვედრის გამორჩეული მოთამაშის ამუნიცია დაესაკუთრებინათ და ცოტა არ იყოს დაიბნა. მალე შვებით ამოისუთქა, რადგან პოლიციელი დაინახა, რომელიც გულშემატკივრებში გზას იკვლევდა. ქართველამდე რომ მიაღწია, ხელკავი გამოსდო და გასახდელამდე უპრობლემოდ ჩააცილა. თუმცა, ადგილზე მისვლისას, პოლიციელმა თარჯიმნის საშუალებით მეტრეველს მაისური (სუვენირად) თავად სთხოვა. აღსანიშნავია, რომ მაშინ, არგენტინული კლუბების ხელმძღვანელებმა მეტრეველს, მესხსა და იაშინს, მზა კონტრაქტებზე ხელის მოწერა შესთავაზეს, რაც ბუნებრივია, არ მომხდარა. გაჩემპიონებიდან ორი წლის შემდეგ, მოსკოვის „ტორპედო“ ფაქტობრივად, დაიშალა, რადგან გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი საბჭოთა არმიაში გაიწვიეს, ხოლო მეტრეველს თბილისის „დინამომ“ უხმო. მოსკოველთა თავდამსხმელის საქართველოში გადმოსვლას, ხელი დიდად შეუწყვეს იმ პერიოდის ცნობილმა მეწარმეებმა — ძმებმა ლაზიშვილებმა და ნემსაძემ, რომლებსაც კომუნისტების დროს „კომბინატორების“ სახელით მოიხსენიებდნენ. სლავას ბინა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სახლში მისცეს, სადაც მაშინვე ტელეფონით რეკვა ატყდა. თან, ყველა ერთი და იმავე კითხვას სვამდა — „მეტრეველი აქ ცხოვრობს?“. ცოტა ხანში, ფეხბურთელის ბინის კართან, ყუთებით მინერალური წყალი, შამპანური, ღვინო და ქათმები გაჩნდა. ასე რამდენჯერმე განმეორდა და ერთ კვირაში, მეტრეველის სახლი დიდ საწყობს დაემსგავსა. სლავა თურმე გაკვირვებული ამბობდა — „სად წავიღო ამდენი ღვინო? მე ხომ თითქმის არ ვსვამ?“ „დინამოში“ მისი გადმოსვლა მართლაც დროული აღმოჩნდა და ყოფილი თანაგუნდელები დღემდე აღიარებენ, რომ სლავას არყოფნის შემთხვევაში, 1964 წლის ტაშკენტის ტრიუმფი არ შედგებოდა. არადა, თავად ისხენებდა, რომ სეზონის წარმატებული თამაშების მიუხედავად, გუნდში ერთადერთს, მთავარ მწვრთნელ გავრილ კაჩალინს არ ეცინებოდა, როდესაც პარტნიორებს უმტკიცებდა — ჩემპიონები გავხდებითო. მართალია, „დინამოში“ მეტრეველი მარჯვენა თავდამსხმელად მიიყვანეს, მაგრამ ზაურ კალოევის გუნდიდან წასვლის შემდეგ, მწვრთნელებმა უნივერსალურ მოთამაშეს ადგილი თავდასხმის ცენტრში მიუჩინეს. სლავა აღიარებდა, რომ კარიერაში ყველაზე ძნელი და ამავე დროს, საინტერესო დაპირისპირება, მოსკოვის „სპარტაკის“ მცველ, ანატოლი კრუტიკოვთან ჰქონდა, რადგან ორივემ კარგად იცოდა ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარეები. კრუტიკოვი ყოველი თამაშის წინ, ქართველს ეუბნებოდა — „ისევ შენ ხარ ჩემ წინააღმდეგ?“ რაზეც პასუხად იღებდა — „ბოლოს და ბოლოს, თავს როდის დამანებებ?“ და ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ელეგანტური მანერის მქონე სლავა, უხეშ მცველებს ვერ იტანდა. ის იხსენებდა, რომ ერთი პერიოდი, საგანგებოდ მიუჩენდნენ ხოლმე ასეთ მეურვეს, რათა წონასწორობიდან გამოეყვანათ. 1968 წლის 6 ნოემბერს, ქართველმა ფორვარდმა, „მარაკანაზე“ მსოფლიო ნაკრებში, ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა და დღემდე, ერთადერთი ჩვენი თანამემამულეა, რომელსაც ასეთი პატივი ერგო. მატჩი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების პირველი გამარჯვების 10 წლისთავს მიეძღვნა, მასპინძელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა. პაექრობის შემდეგ, სლავა სამხრეთამერიკულმა ტორსიდამ „თავისიანად“ შერაცხა, ვინაიდან თამაშის სტილით ლეგენდარულ გარინჩას მიამსგავსა. ერთ-ერთ სამხრეთამერიკულ ტურნეში, ლა-პასში ბოლივიის ნაკრების დამარცხებისთვის, საბჭოთა ფეხბურთელებს „პრემიალურები“ ადგილობრივ ვალუტაში დაურიგეს, რომლის დოლარებზე გადასახურდავებლადაც ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი, ვიქტორ პოლუნინი გაგზავნეს. მან ფულით გატენილი ჩანთის მარტო წაღება ვერ გარისკა და დახმარება მეტრეველს სთხოვა. სასტუმროდან როგორც კი გამოვიდნენ, უკან ბოლივიელი მოზარდები აედევნნენ, რომლებსაც თავი ბანკამდე არ დაუნებებიათ. შემდეგ გაირკვა, რომ მათ სლავას ავტოგრაფი სურდათ, რომლის თამაში ჯერ კიდევ ბოლივიაში თბილისის „დინამოს“ სტუმრობიდან მოყოლებული ახსოვდათ. მეტრეველმა ფეხბურთის თამაშს 1971 წელს, 35 წლის ასაკში დაანება თავი და ალბათ, სიმბოლური იყო, რომ „დინამოში“ ჩატარებული უკანასკნელი შეხვედრის პირველი ტაიმის შემდეგ, მაისური ვლადიმერ გუცაევს გადასცა. კარიერის დასრულების შემდეგ, სახინკლის დირექტორად მუშაობდა და ცნობილი ფეხბურთელის სახელი, დაწესებულების რევიზორებისგან დაცვის კარგ საშუალებას წარმოადგენდა. ერთხელ, სახინკლეში კომისია მივიდა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ტუალეტში ხელსაბანზე საპონი არ იდო. შემმოწმებელმა მეტრეველი საზკვების უფროსთან დაიბარა. ცხადია, ყოფილ ფეხბურთელს უსიამოვნება ელოდა. მართლაც, მისმა რამდენიმე კოლეგამ მკაცრი საყვედური მიიღო, ხოლო ბატონი სლავა დაინდვეს და დაკავებული თანამდებობა იმ ადამიანს დაატოვებინეს, რომელმაც მისი სახინკლის შემოწმება გადაწყვიტა. აქტიურ სპორტსმენად ყოფნისას, „დინამოელს“ რეჟიმი ფაქტობრივად, არ დაურღვევია, მაგრამ ფეხბურთიდან წასულმა სმას მოუხშირა. ხალხი საგანგებოდ შედიოდა სახინკლეში, რომ ცოცხალი ლეგენდა ენახა და მასთან ერთად ექეიფა... ის შეუძლოდ იყო, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. აღმოჩენილი თავის ტვინის დაავადება ალკოჰოლმა უფრო გაამძაფრა და როდესაც ექიმებმა გასინჯეს, უკვე პრაქტიკულად, აღარაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, საბჭოთა კავშირის ექსფორვარდი ისე დაუძლურდა, რომ დამოუკიდებლად გადაადგილებაც კი უძნელდებოდა. ასეთ ყოფას ყოფილი სპორტსმენი ვერ ეგუებოდა და ცდილობდა, სახლიდან მარტო გასულიყო. ბატონი სლავას ცოლი ტანია კუზინა იხსენებდა, რომ ერთხელ, იგი წაიქცა და ყური დაიზიანა. ამის შემდეგ, მეტრეველს ბინის კარი ჩაუკეტეს და გასაღები დაუმალეს. 1995 წელს, მან მეორე ინსულტი გადაიტანა და გონს ძლივს მოიყვანეს. ცნობილ სპორტსმენს მატერიალურადაც ძალიან გაუჭირდა და დახმარების ხელს ხან ვინ უწვდიდა, ხან — ვინ. რამდენჯერმე თანხა ყოფილმა „დინამოელებმა“ შეუგროვეს, ასევე არ დავიწყნიათ მოსკოვის „ტორპედოელებს“. ტყავის ბურთის დიდოსტატი საბურთალოს ძმათა სასაფლაოს 62 წლის ასაკში მიაბარეს...

მეტრეველი ერთადერთი ქართველია, რომელმაც სამ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა

■

თუ გაზაფხულზე წყლული გაგიმწვავდათ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გაზაფხულობით ბევრი ქრონიკული პათოლოგია მწვავდება. მათ შორისაა, წყლულოვანი დაავადება.

წყლულოვანი დაავადება პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელსაც ქრონიკული და ციკლური მიმდინარეობა ახასიათებს. ამ დროს, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვან გარსში დეფექტი (წყლული) წარმოიქმნება.

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე კუჭისა. საზოგადოდ კი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. დედამიწის შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარს, წყლულისწინარე მდგომარეობა — გასტრიტი ან დუოდენიტი (კუჭის ან ნაწლავის ანთება), ხოლო 10%-ს — წყლული აქვს. დაავადება დიდ ქალაქებში უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე პროვინციებში, ხოლო მამაკაცებში, 3-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე — ქალებში.

წყლულით დაავადებულთა უმთავრესი მიზანია, არ დაუშვან მისი ხშირი გამწვავება და რაც შეიძლება გაახანგრძლივონ რემისიის (ჩაცხრობის) ფაზა.

დაავადების განვითარებაში წამყვან როლს, სპირალისებრი მიკრობი Helicobacter Pylory ასრულებს. მის მიერ გამომუშავებული ფერმენტები კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვან გარსს აზიანებს, თრგუნავს ლორწოს გამომუშავებას, ნივთიერებათა ცვლის პროცესებს და ახალი წყლულის ჩამოყალიბებას ან უკვე შეხორცებულის გახსნას იწვევს.

ეს მიკროორგანიზმი შეიძლება აღმოვუჩინოთ ჩვენი პლანეტის მკვიდრთა დაახლოებით 80%-ს, მაგრამ წყლულოვანი დაავადება ყველას არა აქვს. საქმე ის არის, რომ წყლული დამატებითი ფაქტორების გარეშე არ ვითარდება. ასეთი ფაქტორებია:

უარყოფითი ემოციები — შფოთვა, დეპრესია, ასთენია (ნერვული სისტემის გამოფიტვა), გონებრივი დაძაბვა, სტრესი, რომლითაც მდიდარია თანამედროვე ცხოვრება;

გენეტიკური განწყობა;

კვების რეჟიმის დარღვევა — უხეში, ცხარე, ქიმიური დანამატებით მდიდარი საკვები მარილმჟავას გამოყოფას აძლიერებს, რაც წყლულისწინარე მდგომარეობის განვითარების საწინდარია. წყლულის განვითარებაში დიდ როლს სიგარეტი და ალკოჰოლი ასრულებს, რომლებიც კუჭის ლორწოვანზე უშუალო ან ირიბ ზემოქმედებას ახდენენ. სახელდობრ, ნიკოტინი აძლიერებს მარილმჟავას გამოყოფას, არღვევს საკვების გადამუშავების პროცესს და აზიანებს კუჭის კედელს, ალკოჰოლი კი, კუჭის ლორწოვანი გარსის დაცვით ფუნქციებს აქვეითებს;

მედიკამენტები — წყლულის წარმოქმნის პროვოცირება შეიძლება ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის (მაგალითად, ასპირინის, კორტიკოსტეროიდული ჰორმონების, არასტეროიდული ანტიანთებითი საშუალებების) უკონტროლო მიღებამაც მოახდინოს.

გამწვავების ნიშნები

ტკივილი წყლულოვანი დაავადების ყველაზე ხშირი სიმპტომია, რომელიც მუცლის ზედა ნაწილში ლოკალიზდება. ის უმეტესად რიტმული ხასიათისაა და საკვების მიღებას უკავშირდება.

როცა წყლული კუჭშია ლოკალიზებული, ტკივილი ჭამიდან 15-20 წუთში იწყება და მანამდე გრძელდება, სანამ საკვები ნაწლავებში არ გადავა, ან უკან არ ამოიღებთ. ამის გამო, ავადმყოფები ხშირად ჭამას თავს არიდებენ ან ხელოვნურად იწვევენ ღებინებას და ხდებიან.

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს ღამის შემაწუხებელი ტკივილი ახასიათებს, რომლის ჩასაცხრობად, ავადმყოფმა აუცილებლად უნდა მიიღოს საკვები, მინერალური წყალი (ბორჯომი, ნაბეღლავი) ან ანტაციდები (ალმაგელი, მაალოქსი). ჭამიდან 20-30 წუთის შემდეგ, ხშირია გულძმარვა, შეკრულობისკენ მიდრეკილება.

ეს სიმპტომები იმაზე მიუთითებს, რომ დროა, გასტროენტეროლოგს მიმართოთ.

უყურადღებობის შემთხვევაში, წყლულოვანი დეფექტი ღრმავდება და შეიძლება, სიცოცხლისთვის საშიში გართულებები — პერფორაცია (გასკდომა), პენეტრაცია (სხვა ორგანოსთან შეხორცება), სისხლდენა, პილოროსტენოზი (კუჭის პილორული ნაწილის შევიწროება) — მოჰყვეს.

დიეტა

წყლულის მკურნალობისას დიეტას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კვება ოთხჯერადი უნდა იყოს, საკვები — თბილი. მიირთვით აუჩქარებლად, ლუკმა კარგად დაღეჭეთ; მოუარეთ და დროულად უმკურნალეთ კბილებს.

იმისდა მიხედვით, მომატებულია თუ დაქვეითებული კუჭის მჟავიანობა, სხვადასხვგვარია დიეტაც.

მომატებული მჟავიანობის დროს, დაავადების გამწვავებისას, მიიღეთ გახეხილი, ორთქლზე მომზადებული ან მოხარშული საკვები, წინადღეს გამომცხვარი პური, ორცხობილა, ფლავი, ვერმიშელი, მაკარონი, ახალი ხაჭო, არაჟანი, მოხარშული ქათმის ან ძროხის ხორცი, ორთქლზე მომზადებული კატლეტი, კარტოფილი, სტაფილო, მოხარშული ჭარხალი ან მისი პიურე, ფაფები, ვაშლი, მსხალი, ციტრუსები და მათი წვენები. კარგია კენკრა, ხილის კომპოტი.

ხორცის ნახარშის (ბულიონის) მიღება მომატებული მჟავიანობის დროს არ შეიძლება — ის კუჭის სეკრეციის აღმგზნებ ნივთიერებებს შეიცავს.

მიირთვით მოხარშული თევზი. ნებადართულია დღეში 15 გ მცენარეული ზეთის გამოყენება. კერძები სანელებლების გარეშე მოამზადეთ და ჩვეულებრივზე ნაკლები მარილი მოაყარეთ.

ნებადართულია რძე, რძიანი ჩაი. ჭამამდე 1 საათი ადრე, მიიღეთ მინერალური წყალი — თითო ჩ/ჭ მცირე ყლუპებით, რომელიც წინასწარ უნდა შეათბოთ ოთახის ტემპერატურამდე.

აკრძალული: მაგარი ჩაი, ყავა, მდოგვი, წიწაკა, პირშუშხა, ოხრახუში, ისპანახი, ტყემალი, კონსერვები, შებოლილი პროდუქტი, ლობიო, ბოლოკი, ყურძენი.

დაქვეითებული მჟავიანობის დროს, ისეთი საკვები უნდა შეარჩიოთ, რომელიც კუჭის ლორწოვანს ზომიერად აღიზიანებს — ამგვარად, კუჭ-ნაწლავის ჯირკვლები აღეგზნება და საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფა გაძლიერდება.

საკვები მარილს ნორმალურად უნდა შეიცავდეს, შესაძლოა, ცოტა მეტსაც. ნებადართულია ქათმისა და ძროხის კარგად მოხარშული, ან ცოტა ცხიმში შემწვარი ხორცი, კარაქი, ყველი, ფაფა, ცოტა მაკარონი, ახალი ან გაყინული თევზი, პური, კარტოფილი, მხალეული, ძმარი, ტყემალი, ტომატი, ბროწეული, ზომიერი რაოდე-

ნობით — წიწაკა, მდოგვი, პირშუშხა. მინერალური წყალი მიიღეთ გრილი, ჭამამდე 10 წუთით ადრე.

მკურნალობა

Helicobacter Pylory-ს აღმოჩენამ რადიკალურად შეცვალა და გააადვილა მკურნალობა. წყლულოვანი დაავადება უკვე აღარ არის უკურნებელი — კომპლექსური მკურნალობა, წყლულს ათიოდე დღეში ახორცებს.

წყლულის ეფექტური მკურნალობისთვის, ამჟამად, მიღებულია წყლულოვანი დაავადების სამკომპონენტიანი მკურნალობის სქემა — ტეტრაციკლინით, მეტრონიდაზოლით და ბისმუტის პრეპარატებით. აუტანლობის შემთხვევაში, ტეტრაციკლინი შეიძლება შეიცვალოს ამოქსიცილინით, მეტრონიდაზოლი კი კლარიტრომიცინით.

მკურნალობის აქტიური კურსი საშუალოდ ორი კვირა გრძელდება. მერე კი, პაციენტი შემანარჩუნებელ, მედიკამენტურ თერაპიასა და კვებით რეჟიმზე გადაჰყავთ.

ოპერაციულ ჩარევას მხოლოდ ხანგრძლივად შეუხორცებელი წყლულის დროს და წყლულოვანი დაავადების გართულებისას მიმართავენ. ოპერაციის დროს, ხშირად კვეთენ კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის დაზიანებულ უბნებს და ჭრიან ზოგიერთ ნერვულ დაბოლოებას, რაც კუჭის მჟავიანობის დაქვეითებას უწყობს ხელს.

ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც ავადმყოფები კუჭის მიდამოში უსიამოვნო შეგრძნების გაჩენისას უშვებენ — თვითმკურნალობაა. სოდის ან სხვა ანტაციდური საშუალებების მიღება ტკივილს მართლაც ხსნის, მაგრამ დაავადებას არ კურნავს. ასე რომ, მოსალოდნელია რეციდივი, რომელიც შეიძლება მძიმე შედეგებით დამთავრდეს.

■

სხვადასხვა

გულის უკმარისობის მკურნალობის ახალი მეთოდი

ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში დაადგინეს, რომ ძაღლის ალერსში გატარებული რამდენიმე წუთი, გულის უკმარისობით დაავადებულების მდგომარეობას საგრძნობლად აუმჯობესებს და ზოგჯერ კურნავს კიდეც.

გულის უკმარისობა დაავადებაა, რომლის დროსაც, ეს ორგანო თანდათანობით კარგავს სისხლის გადაქაჩვის ფუნქციას. არსებობს მისი მკურნალობის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის — მედიკამენტური თერაპია, ოპერაცია და გულის გადანერგვა.

ექიმებმა გამოიკვლიეს გულის უკმარისობის მქონე 76 პაციენტი, რომლებიც ჰოსპიტალში მკურნალობდნენ. მათ ერთერთ ჯგუფთან, ყოველდღიურად 12 წუთით მიჰყავდათ ძაღლი, მეორე ჯგუფთან, მხოლოდ ადამიანები მიდიოდნენ სანახავად, მესამე ჯგუფს კი, მნახველების გარეშე, სრულ სიმშვიდესა და იზოლაციაში მკურნალობდნენ. აღმოჩნდა, რომ ძაღლებთან ურთიერთობა დადებითად მოქმედებდა გულისა და ფილტვების ფუნქციონირებაზე, კერძოდ, ნაწილობრივ მატულობდა წნევა ფილტვის არტერიაში და ფერხდებოდა მავნე ჰორმონების (მაგალითად, სტრესის ჰორმონის) გამოყოფა, რის გამოც, მოუსვენრობის განცდაც ქრებოდა. გარდა ამისა, ძაღლებთან ურთიერთობის შემდეგ, პაციენტების გუნებაგანწყობილება შესამჩნევად უმჯობესდებოდა.

კვლევის შედეგები განსახილველად ამერიკის კარდიოლოგიურ ასოციაციას გადაეცა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თერაპია ძაღლებით შესაძლოა მკურნალობის ეფექტურ მეთოდად იქცეს. ძაღლები ავადმყოფებს ამშვიდებენ, აბედნიერებენ და საკუთარი თავის რწმენას უბრუნებენ.

დიაგნოსტიკა — ამოსუნთქული ჰაერით

■

მსოფლიოში უფრო და უფრო ხშირდება ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევები. ცნობილია, რომ ადრეულ ეტაპზე, პათოლოგიის განკურნება უფრო იოლია, ვიდრე მის გვიანდელ საფეხურზე. ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი ფილტვის კიბოს ექსპრესდიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც დიდ ბრიტანეთში შეიმუშავეს.



აქამდე არსებული ტესტებისგან განსხვავებით, რომლებიც ფილტვის ქსოვილის მიკროსკოპულ გამოკვლევას ან რთულ რენტგენოლოგიურ გამოკვლევებს ემყარებოდა, ამ მეთოდს საფუძვლად ამოსუნთქული ჰაერის ანალიზი უდევს. საქმე ის არის, რომ ავთვისებიან სიმსივნეებს უჯრედების დაშლა ყოველთვის თან ახლავს. ამ დროს, ორგანიზმში გამოიყოფა სპეციფიკური აირი — ეთანი, რომელიც სხვა, ბიოქიმიური პროცესების დროს არ წარმოიქმნება. ახალი მეთოდი სწორედ ამონასუნქთ ჰაერში ეთანის შემცველობის გაზომვას ითვალისწინებს. ამ გზით, სულ რამდენიმე წუთში შესაძლებელია დადგინდეს ფილტვის კიბოს არსებობა-არარსებობა და დაახლოებით მაინც შეფასდეს მისი ზომა და განვითარების სტადია.

■

ეკრანზე დამკიდრებული პირველი საყვარლის იმიჯის მიუხედავად, რეალურ ცხოვრებაში ანტონიო ბანდერასი ქალთა გულთამპყრობელი არასოდეს ყოფილა. ის ოჯახს ეთაყვანება და ყველაფერზე წავა, რომ მელანისთან ოჯახი შეინარჩუნოს

მელანი გრიფიტსა და ანტონიო ბანდერასს შორის სიყვარულმა 1995 წელს, ფილმის — „ორნი — ეს უკვე მეტისმეტია“ გადაღებებზე იფეთქა. მაშინ, ანტონიო 35-ის, მელანი კი — 38 წლის იყო. თანაც, ორივე დაოჯახებული (მელანი — მსახიობ დონ ჯონსონზე, ანტონიო კი, ესპანელ მსახიობ ანა ლეზე იყო დაქორწინებული). მაგრამ ვნებამ ორივე აიძულა, წარსულთან კავშირი გაეწყვიტა... მელანის სექსუალურმა ტემპერამენტმა, გამოცდილ მაჩოს თავბრუ დაახვია. მელანი, ანტონიო ბანდერასის საკუთარი ღირსების შეგრძნებამ მოხიბლა. „სექსი შესანიშნავი იყო, პლაჟზე სეირნობა კი, გასაგიჟებელი, — ამბობდა ბედნიერი ანტონიო. სამხრეთ კალიფორნიის პლაჟზე (იქ მელანი „ლოლიტას“ რიმეიქის გადაღებებში იყო დაკავებული) მზის ჩასვლისას, მუხლმოდრეკილმა ანტონიომ მელანის გული და ხელი შესთავაზა. ჯვარი 1996 წლის 14 მაისს, ქალიშვილის, სტელა დელ კარმენის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, ვესტმინსტერის სააბატოში (ლონდონი) დაიწერეს.

სიყვარული ცხრიში

ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, დაბადების დღეებიც კი, თითქმის ერთდროულად აქვთ. მელანი 9 აგვისტოსაა დაბადებული, ანტონიო — 10-ში. ორივი ახირებული ხასიათით გამოირჩევა. უყვართ ზღვა, აფროსნობა, ველოსიპედით სიერნობა და სირბილი. პრეზენტაციებსა და პრემიერებზე წყვილი ან ერთად დადის, ან მაღალი საზოგადოების შეკრებებზე საერთოდ არ ჩნდება. მათ ნაკლიც კი ერთნაირი აქვთ — ორივე საოცრად ეჭვიანია.

დიდი ხანია, რაც მელანის მარჯვენა მხარს სვირინგი — გულის ფორმის ჩარჩოში ჩაწერილი ANTONIO უმშვენებს. ოჯახის ახლობლები ირწმუნებიან, რომ მელანის სხეულზე ეს სვირინგი ანტონიოს მოთხოვნით, მორიგი ოჯახური სკანდალის შემდეგ, შერიგების ნიშნად გაჩნდა. ეს თუ მართლაც ასეა, საკითხავია ის, თუ ვინაა მათ შორის მესაკუთრე?

გრიფიტი და ბანდერასი ერთხმად ირწმუნებიან, რომ ცოლქმრული სექსი ჯერაც არ მოჰყირჭებიათ, თუნდაც იმიტომ, რომ სექსუალური ექსპერიმენტები ორივეს ხიბლავს. ისინი ამას „სიყვარულის ხანძარში შეშის შეკეთებას“ უწოდებენ, მელანის და ანტონიოს შეუძლიათ მოულოდნელად ყველაფერი მიატოვონ და რომანტიკული ღამის გასატარებლად ჰავაის კუნძულებს, ან ევროპის რომელიმე ქალაქს მიაშურონ. როგორც ამბობენ, ზოგჯერ, ალერსის წინ, მელანის თხოვნით, ანტონიო ზოროს მოსასხამსა და ნიღაბს ირგებს, რაც მელანის საოცრად აღაფრთოვანებს!

ანტონიო ბანდერასი საყვარელ ცოლს კარგავს?

14 მაისს, ჰოლივუდის ერთ-ერთი ულამაზესი წყვილი ქორწინების 10 წლისთავს აღნიშნავს. ამ თარიღს ოჯახი მორიგი საგანგებო მდგომარეობის ტალღაზე ხვდება, რაც იმას მოასწავებს, რომ მათ ქორწინებას სერიოზული საფრთხე ემუქრება...

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის — National Enquirer პუბლიკაციას, გრანდიოზული სკანდალი მოჰყვა. გაზეთში, 48 წლის ჰოლივუდის ვარსკვლავის, მელანი გრიფიტის ფოტოები გამოქვეყნდა. ანტონიო ბანდერასის მეუღლეს, პაპარაცებმა იმ შენობის კართან წაასწრეს, სადაც ანონიმურ ალკოჰოლიკთა საზოგადოების წევრები იკრიბებიან ხოლმე. პრესაში ატეხილმა აურზაურმა, მელანი აიძულა უსიამოვნო შეკითხვაზე პასუხი გაეცა: ნუთუ, მან დამღუპველ ჩვევას თავი ვერ დააღწია? გრიფიტმა არ უარყო, რომ შეხვედრაზე იყო მისული, მაგრამ სხვა კომენტარებისგან თავი შეიკავა და ისიც კი განაცხადა, რომ მის პირად ცხოვრებაში ჩარევის გამო, გაზეთს სასამართლოში უჩივლებს.

მსახიობის აღშფოთება ფოტოებზე მეტად, სტატიაში მოყვანილმა სიტყვებმა გამოიწვია, რომელიც თითქოსდა მან ერთ-ერთ რეპორტიორს განუცხადა: დიახ, მე ნარკოტიკებს მოვიხმარდი და მათ საშოვნელად მზად ვიყავი, ქვეყნის დასალიერშიც კი წავსულიყავიო. გრიფიტის პროტესტმა და ჟურნალისტების მისამართით წამოყენებულმა ბრალდებებმა, საკითხის არსი ვერ გადაფარა და ახლა პრესა გატაცებით ჭორაობს იმის შესახებ, რომ მელანის ალკოჰოლიზმით დაავადება, შესაძლოა სწორედ ის მიზეზია, რის გამოც, უკვე რამდენიმე თვეა, ვარსკვლავური წყვილი პუბლიკის წინაშე აღარ გამოჩენილა. ამ ავბედითი პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე, შვილებით (20 წლის ალექსი, 16 წლის დაკოტა და მათი საერთო შვილი 9 წლის სტელა) გარშემორტყმული მოღიმარი წყვილი, საზოგადოებამ უკანასკნელად გასული წლის ოქტომბერში, ანტონიო ბანდერასის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე იხილა. მაშინ, უდარდელი და ბედნიერი

მელანის შემხედვარე, ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი იყო...

მელანი გრიფიტს ადრე არასოდეს დაუმალავს, რომ ალკოჰოლს სიამოვნებით და ხშირად სვამდა, მაგრამ ამ თემაზე საუბრის დროს, მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს ყოველივე წარსულს ჩაჰბარდა. „ოჯახურ ვერსიას", ანტონიო ბანდერასიც სიტყვასიტყვით იმეორებდა: „არასდროს დამინახავს, რომ მელანის დაელიოს ან ნარკოტიკი მიეღოს. ეს ყველაფერი, ჩვენს შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე დამთავრდა. საბედნიეროდ, ის თავისსავე თავს დაუბრუნდა". მელანის ვიზიტი ანონიმურ ალკოჰოლიკთა საზოგადოებაში, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ პრობლემა მაინც არსებობს და თუ ეს მართლაც ასეა, მათი ტყუილი პატიებას იმსახურებს, რადგან ალკოჰოლიზმი — უმძიმესი სენია, მით უმეტეს, ქალთა ალკოჰოლიზმი, რომელიც პრაქტიკულად, განუკურნებელ დაავადებად მიიჩნევა. ეს ის უბედურებაა, რომელზეც ხმამაღლა მსჯელობა საზოგადოებაში მიღებული არ არის.

ბანდერასის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე

რატომ სვამს მელანი გრიფიტი? რა აკლია ჰოლივუდის ბრწყინვალე ვარსკვლავს, მთელი პლანეტის ქალების ყველაზე სასურველი მამაკაცის მეუღლეს და შესანიშნავი შვილების დედას? როგორც ჩანს — მიზეზი რამდენიმეა: მათ შორის, უპირველესი — მელანის პათოლოგიური ეჭვიანობა — ბანდერასისა და გრიფიტის ოჯახურ თანაცხოვრებას პერიოდულად ჯოჯოხეთად გადააქცევს ხოლმე.

საკულტო ფილმის „ზოროს ნიღაბი" (1998) გადაღებების დროს, მელანიმ მთელი გადამღები ჯგუფის თვალწინ მოაწყო ისტერიკა — არ მოეწონა, რომ ანტონიო პარტნიორს, კეტრინ ზეტა-ჯონსს ძალიან ნაზად ეხვეოდა. მაშინ ცოლ-ქმარი ტრაილერში ისე ყვიროდა, რომ მათი ხმა, მთელ გადამღებ ჯგუფს ესმოდა. მეორე დღეს, ტაბლოიდები საქმის გარჩევის დეტალების განხილვით ტკბებოდნენ. გაცოფებულ ბანდერასს ის ფაქტი აოცებდა, რომ პრესა მათი ოჯახური ცხოვრების წვრილმანებს სიამოვნებით განიხილავდა. მელანი კი, დეპრესიას ალკოჰოლით იქარვებდა და ეს ეპიზოდი ერთეული შემთხვევა როდი გახლდათ.

ერთის მხრივ, მელანის შეიძლება გავუგოთ კიდეც — შეუდარებელი ანტონიოს პატნიორთა სია, მტანჯველი ეჭვის მარცვალს ყველაზე ცივსისხლიანი ცოლის სულშიც კი გააღვივებს. კამერების წინ, ანტონიო ბანდერასი ხან მზეთუნახავ ანჯელინა ჯოლის კოცნის, ხანაც ლოგინში სელმა ჰაიეკთან ერთად ნებივრობს... მეორის მხრივ — მელანის ეჭვიანობა საარაკო გახდა.

მსგავსი სკანდალის შემდეგ, ანტონიოს ბევრჯერ ჩაულაგებია ბარგი და სასტუმროში იმისთვის გადაბარგებულა, რომ შემდეგ, კიდევ ერთხელ მიეტევებინა და ისევ მელანისთან დაბრუნებულიყო. ბანდერასის მეგობრები ჰყვებიან, რომ ამგვარი სტრესის გადატანის შემდეგ, ანტონიო მელანის ურეკავდა და ყურმილში ქვითინებდა: „როგორ არ გესმის, რომ შენი ავადმყოფური ეჭვიანობა ჩვენს ქორწინებას ანგრევს?" ოჯახური სცენარის თანახმად, ამ სიტყვების შემდეგ, მელანის თავი ხელში აჰყავდა და ქმარს ურიგებოდა. ანტონიო ცოლს პირობას ადებინებდა, რომ მსგავსი სცენები აღარასოდეს განმეორდებოდა და ოჯახს უბრუნდებოდა...

უკანასკნელ ხანებში, ანტონიო ცდილობს, მელანი მარტო არ დატოვოს (იქნებ, სწორედ იმიტომაც, რომ შიშობს, მელანი სასმელს არ მიეძალოს?). გასული წლის ბოლოს, მან თავად შესთავაზა მელანის — ესპანეთის ქალაქ მარბელიუში მასთან ერთად გამგზავრებულიყო, სადაც ბანდერასის რეჟისორობით ფილმის — „ინგლისელთა გზა" გადაღებები მიმდინარეობდა. მელანი ქმარს გვერდიდან წუთითაც არ მოშორებია — აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, ანტონიომ ხომ მთავარი როლის შემსრულებლად მისი თანამემამულე, სექსუალური ავაზა — ვიქტორია აბრილი მიიწვია! ამჯერად, ყველაფერი მშვიდობიანად, საქვეყნოდ მოწყობილი ეჭვიანობის სცენების გარეშე დასრულდა, მაგრამ არავინ იცის, იქნებ, გრიფიტის ავადმყოფობის კიდევ ერთხელ გართულების მიზეზად ეს სტრესი იქცა.

ამბობენ, უმიზეზოდ არაფერი ხდებაო. როგორც ჩანს, მელანის ეჭვიანობა ბოლომდე საფუძველს მოკლებული მაინც არ არის და ანტონიო ქალებთან გართობაზე უარს არ ამბობს. გასული წლის აპრილში, ტორონტოში (კანადა) ფილმის — „შენს თავზე აიღე" გადაღებების დროს, პაპარაცებმა ბანდერასი იდუმალებით მოცულ, უცნობ ქერათმიან გოგონასთან პაემანზე მისული გამოიჭირეს. გაცოფებული მელანი გარშემო ყველაფერს ანადგურებდა. ქმარი, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ყველაფერს უარყოფდა, პრესა კი, სენსაციაური რეპორტაჟის დეტალებით ტკბებოდა. ყვითელ პრესას, ზეიმის მიზეზი მართლაც ჰქონდა: ბანდერასისა და გრიფიტის ქორწინების 9 წლის მანძილზე, პირველად მოხდა, რომ ანტონიო ღალატში გამოიჭირეს!

ამ სიტუაციაში, მელანისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელი ის იყო, რომ სკანდალური კადრების გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე, მათ პარიზის სასტუმრო „რიტცში" პირველი რომანტიკული პაემნის 10 წლისთავი აღნიშნეს. „მაშინ, პარიზში 16 ზღაპრული საათი დავყავით და „ის" საქმე (ანუ სექსი) 4-ჯერ გავაკეთეთ", — გაუმხილა მელანიმ კორესპონდენტებს. ერთი კვირის თავზე კი, გაზეთები ქერათმიანი გოგონას ფოტოსურათებით აჭრელდა, რომლებზეც გამოსახული უცნობი, ანტონიოს აღფრთოვანებით შესცქეროდა... სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უცნობი ისე სწრაფად გაქრა გაზეთის ფურცლებიდან და ანტონიოს ცხოვრებიდან, რომ მისი ვინაობა ვერავინ შეიტყო, მაგრამ ამ სტრესმა, მელანის ალბათ კიდევ ერთხელ უბიძგა სმის დაწყებისაკენ.

კადრი ფილმიდან „ორნი – ეს უკვე მეტისმეტია", რომლის გადაღებებზე მელანიმ და ანტონიომ ერთმანეთი გაიცნეს

მელანის ალკოჰოლური რეციდივის მეორე სავარაუდო მიზეზი — მოახლოებული სიბერის პათოლოგიური შიში უნდა იყოს. ამ თავზარდამცემ შიშს, მელანი ორი ხერხით — სასმლით და პლასტიკური ქირურგიის მეშვეობით ებრძვის. მის ცხოვრებაში აშკარად იკვეთება და პერიოდულად მეორდება ამგვარი ტენდენცია: ეჭვიანობის მიზეზით მოწყობილი გრანდიოზული სკანდალი — ლოთობა, დეპრესია — ანტიდეპრესანტების გამოყენებით, პლასტიკური ქირურგიის კლინიკა. გაფრენილი ახალგაზრდობის დაბრუნების ერთ-ერთი მცდელობა, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოხვედრით დასრულდა, სადაც მელანი მკერდის გადიდების წარუმატებელი ოპერაციის შემდგომ აღმოჩნდა. საგაზეთო სტატიების მყვირალა სათაურებმა: „ანტო-

„ანტონიო მარად ჩემს გულში დარჩება“ – ასე შეიძლება გვიყოთ მელანის მხარზე გაკეთებული სვირინგი

ნიოსთვის თავის მოსაწონებლად, მელანი ყველაფერზე მიდის“... „მაჩომ იმდენი ქნა, რომ მისი ცოლი რეანიმაციაში აღმოჩნდა“... ვნებათაღელვა კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. ეს ინსინუაციები ბანდერასმა არაფრად ჩააგდო, მაგრამ მეუღლეს ულტიმატუმი წაუყენა: „საკუთარი სხეულის აბუჩად აგდებას თავს თუ არ დაანებებ, წავალ!“ ურთიერთობების დაძაბვა მორიგი სკანდალით დასრულდა, რამაც მელანი ახალ დეპრესიამდე მიიყვანა.

„კინოში თამაში ძალიან მინდა, მაგრამ ასაკი თავისას შვრება. ჩემს სახეზე ახალ-ახალი ნაოჭები ჩნდება. ეკრანზე განა იმიტომ აღარ ვჩანვარ, რომ უნიჭო გავხდი, გავსუქდი ან დავმახინჯდი — არა! უბრალოდ, ახალ როლებზე აღარ მიწვევენ. მე ვბერდები, რაც ძალზე სამწუხაროა“, — გულახდილად აღიარა მელანიმ ერთ-ერთ ინტერვიუში, ბანდერასი მის დამშვიდებას ცდილობს და არწმუნებს: „ჰოლივუდი 40 წელს გადაცილებული ქალების მიმართ სასტიკია. მათ კინოში საერთოდ აღარ იღებენ ან მეათეხარისხოვან როლებს სთავაზობენ. სამაგიეროდ, ამ ასაკის მამაკაცები ფასობენ“.

2005 წლის აპრილი. ტორონტო. ბანდერასი იდუმალებით მოცულ უცნობ ქალთან პაემანზე. ეს ფოტოსურათი მორიგი ოჯახური სკანდალის მიზეზი გახდა

ბანდერასმა ჰოლივუდის ჯუნგლის კანონების დარღვევა სცადა და 1999 წელს, ცოლი მის სადებიუტო სარეჟისორო ნამუშევარში — „ქალი, წესების გარეშე“ მთავარ როლზე მიიწვია. მელანი გამხნევდა, მაგრამ მალე ისევ სულით დაეცა. 2000 წელს, ანტონიომ ახალი მაშველი რგოლი გადაუგდო და განაცხადა, რომ ვაჟიშვილზე ოცნებობს. „კიდევ ერთი ბავშვის გაჩენაზე ვოცნებობ, მე და ანტონიო ძალიან ვცდილობთ, სპეციალური აბების მიღებაც კი გადავწყვიტე, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამომდის“, — გული გადაუშალა მელანიმ ჟურნალისტებს. სამწუხაროდ, ბუნების კანონების წინაშე ყველა უძლურია. ან იქნებ, უბრალოდ, მელანის სხვაგვარად ცხოვრება არ ძალუძს? მით უმეტეს, რომ მან ბოჰემურ ცხოვრებას გემო ადრეული ბავშვობიდანვე გაუსინჯა.

მელანის დედა — ალბერტ ჰიჩკოკის საყვარელი მსახიობი („ჩიტები“) სახელგანთქმული ტიპი ჰედრენი, მელანის გადასაღებ მოედნებზე, ბარებსა და ღამის კლუბებში მუდამ თან დაატარებდა და ამაში საძრახისს ვერაფერს ხედავდა. გოგონამ ადრევე შეამჩია, რომ იქ მყოფთა უმრავლესობა ან მარიხუანას ეწეოდა, ან კოკაინს ყნოსავდა, ან უგონოდ თვრებოდა. გასაკვირი სულაც არ არის, რომ მელანიმ საეჭვო საიმოვნებებს გემო ადრეულ (14 წლის) ასაკშივე გაუგო, რაც შემდგომ დამღუპველ ჩვევაში გადაეზარდა.



მელანის სამკერდე ნიშანზე გაკეთებული წარწერა იუწყება: „30 დღე სასმლის გარეშე“. ამგვარ სამკერდე ნიშნებს, როგორც წესი, ანონიმურ ალკოჰოლიკთა საზოგადოების მუდმივი წევრები აგარებენ

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ალკოჰოლის დახმარებით სტრესის მოხსნის მავნე ჩვევამ, მას ერთხელ სიცოცხლე შეუნარჩუნა. 23 წლის, უგონოდ მთვრალი მელანი ქუჩაზე გადადიოდა, როდესაც მანქანის საბურავებქვეშ აღმოჩნდა და მრავლობითი მოტეხილობა მიიღო. მოგვიანებით, ექიმებმა განაცხადეს, რომ ფიზიზელ მდგომარეობაში, მას ტკივილებით გამოწვეული შოკი მოკლავდა. ერთი წლის შემდეგ, გადაღებების დროს, მელანი უზარმაზარმა ლომმა დაგლიჯა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხეცები ალკოჰოლის სუნს ვერ იტანენ. გადაღების დაწყებამდე მელანიმ ერთი-ორი ჭიქა გადაკრა და... მისი სახიდან და ყელიდან, ლომის კლანჭების კვალის გაქრობა, მხოლოდ პლასტიკურმა ქირურგებმა შეძლეს. ამ განსაცდელმა, საბედისწერო შედეგი მოიტანა. ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას ანალგეტიკებზე დამოკიდებულებაც დაემატა, მაგრამ, როგორც ჩანს, მელანი გრიფიტის უმთავრეს პრობლემად მაინც ალკოჰოლიზმი რჩება. ალკოჰოლიზმთან უთანასწორო ბრძოლაში, ბანდერასი ყოველთვის ცოლის გვერდითაა. მუდამ იმას შიშობს, რომ მელი გაუთავებლად დაიწყებს სმას დაიწყებს და მაშინ, ამ ფრონტზე მიღწეული პატარ-პატარა გამარჯვებები გაცამტვერდება. 2002 წელს, როდესაც მელანი მორიგი ფილმის გადაღებზე პარიზში მიემგზავრებოდა, ბანდერასი ცოლს სერიოზულად დაემუქრა: „კერძო დეტექტივს დავიქირავებ, რომელიც თვალს წუთითაც კი არ მოგაშორებს. 250.000 დოლარს გადავიხდი და სიმართლეს მაინც შევიტყობ. იცოდე! როგორც კი რომელიმე ბარში ცხვირის შეყოფას დააპირებ, მაშინვე გაგეყრები, მერე კი, მოგკლავ!“ — კომენტარი სრულიად ზედმეტია! ისღა დაგვრჩენია, გულწრფელად თანავუგრძნოთ მამაკაცს, რომელიც იძულებულია, საყვარელ ცოლს ესოდენ სასტიკი სიტყვები უთხრას.

სკანდალური პუბლიკაციის შემდეგ, ბანდერასმა და გრიფიტმა უღრუბლო ოჯახური იდილიის დემონსტრირება გადაწყვიტეს და 3 მარტს, ფილმის — Take the lead-ის („შენს თავზე აიღე“) პრემიერაზე ერთად გამოცხადნენ. ამ სურათში, ანტონიო ბანდერასმა რეალური პიროვნება, ცნობილი მოცეკვავე პიერ დიულანი განასახიერა. მელანი ჟურნალისტებს უღიმოდა და კარგად გაზეპირებულ როლს თამაშობდა: „მადლიერი ვარ, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ასე გაღელვებთ, მაგრამ პირად ცხოვრებაზე კომენტარების გაკეთებას არ ვაპირებ“. ბანდერასმა საუბრის თემა ხალისით შეცვალა: „ქორწინების 10 წლისთავის აღსანიშნავად, ოჯახმა ნიუიორკში სახლი შეიძინა, თავისუფალ დროს, წყვილი ცეკვის გაკვეთილებზე სწორედ პიერ დიულანთან ივლის, რომლის ქორეოგრაფიული სტუდია ახლა მათ მეზობლად, მანჰეტენის 31-ე ქუჩაზე მდებარეობს. საბრალო ანტონიო ნაღველის გაქარვებას ცეკვით ცდილობს... ბრავო, ანტონიო! ყველა მამაკაცს როდი ძალუძს, საყვარელი ქალის უფსკრულიდან ამოსათრევად ასე თავგანწირვით იბრძოლოს, მით უმეტეს ასეთ მამაკაცს... ეჭვი არ არის, რომ მას მელანი თავდავიწყებით უყვარს. თუ არა სიყვარული, ამდენის მოთმენას როგორ შეძლებდა! იმედია, ბანდერასის მცდელობა ნაყოფს გამოიღებს და მრავალი ქალის სასურველი მამაკაცი საკუთარი ოჯახისა და ცოლის გადარჩენას შეძლებს...

■

თუ ქუჩაში 1937 წელს გამოშვებულ ომგამოვლილ კაბრიოლეტს ან პატარა, უცნაურ, ვერცხლისფერ „ხოჭოს“ წააწყდებით, ნუ გაოცდებით — ეს მანქანები კომპოზიტორ რომა რცხილაძეს ეკუთვნის. ავტომობილებში მუსიკოსს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ თავი კომფორტულად იგრძნოს — შხაპი, ტელევიზორი, ცივი ლუდი, ცხელი ყავა, ჩაი და ა.შ. ნურც ის გაგაოცებთ, თუ ამ პატარა მანქანების გოლიათ პატრონს, დილაადრიან სადმე ველოსიპედზე „ამხედრებულს“ წააწყდებით, რადგან ავტოფანი მიიჩნევს, რომ ამ ტრანსპორტით სიარული უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობის საწინდარი, შეუცვლელი წამალი და წონაში დაკლების საუკეთესო საშუალებაა.

ვცდომობილი, რომელშიც შხაპსაც მიიღებ, ცივ ლუდსაც დალევ და ცხელ ყავასაც „ჩაურეთმ“

„ამ მანქანის ღიმაინერი ადოლფ ჰიტლერი ყოფილია“

ლიკა ქაჯაია

— დედაჩემის მამას, შუქრი ანდღულაძეს „გაზ-21“ ჰყავდა. 7-8 წლის ვიყავი, ჩემები ეზოში საუბრობდნენ, საჭესთან დავჯექი და არ ვიცი, ხელი რას დავაჭირე, მანქანა ჩემდა უნებურად დავძარი და დიდ მანძილზე გავატარე. იმ დღეს, მშობლებმა მაგრად „დამქოთეს“.

— მანქანა რომ დაიძრა, არ შეგეშინდა?

— შევშინდი, მაგრამ ეს რაღაც სხვანაირი შიში იყო — მომეწონა, მივხვდი, რომ ეს ჩემი „სტიქია“ გახლდათ. როცა ცუდად ან უხასიათოდ ვარ, საჭესთან ვჯდები თუ არა, განწყობილება მაშინვე მეცვლება. სხვათა შორის, „21“-ებს დღესაც დიდ „პატივს ვცემ“ და დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს მანქანა შევიძინო და ჩემს პატარა კოლექციას შევმატო.

— კიდევ რომელ ავტომობილებს „სცემთ პატივს“?

— ომგამოვლილებს. ასეთ მანქანებში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. წინა საუკუნის დასაწყისის ავტომობილების ფორმა, დახვეწილობა განუმეორებელია. მას თანამედროვე დიზაინი ვერაფრით შეედრება. მოკლედ, კარგად შემონახული სიძველე მიყვარს.

— როგორ ფიქრობთ — მანქანა კომფორტის საგანია?

— მანქანის ყოლა ფუფუნებაში ცხოვრებას სულაც არ ნიშნავს, მაგრამ არსებობს ისეთი ავტომობილები, რომლის ფორმა, შაბლონი მასისთვის არ არის გათვალისწინებული და მათ სხვა დატვირთვა აქვს. მაგალითად, მე მყავს ავტომობილი, რომელიც არა მარტო მე მანიჭებს სიამოვნებას, არამედ გამვლელებსაც და ძირითადად, მათ ღიმილს იწვევს.

მანქანაში ყველაფერი მაქვს, რასაც მგზავრი ინატრებს — შეგიძლიათ მიიღოთ შხაპი, მიირთვათ ცხელი ყავა, ჩაი, ცივი ლუდი და ა.შ.

— რომელ მანქანაზე ლაპარაკობთ?

— მყავს 1937 წელს გამოშვებული კაბრიოლეტი BMW-Mercedes და 1955 წელს გამოშვებული Audi-სა და Volkswagen-ის ერთობლივი ნამუშევარი — ე.წ. „ჟუკი“, იგივე „ხოჭო“, რაც მანქანის ინდუსტრია არსებობს, ყველაზე მეტი ამ მარკის ავტომობილი გაიყიდა. მას დიდი ისტორია აქვს — მისი დიზაინერი ადოლფ ჰიტლერი ყოფილა (მისი ჩანახატები დღესაც არსებობს). მან იდეა ფერდინანდ პორშეს გაუმხილა, რომელმაც ავტომანქანა ააწყო, მაგრამ ის არ იყიდებოდა. ერთ-ერთმა ამერიკელმა ებრაელმა, წილის სანაცვლოდ, ადოლფს და ფერდინანდს შესთავაზა: თუ ჩამსვამთ მოგების წილში, ისე გავაკეთებ, რომ ეს მანქანა მსოფლიო მასშტაბით უსაყვარლესი გახდებაო. მათგან თანხმობის მიღების შემდეგ კი, გააკეთა ასეთი განცხადება: შეიძინეთ Volkswagen-„ჟუკი“, ეს თქვენი ოჯახის მეორე მანქანააო. ამან გაჭრა — „ხოჭო“ იყიდეს არა მარტო იმ ადამიანებმა, ვისაც ერთი ავტომობილი უკვე ჰყავდა, არამედ მისი მყიდველები ძირითადად, ისინი იყვნენ, ვისაც მანქანა არ ჰყავდა და უცნობებში იტყოდა: ეს ჩემი მეორე ავტომობილიაო.

— „ხოჭო“ თქვენც ამიტომ ხომ არ იყიდეთ?

— არა, ეს უნებლიეთ მომივიდა და დღეს ის ჩემი ოჯახის წევრივითაა. სხვათა შორის, ველოსიპედიც მყავს და ამ ტრანსპორტითაც ხშირად „ვიჩითები“ ხოლმე.

— და სად „იჩითებით“, ქალაქში ველოსიპედით დადიხართ?

— ველოსიპედით დილაობით ვმოძრაობ ხოლმე. ერთი პერიოდი, მე და ჩემი მეგობარი ნიკუშა ცერცვაძე, ერთმანეთს დილის 7 საათზე, ბარათაშვილის ხიდთან ვხვდებოდით ხოლმე და იქიდან მე-8 საავადმყოფოში მეგობარ ქალბატონთან მივდიოდით, რომელიც მასაჟს გვიკეთებდა. ერთხელ, ჩემს მეუღლეს თანამშრომელმა უთხრა: მგონი, გავგიჟდი, მოჩვენებები დამეწყო — სამსახურში მივდიოდი, სანაპიროსთან ველოსიპედმა ჩამიარა და მასზე მჯდომი პიროვნება რომას მივამსგავსეო. ამაზე ბევრი ვიცინეთ. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ტრანსპორტის ეს საშუალება შეიძინოთ, რადგან ველოსიპედით სიარული შეუცვლელი წამალი, დიეტის არაჩვეულებრივი მეთოდი და მოკლედ, ჯანმრთელობის საწინდარია.

— თქვენს ომგამოვლილ BMW-ზე რას იტყვით, ის სრულ წესრიგშია?

— როცა ეს მანქანა ვიყიდე, მის წესრიგში მოსაყვანად 2 წელი დამჭირდა. იმ პერიოდში, მეც შეუძლოდ გახლდით და, ფაქტობრივად, მე და ჩემმა მანქანამ ერთდროულად „ვიმკურნალეთ“. ჩემი ავტომობილის ნათლია ზურა დოიჯაშვილია, რომელმაც მას გერმანა შეარქვა. დღეს, გერმანა სრულ წესრიგშია, მაგრამ კარგა ხანს ავტოფარეხში იყო, რადგან თავღია ავტომობილია და ზაფხულამდე ისვენებდა.

— მანქანის მოვლა გიყვართ?

— აბა, რა! მანქანა ბავშვივითაა. ის შენ გემსახურება, მაგრამ თუ უღალატებ, ისიც ანალოგიურად გიპასუხებს. ჩემს ავტოებს, პროფილაქტიკის მიზნით, ხშირად ვამოწმებ. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა უცნაური მოდელების მანქანები მყავს და მათი ნაწილები თითქმის არ იშოვება, რაღაცას ვახერხებ და მათ გაყიდვაზე არასდროს ვიფიქრებ.

— ეი. თქვენ მანქანები ყოველთვის სრულ წესრიგშია?

— წესრიგში კი არა, მანქანაში ყველაფერი მაქვს, რასაც მგზავრი ინატრებს — შეგიძლიათ მიიღოთ შხაპი, მიირთვათ ცხელი ყავა, ჩაი, ცივი ლუდი და ა.შ. ამიტომ, როცა მეგობრები ქალაქგარეთ მივდივართ, ყველას ჩემს მანქანაში უნდა ჩაჯდომა... რამდენიმე თვის წინ, მე და ჩემი მეგობარი ნიკუშა ბათუმში, ჩაქვში მივდიოდით. ზაფხული იყო. მაშინ Ford „სკორპიო“ მყავდა. რიკოთის გვირაბს რომ გავცდით, ნიკუშამ ინატრა — ახლა შხაპს მივიღებდიო. მანქანა გავაჩერე. რას შვრებიო? — მკითხა. ვუპასუხე: შხაპი უნდა მივიღო-მეთქი. გაეცინა და მერე მითხრა: მგონი, გაგიჟდიო; მანქანაში სპეციალური ავზი მაქვს, რომელიც ტომარას ჰგავს, მასში დაახლოებით 10 ლიტრამდე წყალი ეტევა. ამ ტომარას ჩამოსაკიდი აქვს, რომლითაც ხეზე კიდებ და რამდენიმე წუთში, მზეზე წყალი ნორმალურ ტემპერ-

ატურამდე თბება, მის ქვეშ დადგები და შხაპსაც მიიღებ. უნდა გენახათ ხალხის გაკვირვებული სახეები: როგორია — სადღაც მიდიხარ და ხედავ, რომ ტრასასთან ახლოს ვიღაც დგას და შხაპს იღებს! გზაზე ნიკუშას ვკითხე: ცივ ლუდს რომ ხომ არ დალევდი-მეთქი? — მირჩია — სანამ ქუთაისში შევალთ, ერთი ადგილი ვიცი, მაგარ ლუდს ყიდიანო. მანქანა გავაჩერე, მაცივრიდან 2 ბოთლი ლუდი ამოვიღე და რომ მივაწოდე, კინაღამ გაგიჟდა. ქუთაისს რომ გავცდით, ვკითხე: ყავას „ჩაარტყამ“ თუ ჩაისმეთქი? სულ გადაირია... მანქანაში ტელევიზორიც და რაღაც უცნაური ნივთებიც მაქვს. მეგობრები მეუბნებიან: აქ რომ ვჯდებით, თავი საგამოფენო დარბაზში გვგონიაო.

— მართვის მოწმობა როგორ აიღეთ?

— მოწმობა პრინციპში, უმტკივნეულოდ ავიღე — გამოცდა ჩავაბარე. მაშინაც, ისევე, როგორც დღეს, კორუფცია იყო, მაგრამ მე ფულს ვინ გამომართმევდა?.. თუმცა, დღევანდელობისგან განსხვავებით, მაშინ მართლა სწავლობდნენ და მერე იღებდნენ საჭირო საბუთებს. დღეს კი, ჯერ მართვის მოწმობას იღებენ და მანქანის მართვას მერე სწავლობენ, ამიტომაც ხდება ამდენი ავარია. ქალაქში ქაოსია, ვერ გაივლი, უზრდელი მძღოლები მომრავლდნენ, ერთმანეთს პატივს აღარ სცემენ, ამიტომ, იძულებული ხარ, ყველას გზა დაუთმო.

— ამის გამო, რაღაც აგრესია არ გიჩნდებათ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, არის მომენტები, როცა აგრესიული ვხდები — როდესაც ხედავ, რომ შენ წინ მიდის დეგენერატი, რომელსაც საჭესთან ჯდომის უფლებაც კი არა აქვს, გაგიჟდები, აბა, რა იქნება?! ყველაფერს — მხატვრობას, ჟურნალისტიკას, მუსიკოსობას და ა.შ. ნიჭი სჭირდება, მაგრამ ყველაზე დიდი ნიჭი და ცოდნა მძღოლს უნდა ჰქონდეს, რადგან პასუხისმგებელი ხარ არა მარტო საკუთარი, არამედ სხვების სიცოცხლეზეც. სწრაფი მოძრაობის გამო, კინაღამ დავიღუპე თავი და დღეს, ამის არანაირი სურვილი აღარ მაქვს.

— ყველაზე დიდი სიჩქარე, რამდენი გაგივითარებიათ?

— ხაშურის ფართო ტრასაზე, მე და ზურა დოიჯაშვილი „ფორდით“ მოვდიოდით და ვლაპარაკობდით. ზურამ მითხრა: მგონი, შენი სპიდომეტრი გაფუჭებულიაო. რატომ-მეთქი? — ვკითხე. მიპასუხა — 240-ზეა „გაჩხერილიო“. სპიდომეტრს შევხედე და... ქალაქურად შევიგინე. მანქანაში სიჩქარეს ვერ ვგრძნობდით. ერთხელ, იტალიის საზღვრიდან ჯიპით მოვდიოდი და 1 კვირის გასავლელი გზა (ნორმალური სიჩქარით), დღენახევარში დავფარე.

— თქვენ ე.წ. „გონკაობაც“ გეყვარებათ, არა?

— ცოტათი მიყვარს, ცოტათი — არა...

— ეგ როგორ?

— სიტუაციიდან გამომდინარე ვიქცევი ხოლმე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, თავს ვარიდებ.

— პირველად რა მანქანა შეიძინეთ?

— „ნივა“, რომელიც ყველგან მივა... ამის შემდეგ, „ჟიგული-05“ ვიყიდეთ, უფრო სწორად — თემურმა იყიდა, მერე — „ზაპოროჟეცი“ მყავდა.

— „ზაპოროჟეცში“ როგორ ეტეოდით?

— მშვენივრად. სხვათა შორის, ეს მანქანა ყველა კალათბურთელს ჰყავს, სალონში თითქმის წამოწოლილი ხარ და ეს კომფორტს გიქმნის. თან, თოჯინასავით ლამაზი და კოხტაა.

— საგზაო წესებს ხშირად არღვევთ?

— ახლა — არა, მაგრამ ადრე ვარღვევდი ხოლმე... დღეს, საგზაო წესები მხოლოდ იძულების გამო შეიძლება დავარღვიო.

— ეს რას ნიშნავს?

— როცა საცობში მოყვები და ხედავ, რომ ვიღაცა წესს არღვევს, ზოგჯერ საჭიროა, შენც აჰყვე, თორემ, შეიძლება, ვინმეს „დაარტყა“, ან პირიქით — აქეთ დაგეჯახოს.

— ავარიული სიტუაციები გქონიათ?

— კი, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა. ერთხელ, ირინა პონაროვსკაია ჩამოვიდა. მასთან ერთად, „ნატვრის ხის“ წევრებს და სოსო პავლიაშვილს, ჯერ საქართველოს რამდენიმე რაიონის სტადიონზე უნდა გაგვემართა კონცერტი, მერე რუსეთში მივდიოდით. წყალტუბოში 2 მანქანით უნდა წავსულიყავით. ცირკის ეზოში მდგარი მანქანა — „მოსკვიჩი“ ვითხოვე და წავედით... კონცერტი ჩავატარეთ და რაღაც დაღმართიდან ვეშვებით. შეიძლება ითქვას, რომ მთიდან ჩამოვდიოდით. ჩემს „ჰიპურ“ ავტომობილში 5 კაცი ვისხედით (ირინა და სოსო სხვა მანქანაში ისხდნენ). მოვდივართ ღიღინ-ღიღინით... ერთ ადგილას უნდა მომეხვია. უეცრად, მუხრუჭი ჩავარდა, მობრუნება ვერ მოვასწარი და... 2 „ტრამპლინი“ გავაკეთე, 2 ხეს შუა გავძვერი და კლდეზე, ჰაერში ავიწიე, ის-ის იყო, მანქანა უნდა ამტრიალებულიყო, რომ ჩემმა ძმამ, თემურმა იყვირა: ხეო! თუ მანქანას ამ ხეს დავუმიზნებდით, შეიძლებოდა, გადავრჩენილიყავით... მოკლედ, ხეს დავეჯახე და გადავრჩით. არც ერთ ჩვენგანს განაკაწრიც კი არ ჰქონდა. თურმე, ჩვენ ჰაერში რომ „ვეკიდეთ“, ჩვენ ქვევით, 4 ადგილობრივი მოსახლე დომინოს თამაშობდა. სანყლები, შოკში ჩაცვივდნენ...

— სულ რამდენი ავტომობილი გყავდათ?

— დაახლოებით — 6.

— აქედან, ყველაზე მეტად რომელი გიყვარდათ?

— ის მიყვარს, რომლითაც დღეს დავდივარ. სხვათა შორის, მანქანამ შეჩვევა იცის. მართალია, ავტომობილები, რომლებიც ადრე მყავდა, გავყიდე, მაგრამ ამ 2 მანქანას ვერ შეველევი.

— საჭესთან მობილურზე ლაპარაკობთ ხოლმე?

— საერთოდ, მობილური მაღიზიანებს, მაგრამ რას იზამ, უნდა ილაპარაკო.

— ყურსასმენი არ გაქვთ?

— სხვათა შორის, ყურსასმენი ჯერ კიდევ მაშინ შევიძინე, როცა მობილურზე ლაპარაკის გამო, არავინ დაგაჯარიმებდა, მაგრამ ხან ვიკეთებ, ხან — არა.

— დამცავ ღვედსაც არ იკეთებთ?

— არა და ვერც სიგარეტის მოწევას გადავეჩვე.

— ავტოინსპექტორებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— არაჩვეულებრივი. მათთვის ქრთამი არასდროს მიმიცია, პირიქით, საქეიფოდ მეპატიჟებოდნენ ხოლმე.

— ალბათ, თქვენი სიმღერები მოსწონდათ, არა?

— ეს არ ვიცი, მაგრამ მე თვითონ ვარ კონტაქტური, ყველა ადამიანთან გამოვნახავ საერთო ენას.

— პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ჩემთვის პატრული და ავტოინსპექტორი — ერთი და იგივეა. იქაც კაცები იყვნენ და აქაც კაცები არიან.

— ავტომანქანაში მუსიკის მოსმენა თუ გიყვართ?

— 50X50-ზე. იმიტომ, რომ ხანდახან მუსიკისგანაც მჭირდება დასვენება, ესეც დამღლელია. სხვათა შორის, მანქანის საჭესთან მჯდომს, მუსიკა ხშირად დამიწერია. შეიძლება ითქვას, რომ ის ჩემი მუზაა.

— რომელიმე მანქანის შეძენაზე თუ გიოცნებიათ?

— ოცნების რა მოგახსენოთ, მაგრამ სიამოვნებით შევიძენდი — „მერსედესის“ ომამდელ გამოშვებას, კაბრიოლეტ „პორშეს“, „შევროლეს“, და ა.შ.

— და „2ᲒᲘ“-ს?

— ეს მანქანა უკონკურსოა. ფული რომ მქონდეს, აუცილებლად ვიყიდდი.

— როგორ ფიქრობთ — კარგი მძღოლი ხართ?

— ალბათ, რადგან როცა საჭესთან ვზივარ, ყველა მშვიდადაა.

— ქალი საჭესთან მართლა კატასტროფაა?

— მთლად ასე არაა. ვიცნობ ისეთ ქალებს, რომლებიც კარგად მართავენ ავტომობილს და ისეთებსაც, რომლებიც საჭის აზრზე არ არიან, მაგრამ ეს არ არის უმთავრესი.

— დაბოლოს, ფეხით მოსიარულეებს თუ უთმობთ გზას?

— ყოველთვის და უკვირთ. ამის გამო ხშირად მაგინებენ კიდეც, რადგან ჰგონიათ, რომ ვშაყირობ. დღეს, მათთვის იმდენად უჩვეულო გახდა ის, რომ მათ გზა დაუთმონ, პატივი სცენ, რომ შეურაცხყოფასაც კი მაყენებენ, ჩემი საქციელი ეუცხოებათ. მოკლედ, ამაშიც უცნაური ბედი მაქვს...

■

რაც მანქანის ინდუსტრია არსებობს, ყველაზე მეტი ამ მარკის ავტომობილი გაიყიდა. მას დიდი ისტორია აქვს — მისი დიზაინერი ადოლფ ჰიტლერი ყოფილა

1 მln დოლარი და „ცოტა მეტიც“...

ახლახან, იტალიურმა კომპანიამ — Maserati — გამოაცხადა, რომ მოდელის — MC12 Corsa — გაყიდვას იწყებს. ეს ექსკლუზიური ავტომობილი 6,0 ლ მოცულობის V12 ტიპის ძრავათია აღჭურვილი და 755 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. MC12 Corsa სულ 12 ეგზემპლარად იწარმოება. მაგრამ საავტომობილო სამყაროში არა იმდენად ეს შეზღუდული ტირაჟი აკვირვებთ, არამედ მანქანის ფასი: ახალი „მაზერატი“ მილიონ 250 ათასი დოლარი ეღირება, თან, ამ თანხაში, გადასახადი არ არის გათვალისწინებული.

ესოდენ დიდი ფასით ამ მანქანას ერთადერთი კონკურენტი — ასევე ახალი Bugatti Veyron — ჰყავს, რომლის ძრავას სიმძლავრეც 1001 ცხ.ძ-ს აღწევს. ■

„ფიატმა“ ახალი სატვირთო წარმოადგინა

საყოველთაო აღიარებით, ეს ძალზე უჩვეულო კონცეპტია, რომელიც მოდელის — Ducato — ბაზაზე აიგო. ახალ მოდელს Fiat Ducato Truckster — დაარქვეს. ის ძალზე ჰგავს სპორტულ ბოლიდს. იტალიელები დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ასეთი იქნება მომავალში სატვირთო ავტომანქანები. ამ მოსაზრებას ის ამაგრებს, რომ სატვირთოსთვის საკმაოდ მოულოდნელი გარეგნობის მიუხედავად, ახალი „დუცატო“ ტვირთების გადაზიდვის საუცხოო შესაძლებლობით გამოირჩევა. ■

მოდერნიზებული Mini სექტემბერში გამოჩნდება

პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონცერნი BMW ამ მოდელის მეორე თაობას სექტემბერში, პარიზის საერთაშორისო ავტოსალონზე წარმოადგენს. წინასწარი მონაცემების თანახმად, ახალი მოდიფიკაცია წინამორბედზე დიდი ზომის იქნება, თუმცა „მინის“ სტილისტიკას ავტომწარმოებლები არ შეეხებიან. გარდა ამისა, ახალი „მინის“ ბაზაზე, ჰეჩბეკსა და კაბრიოლეტთან ერთად, უნივერსალის გამოშვებაც იგეგმება, რომელსაც Traveller დაერქმევა და შესაძლოა, ის 5-კარიანი იყოს. ■

Land Rover-ის პირველი ფოტოები

მოდელის — Land Rover Freelander — ახალი თაობის ოფიციალურ დებიუტამდე 2 თვე დარჩა, მაგრამ პრესაში უკვე „გაჟონა“ ამ ავტომობილის სარეკლამო ბუკლეტებიდან დასკანირებულმა ფოტოსურათებმა. ახალი „ფრილენდერი“ თავის წინამორბედზე შესამჩნევად მოცულობითია, მისი გარე დიზაინი კი, იმავე სტილშია გადაწყვეტილი, რომლითაც ინგლისური ყველგანმავლები გამირჩევა. სპეციალისტთა ვარაუდით, სერიული Land Rover Freelander 5-კარიანი იქნება. ■

იაპონიაში განახლებული Subaru Legacy იყიდება

კომპანია „სუბარუმ“ მოდელების — Legacy და Legacy Outback — ე.წ. რესტაილინგური მოდელის იაპონიაში რეალიზაციის დაწყების შესახებ გამოაცხადა. მოდერნიზებული მანქანების მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აღჭურვილია სისტემით — SI-Drive, რომელიც მძღოლს საშუალებას აძლევს, ძრავას „ხასიათი“ საკუთარ ჩვევებს მიუსადაგოს...

გარდა აღნიშნული სისტემისა, მოდერნიზებულ Legacy-სა და Legacy Outback-ს რამდენადმე შეუცვალეს გარეგნული მხარეც და სალონის დიზაინიც. საბაზო კომპლექტაციაც საგრძნობლად გამდიდრებულია. ■

მსოფლიო ჩემპიონატი URUGVAIDAN გერმანიამდე

პირველი არგენტინული „ტანგო"

ყოფილა შემთხვევები, როდესაც საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი პოლიტიზებულ გარემოში მიმდინარეობდა. ამ მეთოდის დამნერგავად ბენიტო მუსოლინი მიიჩნევა, რომელმაც ფაშისტური პარტიის რეკლამირებისთვის, 1934 წლის მუნდიალი გამოიყენა. რაღაც ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი 1978 წელს არგენტინაშიც, თუმცა, რა თქმა უნდა, გაცილებით მცირე მასშტაბით. იმ პერიოდში ქვეყანას სამხედრო ხუნტა მართავდა და შესაბამისად, ტურნირზე დაძაბული ვითარება იგრძნობოდა. ბუენოს-აირესსა და სხვა ქალაქებში უამრავი სამხედრო მოსამსახურე პატრულირებდა. გენერალმა ვიდელამ კი, რომელიც მაშინ არგენტინის უმაღლესი ხელისუფლის მოვალეობას ასრულებდა, მისასალმებელი სიტყვით მიმართა მუნდიალის მონაწილეებსა და სტუმრებს.

პასარელა თასით ხელში

1966 წლის შემდეგ, მსოფლიო თასის გათამაშების ორგანიზატორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტურნირის პირველ მატჩს. მაგალითად, ინგლისში მუნდიალი მასპინძელთა და URUGVAIელთა დაპირისპირებით დაიწყო, 1970 წლის ჩემპიონატი მექსიკელებმა და საბჭოთა ფეხბურთელებმა გახსნეს, ხოლო 1974 წელს, პირველად მოედანზე ბრაზილიელები და იუგოსლავიელები გამოვიდნენ. დასახელებულთაგან არც ერთ თამაშში გოლი არ გასულა. გამონაკლისი არც მე-11 ჩემპიონატის გახსნის მატჩი ყოფილა, რომელშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და პოლონეთი პაექრობდნენ.

პირველი გოლი არგენტინის მუნდიალზე მეორე დღეს, იტალიისა და საფრანგეთის შეხვედრაში გავიდა: „მამლაყინწების" პირველივე შეტევა 37-ე წამზე, ლიაკომბამ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა, მაგრამ აპენინელებმა ინიციატივა მაინც ხელთ იგდეს და 2:1 მოიგეს. ამ ჯგუფში ფავორიტებმა — იტალიისა და არგენტინის ნაკრებებმა გაიმარჯვეს. სხვათა შორის, არგენტინის მსოფლიო პირველობა ყველაზე ადვილად პროგნოზირებადი აღმოჩნდა — მასზე მოულოდნელობებსა და სენსაციებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, მას სკანდალის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. მეოთხე ჯგუფში, პერუელთა და შოტლანდიელთა შორის გამართული მატჩის შემდეგ, დოპინგსანინააღმდეგო კომისიამ ევროპელი ჯონსტონის ორგანიზმში სტიმულატორის კვალი აღმოაჩინა. წესის თანახმად, შოტლანდიელებს ანგარიშით 0:2 წაგება უნდა ჩათვლოდათ, მაგრამ ისინი ისედაც დამარცხდნენ (1:3), ამიტომ შედეგი ძალაში დატოვეს. რაც შეეხება თავად ჯონსტონს, მას ფიფა-მ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ყველა დიდი ინტერესით ელოდა ჰოლანდიელთა გამოსვლას, რომლებმაც 1974 წლის მუნდიალზე ფურორი მოახდინეს. მათ თითქმის უცვლელად შეენარჩუნებინათ შემადგენლობა. გარდა ამისა, ჰოლანდიელები კვლავაც შთამბეჭდავად თამაშობდნენ, თუმცა 4 წლის წინანდელ ნაკრებს მაინც ჩამოუვარდებოდნენ: კრუიფის გარეშე მათი მოქმედება ძველებურად ლაღი, იმპროვიზებული აღარ იყო. მისი შემცვლელი კი, ჰოლანდიის გუნდში ნამდვილად ვერ მოიძებნა. „ტოტალური ფეხბურთის" ფუძემდებლებმა ქვეჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს, თანაც, შოტლანდიელებს მხოლოდ გატანილ და გაშვებულ ბურთებს შორის სხვაობის უკეთესი მაჩვენებლით გაუსწრეს.

ტურნირის მეორე ეტაპზე, ჰოლანდიელებმა თამაში გააძლიერეს. ორი მატჩის შემდეგ, მათ 3 ქულა ჰქონდათ. ამდენივე ქულა დაუგროვდათ იტალიელებს. მათ შორის მატჩს კი, პირველი ფინალისტი უნდა გამოევლინა. ჰოლანდიის ნაკრებმა 2:1 მოიგო და ფინალში გავიდა.

მეორე ჯგუფის ბოლო ტურში გამოვლინდა კიდევ ერთი ფინალისტი. მანამდე, ბრაზილიელებსა და არგენტინელებს 3-3 ქულა ჰქონდათ. არგენტინისა და პერუს შორის ჩატარებული მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში, მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ. სწორედ მაშინ, სტადიონზე გამოაცხადეს, რომ პარალელურ შეხვედრაში ბრაზილიელებმა პოლონელები 3:1 დაამარცხეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფინალში გასასვლელად, არგენტინელებს 4-ბურთიანი სხვაობით უნდა მოეგოთ. მასპინძლებმა ეს ამოცანა გადაჭარბებით შეასრულეს და პერუს გუნდს კიდევ 4 უპასუხო გოლი გაუტანეს (6:0). ამ ფაქტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ სკეპტიკოსებმა ვერაფრის დამტკიცება ვერ შეძლეს.

მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში ბრაზილიელებმა იტალიელები დაამარცხეს და დარჩნენ ერთადერთ გუნდად, რომელსაც 1978 წლის ტურნირში არც ერთი შეხვედრა არ წაეგო. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ ბრაზილიაში ნაკრების წარმატებად მხოლოდ პირველი ადგილი მიიჩნევა. ამიტომ, მწვრთნელ კუტინიოს ისღა დარჩენოდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო.

ფინალური მატჩის გმირი, არგენტინელი კემპესი გახდა. ის მთელი ტურნირის განმავლობაში, თავისი გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი იყო. პაექრობის ძირითადი დროის მიწურულს, ანგარიში 1:1 იყო, როდესაც რენსემბრინკის მიერ დარტყმული ბურთი არგენტინელთა კარის ძელს მოხვდა... დამატებით დროში მასპინძლებმა ინიციატივა ხელთ იგდეს. კემპესმა და ბერტონიმ ორი გოლი კიდევ გაიტანეს და თავიანთ გუნდს პირველად მოაპოვებინეს მუნდიალის ოქროს მედლები. თავად მარიო კემპესი კი, ერთხმად აღიარეს ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად.

ფინალური ტურნირი 1-25 ივნისს მიმდინარეობდა. მასში — იტალია, საფრანგეთი, არგენტინა, უნგრეთი, პოლონეთი, გფრ, ტუნისი, მექსიკა, ბრაზილია, შვედეთი, ავსტრია, ესპანეთი, ჰოლანდია, ირანი, პერუ და შოტლანდია მონაწილეობდნენ.

პირველ ეტაპზე თამაშები 4 ქვეჯგუფში ჩატარდა. მეორე ეტაპზე კი, ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ახალ ორ ქვეჯგუფში აგრძელებდნენ ასპარეზობას სისტემით — „ყველა ყველასთან". მეორე ადგილებზე გასული გუნდები ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოდნენ, ხოლო გამარჯვებულები — ფინალში გავიდნენ.

გაიმართა 38 მატჩი. სულ 1610215 მაყურებელი (საშუალოდ, 42374 თითოეულ შეხვედრას) დაესწრო. გავიდა 102 გოლი (საშუალოდ, 2,68 თითოეულ შეხვედრაში).

საუკეთესო ბომბარდირი, მარიო კემპესი გახდა (6 გოლი).

საფრანგეთისა და უნგრეთის ნაკრებთა პაექრობა იმის გამო გადაიდო, რომ ორივე გუნდის წარმომადგენლები ერთი და იმავე ფერის ფორმებში იყვნენ გამოწყობილი. ფრანგები იძულებული გახდ-

მეტევაშია
მარიო კემპესი

ნენ, მაისურები გამოეცვალათ. ისინი მოედანზე კლუბ „ატლეტიკო კიმბეირის“ ფორმებით გამოვიდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში მე-1000 გოლი ჰოლანდიელმა რობ რენსენბრინკმა შოტლანდიელთა კარში გაიტანა, მაგრამ პლანეტის ორგზის ვიცე-ჩემპიონები მაინც დამარცხდნენ (2:3). ასევე ჰოლანდიელმა მცველმა, ერნი ბრანდტსმა იტალიელებთან მატჩში 2 გოლი გაიტანა — ერთი — საკუთარი გუნდის, ხოლო მეორე — მეტოქის კარში. მუნდიალის ისტორიაში მსგავსი რამ არავის მოსვლია.

იტალიელი მარიო ბელუჯი, მუნდიალის ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც თამაშის დაწყებიდან ყველაზე ადრე გაიყვანეს მოედნიდან: არგენტინასთან შეხვედრისას, მწვერთნელმა ენცო ბეარზოტმა იგი მე-6 წუთზე, ანტონელო კუკურედუთი შეცვალა.

არგენტინელებს მაისურის ნომრები ანბანის მიხედვით მისცეს: მაგალითად, პირველი ნომრით თავდამსხმელი ნორბერტო ალონსო ასპარეზობდა — მაშინ, როდესაც ძირითადი მეკარე, უბალდო ფილოლი მოედანზე 5-ნომრიანი მაისურით გამოდიოდა ხოლმე.

1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში პერუს გუნდის მეკარე, რამონ კიროგა დღემდე ერთადერთი გოლკიპერია, რომელმაც ყვითელი ბარათი მეტოქის ნახევარზე მიიღო. ეს პოლონელებთან დაპირისპირებისას მოხდა.

■

ევროპა „სამბას“ რიტმებმა მოიცვა

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისთანავე, საფეხბურთო სამყაროს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში F ქვეჯგუფი იქნება მოქცეული. ამის მიზეზს ნებისმიერი ქომაგი მარტივად ახსნის: სწორედ F ქვეჯგუფში აიღებს სტარტს მსოფლიო თასის გათამაშების ხუთგზის ჩემპიონი და ბოლო მუნდიალის გამარჯვებული — ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. თუმცა, ისიც ყველამ კარგად იცის, რომ ყვითელმაისურიანებისადმი ფეხბურთის სპეციალისტთა და გულშემატკივართა ყურადღების კონცენტრირება, მხოლოდ ბრაზილიის გუნდის ისტორიით როდია განპირობებული. დღეს პენტაკამპეონებს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავად მოთამაშე ნაკრები ჰყავთ, პარეირას გუნდის შემადგენლობა ნამდვილი სუპერვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული და შესაბამისად, მომავალი მუნდიალის უმთავრეს ფავორიტადაა მიჩნეული. ალბათ, ამ მიზეზების ჩამოთვლაც იკმარებს იმისათვის, რომ ავხსნათ, თუ რატომ ელოდებიან ფანები (და არა მხოლოდ ბრაზილიის ნაკრების ფანები) F ქვეჯგუფის მატჩების დაწყებას.

ისე კი, უკვე დიდი ხანია, რაც ყვითელმაისურიანთა გარშემო ეიფორიული მდგომარეობაა შექმნილი. ცოტა ხნის წინ, ისინი პატარა შვეიცარიულ ქალაქ ვეგისში ჩავიდნენ. თვითმხილველი კორესპონდენტები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სამხრეთამერიკელთა ბანაკში მხიარული ატმოსფერო სუფევს, რასაც ვერ ვიტყვით, ვთქვათ, მომავალი მუნდიალის კიდევ ერთ ფავორიტზე — იტალიის ეროვნულ გუნდზე. მოგეხსენებათ, აპენინის ნახევარკუნძულზე საფეხბურთო სკანდალი აგორდა, რომელშიც „სკუადრა აძურას“ თავკაცი, მარჩელო ლიპიცაა გარეული. ასე რომ, ფლორენციაში დაბანაკებულ იტალიის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე, მაინცდამაინც სახარბიელო ფსიქოლოგიური განწყობილება არ სუფევს.

მაგრამ მოდი, ისევ ბრაზილიის ნაკრებს დავუბრუნდეთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო თასის მფლობელები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულნი, რაც მათ გუნება-განწყობილებაზე უარყოფითად სულაც არ მოქმედებს. ამბობენ, რონალდინიოს სახიდან არ შორდება მისთვის დამახასიათებელი ღიმილი. ეს არც არის გასაკვირი: მან ხომ სულ ცოტა ხნის წინ, „ბარსელონასთან“ ერთად, ესპანეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. რაც შეეხება ბრაზილიელთა კიდევ ერთ სუპერვარსკვლავს, რონალდოს — მას „რეალის“ შემადგენლობაში უკვე რამდენიმე წელია, აღარაფერი მოუგია, მაგრამ უგუნებოდ ყოფნას არც ის უნდა უჩიოდეს. თანაც, უკვე ცნობილია, რომ კიჭა, გერმანიის სტადიონებზე განსაკუთრებული მოტივაციით ითამაშებს: გარდა იმისა, რომ ის ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებას შეეცდება, ლეგენდარული გერდ მიულერის მიღწევის გაუმჯობესებასაც აპირებს (მიულერს მსოფლიო ჩემპიონატებში სულ 14 გოლი აქვს გატანილი, ხოლო რონის — 12). ხალისიანად ვარჯიშობენ ღვთისმოშიში კაკა, ბოლო დროს „ინტერზე“ გულაცრუებული ადრიანო, პენტაკამპეონთა ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი, ემერსონი და პარეირას გუნდის სხვა წარმომადგენლები. ბრაზილიის ნაკრები ციურიხიდან 60 კმ-ით დაშორებულ „პარკ ოტელ ვეგისში“ განთავსდა. იქ შესვლის უფლებას არავის აძლევენ, სამაგიეროდ, ყველასათვის ნებადართულია საწვრთნელ პროცესზე დასწრება. ამიტომ, ისიც აღარ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სუპერვარსკვლავთა მზადებას მოედნის ტრიბუნებიდან ყოველთვის 4 ათასამდე კაცი მაინც ადევნებს თვალს. ამ ბაზის შესაბამის დონეზე შემზადება სტუმართმოყვარე შვეიცარიელებს საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდათ (ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცებით, 2 მლნ დოლარი მაინც). გარდა ამისა, 4 ივნისამდე, „პარეირა და კომპანია“ სრულიად უფასოდ იცხოვრებს სასტუმროში, თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ ასეთი ხარჯი მასპინძლებმა მხოლოდ ბრაზილიური ფეხბურთის სიყვარულით გაიღეს: ოფიციალური მონაცემებით, ვეგისის მოსახლეობა სულ 3886 კაცს შეადგენს, მაგრამ პენტაკამპეონთა ნახვის სურვილით, პლანეტის ყველა კუთხიდან ქალაქს 10 ათასამდე ტურისტი მიაწყდა. ამასთანავე, უკვე გაიხსნა უჩვეულო ინტერნეტაუქციონი: თუ რონალდინიოს ან სხვა რომელიმე ბრაზილიელი ოსტატის ლოგინში ვინმე ღამის გათევას მოისურვებს, ამის შესაძლებლობა უკვე 4-5 ივნისს ღამით მიეცემა, ოღონდ, მან ამისთვის გვარიანი ხარჯი უნდა გაიღოს. ამ „სიამოვნების“ თავდაპირველი ფასი 500-600 ევრო გახლდათ, მაგრამ თანხა დღითი დღე იზრდება... გარდა ამისა, კაფე-ბარები და რესტორნები კლიენტებს ვერ აუდიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება სუვენირები და გაისმის „სამბას“ ჰანგები.

ბრაზილიელთა ვარჯიშისას მოედანზე შეჭრილმა გოგონამ, თავის კერპთან ერთად მინდორზე გორაობაც მოასწრო

„ჩვენ ძალზე ნაყოფიერად ვშრომობთ, — ამბობს რონალდო, — ტურნირის მთავარი ფავორიტების წოდება სულაც არ გვთრგუნავს, ხოლო იმას, რაც აქ, შვეიცარიაში ჩვენ გარშემო ხდება, უკვე შევეგუეთ. საზეიმო ატმოსფერო ჩვენზე კარგად მოქმედებს. ვიმედოვნებ, რომ ასეთ სასიამოვნო ადგილზე ყოფნა გამარჯვებაში დაგვეხმარება“.

F ქვეჯგუფში მოხვედრილ, დანარჩენი სამი ნაკრების წარმომადგენლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ბრაზილიის ფავორიტობა, მაგრამ არც ერთი მათგანი უბრძოლველად დანებებას არ აპირებს, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო.

გაგრძელება იხ. გვ. 70

რუსუდან ბერიძე

ოქერი

(დასაწყისი იხ. გზა №42-21)

ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამო ცდილობს, რომ ლანას ბებიის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეულობის ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ემუქრება კიდეც: თუ ლევანს გაჰყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო... ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დალუქული წერილი დაუტოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შეხვდა...

ნოტარიუსისგან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუვა. შესარგებლად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დახვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოლბება და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვიდად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინიკო და ლაშა მიადგებიან კარზე. თინიკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიჟებაო, — რაზეც ლანას ცივ უარს მიიღებს.

ხელობასთან ერთად ლანას ბებია მთავარ საგვარეულო განძს — ლალისთვლიან ძვირად ღირებულ ბეჭედსაც დაუტოვებს, რომელიც მათი შორეული წინაპრისთვის ერთ-ერთ ქართველ მეფეს უბოძებია. ლანა საბოლოოდ რწმუნდება, რომ ნიკოლოზ დვალის მთავარი მიზანი სწორედ ამ ბეჭდის ხელში ჩაგდებაა და ამიტომ, მისგან თავის დახსნას ყველანაირად ცდილობს...

მაგრამ ამასობაში, დვალი ლევანის ბავშვს გაიტაცებს, ლანას კი ულტიმატუმს წაუყენებს: თუ ჩემს ნებას არ დაჰყვები, მამა-შვილი ერთმანეთს ველარ ნახავსო. ლანა იძულებულია, მოძალადის ულტიმატუმი მიიღოს და ლევანს, ახლობლების თანდასწრებით გამოუცხადოს, რომ ცოლად შენ კი არა, ნიკოლოზ დვალს მივყვებიო... ლანას სიტყვები ყველას შოკში ჩააგდებს. საყვარელი ქალის გადაწყვეტილებით შეურაცხყოფილი ლევანი კი იქაურობას დემონსტრაციულად ტოვებს. შექმნილ დრამატულ სიტუაციას თინიკოს და ლაშას გამოჩენა ოდნავ განმუხტავს. თინიკო ლანას გივი გიგაურის დაპატიმრების ამბავს შეატყობინებს, შეფიქრიანებული ლაშა კი იმასაც დასძენს, რომ ამის გამო, შეიძლება, შენი საქმეც ხელახლა დააბრუნონ წარმოებაშიო...

ორმოცის შემდეგ ლანა და თინიკო ცოტა ხნით სოფელში რჩებიან. თინიკო უშედეგოდ ცდილობს, ლანას მისი უცნაური გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი ათქმევინოს. ახალგაზრდა ქალებთან სტუმრად მისული იონა კი, თინიკოს დაამშვიდებს: ლანა და ნიკოლოზი არასოდეს დაქორწინდებიანო.

იონა ლანას გამოუტყდება, დვალი ბებიაშენის საგვარეულო ბეჭდის მოპარვისკენ მიბიძგებდაო. ამის გამგონე ლანა იფიქრებს, დვალს ჭკუით ვაჯობებო და ბეჭედს სწორედ იონას მიაბარებს შესანახავად. ამასობაში მას რაჭაში ოპერაციების გასაკეთებლად ჩამოსული უფროსი კოლეგა დავით არჩვაძე შეეხმიანება...

— კარგი, ბატონო დავით, — დნებდა არჩვაძეს ლანა, — რამდენ ხანში უნდა ჩამოვიდე?

— წესით და რიგით, უკვე აქ უნდა იყო, მაგრამ ამ ერთხელ გაპატიებ. — უპასუხა დავითმა. — ასე, ერთ საათში ავთო ამოგაკითხავს და მზად დახვდი, იცოდე!

— ავთო ვინ არის? — დაინტერესდა ლანა.

— ავთო?.. ავთო ჩემი მამიდაშვილია, ოღონდ — დედის მხრიდან. — აროხროხდა დავითი და მერეღა დაუმატა: — ჩემი მძღოლიც დაგავიწყდა, ბოშო?

— ახლა გამახსენდა... მაგრამ ავთო რაღად გვინდა?.. — თავი ისევ შორს დაიჭირა ლანამ. — ჩემს ბიძაშვილს, გოგას ვთხოვ და თქვენამდე ის ჩამოგვიყვანს.

— გოგა-მოგა არ ვიცი მე! — აღარც არჩვაძემ დაიხია უკან. — ხომ შეიძლება, მაგ შენს ბიძაშვილს მანქანა არ ჰქონდეს წესრიგში, ანდა, ბენზინი გაუხდეს კარდაკარ საძებნელი... ამიტომ ნულარ იპრანჭები!.. ჰო, მართლა, — გაახსენდა მას ბოლოს, — ავთოს ერთ ისეთ კაცსაც გამოვაყოლებ, რომ როგორც კი დაინახავ, მაშინვე სიხარულით ჩაუსტები მანქანაში!

— ვინ კაცს, ბატონო დავით?!. — შეიცხადა ლანამ. — ჩემგან გესწავლებათ სოფლის ამბავი?.. ორ ქალს ორი კაცი რომ მანქანით ამოგვაკითხავს, კაცმა არ იცის, ვინ რას იფიქრებს და იჭორავებს?..

— მერე, შენც მაგაზე დაგიდგა დარდი! — ლანას შეშფოთება არად ჩააგდო არჩვაძემ. თუმცა, მერე მაინც დაუმატა: — კარგი, მარტო ავთოს გამოგიგზავნი. იქნებ, ასე კიდეც სჯობდეს. მეორე კაცს აქ, სასიამოვნო ძღვენივით დაგახვედრებ. მოკლედ, სიურპრიზს მოგიწყობ!

— ბატონო დავით, ნუ დამაინტრიგეთ!.. — დაიწყო ლანამ, — აღარ იტყვით, ვინ არის ეს კაცი?

— ეგ თუ გითხარი, რაღა სიურპრიზი იქნება?! — გაუკვირდა არჩვაძეს. — ასე რომ, აღარ უნდა ამ ამბავს ამდენი იწილო-ბიწილო, მოირთე, მოიკაზმე და ავთოს დაელოდე!.. ჰო, მართლა, შენი მეგობარი გოგოც შენსავით გასათხოვარია? — თინიკოც გაახსენდა მას ბოლოს.

— არა, ჩემი მეგობარი ახლახან გათხოვდა და თანაც — დიდი სიყვარულითაც.

— მაშინ ღმერთმა აბედნიეროს! — დაუსწრებლად დალოცა თინიკო დავითმა და ლანას სწრაფად დაემშვიდობა.

— ვინაა ეს ბატონი დავითი, ასე დაწვრილებით რომ ჩაუკაკლე ჩემი გათხოვების ამბავი? — როგორც კი ლანამ აპარატი გათიშა, მაშინვე ეცა მას თინიკო.

— ჩემი უფროსი მეგობარია, — უპასუხა შეფიქრიანებულმა ლანამ.

— ეს უფროსი მეგობარი, რაღა ეშმაკია? — ტუჩი აუბზუა თინიკომ. — კაცზე რომ მეუბნები, ჩემი მეგობარიაო, ხომ იცი, რაც უნდა ვიფიქრო?..

— ნუ სულელობ, რა! — გაღიზიანდა ლანა. — უფროსი კოლეგაა, ცნობილი ქირურგი... საავადმყოფოში რომ ვმუშაობდი, ჩემი უშუალო ხელმძღვანელი იყო... მაგრამ მერე, მე საავადმყოფოდან კინწისკვრით გამომაგდეს, არჩვაძე კი უცხოეთში მიიწვიეს ლექციების წასაკითხავად. ახლა დაბრუნდა და უნდა, რომ ოპერაციების გაკეთებაში დავეხმარო... ჩემი პასუხით კმაყოფილი ხარ? — თავად კიდევ უფრო უკმაყოფილო სახე მიიღო ლანამ.

— ეგრე რაღა! — გახალისდა თინიკო. — თორემ, რაღა არ ვიფიქრე: Кто этот батоно Давид, откуда он взялся-მეთქი?.. რაო, „დაქალოჩკაც“ აუცილებლად წამოიყვანო, ხომ? — მაინც ჩაეძია ის შემდეგ ლანას.

— ერთი კი არა, თუ გინდა, დაქალების მთელი დივიზია იახლეო, — ბოლომდე „გაახარა“ ლანამ თინიკო.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა თინიკო. — ერთი კარგად უნდა გამოვეწყო... ისე, შენ კი „ჩამაგირავე“ — გათხოვილიაო, მაგრამ იქნებ, წასაფლირტავე-

ბლად მაინც ვიპოვო ვინმე!

— თავქარიანი ნუ ხარ! — გაუწყრა მეგობარს ლანა. — თუ წესიერად არ მოიქცევი, იცოდე, ლაშას მოვუყვები ყველაფერს! — მუქარაზეც გადავიდა ის შემდეგ.

— მე კიდევ — ლევანს, — ნიშნის მოგებით უპასუხა თინიკომ.

— ნეტავ, ლევანს ვინ რას ჰკითხავს?.. — თინიკოს სიტყვები მაინც არად ჩააგდო ლანამ.

— ლევანს ვინ ჰკითხავსო? — ხმას აუწია თინიკომ. — მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის რას ჰკითხავს! გგონია, ვერ მივხვდი, ის შენი უფროსი მეგობარი თუ კოლეგა ვიღაცის გარიგებას რომ გიპირებს?

— მთლად ნუ გაუბერე, რა! — იწყინა ლანამ. — ვის უნდა მირიგებდეს?.. შენ დავით არჩვაძე მართლა ვიღაც ლაქლაქა მაჭანკალი ხომ არ გგონია, პროფესორია კაცი!..

— შენ კიდევ პროფესორი მაჭანკალი არასდროს შეგხვედრია? — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ, მაგრამ მერე თავადვე დაუმატა: — ისე, უნდა ვაღიარო, რომ მე ნამდვილად არ შემხვედრია.

— ჰოდა, მორჩი რა, სისულელეს, — კიდევ ერთხელ დატუქსა ის ლანამ.

— მე კი მოვრჩები, მაგრამ თავი მომჭერი, თუ შენი პროფესორი რაღაც მაკვარანცხობას არ გიწყობდეს!

— შეიძლება, — დაეთანხმა ლანა. — სიურპრიზს გიმზადებო, ნამდვილად მითხრა...

— ა, ბატონო, ესეც მე ვარ?! — მეგობრის ნათქვამი ისევ აიტაცა თინიკომ. — რომ გეუბნები, მეორე ვანგა ვარ-მეთქი, უნდა დამიჯერო!..

ლანა რაიონში წასასვლელად მალევე მოემზადა, მაგრამ თინიკოს არაფრით დაადგა საშველი. ჯერ კარგა ხანს იმაზე ივიშვიშა, ერთი ხელი ტანსაცმლის მეტი რომ არ ჰქონდა წამოღებული, მერე ლანას ტანსაცმელს „დაერია“ და ხან რა მოისინჯა და ხან — რა.

— ე, გოგო, დაღამდა! — მოთმინების ძაფი გაუწყდა ლანას ბოლოს. — ცოტა დაუჩქარე, თორემ მოგვადგება ის კაცი კარზე და რა ვუთხრათ?

— რომელი კაცი? — სარკის წინ კიდევ ერთხელ შეტრიალ-შემოტრიალდა თინიკო.

— არჩვაძის მძღოლი.

— მოგვადგება და ჩვენც მივადგეთ! — მაინც მხიარულად აკისკისდა თინიკო.

— მაინძელო, სტუმრებს მიიღებთ? — მოისმა აივნიდან გოგას რიხიანი ძახილი.

— უი, მგონი, მართლა მოვიდა... — შეცბა თინიკო.

— არა, ეს ჩემი ბიძაშვილია, — შუბლი შეიკრა ლანამ. — ხმაზე ეტყობა, რომ მთვრალია და რა გაუძლებს ახლა მაგის სისულელეებს?

ლანას სათქმელი ბოლომდე დასრულებულიც კი არ ჰქონდა, რომ შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე შეზარხოშებული გოგა გამოჩნდა, რომელსაც არჩვაძის მძღოლისთვის შინაურულად მოეხვია ხელი და ისე ეპატიჟებოდა.

— შედი, შე კაცო, რავა უცხოსავით იქცევი?

— გამარჯობათ!.. — შორიდან მიესალმა ლანას და თინიკოს მძღოლი, რომელმაც ზღურბლს მაინც არაფრით გადმოაბიჯა. — მე დავით არჩვაძემ გამომგზავნა.

— ვიცი, — მაშინვე კართან გაჩნდა ლანა. — მობრძანდით.

— ა, ხო გეიგე, მობრძანდითო? — ოთახში თითქმის ძალით შეიყვანა ავთო გოგამ და შემდეგ ლანას მიუბრუნდა: — რას გაშტერებულხარ, ბოშო?.. გაშალე სუფრა და ვცეთ ამ პატიოსან კაცს პატივი!..

— არა, არა! — ხელები გაასავსავა ავთომ. — არ არის საჭირო!.. სხვა დროს იყოს...

— სხვა დროს სადღა გნახო, შე კაცო? — ისევ დაეჯაჯგურა მას გოგა. — ხომ გამიშრა ყელი შენს ლოდინში! ახლა კიდო...

— გოგა! — გააწყვეტინა ბიძაშვილს ლანამ. — მოეშვი ამ კაცს! მგონი, გასაგებად გითხრა, არა მცალიაო!..

— გადამრევს ეს ხალხი! — როგორც იქნა, მძღოლს ხელი უშვა გოგამ და შემდეგ ორივე ხელი ფართოდ გაშალა: — სტუმარი აპა რას გეტყვის?.. თლა უსაქმური ვარ და დილამდე მასვი-მაჭამეო?..

— დილიდან მეორე დილამდე სმა-ჭამაში შენ ლევ წუთისოფელს! — შეუღრინა ბიძაშვილს ლანამ.

— შენ კიდო — ჩემს ლანძღვა-გინებაში! — თვალები გადაუბრიალა ლანას გოგამ და შებარბაცდა, თუმცა ავთომ ხელი უმალ შეაშველა.

— იცოცხლე, ჩემო ავთოიო! — მადლობა გადაუხადა მას გოგამ. — მარა მაინც არა ხარ შენ კაი კაცი!.. ერთიორი ჭიქის დასალევი დრო რავა არ გაქ?

— სხვა დროს იყოს, ჩემო ძმაო, — ახლა ავთომაც შინაურულად მოუთათუნა მხარზე ხელი უშნოდ მოქანავე გოგას...

ცოტა ხნის შემდეგ, ლანა და თინიკო გოგასგან რის ვაი-ვაგლახით თავდაღწეულ ავთოს მანქანაში ჩაუსხდნენ და რაიონული ცენტრისკენ გასწიეს. დავით არჩვაძე ლანას საავადმყოფოს შესასვლელთან, ვიღაც ახალგაზრდა კაცთან ერთად, ელოდა.

— სად ხართ ამდენ ხანს? — პატარა ბავშვებივით დაუტატანა მან მანქანიდან გადმოსულთ.

— ამათი ბრალი არ არის, — ლანას და თინიკოს გამოესარჩლა ავთო. — გოგამ დაგვაგვიანა.

— ა, ხომ გითხარი? — მიუბრუნდა არჩვაძე მის გვერდით მდგარ ახალგაზრდას, რომელიც კიბეზე ამომავალ ლანას თვალს ვეღარ სწყვეტდა, — ის გოგა-მოგა აუცილებლად რაღაცას აურევს-მეთქი!

— გამარჯობათ! — მამაკაცებს საერთო სალამი მისცა ლანამ, შემდეგ არჩვაძეს შინაურულად გადაეხვია, მეორე მამაკაცს კი მხოლოდ ხელი ჩამოართვა.

— აბა, ერთი კარგად დაგაკვირდე! — განზე გადგა და ისე შეათვალიერა დავითმა ლანა. — შენ მგონი, კიდევ უფრო დამშვენებულხარ, — დაასკვნა მან შემდეგ. — არ გეშინია, რომ შენს ძველ და ახალ თაყვანისმცემლებს გულები ერთად გაუსკდეთ?

— რომელ თაყვანისმცემლებს? — დაიმორცხვა ლანამ. — ნუ მეხუმრებით, რა...

— ბატონო დავით, იქნებ, როგორმე, მეც შემამჩნიოთ! — საუბარში უცერემონიოდ ჩაერია თინიკო.

— ეს ვინღაა? — ვითომ, მართლა ახლაღა შენიშნაო, ისე გადახედა არჩვაძემ თინიკოს.

— ეს ჩემი მეგობარი თინიკო ელიავაა, — უპასუხა მას ლანამ.

— სიყვარულით გათხოვილი მეგობარი, ხომ? — მაინც გადაამოწმა დავითმა.

— დიახ, — ლანას პასუხი დაასწრო თინიკომ.

— მაგრამ ჩვენ რომ გათხოვილი ქალები არ გვაინტერესებს? — გვერდით მდგარ ახალგაზრდას თვალი ეშმაკურად ჩაუკრა არჩვაძემ.

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ, ბატონო დავით! — წარბიც არ შეუხრია თინიკოს. — პირველად ჭირს გათხოვება, თორემ მერე...

— ა, უყურე ახლა შენ ამას! — ვითომ, უკმაყოფილოდ გადააქნია თავი არჩვაძემ. — მთლად ენად არ გაიკრიფა ამ უცხო ხალხში?.. სადაა შენი ქმარი, რომ შენი სიტყვები არ ესმის?

— თბილისშია, ბატონო დავით! — პასუხი არც ამჯერად დაახანა თინიკომ. — ხალხს იცავს.

— იცავს რა, სახალხო დამცველია თუ მისი მოადგილე?

— დღევანდელი სახალხო დამცველის დაცული არ გაიშვა! — აკისკისდა თინიკო. — ჩემი ქმარი ადვოკატია.

— კიდევ კარგი, პროკურორი მაინც არ არის, თორემ რაღა გვეშველებოდა? — მხიარულად აროხროხდა არჩვაძე, შემდეგ თინიკოს ხელკავი გამოსდო და ახალშეღებილი საავადმყოფოს ფოიეში ისე შეიყვანა. — იცი,

როგორაა აქაურობის ამბავი, — გზადაგზა უხსნიდა ის ქალს. — გარეთ რომ მტერს უყენებს თვალს და შინ მოყვარეს. ფასადი იცოცხლე, აუელვარებიათ, მაგრამ ახლა ამ კედლებს შეხედე! — საავადმყოფოს გადახუნებული და დაბზარული კედლებისკენ ხელი უკმაყოფილოდ გაიშვირა მან შემდეგ.

— თბილისშიც ასე არ არის? — მაშინვე აჰყვა საუბარში თინიკო და თან, უკან დარჩენილ ლანასა და ახალგაზრდა კაცს რამდენ-ჯერმე ინტერესით გახედა.

— ვაცალოთ ახალგაზრდებს ერთმანეთის მოკითხვა. ჰა, რას იტყვი? — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მას დავითმა.

— მე კი ვაცლი, ბატონო დავით, მაგრამ რა ხეირი? — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომაც...

იმ დღეს დავით არჩვაძეს მხოლოდ ერთი გადაუდებელი ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი.

— ხომ იცი, აჩქარება როგორ არ მიყვარს? — უხსნიდა ის საოპერაციოს წინ მდგარ ლანას. — მაგრამ ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, ყველა წუთი ძვირფასია. ეს უბედური, — საოპერაციოს მჭიდროდ მიხურულ კარზე ისე ანიშნა მან შემდეგ, თითქოს კარი გამჭვირვალე ყოფილიყო და ის „უბედური“ პაციენტიც კარგად ჩანდა, — ტყეში, შეშაზე წასულა და მოჭრილ ხეს ქვეშ მოუყოლებია...

— ძალიან სერიოზული დაზიანებები აქვს? — შეწუხდა ლანა.

— ხომ იცი, რომ მკითხაობა არ მიყვარს, — უპასუხა დავითმა. — გავჭრით და ერთად ვნახავთ.

— თქვენი საქმე გარკვეულია, მაგრამ სანამ თქვენ აქ ვიღაცას გაჭრით და გაკერავთ, მე რა ვაკეთო? — დავითს და ლანას საკუთარი თავი კიდევ ერთხელ შეახსენა თინიკომ.

— შე-ენ? — შეწუხდა ლანა. — ნამდვილად არ ვიცი.

— სამაგიეროდ, მე ვიცი, — თინიკოს შინაურულად გადახვია ხელი დავითმა: — ნიკორწმინდა თუ გაქვს ნანახი?

— არა, — უპასუხა თინიკომ.

— ხოტევი?

— არც ეგ.

— აბა, მე და ლანას რას მოგვშტერებიხარ, შე ქალო? — ჩაუჯექი მანქანაში ჩემს მძღოლს და ნიკორწმინდის ნახვა მაინც მოასწარი! — შეაგულიანა თინიკო დავითმა.

— დიდი სიამოვნებით! — უმალ აიტაცა შეთავაზება თინიკომ. — თქვენ ოპერაციას რამდენ ხანში მორჩებით? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— აბა, წინასწარ რა გითხრათ? — მხრები აიჩეჩა დავითმა. — მაგრამ ყოველ შემთხვევაში, შენს განკარგულებაში ორი საათი მაინცაა. ოღონდ, ნამეტანიც არ გაერთო, თორემ კაი რაჭული პურმარილი აგცდება...

თინიკო და ავთო საავადყმოფოში დროულად დაბრუნდნენ, თუმცა ოპერაცია ჯერაც არ იყო დასრულებული. საოპერაციოს წინ შეკრებილი, პაციენტის პატრონები იქიდან გამოსულ ექთანს შემოხვეოდნენ და კითხვას კითხვაზე აყრიდნენ.

— ცოტა კიდევ მოითმინეთ! — ძლივს იგერიებდა მათ ექთანი. — გამოვა ბატონი დავითი და ის უკეთ არ გეტყვით ყველაფერს?..

— მაინც, რამდენ ხანში გამოვლენ? — ექთანის სიტყვების დაზუსტება სცადა თინიკომ.

— ასე, ათ-თხუთმეტ წუთში, — უპასუხა მას ექთანმა. — თუმცა, თქვენი მეგობარი უკვე კარგა ხნის გამოსულია, — დასძინა მან შემდეგ.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა თინიკოს. — აკი ოპერაცია ჯერ არ დასრულებულაო?

— ჰო, მაგრამ...

— რა მაგრამ? — სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა თინიკომ ექთანს. — ლანას რამე ხომ არ დაემართა?

— ისეთი არაფერი, — კვლავ დინჯად განაგრძო ექთანმა. — უბრალოდ, ოპერაციის დროს გახდა ცუდად... თუმცა, მის მდგომარეობაში ეს ჩვეულებრივი ამბავი.

— რაო? — ხმას აუწია თინიკომ. — რა მდგომარეობაში? ლანას გულის შესაღონებელი რა სჭირს?

— ცუდი ნამდვილად არაფერი. — გაღიმა ექთანს.

— მაინც? — ჩაეძია თინიკო.

— რა არის, იცით?.. — პირდაპირ პასუხს მაინც თავი აარიდა ექთანმა. — გამოვა ბატონი დავითი და ყველაფერს აგიხსნით.

— კი, მაგრამ ამ საავადმყოფოში, არჩვაძის გარდა, ჭკუა აღარავის მოეკითხება? — გაღიზიანდა თინიკო. — ის მაინც მითხარით, ლანა სად არის?

— წამომყევით და გაჩვენებთ, — შესთავაზა მას ექთანმა და ერთ-ერთი პალატისკენ წაუძღვა.

— რა გჭირს, გოგო? — მაშინვე ეცა თინიკო საწოლზე მიწოლილ ლანას. — მარტო ვეღარ უნდა დაგტოვო?

— რა ვიცი, აბა?.. — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა ლანამ. — შუა ოპერაციის კეთებაში ვიყავით, რომ უეცრად, ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა და კინაღამ ავადმყოფს ზედ გადავეხე.

— გული გაგიხდა ცუდად?

— არა, უბრალოდ თავბრუ დამეხვა.

— ნერვების ბრალი იქნება, — სასწრაფოდ დაუსვა „დიაგნოზი“ თინიკომ და ის იყო, კიდევ რაღაც უნდა დაემატებინა, რომ პალატაში არჩვაძე შემოვიდა.

— აბა, როგორ გრძნობს თავს ჩვენი ნაზი ყვავილი? — ლანას საწოლს სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა იგი.

— რა არის, ბატონო დავით?!. — განზე გადგა და ლანასთან მიუშვა არჩვაძე თინიკომ. — დაქალი ერთი-ორი საათით ვეღარ უნდა განდოთ?

— ა, ეს ისევ შენ ხარ? — ვითომ, ახლაღა შენიშნაო, ისე გადახედა მას არჩვაძემ. — რა ქენი?.. საბოლოოდ გადაგრია, ხომ, ნიკორწმინდამ?

— კი, ნიკორწმინდამ იქით გადამრია, ლანამ კიდევ აქეთ გამიხეთქა გული.

— ლანას გამო გულს ტყუილად ნუ გაიხეთქავ, — ურჩია თინიკოს დავითმა. — ცუდი ნამდვილად არაფერი სჭირს. თუმცა... — სათქმელი აღარ დაასრულა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია მან შემდეგ.

— რა თუმცა? — მაშინვე ეცა მას თინიკო.

— მოდი, იცი, რა ვქნათ? — მკლავში ხელი ფრთხილად ჩავლო და კარისკენ შეაბრუნა თინიკო დავითმა. — შენ ცოტა ხანს გარეთ დაგველოდე, მე კი ჯერ ლანას ავუხსნი ყველაფერს და მერე ვნახოთ...

— ბატონო დავით, — გააწყვეტინა მას ლანამ, — ყველაფერი თინიკოსთან მითხარით! მერე მაინც, სულ დეტალებში მომაყოლებს ყველაფერს და აბა, მის გასვლას რა აზრი აქვს?

— ნამდვილად? — მაინც გადაამოწმა დავითმა.

— ნამდვილად! — ლანას ნათქვამს საბოლოოდ ბეჭედი დაუსვა თინიკომ.

— კი, ბატონო, — დათანხმდა დავითი, — გეტყვი... თუმცა, თავადაც ექიმი ხარ და ალბათ, უჩემოდაც ყველაფერს ხვდები... მოკლედ, ფეხმძიმედ ხარ...

— ვაშაა! — შესძახა თინიკომ. — ვიცოდი, ვგრძნობდი, რომ ასე იქნებოდა!

— მართლა? — სათვალე შუბლზე აიწია და ისე შეათვალიერა თინიკო გაკვირვებულმა დავითმა. — მაშინ ის კაციც გეცოდინება, ვინც... — სათქმელი ვეღარ დაასრულა მან და გამტკნარებულ ლანას თანაგრძნობით გადახედა: — ისე, წესით, მე როგორც ექიმს, ზედმეტი კითხვების დასმის უფლება არ მაქვს, — საწოლთან სკამი მიიჩოჩა და მძიმედ ჩამოჯდა ის შემდეგ, — მაგრამ როგორც მამაშენის მეგობარი და შენი დიდი გულშემატკივარი, ვალდებულიც კი ვარ, გავიგო, ვინ არის ის ოჯახდასაქცევი?..

— ბატონო დავით! — გააწყვეტინა არჩვაძეს თინიკომ. — ლევანი ძალიან კარგი ადამიანია... ლანა ძალიან უყვარს და მალე კიდეც იქორწინებენ.

— მართლა? — სახე გაუნათდა არჩვაძეს. — მერე ამას მიმალავდით, თქვე ცუღლუტებო?.. მე კიდევ საწყალი თემო დავაიმედე, ლანასთან სიტყვას შეგაწევ-მეთქი... შეაწიე, რამდენიც გინდა! ეშველება ამით რამე? არა, ვერ ვივარგე მაჭანკლად.

— ვერ ივარგეთ კი არა, უბრალოდ დაგაგვიანდათ, — ისევ გაილექსა თინიკო. — მაგრამ ლევანს რომ გაიცნობთ, მიხვდებით, რომ დაგვიანებად ნამდვილად ღირდა.

— ჯერ გამაცანი ეგ შენი ნაქები ლევანი და დანარჩენი მერე ვნახოთ. — დავითი წამით ჩაფიქრდა. — ვნახოთ, ვნახოთ... — თავისთვის ჩაილაპარაკა მან. შემდეგ საწოლზე წამომჯდარ ლანას მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა და ფეხზე წამოდგა: — ჰო, მართლა,

ინტიმური
ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ხომ იცი, რომ შენს მდგომარეობაში ზედმეტი დატვირთვა და ზემოთ-ქვემოთ სირბილი აღარ ივარგებს...

— მე თუ დავრბივარ, რა, მერე? — არხეინად იკითხა თინიკომ.

— როგორ?.. შენც ფეხმძიმედ ხარ? — გაკვირვებით გადახედა თინიკოს დავითმა.

— მე ვარ, თუ ვარ, თორემ, ლანას ფეხმძიმობა ჯერ რა სუფრასთან მოსატანია?! — შეიფერა თინიკომ.

— არა, არა, შენი ქმარიც აუცილებლად უნდა გავიცნო და ერთი-ორი მეგობრული რჩევა მივცე.

— მანამ იქნებ, მე მირჩიოთ რამე! — არა და არ მოეშვა თინიკო დავითს.

— შენთვის რამის რჩევას აზრი არა აქვს, — მთლად წყალი გადაუწურა მას არჩვაძემ. — იმიტომ, რომ მაინც უკულმა გააკეთებ ყველაფერს. აი, ლანას კი, ცოტა ხნით სოფელში, სუფთა ჰაერზე დარჩენას ვურჩევდი... ისე, იცი, რა გეგმები ჩამეფუშა? — აწუწუნდა ის შემდეგ. — დღე-დღეზე თბილისში ახალ კლინიკას ვხსნი და ლანა ჩემი მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო...

— მერე, რა პრობლემაა? — გაუკვირდა თინიკოს. — ჯერ მუშაობა ნამდვილად არ გაუჭირდება, მერე კი, ბავშვს დეიდა თამარი გაუზრდის. იცით, ლანას რა ახალგაზრდა დედა ჰყავს?

— რას მეუბნები?.. მართლა?.. — გაეცინა დავითს.

— აჰ! — შუბლზე ხელი გამეტებით იტკიცა თინიკომ. — სულ დამავიწყდა, რომ ლანას ოჯახს დიდი ხანია, რაც იცნობთ...

— კარგი, კარგი, ადექით ახლა, წავიდეთ და ცოტა წავიხემსოთ, თორემ გამიხმა კუჭი შიმშილით... — კარისკენ შებრუნდა არჩვაძე.

ახალნაოპერაციევი პაციენტის ოჯახმა დავით არჩვაძეს და მის თანმხლებთ მამაპაპური პურმარილი გაუშალა. არჩვაძემ და თინიკომ ენაკვიმატობა არც სუფრასთან მოიშალეს და კარგადაც მოილხინეს, ლანას და თემოს კი, დანა კბილს არ უხსნიდათ, რაზეც თინიკოს ქვეშ-ქვეშ ეღიმებოდა...

ლანა და თინიკო სოფელში იმავე საღამოს დაბრუნდნენ.

— სად დაეხეტებით, ბოშებო, აქამდე? — აივანზე გამოეგება მათ გამოფხიზლებული გოგა. — არ უნდა დეიბაროთ — ან სად მიდიხართ და ან უკან როდის დაბრუნდებით?.. მოკვდი კაცი ნევრიულობით.

— ჯერ ერთი, ნერვიულობით, — შეუსწორა მას ლანამ, — და მეორეც, დაგიბარეთ კი არა, ბარე ათჯერ მაინც გაგვამეორებინე, სად მივდიოდით და რატომ, მაგრამ მერე რა?.. შეაყარე კედელს ცერცვი!

— ცერცვი და მუხუდო არ ვიცი მე! — ისევ დაიწყო გოგამ, მაგრამ ახლა თინიკო ჩაერთო საქმეში:

— გოგა, საყვარელო, სულ ტყუილად ნერვიულობ. იცი, რა პურმარილზე ვიყავით?.. ახლა ღვინოს აღარ იკითხავ?

— ღვინოსო? — სიბრაზისგან თვალები გადმოკარკლა გოგამ. — მე რომ მხედავთ, „მოხარშული“ წყლის ხვრეპის მეტი არაფერი გაგონდებათ და რაღა სხვაგან ყლურწავთ

ღვინოს?

— რას ვყლურწავთ, ბიჭო? ორივეს ერთად ჭიქა-ნახევარიც არ დაგვილევია. — თავი მოისაწყლა თინიკომ.

— მაშინ გაშალეთ სუფრა და დანარჩენი აგერ დავლიოთ. — მაგიდას მიუჯდა გოგა...

მოგვიანებით, ისევ თრობაშეპარული გოგა შინ რის ვაი-ვაგლახით გაისტუმრეს. ლანამ მაშინვე საგულდაგულოდ გადარაზა კარი, თინიკო კი ტახტზე წამოკოტრიალდა და ფეხები მუთაქაზე შემოაწყო:

— რაც მართალია, მართალია, ძალიან დავიღალე. — დაიწყო მან. — ამდენი კი აღარ შემიძლია... მესამე თვეა, ორი ადამიანის ჭაპანს მარტო ვეწევი.

— არ მითხრა ახლა, მეორე — ლაშაარ? — ჩაეკითხა ლანა.

— ლაშა რა შუაშია? — ნებიერად გაიზმორა თინიკომ. — ჩემს პაწაწკუნტელას ვგულისხმობ, აქ, ა, მუცელში რომ მყავს ჩასახლებული...

— ახლავე მეცოდება ეგ ბავშვი შენს ხელში... — მართლა თანაგრძნობით შეავლო ლანამ თვალი თინიკოს ოდნავ წამოზრდილ მუცელს.

— ისე, თურმე, არც შენ დაგიკარგავს დრო უქმად... — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — ახლა რაღას იტყვი? ისევ არაფერ შუაშია ლევანი?

— მოდი რა, ლევანს შეეშვი! — შეუღრინა მას ლანამ.

— მე კი მოვეშვები, მაგრამ არა მგონია, თვითონ მოგეშვას, როცა გაიგებს, რომ მისგან ბავშვს ელოდები.

— ვერასოდეს გაიგებს.

— რას ვერ გაიგებს?

— რას და ბავშვის ამბავს.

— გაგიუდი, გოგო? — ტახტზე სასწრაფოდ წამოჯდა თინიკო. — აბორტის გაკეთებას ხომ არ აპირებ?

— მე — არა, მაგრამ შენ მგონი, მართლა გაგიუდი! — იქით შეუტია მეგობარს ლანამ. — ბავშვის მოშორება წამითაც კი არ მიფიქრია.

— აბა, ვის მოშორებას აპირებ, ლევანისას?.. ან, იქნებ, ის უდღეური გირჩევნია, არჩვაძემ რომ ამოიყოლა „ზაპასნოი პაკრიშკასავით“? მე, მაგალითად, საერთოდ არ მესმის, ლევანის შემდეგ მაგაზე როგორ უნდა იფიქრო?

— ჯერ ერთი, ლევანის გაცნობამდე თემოს უკვე ვიცნობდი...

— მოიცა! — ხელის აწევით გააჩუმა ის თინიკომ.

— რა იყო? — შეცბა ლანა.

— ლევანი ლევანად და დვალს რაღა პასუხს აძლევ?

— ნეტავ, დვალი რაღა შუაშია?

— თავს ნუ ისულელებ, რა! — ხმას აუწია თინიკომ. — როგორ გგონია, დვალი კი არ გკითხავს, ვინ დაგაორსულაო? გკითხავს კი არა, თუ გაიგო, რომ ბავშვი ლევანისია, ეგებ...

— დამანებე, რა, თავი! — აკანკალებულ ხელებში ჩარგო თავი ლანამ. — ჯერ ისედაც თავგზა მქონდა აბნეული და ბავშვის ამბავმა მართლა მთლად გამომათაყვანა... მართლა აღარ ვიცი, რომელ კედელს ვახალო თავი, ვის რა ვუთხრა, როდის და რატომ...

— ყოჩაღ! — ტაში შემოჰკრა თინიკომ. — ეს უკვე მაინც პროგრესია!.. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, იცი, რა ვქნათ? — ფეხზე მკვირცხლად წამოხტა ის შემდეგ და ჯერაც აულაგებელ სუფრას მიუჯდა.

— რას აპირებ? — უნდოდ გახედა მეგობარს ლანამ.

— რას და ჩვენი მომავალი შვილების საღღეგრძელოს დალევას! — ღვინით სავსე ჭიქას წამოავლო ხელი თინიკომ.

— მოიცა რა, რაებს იგონებ? — არ აჰყვა მეგობარს ლანა. — გაუჩენელი ბავშვების ღღეგრძელობა სად გაგონილა?

— გეხვწები, რა!.. — ბავშვივით გამოუწია მას ყელი თინიკომ. — ჩვენს შვილებს პირველად ვადღეგრძელებ და არ მაწყენინო!

— ნამდვილად გიჟი ხარ... — საბოლოო „დიაგნოზი“ დაუსვა მეგობარს ლანამ, თუმცა სუფრას მაინც მიუჯდა და ცარიელი ჭიქა აიღო: — კარგი, მაშინ, მეც შემივსე და მართლა ვადღეგრძელოთ ის პაწაწუნები...

— ძალიან ხომ არ ჩქარობთ თქვენი ნაბიჭვრების ღღეგრძელობას? — გაისმა უეცრად მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა, რომლის გაგონებაზეც, ლანა თოფნაკრავივით შეხტა, ჭიქა ხელიდან გაუვარდა და მის წინ მდგარ სუფთა თეფშზე ზრიალით დაეცა...

დასასრული შემდეგ ნომერში

germaneli kavkasiaSi musikiT diriJori simSvides amkvidrebs

„საქართველოში ხალხი შემიყვარდა...“

3-დან 8 ივნისამდე, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში „კავკასიის კამერული ორკესტრის“ ინიციატივით, საერთაშორისო ფესტივალი — „მშვიდობა თქვენდა“ გაიმართება. ამ ფესტივალის ინიციატორი და სულისჩამდგმელია ჩვენი გერმანელი სიძე, კომპოზიტორი და დირიჟორი უვე ბერკემერი, რომლის მეუღლეც, ქართველი მევიოლნე ბელა მახარაძე გახლავთ. მუსიკალური დათვალიერება საქართველოს პირველი ლედის, სანდრა რულოვსის პატრონაჟითა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება.

ბატონ უვესა და მის ქართველ მეუღლეს სარეპეტიციო დარბაზში, რეპეტიციის შემდეგ ვეწვიე. ქალბატონმა ბელამ თარჯიმნის ფუნქციაც შეითავსა.

ლალი ფაცია

— საქართველოში პირველად 2000 წელს ჩამოვედი. ლიანა ისაკაძემ მომიწვია. მის ორკესტრს ვუდირიჟორე. იმ ორკესტრში უკრავდა ჩემი მომავალი მეუღლე, რომელიც ძალიან შემიყვარდა და ჩვენ მოკლე დროში დავქორწინდით.

— როგორ მოგწონთ საქართველო?

— საქართველო მიყვარს, მისი ბუნებით, კულტურით, ისტორიით, ადამიანთა მენტალიტეტით. აქაური ხალხი შემიყვარდა.

— 2000 წლიდან, სულ აქ ხართ?

— 2000 წლის შემდეგ, ხშირად ვმოძრაობდი ჩემს ქვეყანასა და საქართველოს შორის. 2005 წლის ივლისიდან — მას მერე, რაც „კავკასიის კამერული ორკესტრი“ ჩამოყალიბდა, — მუდმივად აქ ვიმყოფები.

— არ გენატრებათ თქვენი ქვეყანა?

— საქართველოში დიდი სიამოვნებით ვცხოვრობ და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ მენატრება გერმანია. თუმცა — სულ დამავიწყდა ჩემი ქვეყანა-მეთქი, — ამას ვერ ვიტყვი.

— ბატონო უვე, რატომ დაარსეთ „კავკასიის კამერული ორკესტრი“, რა მიზანი აქვს მას?

— ორკესტრის დაარსების ორი მიზეზი არსებობს. ერთი — როდესაც პირველად ჩამოვედი და გადავხედე კავკასიის კულტურას, მივხვდი, რომ კავკასიელები ძალიან მუსიკალურები არიან; მე როგორც საქართველოს, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის კულტურას გავეცანი, საქართველოში განსაკუთრებულად არის განვითარებული სიმებიანი საკრავები. მეორე მიზეზი — როდესაც შევისწავლე ამ ხალხების კულტურა, შემდეგ დავინტერესდი, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ

იმ ორკესტრში უკრავდა ჩემი მომავალი მეუღლე, რომელიც ძალიან შემიყვარდა

მათ ერთმანეთში. ვნახე, რომ ამ საკითხში საქმე არც ისე კარგად იყო: ამიტომ, მინდოდა მეჩვენებინა, რომ ამ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შესანიშნავად შეუძლიათ ერთად მუშაობა, ცხოვრება, ყოფნა და მუსიკის შექმნა, რადგან მუსიკა უნივერსალური ენაა, არანაირი კონფლიქტი მუსიკაში არ შეიძლება იყოს. როდესაც ორკესტრი უკრავს, ყველას სიმშვიდე, დადებითი ემოცია და ენერგია გადაეცემა. ორკესტრში კარგად არიან შერწყმული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები. სურვილი მაქვს, აფხაზეთიდან ჩამოვიყვანო მუსიკოსები.

— თუ აპირებთ, სხვადასხვა ქვეყანაში წარმოადგინოთ თქვენი ხელოვნება?

— რა თქმა უნდა. ჩვენი მოვალეობაა ჩვენივე მუსიკის კავკასიის ქვეყნებში გატანა. ასევე მნიშვნელოვანია, კავკასიის ეს ხელოვნება, მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც წარმოვადგინოთ, რადგან მსოფლიოში ძალიან ცოტა იციან აქაური ხელოვნების შესახებ — ამ შემთხვევაში, კლასიკურ მუსიკას ვგულისხმობ.

უკვე ორჯერ ვიყავით ევროპაში. ახლა კიდევ გვექნება გასტროლები... ყველა აღფრთოვანებულია, ვინც ჩვენს ორკესტრს უსმენს. ახლა ჩვენი მოვალეობაა, მისი ხელოვნება რაც შეიძლება მეტი ქვეყნის მსმენელმა გაიცნოს.

— თქვენ ორკესტრის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსია. როგორ დამყარდა თქვენ შორის კავშირი?

— მას შემდეგ, რაც ორკესტრი ჩამოვაყალიბე და ამის შესახებ პრესკონფერენციაც მოვაწყე, მქონდა ბედნიერება, პირადად შეეხვედროდი ქალბატონ სანდრას და მისთვის გამეცნო ჩემი პროექტი. მას იმდენად მოეწონა ჩემი იდეა, რომ მაშინვე დათანხმდა, ორკესტრისთვის ყველანაირად შეეწყო ხელი. ქალბატონი სანდრა კულტურული ადამიანია, შესაფერისი განათლება აქვს მიღებული და ძალიან უყვარს კლასიკური მუსიკა.

— ბატონო უვე, მართალია, სიყვარულმა ეროვნება არ იცის, მაგრამ მაინც რით შეგაყვარათ თქვენმა მეუღლემ თავი?

— გეთანხმებით, სიყვარულმა ეროვნება არ იცის. ისე უცბად შემიყვარდა ბელა, რომ დავქორწინდით. ჩემი ცოლი სიცოცხლის მოყვარულია. განსაკუთრებით მაშინ მომეწონა, როდესაც იმღერა — ფანტასტიკურად მღერის.

— გერმანელები პუნქტუალურობით გამოირჩევიან, ზედმიწევნით მოწესრიგებულები არიან, რითიც ქართველები მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებთ. საქართველოში არაპუნქტუალურობას როგორ შეეგუეთ?

— ზოგჯერ მაწუხებს ეს ამბავი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მიხარია, რომ საქართველოში ვცხოვრობ, რადგან როდესაც სადღაც დაგვიანებით მივდივარ, იქ ღონისძიება თუ კონცერტი ჯერაც არ არის ხოლმე დაწყებული... ვცდილობ, ორკესტრში, რომელსაც ვხელმძღვანელობ, რეპეტიცია დროულად დაიწყოს. ზუსტად დილის 9 საათზე უნდა შევუდგეთ მუშაობას, დაგვიანება არ შეიძლება.

— ქალბატონო ბელა, თქვენ, ქართველი ქალბატონი, როგორ ეგუებით უცხოელ მეუღლეს?

— უვე ბრწყინვალე ადამიანია. მას ისე შევეჩვიე, ზოგჯერ მავიწყდება, რომ ქართველი ვარ. ხანდახან ისეც ხდება, რომ მგონია, უვე უფროა ქართველი, ვიდრე მე. რაღაც-რაღაცებში ის უფრო რბილი და დამთმობი

ორკესტრში კარგად არიან შერწყმული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები

ხდება, მე კი, პირიქით — შეუვალი.

— თქვენ შორის კამათი რამ შეიძლება წარმოშვას თუ გამოიწვიოს?

ბატონი **უვე**:

— ოჯახში არანაირი პრობლემა არ გვაქვს. დილით რეპეტიციაზე ერთად მივდივართ. მე უბრალოდ ვაჩქარებ სახლიდან გამოსვლას...

— ბატონო უვე, თქვენი მეუღლე კარგი მზარეულია?

— მაინცდამაინც — არა, მაგრამ ამის გამო ჩვენ ოჯახში პრობლემა არ გვქონია, რადგან სამზარეულოში ტრიალი ჩემი ჰობია. როგორც კი, ოდნავ თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მირჩევნია, ის სამზარეულოში ფუსფუსს მოვანდომო. ჩემს მეუღლეს უბრალოდ, გაუმართლა *(იცინის)*...

— ყველაზე კარგად რა კერძს ამზადებთ?

— დიდი ფანტაზიის უნარი მაქვს და სულ რომ არაფერი იყოს სახლში, მაინც რაღაცას მოვამზადებ.

ქალბატონი **ბელა**:

— 6 თვის ფეხმძიმე რომ ვიყავი, უკვე უგემრიელესი ჩახოხბილი, გუფთა და ხაჭაპური მოამზადა. გავოცდი. თურმე, რეცეპტი ინტერნეტიდან ამოიღო. საერთოდ, არც ჰქონდა ნანახი, თითოეული კერძი როგორ მზადდებოდა.

— ბატონო უვე, როდესაც სამზარეულოში ფუსფუსებთ და რომელიღაც კერძს ამზადებთ, როგორც კომპოზიტორი, რას იტყვით — ჰგავს ეს მუსიკის შექმნის პროცესს?

— როგორც კომპოზიტორი ფიქრობს იმაზე, რომ მსმენელს თავისი ნამუშევრით სიამოვნება მიანიჭოს, ასევე ფიქრობს მზარეულიც, რომ მისმა ნახელავმა მოწონება დაიმსახუროს. ამიტომ სამზარეულოში ყოფნისას, ყველანაირად ვუხმობ ხოლმე ჩემს ფანტაზიას. ერთმანეთს ვუთავსებ: ტკბილს — მწარეს, ბოსტნეულს — ხილს...

— რამდენი შვილი გყავთ?

— ერთი, 4 წლის გოგონა — ნინა, ის შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულადაც და გერმანულადაც. ახლა ინგლისურს და რუსულს სწავლობს. ძალიან უყვარს საქართველო. არ უნდა გერმანიაში წასვლა.

— აპირებთ, რომ წაიყვანოთ?

— მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი წელიწადში ორჯერ მაინც მოხვდეს გერმანიაში, ეს ხომ მისი ქვეყანაა. მართალია, ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ მისი ქვეყნის კულტურა და ისტორია აუცილებლად უნდა ისწავლოს. ამაში ჩვენ ხელს ვუწყობთ.

— ფესტივალი, რომელიც 3-8 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება, რას ჰპირდება მაყურებელს?

— პირველ რიგში, საოცარ მუსიკას მოასმენინებს, აჩუქებს ლამაზ დღეებს. გაეცნობიან საინტერესო სოლისტებს. პროფესიონალი სოლისტები იქნებიან ამერიკიდან, გერმანიიდან, სომხეთიდან... ჩვენს ორკესტრში უდიდესი სიყვარული, ჰარმონია, მონდომება იგრძნობა. ორკესტრის სხვადასხვა ეროვნების წევრი მუსიკოსები მზად არიან, რომ ერთად იმუშაონ.

ვინ დაიწყო „ჯეობარი 2“ და მისი ფორეიტიზეო მოთამაშეები

მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანია, „ჯეობარი 2“ დაიწყო, პირველი „ჯეობარელები“ აქტუალურობას მაინც არ კარგავენ, ამას კი, იმით ხსნიან, რომ ჩვენ მაინც პირველები ვიყავით და ხალხს ამიტომაც ვახსოვართო. როგორ აფასებენ ისინი თავიანთ ახალბედა „კოლეგებს“, რას ურჩევენ მათ და როგორი ინტრიგებია საჭირო პოპულარობისთვის? — ამ თემებზე სასაუბროდ, პირველი „ჯეობარის“ მონაწილეს, გიორგი ფეიჩხუას ვეწვიეთ.

ნათია ქივიძე

ფულის მოგება მინდოდა...

— „ჯეობარიდან“ გამოსვლის შემდეგ, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?

— პირველ რიგში, აბსოლუტურად სულ სხვა რიტმზე ვარ აწყობილი. მანამდე, სულ ინსტიტუტში ვიყავი ხოლმე. ახლა კი, ამის პარალელურად, ხან ხმის ჩამწერ სტუდიებში, ხან რადიოსადგურებში დავდივარ, ხან კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად მიწვევენ და ა.შ. მოკლედ, პოპულარული გავხდი. თუმცა, მინდა გითხრა, რომ პოპულარობის მოპოვება ადვილი არ იყო, რადგან ამისთვის, მხოლოდ ეკრანზე გამოჩენა არ კმარა — მაყურებელს რაღაცით უნდა დაამახსოვრო თავი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე „ჯეობარი 2“ დაიწყო და ხალხის ყურადღება მათკენ უნდა იყოს მიპყრობილი, ჩემდა გასაოცრად, ახლა უფრო აქტუალური გავხდი.

— „ჯეობარის“ შემდეგ, შენს პირად ცხოვრებაში რამე ხომ არ შეცვლილა?

— თუ სიყვარულს გულისხმობ, გეტყვი, რომ ამის დრო და განწყობილება ნამდვილად არ მაქვს. თუმცა, თავის დროზე, ის ალბათ ისე მეწვევა, რომ არაფერს მკითხავს.

— ახლანდელ „ჯეობარს“ თუ ადევნებ თვალყურს?

— შოუს ყურებას ყოველდღე ნამდვილად ვერ ვახერხებ — მხოლოდ ხუთჯერ მაქვს ნანახი. დღეს კი, „ჯეობარელებთან“ იმისთვის შევედი, რომ ისინი გამემხიარულებინა, რადგან ჭამის, სმის, ძილის მეტს არაფერს აკეთებენ, მერე კი, ქვემოთ ჩადიან და რობოტებივით მუშაობენ.

— რა განსხვავებაა ძველ და ახალ „ჯეობარს“ შორის?

— პირველ რიგში ის, რომ ჩვენ ამ პროექტის პირველი მონაწილეები ვიყავით. პირველი კი, ყველაფერი კარგია — რაც არ უნდა დარღვევები გვქონოდა, მყურებელს მაინც კარგი რეაქცია ჰქონდა და ვუყვარდით. ახლა კი, მეორე „ჯეობარელებს“ გვადარებენ, თუმცა, შესადარებელი არც არაფერია, რადგან აქ რაღაც სხვა მუხტი დევს, მონაწილეები სულ სხვანაირები არიან...

— ამბობდნენ — ნუგო, ბესოს ჰბაძავსო...

— კარგად ვერ მიუბაძია, თორემ, ახლა ისევ პროექტში იქნებოდა. სხვათა შორის, ახლანდელ „ჯეობარში“, ბესოს სტრატეგიას ბევრი მიმდევარი ჰყავს, რაღაც ჩაკეტილები არიან...

— იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ თქვენ უფრო მეგობრული ატმოსფერო გქონდათ?

— ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით, უფრო მეტი ენთუზიაზმი გვქონდა. არ ვჩერდებოდით, სულ ვმუშაობდით და ათასნაირი იდეა გვიჩნდებოდა, რომელსაც ვახორციელებდით კიდეც. ყოველთვის იმაზე ვზრუნავდით, რომ კარგი შოუ მოგვეწყო... რა თქმა უნდა, ჩვენთან ინტრიგაც ბევრი იყო და ჭორიც, მაგრამ სხვანაირად პროექტი საინტერესო არ იქნებოდა (თუმცა, მე ნამდვილად არ ვჭორაობდი). გვიჩხუბია კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ, ანეკდოტებს ვყვებოდით, ფართებს ვაწყობდით, ვხუმრობდით და ეს იუმორი იმ ჩხუბს ანეიტრალებდა... ახალ „ჯეობარში“ კი, სულ სკანდალს აწყობენ და მაყურებელს თავს აბეზრებენ. იმედი მაქვს, გამოფხიზლდებიან და ყველაფერი კარგად იქნება.

— ვიდრე ეს ახალი პროექტი დაიწყებოდა, მათ მონაწილეებს თუ იცნობდი?

— არა, არც ერთს, გარდა ჩელესი, რომელიც ჩემი კურსელია. მან ერთი კვირით ადრე მითხრა — „ჯეობარში“ შევდივარო და მეც გზა დავულოცე.

— არ დაარგე — როგორ უნდა მოქცეულიყო?

— არა. არც თვითონ უკითხავს რამე, უბრალოდ — გავამხნევე.

— შენი აზრით, უფრო წარმატებული მოთამაშე რომელია?

— არ ვიცი. წინასწარ პროგნოზს ვერ გავაკეთებ, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, რომ გოგომ გაიმარჯვოს — ბიჭებს ძალიან გადაეკიდნენ. დღეს რომ ვიყავი შესული, ბიჭებს „მივცხე“, ცოტა ჯანზე დადექით-მეთქი.

— შენი აზრით, რამდენად კარგად თამაშობენ?

— თამაშის ისეთი სტრატეგია აქვთ არჩეული, რომ ჩაკეტილები უნდა იყვნენ, ეს კი ურთიერთობაში უშლით ხელს. რასაც

ფიქრობენ, იმას ბოლომდე არ ამბობენ, გულახდილები არ არიან. კარგები კი არიან, მაგრამ...

— როგორც ვიცი, არც მათი ბარი არ მოგწონს.

— ჩვენ გაცილებით დიდი სივრცე გვქონდა. „ნოა-ნოა“ უფრო სხვა სტილის კლუბია. ჩვენ სამუშაოც მეტი გვქონდა — იმხელა დარბაზს დასუფთავება არ უნდოდა? თუმცა, მე ეს არასოდეს გამიკეთებია, რადგან ბარში ვმუშაობდი. მიმტანობა არც მიცდია, ალბათ გამიჭირდებოდა, რადგან ამსიმაღლე კაცი ვარ და კიდევ „პოდნოსი“ რომ დამეჭირა ხელში, ყველა ჭიქას დავამტვრევდი... მათ ყველანაირი პირობა აქვთ იმისთვის, რომ კარგად ითამაშონ.

— ამათ უფრო მეტი კონფლიქტი მოსდით, ვიდრე თქვენ გქონდათ. გარდა ამისა, ხშირად ისმის უცენზურო სიტყვები, როგორც ბიჭებისგან, ასევე, გოგონებისგანაც. ამაზე რა აზრის ხარ?

— რა ვიცი, ჩვენთან მგონი, ასე არ ხდებოდა, არც ამათგან მომისმენია მსგავსი რამ, მაგრამ თუ რეალურად ცხოვრობენ და პროექტის გარეთაც ასე მიმართავენ ვინმეს, იქ რატომ უნდა შეიკავონ თავი?

— სასიყვარულო ინტრიგებიც მისაღებია?

— რა თქმა უნდა. თუმცა, ეს გაცვეთილი „პონტია“, რადგან უკვე ყველა რეალურ შოუში ხდება მსგავსი რაღაცები და ხალხმა იცის, რომ ეს სიყვარული ვერ გაქაჩავს და ამის გამო, მათი რეიტინგი ვერ აიწევს. თუმცა, ხვალ შეიძლება „ჯეიობარში“ ისეთი რამ მოხდეს, რომ ხალხი გაგიჟდეს...

— მაგალითად, შესაძლოა, ბესოს ინციდენტი განმეორდეს?

— ალბათ, ოღონდ უფრო სხვანაირად. ბესოს უკრაინელი ჰყავდა განმარტოების ოთახში, აქ კი, შესაძლოა, თავად მოთამაშეები განმარტოვდნენ. თუმცა, ამ სიტყვებით, შეურაცხყოფას არავის ვაყენებ. იმ გოგონებს ვიცნობ და ყველა მათგანი ძალიან კარგია.

— თქვენ თამაშის დროს, ჭორები შენზე და ნატა ნუცუბიძეზე აგორდა...

— მართალია. დაახლოებით ორჯერ დაგვაქორწინეს და თაფლობის თვეც კი დაგვიგეგმეს.

— სინამდვილეში, როგორი ურთიერთობა გაქვთ? ჭორები მთლად უსაფუძვლო არ არის ხოლმე...

— მე და ნატა კარგი მეგობრები ვართ, თუმცა, ერთი თვეა არ მინახავს. ჩვენ შორის არავითარი სიყვარული არ არსებობს... ახალ „ჯეიობარშიც“ თუ ვინმეს ვინმე მოსწონს, რა პრობლემაა...

— რას ურჩევდი, „ჯეიობარელებს“?

— მაქსიმალურად გამოიყენონ ეს დრო და ძალიან აქტიურები იყვნენ. პროექტიდან რომ გამოვედი და ძველ მასალას გადავხედე, ბევრი რამ ვინანე, სხვანაირი თვალით შევხედე ყველაფერს. თავი არაფრისგან არ უნდა შეიკავონ, არ უნდა თქვან — ამას არ გავაკეთებ, ეს იდეა არ მომწონს და ა.შ. სკანდალის დროა ახლა? სკანდალიც საჭიროა, მაგრამ არა ასე გადაჭარბებულად. უფრო მეტად იფიქრონ შოუებზე, ფართებზე, მაყურებლებზე და მათი რეიტინგი აიწევს.

— შენ ვის უჭერ მხარს?

— ამ ეტაპზე, ჩელეს გულშემატკივარი ვარ, რადგან ერთად ვსწავლობთ. თან, ის ნაკლებად კონფლიქტურია და ყველაზე აქტიურია, ბარში ხალისი შეაქვს.

— ამბობენ, რომ ჩელე შენნაირი ტიპაჟია...

— არ ვიცი, მე მასში ჩემს თავს ვერ ვხედავ, თუმცა, ერთმანეთს მართლაც ბევრი გვამსგავსებს და ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— მოდი, თემა შევცვალოთ და მითხარი — რატომ გადაწყვიტე, რომ სიმღერა დაგეწყო?

— მუსიკოსების ოჯახში გავიზარდე და ნ წლის ვიყავი, სიმღერა რომ დავიწყე. სხვათა შორის, ბავშვობაში გაცილებით უკეთ ვმღეროდი. ახლა მომღერლობაზე პრეტენზია არ მაქვს. შესაძლოა, ბევრმა თქვას, რომ „ჯეიობარის“ შემდეგ „ფეხი გამოყო“ და სიმღერა დაიწყოო, მაგრამ ასე არ არის. სიმღერა ჩემი ჰობია და ეს საქმე მსიამოვნებს.

— როგორც ვიცი, ჯერ მხოლოდ ერთი სიმღერა გაქვს ჩაწერილი...

— მართალია. უკვე თითქმის დამთავრდა ჩემი ახალი სოლო სიმღერა, რომელიც კომპოზიტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა დამიწერა. ამ სიმღერაზე კლიპის გადაღებასაც ვაპირებ, მაგრამ იმის გამო, რომ ახლა ინსტიტუტში გამოცდები მაქვს, ამ იდეას ზაფხულამდე ვერ განვახორციელებ. ასევე, ვწერ დუეტს, თუმცა, წინასწარ არ ვიტყვი — ვინ იქნება ჩემი პარტნიორი. ამ დუეტზეც გადავიღებთ კლიპს. მოკლედ, აქტიურად ვიწყებ შოუბიზნესში მოღვაწეობას.

გასულ კვირას, „ჯეიობარიდან“ **ნატალი სალუქვაძემ** *ხმათა უმრავლესობით პროექტი დატოვა. როგორც თვითონ გვითხრა — ასე რომ არ მომხდარიყო, საკუთარი თავის გამოგდებაზე თავადვე იზრუნებდა. თუ რატომ, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— თავდაპირველად, ცოტა რამ საკუთარ თავზე გვიამბე...

— წარმოშობით, ბათუმელი ვარ. უცხო ენების ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ფოტოხელოვნება მიტაცებს და სურათებს ვიღებ ხოლმე.

— რატომ გადაწყვიტე „ჯეიობარში“ მონაწილეობის მიღება?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფულის მოგება მინდოდა. ასევე მინდოდა, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც სიახლე შემეტანა, მაგრამ არ გამომივიდა.

— ალბათ, პოპულარობაც გინდოდა, არა?

— არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად არ არის სასიამოვნო, როცა ქუჩაში ვიღაც „ჯეიობარელოს“ მოგაძახებს ან, როცა შენზე ხმამაღლა ლაპარაკობენ — ვა, ეს ის არ არისო?! მანამდე უფრო მშვიდად ვცხოვრობდი, ეს ყველაფერი არ მომწონს.

— ფულის დახარჯვას რაში აპირებდი?

— კონკრეტული გეგმა არ მქონდა. უბრალოდ, ძალიან მინდა გერმანიაში, კერძოდ კი, ბერლინში გამგზავრება და მოგების შემთხვევაში, ფულის ნაწილს ალბათ ამაში გამოვიყენებდი.

— პირველ „ჯეიობარს“ თუ უყურებდი?

— მისთვის თვალყურის დევნება მხოლოდ მაშინ დავიწყე, როცა მარი ნაკანი პროექტში დაბრუნდა. მას და ტატოს ვგულშემატკივრობდი.

— შენი აზრით, რითი განსხვავდება პირველი „ჯეიობარი“ მეორისგან?

— ისინი უფრო საინტერესოები, მხიარულები იყვნენ. გაცილებით ბევრი იდეა ჰქონდათ. ალბათ, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ისინი მაინც პირველები იყვნენ.

— თქვენ რა გიშლიდათ ხელს, ისეთი რომ ყოფილიყავით?

— არ ვიცი. ეს თამაში მხოლოდ ჩემთვის კი არა, მაყურებლისთვისაც უინტერესო იყო, რადგან იქ, ფაქტობრივად, კონფლიქტის მეტი არაფერი ხდებოდა. რეალითი-შოუ საინტერესო რომ იყოს, ამისთვის ინტრიგებიცაა საჭირო. მინდოდა, რომ ეს გამეკეთებინა, მაგრამ დანარჩენებმა მხარი არ ამიბეს და არაფერი გამომივიდა. შესაძლოა, ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ახლა თამაში საინტერესო აღარ იქნება. სხვათა შორის, ეს სხვებმაც მითხრეს.

— იმის თქმა გინდა, რომ შენი ბარიდან გამოსვლის შემდეგ, თამაში უინტერესო გახდება?

— შესაძლოა, საინტერესო იყოს კიდეც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ხალხი ასე ამბობს. ჩვენ იქ გუნდურად არ ვმოქმედებდით, თუმცა ამბობდნენ — ჩვენ ერთნი ვართო. თუ ერთნი არიან, მაშინ ის ფული ყველამ ერთად უნდა მოიგოს და თანაბრად გაინაწილოს.

— სხვათა შორის, დაახლოებით იგივე შენიშვნები აქვს თქვენ მიმართ გიორგი ფოჩხუას. თქვენ მათგან განსხვავებით, ნაკლებად მეგობრულებიც იყავით, არა?

— თორმეტივე მონაწილე ერთმანეთთან ვერ ვიმეგობრებდით, ეს გამორიცხულია, რადგან ყველა პიროვნება ინდივიდუალურია და განსხვავებული ხასიათი აქვს. მე, ძირითადად, თამუნასთან ვმეგობრობდი, ასევე, კარგი ურთიერთობა მქონდა შოკოსთან, ჩელესთან. პრინციპში, ეს თამაში იმისთვისაცაა კარგი, რომ რამდენიმე ახალ მეგობარს შეიძენ, მაგრამ იქ შესვლის ძირითადი მიზანი, მაინც ფულია.

— შენი აზრით, რატომ აღმოჩნდი აუტსაიდერის სკამზე?

გაგრძელება იხ. გვ. 72

ნატო გელაშვილისა და გიო ხუციშვილის დუეტი, „ცა ფირუზის ფერია“ და თბილისური გართობა...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, ჩვენში არაერთი კონცერტი თუ ღონისძიება ჩატარდა. რესტორან „თეთრ სახლში“, ნატო გელაშვილისა და გიო ხუციშვილის საღამო გაიმართა, რომლის ორგანიზატორი ნატოს პროდიუსერი — გია გუმბერიძე იყო. „თეთრი სახლის“ უზარმაზარ დარბაზში ნატოსა და გიოს თაყვანისმცემლებმა მოიყარეს თავი. კონცერტი საგანგებოდ ცეკვა „ქართულით“ გაიხსნა, რომელიც ანამბლმა „რუსთავმა“ შემოგვთავაზა. ამის შემდეგ კი, სცენაზე წამყვანი — ენაწყლიანი ხატია შამუგია ავიდა. მან პირველად ნატო გელაშვილს უხმო. გაისმა თუ არა ავტორ-შემსრულებლის პირველი სიმღერა — „ცა ფირუზის ფერია...“ — დარბაზი უმალ გამოცოცხლდა და თითოეული, როგორც შეეძლო, ისე აყოლებდა ხმას. მოგვიანებით, სცენაზე გიო ხუციშვილი ავიდა და თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერებით წარდგა მაყურებლის წინაშე. ეს ორი ადამიანი, უკვე დიდი ხანია, შემოქმედებითად კარგად შეერწყა ერთმანეთს. ყველა აღნიშნავს, რომ გიოს განსაკუთრებულად უხდება ნატოს სიმღერები. დღესასწაული, მათთან ერთად, დარბაზში მყოფთ მომღერალმა დათო გომართელმაც თავისებურად მიულოცა — რამდენიმე ცნობილი ჰიტი იმღერა.

■

„სითი ქლაბში“ ქალაქური სიმღერები ამოენატრათ

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე „სითი ქლაბშიც“ თავისებურად აღნიშნეს. იქაც ქალაქურ სიმღერას დაუთმეს ასპარეზი.

ნინა ანდრონიკაშვილი *(კლუბის მენეჯერი):*

„რაღაც ძალიან მოგვენატრა ძველი, თბილისური, ქალაქური საღამო და კლუბში ის მომღერლები მოვიწვიეთ, ვის რეპერტუარშიც უხვად არის ქალაქური ჟანრის სიმღერები — კერძოდ, გიო ხუციშვილი, ლიზა ბაგრატიონი, ეკა ჭაჭიაშვილი, მამუკა ჩარკვიანი, დათო გომართელი, ანსამბლ „ქართული ხმების“ უმცროსი თაობა“.

„სითი ქლაბის“ დარბაზში ძირითადად, მელომანები ისხდნენ, რომლებიც ფაქტობრივად, ადგილზე ცეკვითა და სიმღერით რეაგირებდნენ სცენიდან აჟღერებულ სიმღერებზე. იყო ექსპრომტები, იმპროვიზაცია, სიურპრიზები. საღამოს წამყვანი, ზუზუ (ნინო ნოდია) *გახლდათ.*

■

„ტამტამ ფართი“ – ანუ კახუჩელასა და კოკას „დუელი“

როგორც გაირკვა, „სითი ქლაბი“ ყოველ კვირას, ერთმანეთისგან განსხვავებულ კონცერტებს აწყობს. ამჯერად, „ტამტამ ფართი“ ჩატარდა, რომლის მოქმედი პირები მუსიკოსები — კახა ცისკარიძე და კოკა აბზიანიძე იყვნენ. კონცერტის წინ, კახას გავესაუბრე.

— დღეს „რინგზე“ თქვენი „დუელის“ მომსწრენი გავხდებით?

— „დუელი“ კი არა — დუეტი, ბატონო. ჩვენ დუეტში დავუკრავთ, რადგან მეგობრები ვართ და სადავო ერთმანეთთან არაფერი გვაქვს. პირველად, ერთად ცოტა ხნის წინ, „ნოა-ნოაში“ „ლათინო ფართზე“ დავუკარით. როგორც გაირკვა, მაშინ მაყურებელზე ჩვენმა ხელოვნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლაც იმავეს ვაპირებთ.

კახამ და კოკამ თითქმის ერთი საათის მანძილზე, შეუჩერებლად იშრომეს სცენაზე. კახუჩელა უკრავდა, მღეროდა; მას პერკუსიებზე რიტმს კოკა უწყობდა. ცოცხალი შესრულება ყოველთვის ახდენს მსმენელზე შთაბეჭდილებას და არც ის დღე ყოფილა გამონაკლისი.

■

ნინა და ანა ჯაკი ინტრიგას გვიმზადებენ

ხმა გავრცელდა, რომ სტიუარდესა და მომღერალი, ანა ჯაკი მომღერალ ნინასთან დუეტის ჩაწერას აპირებს. ამ ცნობის გადასამოწმებლად **ნინას** *მივმართე, რომელმაც მიპასუხა:*

— ორი კვირის წინ, ანა ჯაკი დამიკავშირდა და დუეტში სიმღერა შემომთავაზა. მერე ამ ნამუშევარზე კლიპსაც გადავიღებთო, — მითხრა. თავიდან ვყოყმანობდი, მერე გადავწყვიტე, დავთანხმებოდი, რადგან ექსპერიმენტები მიყვარს. საინტერესოა, რა გამოვა. თან, კარგი სიმღერაა, დათო ფორჩხიძეს ეკუთვნის, მისთვის ტექსტი ფრანგულ ენაზე უნდა დაიწეროს.

— რატომ?

— ანა, ამ სიმღერისა და კლიპის ევროპაში გატანას აპირებს. ამასთან, მეც კარგად ვიცი ფრანგული და მანაც, ენის პრობლემა არ გვექნება, ორივე ვიმღერებთ.

— ისე, მაინც რატომ აგირჩია ანამ, ხომ არ იცი?

— ალბათ, იფიქრა, რომ ორი ქერა მომღერალი ერთმანეთს მოუხდებოდა. თან, პატარა ინტრიგაც ხომ საჭიროა?!

— „ლესბო დუეტს“ ხომ არ გვიმზადებთ?..

— არა, არა, ის სკანდალური ნამდვილად არ იქნება, რადგან ამას არც ერთი არ ვიზამთ. თუმცა, შეიძლება ცოტათი სექსუალური ელემენტებით იყოს კლიპი გაჯერებული. ამას რეჟისორი გიორგი გოგიჩაიშვილი გადაიღებს. ყველაფერი ერთ თვეში დამთავრდება.

■

რუბრიკა მოამზადა ლალი ფაციამ

ცნობილ მკურნალს, ექსტრასენსსა და შემლოცველს ირაკლი ლომაიას 17 წლის ასაკში სხეულზე ჯვრები გამოესახა და მირონი გადმოედინა. ეს ამბავი მთელმა საქართველომ შეიტყო. ლომაიას ფენომენით უცხოელებიც დაინტერესდნენ და საგანგებოდ მიიწვიეს ევროპაში. მკურნალს უამრავი ადამიანი ემადლიერება, ხშირად აკითხავენ ბიზნესმენები და მაღალჩინოსნები. ირაკლიმ ბევრი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალოდნელ უბედურებას. ამბობენ, შელოცვით ნამდვილ სასწაულებს ახდენსო. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედების შედეგად დაბინძურებულ აურას და უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს მას, ანუ ენერგეტიკული მეთოდით ხსნის ჯადოს, გათვალვას და საგვარეულო წყევლას. ირაკლი ლომაიას სამკურნალო ენერგია დადებითად მოქმედებს ფსიქიკურად დაავადებულებსა და ეპილეფსიანებზე, მან ლოგინად ჩავარდნილი ადამიანები ფეხზე წამოაყენა.

ირაკლი ლომაია: წარმატების მისაღწევად ნებისმიერ ადამიანს სჭირდება გამოლოცვა

— ირაკლი, რა გჭირდებათ დიაგნოზის დასასმელად?

— დიაგნოზისთვის პაციენტმა უნდა მომიტანოს ახლად გადაღებული ფოტო (3X4-ზე), წინა ღამით სასთუმალქვეშ დადებული ორი საეკლესიო სანთელი, რომელსაც ზედ ოცთეთრიანი უნდა დააკრას. სარეგისტრაციო წიგნში გასატარებლად საჭიროა პირადობის დამდასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

— საინტერესოა, რა იწვევს დაავადებებს?

— ენერგეტიკული თვალსაზრისით ორგანულ დაავადებათა გამომწვევი მიზეზებია ადამიანის ძმიე კარმა (პირადი ან წინაპართა მოუნანიებელი ცოდვები), ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამები, როგორიცაა ჯადო, თვალი, საგვარეულო წყევლა. აურისა და ენერგეტიკული არხების დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს. მსგავს შემთხვევებში ექიმებს უჭირთ დიაგნოზის დასმა, ქიმიური პრეპარატებით მკურნალობას არ მოაქვს სასურველი შედეგი, პირიქით, ორგანიზმი იწამლება და პაციენტის მდგომარეობა უარესდება. უარყოფით ენერგიას განეიტრალება სჭირდება, სხვაგვარად პაციენტი ვერ გამოჯანმრთელდება.

— რა მეთოდით და რა დაავადებებს კურნავთ?

— ენერგეტიკული, ანუ ექსტრასენსული მეთოდით — ბიოენერგოკორექციის უკონტაქტო სამკურნალო სეანსებით. გარდა ამისა, ვიყენებ ხილვებში ნასწავლი რეცეპტების მიხედვით დამზადებულ წამლებსა და მალამოებს.

— რა მასალას ხმარობთ?

— მხოლოდ ბუნებრივს, ძირითადად, მცენარეულს.

— რა დაავადებებს კურნავთ?

— მკურნალობის ბარიერი არ არსებობს... როცა ორგანიზმი მკურნალობის ენერგეტიკულ მეთოდს ექვემდებარება, პაციენტი უთუოდ გამოჯანმრთელდება.

— ირაკლი, ვიცი, რომ თქვენთან ხშირად მოდიან ბიზნესმენები და მაღალჩინოსნები, საინტერესოა, რას ითხოვენ?

— პრობლემები თანამდებობის პირებსაც აქვთ, თანაც გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ნაკლებად ცნობილ ადამიანებს. ისინი თავიანთი მდგომარეობის, ბიზნესის შესანარჩუნებლად ზრუნავენ, წარმატების მისაღწევად იბრძვიან. საზღვარგარეთ ცნობილ ბიზნესმენებსა და პოლიტიკოსებს გვერდით ჰყავთ ჩემნაირი ადამიანები, ვინც მათ კარიერასა და საქმიანობას ენერგეტიკული მეთოდით იცავენ.

— როგორ ასუფთავებთ დაბინძურებულ აურას?

— გამოლოცვითა და სანთლებით. თუ კაცს აურა სუფთა არა აქვს, წარმატების მიღწევა გაუჭირდება. მე თუ მკითხავთ, გამოლოცვა ნებისმიერი ადამიანისთვისაა აუცილებელი.

— ირაკლი, როგორ ახერხებთ გზაბნეული სულების ახსნას?

— არაბუნებრივი, ანუ ტანჯვითა და მოძალადეობრივი სიკვდილით გარდაცვლილი ადამიანის უკმაყოფილო სული ნეგატიური ენერგიით მძიდება და ადგილზე რჩება, ანუ საიქიოსკენ გზას ვერ იგნებს. თუ აუხსნელი სული სახლში დარჩა, შესაძლოა მის მობინადრეებს ბევრი უსიამოვნება შეამთხვიოს, კერძოდ, ავადმყოფობა, უბარაქობა, წარუმატებლობა, ბედის ჩაკეტვა. გზაანეული სულის ასახსნელად საჭიროა სპეციალური ლოცვები, პარაკლისის გადახდა და სამი დღის განმავლობაში საკურთხის გაკეთება.

— თქვენ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდით, დაამთავრეთ?

— დიახ, პროფესიით ექიმი ვარ. დავაფუძნე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ლიცენზირებული სპეციალისტი გახლავართ, ვაფიქსირებ და საგადასახადოში ვიხდი ყველა შემოსავალს.

— ირაკლი, როგორ მოხვდით ევროპაში?

— უცხოეთში გამგზავრებამდე მოსკოვსა და რუსეთის რამდენიმე ქალაქში მიმიწვიეს. მონაწილეობა მივიღე მოსკოვის პარაფსიქოლოგიის კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსში, გავიმარჯვე და მკურნალ-ექსტრასენს-პარაფსიქოლოგის ლიცენზია მომცეს, გარდა ამისა, მიმავლინეს საბერძნეთის პარაფსიქოლოგიური კვლევის ცენტრში, რომელსაც ფილიალები აქვს იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში. უცხოელმა სპეციალისტებმა შეამოწმეს ჩემი სამკურნალო ენერგია, ჩამიტარეს ლაბორატორიული გამოკვლევები, საცდელი ტესტები. მომიყვანეს უმძიმესი პაციენტები, რომელთაც დიაგნოზი დავუსვი და ვუმკურნალე. როცა დარწმუნდნენ, რომ მართლაც უჩვეულო უნარით გამოვირჩეოდი, დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი, სამაგიეროდ, დავთანხმდი მათ წინადადებას, წელიწადში სამჯერ ჩავიდე სამუშაო ვიზიტით.

გთავაზობთ ირაკლი ლომაიას ყოფილ პაციენტებთან საუბრის ჩანაწერს.

მზია ელიავაშვილი: — ქრონიკული ნევროზი მქონდა, სიცოცხლე აღარ მინდოდა, ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი, სახლს ვერ ვალაგებდი, ღონე არ მქონდა, გამოფიტული ვიყავი.

— რამ მიგიყვანათ ამ მდგომარეობამდე?

— შეყვარებულმა მიმატოვა, მიღალატა, მწარედ მომატყუა. ვერ მოვახერხე მისი დავიწყება, საშინლად ვიტანჯებოდი.

— ექიმთან იყავით?

— ვიმკურნალე, მაგრამ არაფერმა მიშველა, წამლების სმამ შედეგი არ გამოიღო.

— ირაკლი ლომაიასთან ვისი რეკომენდაციით მიხვედით?

— ნათესავმა მირჩია. თვითონ ძალიან კმაყოფილი იყო, წლების განმავლობაში ლოგინს მიჯაჭვული ავადმყოფი ირაკლიმ ფეხზე წამოაყენა.

— თქვენ თუ გიშველათ?

— ირაკლი რომ არა, ალბათ, თავს მოვიკლავდი, ჩემს სიცოცხლეს აზრი ჰქონდა დაკარგული, მაგრამ მისი წყალობით გამოვედი მძიმე მდგომარეობიდან და გავხალისდი, თვალი ამეხილა, რისთვისაც დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას ვუსურვებ.

ნაზი ქევხიშვილი: — გვიან გავთხოვდი, ბედი 29 წლის ასაკში გამეხსნა. კარგი ქმარი შემხვდა, ტკბილი ოჯახი შევქმენით, მაგრამ შვილი არ გვიჩნდებოდა.

— რატომ?

— ბევრი ვიარეთ ექიმებში მე და ჩემმა მეუღლემ, მაგრამ ორგანული დაავადება არ აღმოგვაჩნდა, გვითხრეს, ორივენი ჯანმრთელები ხართო. აღარ ვიცოდით, ვისთვის გვეთხოვა დახმარება.

— რამდენი წელი არ გყავდათ შვილი?

— 5 წლის განმავლობაში ღმერთმა შვილი არ გვაღირსა. ძალიან განვიცდიდი, დამღამობით ჩუმად ვტიროდი.

— როგორ მოხვდით ირაკლი ლომაიასთან?

— ჩემმა მეუღლემ გაზეთში მისი ინტერვიუ წაიკითხა და მიმიყვანა, გული მიგრძნობს, სხვა ვერავინ გვიშველისო. მართლაც, მკურნალობიდან რამდენიმე თვეში დავფეხმძიდი და ბიჭი გავაჩინე, რომელსაც ირაკლის პატივსაცემად მისი სახელი დავარქვი.

ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით შპს „მკურნალ-ექსტრასენს-პარაფსიქოლოგ“ ირაკლი ლომაიას სათავო ოფისს.

მისამართი: ცისარტყელას ქუჩა №21 („ნახალოვკა, მეტროს სადგურ „ნაძალადევს“ და „ელექტროდეპოს“ შორის, პირველ სამშობიაროსთან).

მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე. მისაღების ტელეფონები:

(+99532) 20-50-51; (+99532) 20-50-52; ფაქსი (+99532) 20-50-53. მობილური (24 საათის განმავლობაში):

(+99599) 50-15-78, (+99593) 92-65-78.

მონაცემები შეტანილია ინტერნეტში:
www.ikaextrasens.com
E-mail: ika@ikaextrasens.com

1 აფთ-იაქარი
2 ერთგვარი მაიმუნი
3 ფრან-გული მინერ-ალური წყალი
4 თილისმა
5 ეს-ტონეთის დედაქალა-ქი
6 ლატვიელი მომღერა-ლი
7 კნოპი
8 წყლის დიდი სივრცე
9 ჯუჯა კამეჩი
10 ვაზის სარი
11 დაბალი, ფართო დივანი
12 სამაგიდო თამაში
13 ... გაბრიაძე
14 დობერმან-...
15 კოს-ტიუ-მის ზედა ნაწილი
16 სამხედრო იარაღის საწყობი
17 დე-ნის ძალის საზომი ერთეული
18 სიყ-ვარუ-ლის ღმერთი ბერძნ. მით.
19 მოსარჩლე დამცველი
20 ირმებშებ-მული მარხილი
21 მრავ-ალადგ-ილიანი კარეტა
22 ზღვის მარტორქა
23 პლან-ეტა იუპიტერის ძვ. ქართ. სახელწ.
24 თაქთაქიშ-ვილის ოპერა
25 უკვდავი ქალაქი
26 ტრო-პიკული უღრანი ტყე
27 ძვ. ბერძე-ნი დრამა-ტურგი
28 მჭვრ-მეტყველი ადამიანი
29 ამერიკის შტატი
30 ფეოქ-ბადი ნივთიერე-ბა
31 ჩუქ-ჩების საცხ-ოვრებელი ქოხი
32 მძორის-მჭამელი ცხოველი
33 ცხენბურ-თი
34 იტალ-იის ფეხბურ-თის გუნდი
35 პოპ-ვის გამოგონე-ბა
36 რისამე დედააზრი
37 ქართველი პოეტი
38 ქალაქი საქართველო-ში
39 კანონზომ-იერების დარღვევა
40 მელოდია
41 ... ელიავა
42 პირის ნაცვალ-სახელი
43 ვალის წინდი
44 ძველი ქუთაისი
45 ნაკლი, ხინჯი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ლოქო; 2. ქამანდი; 3. პოლისი; 4. ჩაპეკი; 5. სკამი; 6. ლადო; 7. ილია; 8. მინარეთი; 9. კუროსავა; 10. ბიზანტია; 11. მუნიციპალიტეტი; 12. ურეკი; 13. დებიუტი; 14. პინო; 15. ბარაკუდა; 16. აზატი; 17. სევილია; 18. ზანდუკი; 19. ალკაზარი; 20. ცვილი; 21. სპირალი; 22. კილიტა; 23. ალაფი; 24. დასტა; 25. კიკო; 26. მიხაკი; 27. ხვადი; 28. ზამინდარი; 29. დარი; 30 კირი; 31, ბაგა; 32. ალაბამა; 33. კოლორიტი; 34. ირაო; 35. ასაკი; 36. ლიბია; 37. სატელიტი; 38. ლელო; 39. ტინი; 40. გობი; 41. კატალონია; 42. ბაირონი.

სურათებზე: ლორა ბუში; კონდოლიზა რაისი.

35-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ; 4-ა.

kviris astrologiuri prognozi

(1 — 7 ivnisi)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

შეეცადეთ, ეს კვირა შემოქმედებით საქმიანობას დაუთმოთ და აქტიური ცხოვრებით იცხოვროთ. თუ თქვენს შინაგან „მეს“ დაეყრდნობით და ყველაფერს ლოგიკურად გაიაზრებთ, წარმატებას უეჭველად მიაღწევთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

ეს კვირა თქვენთვის არასტაბილური იქნება: ხან გაგიმართლებთ, ხან — არა. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ყველაფერი ძალზე ცუდადაა, მაგრამ იმედგაცრუებას ნუ მიეცემით — აუცილებელია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, საფუძვლიანად გააანალიზოთ შექმნილი მდგომარეობა და წარმატებაც არ დააყოვნებს.

ᲢᲧᲣᲜᲘ 21.05-21.06

ნუთუ, თქვენთვის იმის შეხსენებაა საჭირო, რომ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები უნდა გამოავლინოთ?!. დიდი ხანია, რაც თქვენთვის ფორტუნას არ უღალატია? მიენდეთ საკუთარ თავს, გააქტიურდით და ფორტუნა გაგიღიმებთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ეს კვირა წარმატებებს მხოლოდ მათ მოუტანს, ვინც საკუთარი პროფესიონალური და ინტელეტუალური დონის ამაღლებას შეეცდება: მიიღეთ, რაც შეიძლება მეტი ახალი ინფორმაცია და ჩაეწერეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. შაბათ-კვირა კი, დასვენებას დაუთმეთ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ამ კვირას, წვრილმანებით ნუ გადაიტვირთავთ თავს — ეს არაფერს გარგებთ. ორშაბათიდან ხუთშაბათამდე, საკუთარი აზრისა და დამოუკიდებლობის უგულებელყოფა მოგიწევთ, მაგრამ ეს, ირგვლივ მყოფთა თვალში თქვენს ავტორიტეტს აამაღლებს და ამასთანავე, გაფუჭებული ურთიერთობების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

შეეცადეთ, საკუთარ ბიზნესში სტაბილურობა შეინარჩუნოთ. ამ კვირას, ვარსკვლავები ნოვატორულ იდეებს გიკარნახებენ. განსაკუთრებული ყურადღება კომპანიონებთან ურთიერთობას დაუთმეთ, შეეცადეთ, კარგად გაუგოთ მათ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ნუ დაუშვებთ სერიოზულ შეცდომებს, გამოიჩინეთ დიპლომატიურობა; ახლობლებთან ურთიერთობისას, ასევე, საქმიანი მოლაპარაკებების დროს, იყავით კორექტული, დამთმობი და ნებისმიერი სიტუაციის მოგვარებას შეძლებთ.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ისწავლეთ სხვისი აზრის პატივისცემა. თუ გსურთ, რომ გარშემო მყოფებმა შეგიყვარონ, პირველ რიგში, თქვენვე უნდა შეიყვაროთ ისინი. თუ თანამდებობის პირი ხართ, ხელქვეითებს შეცდომები აპატიეთ. ნუ ცდილობთ, ყველას თქვენი აზრი მოახვიოთ თავს, თანამოსაუბრესაც მოუსმინეთ — ისიც ხომ რაღაცაში მართალია.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

გამოცადეთ თავი ახალ საქმეში, დაამყარეთ ახალი ურთიერთობები, იყავით აქტიური, არ შეუშინდეთ ცვლილებებს და რაც მთავარია, იყავით ბუნებრივი. გულითადი საუბრები და ხელგაშლილობა, გარშემო მყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებაში დაგეხმარებათ.

ᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲘ 22.12-20.01

ეს კვირა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გიქადით, ოღონდ, ამისთვის დაუღალავი შრომა გმარებთ. ამ დღეებში, სასიამოვნო ადამიანებს გაიცნობთ, კვლავ გააქტიაურებთ ურთიერთობას იმ ახლობლებთან, რომლებსაც დიდი ხანია, აღარ ეკონტაქტებოდით.

ᲗᲔᲗᲠᲘ 21.01-19.02

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენი ეგოიზმით არა მარტო გარშემო მყოფებს, არამედ საკუთარ თავსაც აღიზიანებთ?.. დროებით გვერდზე გადადეთ კარიერა და მატერიალური პრიორიტეტები, თავს ოცნების უფლება მიეცით და მოვლენებს მშვიდი თვალით უცქირეთ. ეს, არა მარტო სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით, არამედ ახლობლებთან ურთიერთობაშიც წაგადგებათ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡᲘ 20.02-20.03

დროა, შეიგნოთ, რომ ის საქმიანობა, რომელსაც ეწევით, არცთუ ისე პერსპექტიულია. შეიძლება ითქვას, რომ ჩიხში ხართ მოქცეული, რადგან მიუხედავად იმისა, რამდენად საინტერესო ან სახალისო საქმეს აკეთებთ დღეს, საერთო ჯამში, ადვილი შესაძლებელია, რომ მას თქვენი წინსვლა არ მოჰყვეს.

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ „ᲡᲐᲛᲑᲐᲡ“ ᲠᲘᲢᲛᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ

დასაწყისი იხ. გვ.58

დღეს ხომ მსოფლიო პირველობაზე შემთხვევით აღარავინ ხვდება. ეს კიდევ არაფერია. იაპონელთა მთავარი მწვრთნელი არა მარტო მერვედფინალში გასვლას, არამედ სულაც, გაჩემპიონებას აპირებს. „გვსურს, რაც შეიძლება კარგად ვიასპარეზოთ, — განუცხადა ზიკომ იაპონელ ჟურნალისტებს, — ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ“. სხვათა შორის, შარშან, გერმანიაშივე შემდგარ ფიფა-ს კონფედერაციათა თასის გათამაშებაში, ბრაზილიისა და იაპონიის ნაკრებთა შეხვედრა ფრედ დასრულდა.

დიახ, ბრაზილიელებთან თავის გამოჩენა F ქვეჯგუფში მოხვედრილ იაპონელთა, ავსტრალიელთა და ხორვატთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. „ჯგუფში ბრაზილიელებთან ერთად ასპარეზობა მოგვიწევს, მაგრამ მათი არ გვეშინია, — დასძენს დონეცკის „შახტარისა“ და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი, დარიო სრნა. — რა თქმა უნდა, მათ პატივს ვცემთ, მაგრამ როგორც კი მატჩი დაიწყება, მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ“.

32-წლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ ჩაერთვება მსოფლიო ჩემპიონატში ავსტრალიის ნაკრები. „მწვანე კონტინენტის“ გუნდს სახელმოხვეჭილი გუს ჰიდინგი წვრთნის, რომელმაც 2002 წელს, სამხრეთ კორეის ნაკრები მუნდიალის ნახევარფინალში გაიყვანა. ორიოდე დღის წინ, ავსტრალიელებმა ევროპის მოქმედი ჩემპიონი, საბერძნეთის გუნდი მელბურნში გამართულ ამხანაგურ მატჩში სკოკოს მიერ გატანილი გოლის წყალობით დაამარცხეს. მოგვიანებით ისინი ჰიდინგის სამშობლოს, ჰოლანდიას ეწვივნენ, სადაც მუნდიალისათვის მზადების დასკვნით ეტაპს ჩაატარებენ. „გვინდა, იმ სათამაშო კომპონენტზე ვიმუშაოთ, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატში გამოვიყენებთ, — ამბობს გუს ჰიდინგი, — დეტალები ძალზე მნიშვნელოვანია. ბერძნებთან მატჩის პირველ ტაიმში ორგანიზაციული თვალსაზრისით, ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მწვრთნელი ყოველთვის უფრო მეტს მოითხოვს“.

შაბათს, პენტაკამპეონთა საწვრთნელ მოედანზე 5 ქომაგის შევარდნის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრების დაცვა გაძლიერებულ რეჟიმზე გადაიყვანეს.Associated Press იუწყება, რომ სამმა მამაკაცმა და ორმა ქალმა დაცვის რგოლი გაარღვიეს და გუნდის ვარჯიშის დროს, მოედანზე შეიჭრნენ. საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს. პირველ რიგში, „ალ ქაიდიდან“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციებიდან მოსალოდნელ საფრთხეზე ამახვილებენ ყურადღებას. ჯერჯერობით, შემაშფოთებელი ექსცესი არ მომხდარა, თუ, რა თქმა უნდა, 59-ე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოს არ მივიღებთ მხედველობაში. ბრაზილიელთა ვარჯიშისას მოედანზე შეჭრილმა გოგონამ, თავის კერპთან ერთად მინდორზე გორაობაც მოასწრო. როგორც ხედავთ, მუდმივად მოღიმარი რონალდინიოსთვის არც ამ ფაქტს გაუფუჭებია გუნება-განწყობილება. რონალდინიოს ეჭვი არ ეპარება, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მისი გუნდი მეექვსედ დაეუფლება პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტულს, ხოლო თავად იგი ლოგიკურად დაასრულებს ისედაც ბრწყინვალედ ჩატარებულ სეზონს. „ალბათ, ყოველი ფეხბურთელი ოცნებობს მსგავსი საერთაშორისო ტურნირების მოგებაზე, — დასძენს რონალდინიო. — თუ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებას შევძლებთ, ეს სეზონი ჩემთვის უბრალოდ, შესანიშნავად დასრულდება. ნამდვილად არ მსურს ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება“■

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ხართ თუ არა გართობის მოყვარული ადამიანი?

რამდენად გიყვართ გართობა და დროს ტარება, ამას სულ იოლად დაადგენთ ქვემოთ მოყვანილ ტესტზე პასუხების გაცემის შემდეგ.

ყოველი დადებითი პასუხი შეაფასეთ 1 ქულით, ბოლოს კი, დააჯამეთ თქვენ მიერ მოგროვილი ქულები.

1. გიყვართ თუ არა სეირნობა?
2. გიყვართ თუ არა სტუმრების დახვედრა და მათი გამასპინძლება?
3. მეგობრებთან ერთად ყოფნის დროს, წვრილმან დანახარჯს თავისუფლად, ყოველგვარი შინაგანი ძალდატანების გარეშე იხდით ხოლმე?
4. თქვენთან მოულოდნელად მოსული სტუმრების გასამასპინძლებლად, ყოველთვის მოგეძევებათ თუ არ შინ რაიმე ნუგბარი თუ სასმელი?
5. თავს თუ აძლევთ იმის უფლებას, რომ ახლო მეგობრების წრეში, ოდნავ ზომაზე მეტი დალიოთ?
6. გიყვართ თუ არა გემრიელი კერძები?
7. ხშირად მართავთ თუ არა წვეულებას?
8. გყავთ თუ არა ირგვლივ შემოკრებილი ისეთი ადამიანები, რომლებთანაც რეგულარულად ურთიერთობთ?
9. გიყვართ თუ არა მეგობრების წრეში სიმღერა?
10. კარგ კომპანიაში ყოფნა, სიამოვნებას თუ განიჭებთ და მხიარულ ხასიათზე თუ გაყენებთ?
11. თქვენთვის ადვილია ცუდი განწყობილების გაქარვება?
12. ვთქვათ, ვინმესთან ჩხუბი მოგიხდათ, გაქვთ თუ არა იმის უნარი, რომ მალევე დაივიწყოთ წყენა და შეურიგდეთ მას?
13. წარსულის გახსენებისას, მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები აგეშლებათ ხოლმე?
14. ჩვეულებრივ, ჯანსაღი სახის კანის ფერით გამოირჩევით?
15. თუკი მეგობრების კომპანიაში ყოფნის დროს, თავს ცუდად გრძნობთ, შეძლებთ რომ არაფერი შეიმჩნიოთ და თავი ისე მოაჩვენოთ ყველას, თითქოსდა არაფერი გაწუხებდეთ?
16. სათანადოდ ზრუნავთ თუ არა საკუთარ ჯანმრთელობაზე?
17. ხშირია შემთხვევა, როცა იმის გამო, რომ ღამით კარგად ვერ გამოიძინეთ, დილიდანვე აგყვებათ ხოლმე თავის ტკივილი?
18. თუ ხდება ისე, რომ დილაობით ლოგინიდან ადგომის და სამსახურში წასვლის თავი არ გაქვთ, რადგან წინაღამეს სტუმრებთან ერთად დიდხანს მხიარულობდით და დასაძინებლად ძალზე გვიან დაწექით?
19. თუკი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ექიმი სიგარეტის მოწევასა და ალკოჰოლური სასმელების დალევას აგიკრძალავთ, შეძლებთ თუ არა ამ მავნე ჩვევებზე უარის თქმას?
20. ოდესმე ფიცი ხომ არ დაგიდვიათ, რომ რაც არ უნდა მოხდეს თქვენს ცხოვრებაში, არასოდეს დაიცავთ დიეტას?
21. გაწუხებთ თუ არა ჭარბი წონა?
22. ხშირად მიდიხართ თუ არ გასართობად ისე, რომ მეუღლე (მეგობარი ბიჭი ან გოგო) თან გახლავთ?
23. გიყვართ თუ არა კომედიური ჟანრის ფილმების ყურება?
24. გაქვთ თუ არა ჩვევად გვიან დაძინება...
25. ...მეორე დილით კი ძლივძლივობით ადგომა?
26. გიყვართ თუ არა კლოუნადის ყურება?
27. დათქმულ შეხვედრაზე ხშირად ხომ არ აგვიანებთ ხოლმე?
28. ხშირად ხუმრობთ თუ არა სამსახურში?
29. გასართობად წასვლის მიზნით, საქმის სახვალიოდ გადასადებად ყოველთვის მზად ხართ?

ტესტის შედეგები

18-22 ქულა: იმდენად თავდავიწყებით გიყვართ გართობა და დროს ტარება, რომ ასეთ დროს, არც სამსახურის დაკარგვის რისკი გაკავებთ და არც ის, რომ წრესგადასული დროს ტარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნით საფრთხეს. დაფიქრდით და გააანალიზეთ, ზედმეტად ბობოქარი ცხოვრების წესით ხომ არ ცხოვრობთ?

13-17 ქულა: საკმაოდ გონიერი ადამიანი ბრძანდებით — მხიარულებასა და გართობაში იცით ზღვარი; თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ თავდავიწყებამდეც მიხვიდეთ. მაგრამ ამაში სახიფათო არაფერია — ოღონდაც, ყველაფერი თქვენი კარიერის წარმატებულობის ხარისხსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

8-12 ქულა: მხიარულებასაც ეძლევით და არც ცხოვრებისეული სიამეებით ტკბობაა თქვენთვის უცხო, მაგრამ ზომა ყველაფერში იცით. სამსახური და ოჯახი თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გართობა და დროს ტარება. თქვენ შეგიძლიათ, ნორმალურად დასვენების უფლებაც მისცეთ თავს, თუკი ეს ხელს არ შეგიშლით სამსახურებრივი და ოჯახური მოვალეობების შესრულებაში.

3-7 ქულა: საკმაოდ იშვიათად ერთობით და შესაძლოა, სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ამქვეყნური სიამეების სათანადოდ დაფასება გიჭირთ. საოცრად საღად მოაზროვნე ადამიანი ხართ და უპირატესობას დინჯ, კარგად ორგანიზებულ და მშვიდ ცხოვრების წესს ანიჭებთ. გართობასა და მხიარულებაში გადამლაშებას ერიდებით და თქვენთვის მისაღები წესების დარღვევის უფლებას, არასოდეს აძლევთ თავს.

2-0 ქულა: თქვენ ისეთი ცხოვრებისთვის ხართ დაბადებული, რომელიც სრულიად აუტანელი იქნებოდა სიცოცხლით სავსე, დროს ტარების მოყვარული ადამიანისთვის. თქვენ ამ ტიპის სრული ანტიპოდი ბრძანდებით და საკუთარი ხასიათით და გართობის სურვილის უქონლობით, ძალზედ აფრთხობთ თქვენგან რადიკალურად განსხვავებული ხასიათის ადამიანებს.

ვინ დაიწყო „ჯეობარი 2“ და მისი ფერეიტორები

დასაწყისი იხ. გვ. 65

— მონაწილეები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ძლიერი პიროვნება თავიდან მოეშორებინათ. ლალიმაც კი მითხრა — შენ ჩემთვის ყველაზე საშიში კონკურენტი ხარო. მიუხედავად იმისა, რომ მე სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ, ნიკუშამაც იგივე სიტყვები გამიმეორა.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა მოთამაშეზე დაბოღმილი ხარ...

— პირიქით, ძალიან მიხარია, რომ გარეთ გამოვედი. ასე რომ არ მომხდარიყო, გარეთ გამოსვლას ჩემით შევეცდებოდი. თუმცა, ამის გამო, ჯარიმას — 5.000 ლარს ვერ გადავიხდიდი. მიხარია, რომ ასე მოხდა. იქ ჩემი ადგილი არ იყო.

— ბარში მუშაობას როგორ შეეგუე?

— მიმტანი მხოლოდ ერთი დღე ვიყავი და ძალიან მეშინოდა — ვინმესთვის რამე არ დამემსხვრია თავზე. პროექტში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ მაგასაც გავართმევდი თავს, მაგრამ...

— მონაწილეებს ყოველდღიური კონფლიქტი რატომ გქონდათ?

— არ ვიცი. ჩვენი კონფლიქტის ძირითადი მიზეზი ჭურჭლის რეცხვა და სახლის დალაგება იყო. ამის გამო, თამუნა დიასახლისის „პოსტიდან“ გადადგომასაც კი აპირებდა. არ ვიცი, ბოლოს რა გადაწყვიტა.

— იგივე თემასთან დაკავშირებით შენც იკამათე ტატასთან...

— ასეთი რამ არ მახსოვს.

— ალბათ, იმდენად ხშირად ჩხუბობდით, რომ არ დაგამახსოვრდა...

— არ ვიცი, ტატას კივილს ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევდი. იქ, ყველაფერი იმდენად უმნიშვნელო იყო ჩემთვის, რომ არც კი მახსოვს.

— გუგამ საქვეყნოდ რატომ მოგიხადა ბოდიში?

— ალბათ, სინდისმა შეაწუხა, რადგან იგინებოდა და უცენზურო სიტყვებსაც ისროდა.

— შენი მისამართით იგინებოდა?

— არ ვიცი, არ გამიგია. ადამიანმა ჯერ საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი. მიუხედავად იმისა, რომ ბოდიში მოიხადა, ბოლოს მაინც დასძინა — დამნაშავე მაინც არ ვარო. მაგ ადამიანზე ლაპარაკი საერთოდ არ მსურს. ჩემი აზრით, ვიღაცამ დაარიგა, რომ ამით შენი რეიტინგი დაეცემა და აუცილებლად ბოდიში უნდა მოიხადოო, თორემ, არა მგონია, ეს იდეა გუგას გასჩენოდა.

— გუგას მისამართით გამოხატული შენი სიმპათია გარკვეული ინტრიგა იყო, თუ ნამდვილად მოგეწონა?

— არ ვიცი, ეს რატომ დამაბრალეს. უბრალოდ, ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ 12 ადამიანში ვიღაც ფიზიკურად მომეწონა. თავიდანვე მეგობრულად ხომ არ შევხედავდი? როგორც მამაკაცს, ისე შევხედე. რამდენიმე დღის მერე მივხვდი, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა. იცი რა, როცა ადამიანი არ მაინტერესებს და მასზე ვლაპარაკობ, მგონია, რომ ტყუილად ვიხარჯები.

— მაშინ ის მითხარი, შენი აზრით, ვინ თამაშობს ყველაზე კარგად?

— ჩელე, რადგან ის პროფესიით მსახიობია. შემიძლია ვთქვა, რომ ლალიც კარგად ართმევს თავს ყველაფერს. მინდა, რომ ჩელემ ან თამუნამ მოიგოს, თუმცა, არა მგონია, რომ პროექტის გამარჯვებული გოგო გახდეს.

■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	7	8	4	2	9	5	3	1
5	1	9	3	7	8	2	4	6
2	4	3	6	1	5	7	9	8
3	8	1	2	4	6	9	7	5
7	2	6	5	9	3	8	1	4
9	5	4	7	8	1	6	2	3
8	6	7	9	3	4	1	5	2
1	3	2	8	5	7	4	6	9
4	9	5	1	6	2	3	8	7

4	2	7	8	6	9	3	5	1
9	8	1	3	2	5	4	7	6
5	3	6	1	4	7	8	2	9
3	6	8	2	9	1	5	4	7
7	9	5	6	8	4	1	3	2
2	1	4	7	5	3	6	9	8
8	4	9	5	1	2	7	6	3
1	5	3	9	7	6	2	8	4
6	7	2	4	3	8	9	1	5

* მარტივი

5	3	2				6		7
4		9	6	8	2			
				7	5	9	2	4
6	2	8	4		1		9	
7	4		9		8		1	6
	1		2		7	4	3	8
1	5	4	8	2				
			7	9	3	5		1
3		7				8	6	2

** საშუალო

	8		2	4		5	1	6
	4		9	6			3	7
	7	2	5	1				4
3		9	8		4	7		
4		6	7		5	1		3
		8	1		6	4		9
2				8	9	3	5	
8	3			5	1		7	
5	9	1		7	2		4	

ფოტოკუიზი

TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

627/22

ლიმალელე — გურამიშვილი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საგავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
ეიმდებარე ტერიტორია
ოთხი კარკასი